

ივო ერცენი
ჯანა (დარეჯან) ჯავახიშვილი
ლადო ჯავახიშვილი

ადღგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო

საუნივერსიტეტო და პროფესიული
სწავლებისათვის

აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო
საუნივერსიტეტო და პროფესიული სწავლებისათვის

ავტორები: პროფესორი ივო ერცენი
პროფესორი ჯანა (დარეჯან) ჯავახიშვილი
ლადო ჯავახიშვილი

მთარგმნელი: მარიამ ლორთქიფანიძე

თარგმნილი
ტექსტის
რედაქტორი: ია გამყრელიძე

კორექტორი: ნინო საითიძე

გამოცემაზე
პასუხისმგებელია: მაია ჩოჩუა
ნინი გოგიბერიძე



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice



პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელი არიან სახელმძღვანელოს ავტორები და არ ნიშნავს რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

თავი I	
აღდგენითი მართლმსაჯულების გაცნობა.....	11
თავი II	
დაზარალებული, დამზარალებელი და მათი გარემო: ფსიქოლოგიური თავისებურებები	60
თავი III	
მედიაცია აღდგენით მართლმსაჯულებაში	82
თავი IV	
აღდგენითი მართლმსაჯულების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში	103
თავი V	
აღდგენითი მართლმსაჯულების გამოცდილება საქართველოში	121
წარმატებული მედიაციის შემთხვევის აღწერა	133
მედიაციის როლური თამაში	137
თავი VI	
აღდგენითი მართლმსაჯულება, საზოგადოება და მედია	142
თავი VII	
მონიტორინგი, შეფასება და კვლევა	168
სავალდებულო ლიტერატურა	198
დამატებითი ლიტერატურა	202

დანართი I

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2018)8 წევრი სახელმწიფოების მიმართ სისხლის სამართალწარმოებაში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ 212

დანართი II

ევროპის საბჭოს 2018 წლის რეკომენდაცია სისხლის სამართალში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ: მოკლე შეჯამება საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის..... 227

დანართი III

აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის სტანდარტები და ღირებულებები..... 233

წინასიტყვაობა

ბოლო ორი ათწლეულია ევროკავშირი თანმიმდევრულად უჭერს მხარს საქართველოში მართლმსაჯულების რეფორმას, მათ შორის აღდგენითი მართლმსაჯულების მექანიზმების დანერგვას. ბავშვთა უფლებების დაცვა მართლმსაჯულების სფეროში ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის ძირეულ ელემენტს წარმოადგენს. 2015 წელს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებით, საქართველომ უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა წინ და დაადასტურა სახელმწიფოს მზაობა იზრუნოს ბავშვებზე და დაიცვას ისინი ძალადობისა და სტიგმატიზაციისგან. ამ ნაბიჯმა შექმნა მყარი საფუძველი კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისა და ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა საქმეებში აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის გამოყენებისათვის. დღეს სიხარულით აღვნიშნავთ, რომ 2010 წლის შემდეგ მოხდა 4000-ზე მეტი ბავშვის და ახალგაზრდა სამართალდამრღვევის განრიდება და მათმა უმეტესობამ მონაწილეობა მიიღო აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში – დაზარალებული-დამზარალებლის მედიაციაში. აღდგენითი პროცესები პასუხობს დაზარალებულთა საჭიროებებს, ხოლო კვლევები ადასტურებს, რომ ის ეხმარება დაზარალებულებს ზიანის შემსუბუქებასა და გამოსწორებაში. საქართველოში არასრულწლოვნების მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემცირებული მაჩვენებელი ადასტურებს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება აძლიერებს ინდივიდებს და ეხმარება მათ უარი თქვან შემდგომ კრიმინალურ ქმედებაზე.

აღდგენითი მართლმსაჯულება სწრაფად ვითარდება ევროპის მასშტაბით. ჩვენ ვხედავთ საქართველოს მზარდ დაახლოვებას ევროპულ სტანდარტებთან და სახელმწიფო ინსტიტუტების მზაობას აღდგენითი მართლმსაჯულების შემდგომი განვითარებისთვის. დღეს, აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკა უკვე სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვისაც არის ხელმისაწვდომი საპილოტე რეჟიმში. ევროკავშირი ეხმარება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ამ მიმართულებით კანონმდებლობის შემდგომ განვითარებაში.

ტრადიციული სადამსჯელო მიდგომის ჩანაცვლება აღდგენითი, რეაბილიტაციური ზომებით გარკვეულ საზოგადოებრივ ტრანსფორმაციას მოითხოვს, მათ შორის პროფესიონალებსა და მთლიანად საზოგადოებაში. ამიტომაც მოხარული ვარ წარმოვადგინო აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო საუნივერსიტეტო სწავლე-

ბისათვის – სამართლის, სოციალური სამუშაოს, ფსიქოლოგიისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტებისთვის; ისევე როგორც პრაქტიკოსების (მოსამართლეების, პროკურორების, სოციალური მუშაკების, მედიატორების, პოლიციელების, პენიტენციური და პრობაციის ოფიცრების და სხვათა) გადამზადებისთვის. სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს პროფესორებსა და ტრენერებს აღდგენითი მართლმსაჯულების ისტორიის, საერთაშორისო რეგულაციებისა და განვითარების შესახებ ცოდნის მიღებაში, მათ შორის საქართველოში მიმდინარე რეფორმების შესახებ. პუბლიკაციაში მიმოხილულია დაზარალებულთა და დამზარალებელთა ფსიქო-სოციალური ფაქტორები, აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელები, მედიასა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის და მათი ამ პროცესებში ჩართულობის მნიშვნელობა. ვიმედოვნებ, რომ სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების სისტემას გახდეს მეტად ორიენტირებული სარეაბილიტაციო ღონისძიებებზე და აღდგენით მიდგომებზე, რაც დაგვეხმარება შევექმნათ უსაფრთხო საზოგადოება.

კარლ ჰარცელი
საქართველოში ევროკავშირის ელჩი

* * *

კონფლიქტი დედამიწაზე სიცოცხლის გაჩენის მომენტიდან არსებობს. დიან, ჩვენს გენშიც ჭარბობდა კონფლიქტზე ძალადობრივი რეაგირება. ადამიანის მოდემის ისტორია ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ კარგად შეგვიძლია ბრძოლა საკუთარი ინტერესების დასაცავად. თუმცა, სხვა ძუძუმწოვრებისგან განსხვავებით, ადამიანი (homo sapiens) მალე მიხვდა პრობლემების მოგვარების არაძალადობრივი გზების ფასეულობას საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის. ერთ-ერთი ამგვარი გზა ცეცხლის გარშემო ტომის უზუცესებთან ერთად კომპრომისების ძიება და მედიაციაა.

სახელმწიფოს განვითარებამ და სამართლებრივი რეგულაციების ჩამოყალიბებამ, კონფლიქტების გადაჭრა მკაცრად დაუქვემდებარა კანონის მოთხოვნებს; ამ ფონზე – იკლო სხვა მეთოდების გამოყენებამ. მაგრამ არა ყველგან: გაწერილი კანონები ძლევამოსილი მეფეებისა და მღვდლების პრეროგატივა იყო, ხოლო „საწყალი ხალხი“ თავის „უზადრუკ პრობლემებს“ კვლავ ტრადიციული მეთოდებით აგვარებდა. სწორედ ამიტომ, თითქმის ყველა კულტურამ შემოგვინახა ხალხური სამართლებრივი პროცესისა და სასჯელის ალტერნატივის ფორმები და ტრადიცია.

დღეს, როდესაც ასეთი დიდია მართლმსაჯულების ხარჯები, მკაცრია და ხშირად არაეფექტიანი სასჯელი, ხოლო სასამართლო სისტემა – გადატვირთული, საზოგადოება ცდილობს დაუბრუნდეს კონფლიქტების გადაჭრის ალტერნატიულ გზებს. ეს ტენდენცია მზარდია სამართლის თითქმის ყველა სფეროში. ჩვენ – სისხლის სამართლის სფეროს პროფესიონალები, აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომების მზარდ გამოყენებას კონვენციური მართლმსაჯულების კონკურენტად არ აღვიქვამთ. პირიქით, მიგვაჩნია, რომ აღდგენითი მიდგომების არსებობა ქვეყანაში, პირველ რიგში, სწორედ მართლმსაჯულების გაუმჯობესებას ემსახურება. ასეთი სისტემა უკეთ პასუხობს საზოგადოების საჭიროებებს.

ამდენად, აღდგენითი მართლმსაჯულება ბრუნდება!

მოსამართლე რენატე ვინტერი

*ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის
პროექტის ხელმძღვანელი,
გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი*

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო გამიზნულია აღდგენითი მართლმსაჯულების სწავლებით დაინტერესებული პირებისთვის. მისი მიზანია სწავლების გზით აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომებზე ცოდნის გადაცემა, ცნობიერების ამაღლება და შემდგომი პოპულარიზაცია სტუდენტებში, მკვლევრებში, პრაქტიკოსებსა თუ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებში. სახელმძღვანელო ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში მომზადდა და მისი ავტორები დისციპლინის წამყვანი ევროპელი და ქართველი ექსპერტები და პრაქტიკოსები არიან.

პუბლიკაცია ფართო აუდიტორიაზეა გათვლილი. მისი სტრუქტურა და შინაარსი შესაძლებლობას იძლევა, კურსი მოერგოს მონაწილეთა ცოდნასა და გამოცდილებას, ისევე როგორც - ინსტიტუციურ მოთხოვნებს. შესაძლებელია როგორც ცალკე ერთი დისციპლინის სტუდენტების ან/და დარგის სპეციალისტების სწავლება, ასევე ინტერდისციპლინური ჯგუფების ჩამოყალიბება და მათზე მორგებული კურსის შეთავაზება. ვიმედოვნებთ, რომ მისი სწავლება ეტაპობრივად დაინერგება სამართლის, კრიმინოლოგიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, სოციალური მუშაობის, ჟურნალისტიკის და სხვა სოციალურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე. სახელმძღვანელო, ასევე, მოემსახურება მოქმედი მოსამართლეების, მოსამართლის თანაშემწეების, პროკურორების, სოციალური მუშაკების, მედიატორების, პრობაციის ოფიცრებისა და პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა პროფესიულ დახელოვნებას.

იმედი გვაქვს, რომ სახელმძღვანელოში მოცემული თეორიული და პრაქტიკული (უნარების) სასწავლო მოდულები წაახალისებს მულტიდისციპლინურ მუშაობას, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები გადაინაწილებენ სასწავლო კურსის თემებს და, საბოლოოდ, ერთიან კურსს შექმნიან. ასევე, თავისუფლად შეიძლება სახელმძღვანელოს ცალკეული თავების ინტეგრირება შესაბამისი დისციპლინების სასწავლო მოდულებში. კურსის წამყვანებსა (პროფესორები, ტრენერები) და მონაწილეებს შორის სასწავლო კურსის დანერგვის პროცესში გამოცდილების ურთიერთგაზიარება და ერთობლივი რეფლექსია დაეხმარება კურსის დანერგვის პროცესს და აამაღლებს სწავლების ხარისხს.

სახელმძღვანელოში შემოთავაზებული სასწავლო მასალა გათვლილია 6-კრედიტიან კურსზე, რომელიც 32 საკონტაქტო და 120 დამოუკიდებლად მუშაობის საათს მოიცავს. მნიშვნელოვანია, ლექციები/სესიები ინტერაქტიული იყოს და კურსის მონაწილეების აქტიური ჩართულობა უზრუნველყოს. ყველა თავს ახლავს საშინაო დავალება და სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა. თანდართულია, ასევე, დამატებითი საკითხავი ლიტერატურის ჩამონათვალი მათთვის, ვისაც აღდგენითი მართლმსაჯულების დარგში ცოდნის შემდგომი გაღრმავება დააინტერესებს. დღეისთვის, სამწუხაროდ, საკითხავი მასალის მხოლოდ მცირე ნაწილია ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი.

აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო 7 თავს, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურისა და პუბლიკაციაში გამოყენებული ნაშრომების ჩამონათვალს შეიცავს. სახელმძღვანელოს პირველი თავი, რომლის ავტორია პროფესორი ივო ერცენი, აღდგენითი მართლმსაჯულების ისტორიას, განვითარების ეტაპებს, სხვადასხვა მოდელსა და საერთაშორისო რეგულაციებს გვაცნობს. მეორე თავი, რომლის ავტორია პროფესორი ჯანა ჯავახიშვილი, დაზარალებულის, დამზარალებლისა და მათი გარემოს ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს ეთმობა. მესამე თავი, რომლის ავტორი კვლავ ჯანა ჯავახიშვილია, მედიაციის არსს, მთავარ პრინციპებს, სტანდარტებს, მედიატორის როლსა და საქირო უნარებს შეეხება. სახელმძღვანელოს მეოთხე თავში, რომლის ავტორია ლადო ჯავახიშვილი, მიმოხილულია სამართლის ზოგადი ცნებების, ტერმინების, პრინციპებისა და საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო. მეხუთე თავში ლადო ჯავახიშვილი აღწერს საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომისა და შესაბამისი პროგრამების დანერგვის გამოცდილებას. მეექვსე თავში, რომლის თანაავტორები არიან ივო ერცენი და ჯანა ჯავახიშვილი, აღწერილია საქართველოში ხალხური სამართლის ტრადიციული ფორმები და მასში საზოგადოების ჩართულობა, ზოგადად საზოგადოების მონაწილეობის როლი აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომის განხორციელებაში, მედიის როლი საზოგადოების ინფორმირებაზე მათი მონაწილეობის ასამაღლებლად აღდგენით პროცესებში, დაბოლოს - გადმოცემულია მედიასთან თანამშრომლობის განვითარებაზე მიმართული რეკომენდაციების ნაკრები. სახელმძღვანელოს მეშვიდე თავში გაშლილი თემა აღდგენითი მართლმსაჯულების მუდმივი განვითარების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს. მოცემული თავის ავტორი, ივო ერცენი, აქ გადმოგვცემს ინფორმაციას აღდგენითი მართლმსა-

ჯულების პროგრამების მონიტორინგსა და შეფასებაზე, და ზოგადად, აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში კვლევის სპეციფიკასა და მნიშვნელობაზე. სახელმძღვანელოში ჩართულია რამდენიმე როლური თამაში და კაზუსი, რაც კურსის ინტერაქტიულობას ხელს უწყობს.

პროექტის გუნდის სახელით მადლობას ვუხდით საქართველოს უნივერსიტეტებს, იუსტიციის უმაღლეს სკოლას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს“; იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრს, გენერალურ პროკურატურას, ყველა დაინტერესებულ პირს თანამშრომლობისა და სახელმძღვანელოს მიმართ გამოხატული ინტერესისათვის. სახელმძღვანელოს მომზადება საპასუხისმგებლო და, ამავდროულად, სასიამოვნო პროცესი იყო. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით ავტორებს: პროფესორ ივო ერცენს, პროფესორ ჯანა ჯავახიშვილს და ლადო ჯავახიშვილს დაულალავი შრომისათვის.

ვიმედოვნებ, სახელმძღვანელო საფუძველს ჩაუყრის ჩვენს ქვეყანაში, ყველა დონეზე მიდგომების ცვლილებას აღდგენითი მართლმსაჯულების სასარგებლოდ. ასეთი სისტემა უკეთ პასუხობს საზოგადოების საჭიროებებს საქართველოში.

მაია ჩოჩუა

ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის

პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე

აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის წევრი

თავი I

აღდგენითი მართლმსაჯულების გაცნობა

ივო ერცენი

ძირითადი მიზანი: აღდგენითი მართლმსაჯულების, მისი მთავარი პრაქტიკისა თუ სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს ადეკვატური გაგება და არსებითი ცოდნის მიღება.

ამოცანები:

ამ ნაწილის დასრულების შემდეგ:

- სტუდენტებს და მონაწილეებს კარგად უნდა ესმოდეთ აღდგენითი მართლმსაჯულების წარმოშობის საფუძვლები; რას გულისხმობს იგი, როგორც დანაშაულზე რეაგირების ზოგადი მიდგომა და კონცეპტუალური ჩარჩო;
- ეცოდინებათ, მკაფიოდ განსაზღვრულ ღირებულებებსა და სტანდარტებზე დაყრდნობით, თუ როგორ ითარგმნება ეს ზოგადი მიდგომა აღდგენითი მართლმსაჯულების კონკრეტულ პრაქტიკაში, როგორცაა: მედიაცია და სხვა მოდელები, როგორც ზრდასრულთა, ისე არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კონტექსტში;
- მონაწილეები შეიძენენ დეტალურ ცოდნას აღდგენითი მართლმსაჯულების ძირითადი ევროპული თუ საერთაშორისო მომწესრიგებელი რეგულაციების შესახებ;
- მიიღებენ ზოგად ცოდნას აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებისა და მათი განხორციელების საერთაშორისო დინამიკის შესახებ;
- შეძლებენ აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებთან დაკავშირებული გამოწვევებისა და ძირითადი, ინსტიტუციური თუ აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გაგებას.

სასწავლო აქტივობები და მეთოდოლოგია:

- ცოდნის მიღება ინფორმაციის გადაცემის, რეფლექსირებისა და ინტერაქციის მეშვეობით;
- მიღებული ცოდნის გაღრმავება ლიტერატურის/დოკუმენტების ინდივიდუალურად კითხვისა და მომზადების საშუალებით;
- ინდივიდუალური ანალიზისა და დისკუსიების შედეგად კრიტიკული მიდგომებისა და სოციალური უნარების გამომუშავება.

დროის ჩარჩო:

4 საკონტაქტო საათი საკლასო ფორმატში (= 2 სესია – თითოეული 2 საათი) + 8 საათი – ინდივიდუალური კითხვა და მომზადება.

გეგმა:

1. სესია 1 (2 საათი):
 - 1.1. აღდგენითი მართლმსაჯულების ისტორია
 - 1.2. როგორ გავიგოთ აღდგენითი მართლმსაჯულება
2. სესია 2 (2 საათი):
 - 2.1. აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელები და პრაქტიკა
 - 2.2. ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები
 - 2.3. პრაქტიკაში დანერგვა

1. აღდგენითი მართლმსაჯულების ისტორია

პირველი თავის მიზანი: აღდგენითი მართლმსაჯულების საფუძვლებისა და განვითარების ძირითადი მიმართულებების გაცნობა.

ამოცანები:

- აღდგენითი მართლმსაჯულების საფუძვლებისა და არსის გაცნობა;
- თანამედროვე საზოგადოებაში მისი ხელახლა დამკვიდრებისა და განვითარების საფუძვლების გაგება.

აქტივობები:

ლექცია, ჯგუფური დისკუსია, კითხვა.

1.1. აღდგენითი მართლმსაჯულების ისტორიული საწყისები

მედიაცია და აღდგენითი მართლმსაჯულება ახალი მოვლენა არ არის. მართლწინააღმდეგობა და დამაზიანებელი ქცევა დამახასიათებელი იყო ყველა დროის კულტურისათვის. დამაზიანებელი ქცევა შეიძლება ბევრნაირად დაიყოს: განზრახი და არაგანზრახი ქმედებები, დაუდევარი და გაუფრთხილებელი ქმედებები, სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ქმედებები, ინდივიდუალური და ჯგუფური/ინსტიტუციური ქმედებები, პერსონალური ან კოლექტიური ვიქტიმიზაციის გამომწვევი ან დაზარალებულის გარეშე ჩადენილი ქმედებები და ა.შ.

[გთხოვთ მოიყვანოთ კონკრეტული მაგალითები საქართველოს კონტექსტიდან.]

მათი „მართლსაწინააღმდეგო“ ხასიათისა და დამაზიანებელი შედეგებიდან გამომდინარე, როგორც ინდივიდის, ისე მთელი საზოგადოების მიმართ, ზოგიერთ ასეთ ქმედებას სახელმწიფოს ან სხვა უფლებამოსილი სუბიექტის მიერ ჩვენ „დასჯადად“ მივიჩნევთ. ამიტომაც ამგვარ ქმედებებს „დანაშაული“ ეწოდება. „კანონიერების“ პრინციპიდან გამომდინარე (‘Nullum crimen sin lege’-არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე), ეს დანაშაულები გაწერილია კანონში და ბევრ ქვეყანაში დანაშაულის კატეგორიებს მათი ტიპის მიხედვით სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს. გარდა ამისა, ადგენს შესაბამისი ხანგრძლივობისა თუ სიმკაცრის სასჯელებს (‘Nulla poena sin lege’-არ

არსებობს სასჯელი კანონის გარეშე) მაგალითად: „გადაცდომები“, „ადმინისტრაციული დარღვევები“ და „დანაშაულები“.

[გთხოვთ მიუსადაგოთ ქართულ სამართლებრივ კონტექსტს.]

მიუხედავად ამისა, ამგვარი დამაზიანებელი ქმედებები ისტორიულად სხვადასხვაგვარად იყო აღქმული და, შესაბამისად, სხვადასხვა რეაგირებას იწვევდა – მათ შორის, გამოიყენებოდა სასჯელის მრავალი ფორმა.

რა არის ინდივიდის, ჯგუფის ან მთელი საზოგადოების მიმართ მართლსაწინააღმდეგო ქმედების მთავარი პასუხი ისტორიულ ჭრილში?

[მოაწყვეთ ჯგუფური დისკუსია – 10 წუთი.]

შურისძიების ფაქტების თავიდან არიდების მიზნით, სხვადასხვა კულტურის ქვეყნებში მიღებულ პრაქტიკას მართლსაწინააღმდეგო ქმედების პასუხად კომპენსაციის დაკისრება წარმოადგენდა. ლიტერატურაში მოყვანილია რესტიტუციის მნიშვნელობის მქონე მრავალი მაგალითი (მესაკუთრისათვის მოპარულის დაბრუნება), ასევე კომპენსაციის მაგალითები (თანაბარი ფასეულობის მქონე საგნის ან ფულის შეთავაზება). საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამ ყველაფერთან ერთად გვხვდება შურისძიების, სამაგიეროს მიზლისა და რიტუალური დაკმაყოფილების მაგალითები, როგორც მართლსაწინააღმდეგობაზე პასუხის მნიშვნელოვანი ელემენტები. ამგვარი პრაქტიკა სათავეს იღებს საზოგადოების ადრეულ სოციალურ სტრუქტურაში, როდესაც არ არსებობდა სახელმწიფო. ინციდენტის შემდეგ კი მნიშვნელოვანი იყო მასში მონაწილე ჯგუფებს შორის ეკონომიკური და სოციალური კავშირების სწრაფი აღდგენა – (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ: Braithwaite, 2002; Weitekamp, 1999).

კომპენსაცია, როგორც დაზარალებულის მიერ შურისძიების განხორციელება, უფრო ინსტიტუციური გახდა, როდესაც დასავლურ საზოგადოებაში მეტად ცენტრალიზებული ძალაუფლების სტრუქტურა ჩამოყალიბდა. კომპენსაციის სისტემა იზრდებოდა და დაზარალებულის კომპენსირებასთან ერთად, საზოგადოებაში საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის სანაცვლოდ, დამნაშავეს ფეოდალისათვის, ლორდისა ან მეფისათვის გარკვეული თანხის გადახდა ევალებოდა. XII საუკუნისათვის, ჯარიმების სისტემის გაფართოებასთან ერთად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ საკუთარ ხელში აიღო და განსაზღვრა მართლმსაჯულების პროცესი. ეს სისტემა უფლებამოსილ მმართველებს აღჭურავდა არა მხოლოდ დამატებითი ფინანსური რესურსე-

ბით, არამედ მეტი ძალაუფლებით. მოგვიანებით სამაგიეროს მიზღვის საკითხზე განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება, რაც ემსახურებოდა მეფის პოლიტიკური ძალაუფლების გაძლიერებას. შესაბამისად, ამან განაპირობა „სასჯელის“ თანამედროვე ფორმის ჩამოყალიბება. მას შემდეგ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტრუქტურა თუ პროცედურები ორიენტირებული იყო დამნაშავეზე. დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურებას კი პარალელური სისტემა – სამოქალაქო მართლმსაჯულება უზრუნველყოფდა.

XVII-XVIII საუკუნეებამდე (ან უფრო გვიანაც კი) ევროპულ თუ სხვა სახელმწიფოებში რესტიტუცია და კომპენსაცია რეგულარულად მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენდა ისეთ მიძიმე დანაშაულებზე კი, როგორც მკვლევობაა. სიტუაციიდან და კონკრეტული (არაფორმალური) პროცედურებიდან გამომდინარე, კონფლიქტში ჩართული ოჯახები ერთმანეთს მოსალაპარაკებლად მიმართავდნენ.

აღდგენითი მართლმსაჯულების პერსპექტივიდან აღდგენაზე ორიენტირებული მიდგომიდან კვლავ დასჯაზე ორიენტირებულ სახელმწიფო მართლმსაჯულების სისტემაზე გადასვლას მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა (Johnstone, 2002: 42):

- დაზარალებულთა საჭიროებები აღარ წარმოადგენდა განმსაზღვრელ ფაქტორს; ამის შემდეგ დაზარალებულებს კომპენსაცია უნდა მოეპოვებინათ დამოუკიდებლად, სამოქალაქო სასამართლოს პროცედურების დაცვით;
- დაზარალებულისა და დამზარალებლის სოციალური გარემო აღარ ერთვებოდა პასუხისმგებლობის აღებისა და პრობლემის მოგვარების პროცესში; ადამიანები გახდნენ სისხლის მართლმსაჯულების მომხმარებლები;
- დამზარალებლის განათლებასა და რეინტეგრაციაზე ზრუნვა მისი დაზარალებულთან დაპირისპირების საშუალებით, რითაც ზიანი კიდევ უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი გახდა;
- მეტი შემოსავლის დაგროვების ნაცვლად ახალი სადამსჯელო სისტემის აღსრულება სულ მალე ძალიან ძვირი გახდა.

რესტიტუცია და კომპენსაცია, როგორც მართლწინააღმდეგობაზე პასუხის უპირველესი ფორმები, წარსულშიც ხშირად კონკურენციას უწევდა შურისძიების ძალადობრივ ფორმებს ან ომს. ამიტომაც არ უნდა მოვახდინოთ ისტორიის იდეალიზება; არ უნდა ჩავთვალოთ, რომ საუკუნეების განმავლობაში აღდგენითი მართლმსაჯულება იყო

რეაგირების დომინანტური ფორმა. თუმცა ისტორიის გაანალიზების შედეგად უნდა დავასკვნათ, რომ დანაშაულის კონტროლისა და მართლმსაჯულების მექანიზმების განვითარება მუდმივი პროცესია. საზოგადოებას დღემდე აქვს თავისუფლება (და პასუხისმგებლობა) აირჩიოს, თუ რა მიმართულებით სურს წასვლა და დანაშაულზე რეაგირების რა ფორმებია მისთვის უმთავრესი.

1.2. აღდგენითი მართლმსაჯულება არაინდუსტრიულ საზოგადოებაში

ბევრ არადასავლურ საზოგადოებაში დღემდე წამყვან პრაქტიკას წამოადგენს კომპენსაცია და აღდგენითი მიდგომები. ადგილობრივ თემებში, დანაშაულის ჩადენის შემდეგ, იმისათვის, რომ კონკრეტული ჯგუფი გადარჩეს, სოციალური მშვიდობა ხშირად ერთადერთ ხელშესახებ და არსებით გამოსავალს წარმოადგენს. XX საუკუნის ბოლოს ბევრ ქვეყანაში ხელახლა გაცოცხლდა მართლმსაჯულების პირველადი ფორმები, რადგან პოლიტიკის განსაზღვრისას გაიაზრეს, რომ ადგილობრივ უმცირესობებთან ეფექტური შედეგების მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ მათი კულტურისათვის მისაღები ფორმებით. ამან სტიმული მისცა აღდგენითი მართლმსაჯულების დაცვას, რამდენადაც მისი მრავალი ელემენტი დასტურდება მართლმსაჯულების უძველეს ტრადიციულ ფორმებში. აღდგენითი მართლმსაჯულების უახლესი ისტორიის ყველაზე ცნობილი მაგალითია ახალი ზელანდიიდან, სადაც კანონით დადგინდა „ოჯახის ჯგუფური კონფერენცია“, რომელიც მაორის მართლმსაჯულებისა და კონფლიქტების მოგვარების პრინციპებს ეფუძნება. კიდევ ერთ მაგალითს, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელს, წარმოადგენს „მშვიდობის წრეები“. მიჩნეულია, რომ იგი ინსპირირებულია ჩრდილოეთ ამერიკის პირველი ხალხების მართლმსაჯულების ტრადიციებით (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ: Braithwaite, 2002; Christie, 1977).

მართლმსაჯულების ამ საწყის ფორმებში, როგორც წესი, არსებით როლს თამაშობს თემი. დანაშაულის ჩადენის შემდეგ ყურადღება მახვილდება არა იმაზე, თუ რა ჩაიდინა დამნაშავემ, არამედ – იმ საზოგადოებაში არსებულ ღირებულებებსა და იმაზე; მოხდარის მნიშვნელობაზე ამ საზოგადოებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დანაშაული და მასზე რეაგირება არ არის ინდივიდუალიზებული და დეკონტექსტუალიზებული, როგორც ეს ხდება დასავლურ მართლმსაჯულების სისტემაში, არამედ პრობლემა აღიქმება, როგორც საერ-

თო პრობლემა – „ჩვენთვის ყველასათვის“. მართლმსაჯულების პირველყოფილი და ჩვეულებითი ფორმები დოკუმენტირებულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რამდენადაც ისინი შეიცავენ ალდგენითი მართლმსაჯულების ელემენტებს (UNODC, 2020). რასაკვირველია, ისინი წარმოადგენს ინსპირაციის წყაროს ალდგენითი მართლმსაჯულების თანამედროვე პროცესებისათვის არა მათი პირდაპირ გადმოტანის, არამედ იმ ელემენტების ინდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც შეიძლება მოერგოს თანამედროვე პრაქტიკასა და გარემოებებს.

ზოგიერთი ამ ტრადიციული პრაქტიკიდან წარმოადგენს შერეულ ფორმებს იმისა, რასაც ახლა „დავის ალტერნატიულ გადაწყვეტას“ უწოდებენ. მაგალითად, ერთსა და იმავე პროცესში მედიაციის, არბიტრაჟისა და განსჯის ელემენტების გაერთიანება. ამის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ცენტრალური აზიის ზოგიერთ სოფელში უხუცესთა არაფორმალური სასამართლოები. ამასთან, ჩვენ არ უნდა დავხუჭოთ თვალი ტრადიციულ საზოგადოებებში კონფლიქტის მოგვარების ნაკლებად ინკლუზიურ, ძალადობრივ და დისკრიმინაციულ გზებზე. მაგალითად, უმცირესობებმა ან ქალებმა შეიძლება განიცადონ რევიქტიმიზაცია. რამდენადაც ეს პრაქტიკა ხშირად არ ეფუძნება ადამიანის უფლებებს, მნიშვნელოვანია მათი კონტროლი ფორმალური ორგანოს მიერ საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების მიხედვით.

ზოგიერთი თანამედროვე კრიმინოლოგიური თეორია ცდილობს ახსნას დანაშაულის მიზეზები. ასევე ცდილობს ტრადიციული მართლმსაჯულების ფორმების კვლევის საშუალებით ჩამოაყალიბოს დანაშაულთან გამკლავების ეფექტური ღონისძიებები. ამ თეორიებს შორის საყოველთაოდ ცნობილია John Braithwaite-ის „რეინტეგრაციული შერცხვენა“, რომელიც ქმნის თეორიულ ბაზის ალდგენით მართლმსაჯულებაში „ოჯახის ჯგუფური კონფერენციის“ გამოსაყენებლად (Braithwaite, 1989; Braithwaite, 2002: 74-78).

[მოკლე ჯგუფური დისკუსია: გვსმენია თუ არა ჩვენს ქვეყანაში ან რეგიონში მართლმსაჯულების ტრადიციული პრაქტიკის შესახებ? როგორ ფუნქციონირებს ისინი და რა შეიძლება ვისწავლოთ ამ პრაქტიკისგან – 15 წუთი]

1.3. აღდგენითი მართლმსაჯულების უახლესი ისტორია – ხელახალი დაბადება

როგორც უკვე აღინიშნა, დამაზიანებელ ქცევასა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან გამკლავება შესაძლებელია სხვადასხვა გზით. ძველად და ახლაც არასახელმწიფოებრივ წარმონაქმნებში წამყვანი იყო მსხვერპლსა და თემზე ორიენტირებული მიდგომები. მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ როგორ განსაზღვრა ევოლუციურმა პროცესმა ჩვენი საზოგადოებები და მათი მართლმსაჯულების სისტემები; როგორ გრძელდება ეს პროცესი დღემდე. XX საუკუნის ბოლოს ბევრ დასავლურ სახელმწიფოში ეს სისტემებმა მნიშვნელოვნად შეიცვალა. გზა გაეხსნა ისეთ პრაქტიკას, როგორიცაა: „მედიაცია“ და „აღდგენითი მართლმსაჯულება“ ზოგადად. აღსანიშნავია შემდეგი ევოლუციური ცვლილებები (Johnstone, 2002):

- თანამედროვე მართლმსაჯულების სისტემისადმი ზრდადი უკმაყოფილება და იმედგაცრუება, კონკრეტულად, მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო. იგულისხმება: დანაშაულის შემცირება და მისი პრევენცია, დამნაშავის რეაბილიტირება, საზოგადოებისა და მოქალაქეების მეტი პასუხისმგებლობით აღჭურვა და პროცესში ჩართვა.
- დასავლურ ლიბერალურ საზოგადოებებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმების განვითარება და განვრცობა ყველა ტიპის კონფლიქტის შემთხვევაში;
- მსხვერპლთა ხელახალი გააქტიურება, ასევე მსოფლიოს მასშტაბით მათი მოძრაობის გააქტიურება. მოძრაობისა, რომელიც ორიენტირებულია მართლმსაჯულებაში მსხვერპლთა სამართლებრივი პოზიციის გაძლიერებასა და მათთვის ეფექტური სერვისების მიწოდების უზრუნველყოფაზე.

1970 წლის შემდეგ სისხლის მართლმსაჯულებაში მომუშავე ადამიანების დიდი ნაწილი დანაშაულთან გამკლავების უკეთესი გზების ძიებაში იყო იმისათვის, რომ თავიდან არიდებულიყო საპატიმრო სასჯელის ან სხვა მასტიგმატიზებული სასჯელის ნეგატიური ეფექტები. გარდა ამისა, მართლმსაჯულების სისტემას მეტი მნიშვნელობა შეეძინა დაზარალებულთათვის, დამზარალებელთა და საზოგადოებისათვის. მთავარ იდეას წარმოადგენდა კონფლიქტის საწყის ინტერესთა ჯგუფის ხელში დაბრუნება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რათა მართლმსაჯულების პროცესი, პირველ რიგში, ორიენტირდეს ზიანის აღდგენისა და პრობლემის გადაჭრის მიმართულებაზე. (Christie, 1977;

Zehr, 1990, 2002). ევროპაში კრიმინოლოგებმა და სხვა სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებმა პრაქტიკოსებთან ერთად, როგორებიც არიან პრობაციის მუშაკები, ამ იდეების განვითარება ჯერ კიდევ სამოციან წლებში დაიწყეს. თუმცა აღდგენითი მართლმსაჯულების მოძრაობის საწყისად ხშირად მითითებულია დაზარალებული-დამზარალებლის პირველი შერიგების პროგრამა, რომელიც 1974 წელს განხორციელდა კიტჩენერში, ონტარიო (კანადა). ამას მალევე მოჰყვა სხვა მაგალითები აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოდან. 80-იანი წლების დასაწყისში ამოქმედდა დაზარალებული-დამზარალებლის მედიაციის პროგრამები ევროპის კონტინენტზე – ნორვეგიაში, ავსტრიაში, ფინეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში. სხვა სახელმწიფოები პროცესში ჩაერთვნენ 80-იანი წლების ბოლოს, 90-იან წლებში ან 2000 წლის შემდეგ: ალბანეთი, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, უკრაინა, თურქეთი, ... (Aertsen et al., 2004: 16-18; Duenkel, Grzywa-Holten & Horsfield, 2015).

ევროპაში აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების ქვაკუთხედად იქცა ევროპის საბჭოს რეკომენდაცია – R(99)19 სისხლის სამართლის საქმეებში მედიაციის შესახებ. ეს და სხვა რეკომენდაციები წარმოადგენს გზამკვლევეს, თუ როგორ უნდა შემუშავდეს და აღსრულდეს მედიაციის პროგრამები ევროპის კონტექსტში. გაეროს ECOSOC 2002 წლის რეზოლუციასთან ერთად, სისხლის სამართლის საქმეებში აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების შესახებ და დაზარალებულთან დაკავშირებულ 2001-2012 წლების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ერთად, ევროპის საბჭოს უფრო ახალი რეკომენდაცია CM/Rec(2018)8 ამ მიმართულებით ევროპის ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და წახალისებაა (რელევანტურ საერთაშორისო რეგულაციებს დეტალურად მოგვიანებით გავეცნობით). შედეგად, დაზარალებულსა და დამზარალებელს შორის მედიაციამ და აღდგენითმა მართლმსაჯულებამ, როგორც საზოგადოდ მიღებულმა ცნებამ, უფრო და უფრო მეტი მხარდაჭერა მოიპოვა სასამართლოს წარმომადგენლებისა და ხელისუფლებების მხრიდან, იუსტიციის მინისტრების ჩათვლით. მეტიც, უმეტეს ევროპულ სახელმწიფოებში ამ დროისთვის (2020) მიღებულია კანონმდებლობა დაზარალებული-დამზარალებლის მედიაციის ან აღდგენითი მართლმსაჯულების რომელიმე სხვა მოდელის შესახებ. (Duenkel et al., 2015: 1015-1096; Miers & Aertsen, 2012: 511-548).

ევროპაში აღდგენითი მართლმსაჯულების უფრო ფართო ცნება თანდათანობით დამკვიდრდა, თუმცა მედიაცია დომინანტ მოდელად

შენარჩუნდა. რიგ სახელმწიფოებში მედიაციის პროგრამა ხორციელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის კონტექსტში ან/და სრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში. რასაკვირველია, ევროპის სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია: სოციალურ-სამართლებრივი კონტექსტი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს (ძალიან ლეგალური მიდგომიდან სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, დასავლეთ ევროპასა და სკანდინავიურ ქვეყნებში – უფრო პრაგმატულ და თემზე ორიენტირებულ მიდგომამდე); განსხვავებებია სახელმწიფოს მოწყობასა და პოლიტიკურ სისტემებს შორის, სისხლის სამართლის პოლიტიკასა და პროფესიულ, ორგანიზაციულ კულტურებს შორის. როდესაც ვაძარებთ ამ სახელმწიფოებს, ცხადი ხდება, რომ მედიაციის პროგრამების ამოქმედება შეიძლება სრულიად განსხვავებულ ამოცანებს ისახავდეს. ზოგიერთ ქვეყანაში დაზარალებული-დამზარალებლის მედიაცია დაინერგა, როგორც ალტერნატიული სანქცია დამნაშავისათვის (არასრულწლოვანი ან/და სრულწლოვანი). ამ შემთხვევაში მედიაცია ხშირად ვრცელდება მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულებსა და იმ პირებზე, რომლებიც პირველად ჩადიან დანაშაულს. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულებიდან საქმის განრიდება ხდება მედიაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში – როცა მხარეებს შორის მიიღწევა შეთანხმება (ზოგ შემთხვევაში – შეთანხმება პროკურორსა და დამნაშავეს შორის).

ზოგ ქვეყანაში მედიაცია დაზარალებულთა საჭიროებებიდან გამომდინარე განვითარდა, რამდენადაც მათ აქვთ მნიშვნელოვანი მოთხოვნები დამზარალებლის მიმართ: ეს არ გულისხმობს მხოლოდ ფინანსურ კომპენსაციას, არამედ – მნიშვნელოვან არამატერიალურ საჭიროებებს. ასეთია: მომხდარში გარკვევა, კითხვების დასმა, ემოციების გამოხატვა და დამზარალებლისათვის დანაშაულით გამოწვეული შედეგების ჩვენება. ამ ქვეყნებში დაზარალებულის პერსპექტივიდან მიდგომა იქცა მიზეზად იმისა, რომ მედიაცია მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე კი არ გავრცელებულიყო, არამედ ხელმისაწვდომი ყოფილიყო მძიმე დანაშაულების შემთხვევაშიც. მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს დამნაშავისთვისაც შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს სწორად წარმართული შეხვედრა მისი ქმედებით დაზარალებულთან. სწორედ ამიტომ, ზოგიერთ ქვეყანაში მედიაცია შეთავაზებულია არა მხოლოდ როგორც ბრალდების ალტერნატივა, არამედ როგორც ალტერნატივა მართლმსაჯულების პროცესის პარალელურად, ყველა ეტაპზე სასჯელის (საპატიმრო) მოხდის ჩათვლით. მედიაცია ამ შემთხვევაში არ არის ალტერნატი-

ული სანქციის სახით დამნაშავესათვის მიცემული სასარგებლო შანსი, არამედ – როგორც დაზარალებულისათვის, დამზარალებლისა და მათი საზოგადოებისათვის არსებული სერვისი, რომელიც სრული პასუხისმგებლობის დაცვით უნდა გამოიყენონ.

ზოგიერთ ქვეყანაში საზოგადოებრივი ფაქტორი მიჩნეულია ალდგენითი მართლმსაჯულების ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტად. ამიტომაც ამ ქვეყნებში იყენებენ მოხალისეებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ალდგენითი მართლმსაჯულების განხორციელებას ადგილობრივი პროფესიონალი კოორდინატორის დახმარებით. კარგად მომზადებულ მოხალისეებთან მუშაობა, მაგალითად, მედიაში არის დანაშაულთან გამკლავების პროცესში საზოგადოების ჩართვის დაბალანსებული გზა. ამიტომაც ის ასრულებს სოციალურ-საგანმანათლებლო ფუნქციას. ამავე მიდგომით, საზოგადოებაში პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდის მიზნით, ზოგიერთ ქვეყანაში დანერგილია „ოჯანის ჯგუფური კონფერენციის“ მოდელი. ევროპაში ჩრდილოეთ ირლანდია, ბელგია და ჰოლანდია არის ამის მაგალითი. თუმცა ანგლო-საქსურ ქვეყნებში ყველაზე ხშირად გამოიყენება კონფერენციის მოდელი. ბევრად უფრო ხშირად, ვიდრე დაზარალებული-დამზარალებლის მედიაცია. ალდგენითი მართლმსაჯულება დიდწილად ასოცირებულია კონფერენციის პრაქტიკასთან.

საშინაო დავალება: სავალდებულო საკითხავი

- Christie, N. (1977). Conflicts as Property. *British Journal of Criminology*, 17 (1), 1-15.
- Braithwaite, J. (2002). *Restorative Justice and Responsive Regulation*. Oxford: Oxford University Press (Chapter 1: The Fall and Rise of Restorative Justice).
- Zehr, H. (2002). *The Little Book of Restorative Justice*. Intercourse: Good Books

2. ალდგენითი მართლმსაჯულების არსის გაგება

მეორე თავის მიზანი: ალდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციის სიღრმისეული გაცნობა და იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება იგი საფუძვლად დაედოს ალდგენითი მართლმსაჯულების ისეთ პრაქტიკას, როგორცაა მედიაცია.

ამოცანები:

- ცოდნის შექმნა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ალდგენითი მართლმსაჯულება; ალდგენით მართლმსაჯულებასა და დანაშაულებული-დამზარალებლის მედიაციას შორის არსებული კავშირის გაანალიზება;
- მკაფიო დაშვებების ჩამოყალიბება ალდგენითი მართლმსაჯულების ღირებულებებსა და მიზნებთან დაკავშირებით;
- პირადი კრიტიკული აზროვნების განვითარება ზოგადად დანაშაულის აღქმასა და მასზე რეაგირების შერჩეულ გზებთან დაკავშირებით;
- საქართველოში ალდგენითი მართლმსაჯულების შესაძლო როლის გაანალიზება და განხილვა.

აქტივობები:

ლექცია, ჯგუფური დისკუსია, კითხვა.

2.1. ალდგენითი მართლმსაჯულება: დანაშაულისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისადმი ინოვაციური მიდგომა

ალდგენითი მართლმსაჯულება არის ფართო, მრავლისმომცველი კონცეფცია. მასში მოიაზრება მეტი, ვიდრე მხოლოდ მედიაციის ცნება და პრაქტიკა. მისი ყველაზე ზოგადი მნიშვნელობით, ალდგენითი მართლმსაჯულება გულისხმობს დანაშაულის ხედვისა და მასზე რეაგირების კონკრეტულ მიდგომას, რომელიც ნაკარნახევია ღირებულებებისა და პრინციპების ერთობლიობით. ამიტომაც ალდგენითი მართლმსაჯულება გულისხმობს დანაშაულის ფენომენისა და დანაშაულზე ჩვენი რეაგირებისადმი ზოგად მიდგომას, ხოლო მედიაცია არის ერთ-ერთი პრაქტიკული მეთოდი და ინსტრუმენტი ალდგენითი მართლმსაჯულების ზოგადი ფილოსოფიის პრაქტიკაში განსახორციელებლად. ალდგენითი მართლმსაჯულების ბევრი გულშემატკივარი აღნიშნავს, რომ მას სჭირდება დანაშაულისა და სისხლის მართლმსაჯულების სრულიად განსხვავებული აღქმა, „პარადიგმის ცვლილება“. ბევრი ასევე მიუთითებს, რომ ალდგენითი მართლმსაჯულება გულისხმობს პირადი ცხოვრების წესს, „სამყაროში არსებობისადმი“ გარკვეულ მიმართებას.

ამერიკელი ჰოვარდ ზერი, ისტორიის პროფესორი და ყოფილი პრობაციის პრაქტიკოსი შესანიშნავად ხსნის ამ ახლებურ მიდგომას

თავის წიგნში „ლინზების შეცვლა“ (‘Changing Lenses’, 1990). იგი უჩვენებს, თუ როგორ შეგვიძლია დანაშაულისა და მართლმსაჯულების განსხვავებული აღქმის მიღება იმის მიხედვით, თუ რომელ ლინზას დავაყენებთ კამერაზე. ჰოვარდ ზერი სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების ხედვებს შემდეგნაირად წარმოადგენს (Zehr, 2002: 21):

ორი განსხვავებული ხედვა	
სისხლის სამართლის მართლმსაჯულება	აღდგენითი მართლმსაჯულება
<ul style="list-style-type: none"> • დანაშაული არის კანონის დარღვევა • დარღვევა წარმოშობს ბრალს • მართლმსაჯულება მოითხოვს სახელმწიფომ განსაზღვროს ბრალი და დააკისროს სასჯელი • მთავარი ფოკუსი: დამნაშავეები იღებენ იმას, რასაც იმსახურებენ 	<ul style="list-style-type: none"> • დანაშაული აზარალებს ადამიანებს და ურთიერთობებს • დარღვევა წარმოშობს ვალდებულებებს • მართლმსაჯულება გულისხმობს საკითხების გამოსწორებას მსხვერპლის, სამართალდამრღვევისა და საზოგადოების მიერ • მთავარი ფოკუსი: მსხვერპლის საჭიროებები და სამართალდამრღვევის პასუხისმგებლობა

ცხრილი 1.1: ორი განსხვავებული ხედვა Zehr, 2002

სამი განსხვავებული კითხვა	
სისხლის სამართლის მართლმსაჯულება	აღდგენითი მართლმსაჯულება
<ul style="list-style-type: none"> • რა კანონები დაირღვა? • ვინ ჩაიდინა? • რას იმსახურებენ ისინი? 	<ul style="list-style-type: none"> • ვინ დაზიანდა? • რა არის მათი საჭიროებები? • ვის ეკისრება ვალდებულებები?

ცხრილი 1.2: სამი განსხვავებული კითხვა Zehr, 2002

აღნიშნული უჩვენებს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება არ არის აბსტრაქტული იდეა, არამედ იგი ეხმიანება იმ ადამიანებისა და საზოგადოების „საჭიროებებსა“ და „როლებს“, რომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაზეც იქონია გავლენა დანაშაულმა. აღდგენითი მართლმსაჯულება მიზნად ისახავს ყველა ჩართული მხარის საჭიროებების პასუხსა და დაბალანსებას: დაზარალებული, დამზარალებელი და საზოგადოება. ისინი ძირითადად მოიხსენიებიან როგორც მხარეები ან დაინტერესებული პირები. შესაბამისად, ის, თუ ვინ წარმოადგენს მხარეს, არ განისაზღვრება სამართლებრივი კრიტერიუმების შესაბამისად, მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად. როდესაც ვრეაგირებთ დანაშაულზე, პირველი კითხვები, რომლებიც უნდა დაისვას, არის: ვინ დაზარალდა, რა შედეგები დადგა დაზარალებულისათვის, დამზარალებლისა და საზოგადოებისათვის; ვის აქვს გარკვეული პასუხისმგებლობა ამ შედეგებზე; როგორ შეიძლება ზიანის ანაზღაურება მატერიალური ან/და არამატერიალური ფორმით?

არ არსებობს აღდგენითი მართლმსაჯულების უნივერსალური განმარტება, თუმცა არსებობს ფართო კონსენსუსი იმ არსებით ელემენტებზე, რომლებიც არის ან უნდა იყოს აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის ნაწილი. ამ მხრივ არსებობს შემდეგი რელევიანტური განმარტებები:

„აღდგენითი მართლმსაჯულება არის დანაშაულისადმი პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც მოიცავს მხარეთა და საზოგადოების ჩართულობას ინსტიტუციურ ორგანოებთან აქტიური თანამშრომლობით. ეს არ არის კონკრეტული პრაქტიკა, არამედ – პრინციპთა ერთობლიობა, რომელთა მიხედვითაც უნდა წარიმართოს ნებისმიერი მონაწილისა თუ ჯგუფის მოქმედება“ (Marshall, 1999);

„აღდგენითი მართლმსაჯულება“ არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართულია მართლმსაჯულების განხორციელებასა და დანაშაულით გამოწვეული ზიანის აღდგენაზე“ (Bazemore & Walgrave, 1999);

„აღდგენითი მართლმსაჯულება“ გულისხმობს ნებისმიერ პროცესს, რომელიც საშუალებას აძლევს მსხვერპლსა და დამნაშავეს თანხმობის შემთხვევაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ სისხლის სამართლის დანაშაულით გამოწვეული საკითხების გადაწყვეტაში მესამე მიუკერძოებელი მხარის დახმარებით“ (შემდეგში ფასილიტატორი) (ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec, 2018, 8).

„აღდგენითი მართლმსაჯულება არის ზიანსა ან ზიანის რისკზე რეაგირების მიდგომა, რომელიც გულისხმობს ყველა ჩართული მხარის მიერ საერთო გაგებასა და შეთანხმებამდე მისვლას. აგრეთვე იმას, როგორ შეიძლება გამოსწორდეს ზიანი ან დამაზიანებელი ქმედება და აღდგეს სამართლიანობა.“ (Chapman & Törzs, 2018)

ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან ყურადღება შეიძლება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

- მთელი ძალისხმევით მიმართვა საერთო გაგებასა და პრობლემის გადაჭრაზე (ნაცვლად მხოლოდ სასჯელზე ორიენტირებული მიდგომისა, რომელსაც არ მოაქვს კონკრეტული შედეგები);
- აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში დაზარალებულისა და დამზარალებლის მონაწილეობის ნებაყოფლობითი ხასიათი;
- საზოგადოების რაიმე ფორმით ჩართულობის საჭიროება (ამ საკითხს დავუბრუნდებით);
- აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის წარმართვა სისხლის მართლმსაჯულების განმახორციელებლებთან აქტიური თანამშრომლობით (აღდგენითი მართლმსაჯულება არ გულისხმობს სახელმწიფო მართლმსაჯულებასთან კონკურენციას ან მის საწინააღმდეგო რეაგირებას დანაშაულზე);
- აღდგენითი მართლმსაჯულება არ დაიყვანება მარტივ ტექნიკამდე ან მეთოდამდე. ის წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპების ერთობლიობას, რომელიც შეიძლება გამოიყენონ დანაშაულის კონტროლის ფართო სფეროს პროფესიონალებმა (პოლიციის ოფიცრებიდან პრობაციის თანამშრომლებამდე თუ ციხის ოფიცრებამდე);
- აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესს შედეგად უნდა მოჰყვეს ზიანის აღდგენა ან ამაზე უნდა იყოს ორიენტირებული;
- აღდგენითი მართლმსაჯულება ასევე ემსახურება მართლმსაჯულების განხორციელებას.

2.2. დათქმები, ღირებულებები და ამოცანები

აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელებისას უნდა გავითვალისწინოთ და ღიად განვიხილოთ ის დათქმები, რომლებსაც ვეფუძნებით. აღდგენით მართლმსაჯულებაში ვუშვებთ, რომ:

- დანაშაულზე რეაგირების შედეგად მაქსიმალურად უნდა ანაზღაურდეს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი;
- დამზარალებელმა უნდა გაიაზროს, რომ მისი ქცევა არ არის მისაღები და მან გამოიწვია კონკრეტული უარყოფითი შედეგები მსხვერპლისა და საზოგადოებისათვის;
- დამზარალებელმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ ქცევაზე;
- დაზარალებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გამოხატოს საკუთარი საჭიროებები და მონაწილეობა მიიღოს ზიანის ანაზღაურების საუკეთესო გზის მოძებნაში;
- საზოგადოებას ეკისრება ვალდებულება საკუთარი წვლილი შეიტანოს პროცესში.

აღდგენითი მართლმსაჯულების განმსაზღვრელი ღირებულებებიცხადი უნდა იყოს. ეს გულისხმობს:


- მხარეების პირდაპირ ჩართვას რეალურ პროცესებში (the 'life world') (ადამიანთა პატივისცემის, აღიარების, მონაწილეობის, გაძლიერების ღირებულება);
- დიალოგისა და შეთანხმების მეშვეობით უსამართლობისა და ზიანის გამოსასწორებლად, ასევე ტანჯვის შესამცირებლად ადამიანების გაერთიანება (კონსენსუსზე დაფუძნებული შედეგებისათვის უპირატესობის მინიჭება „თავსმოხვეულ“ შედეგებთან შედარებით);
- პროცესისა და შედეგების მოქნილობა, რომელიც პასუხობს საჭიროებებს.

აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმი (Chapman & Törzs, 2018; იხ. აგრეთვე Braithwaite, 2002: 12-16) ერთმანეთისაგან განასხვავებს ზოგად და ძირითად ღირებულებებს. ზოგადი ღირებულებები გულისხმობს:

- აღდგენითი მართლმსაჯულება მოქმედებს ადამიანის უფლებებითა და კანონის უზენაესობით დადგენილ და დაცულ ფარგლებში;

- აღდგენითი მართლმსაჯულება კრძალავს დისკრიმინაციას სქესის, რასის, რელიგიის, ეთნიკური ან სექსუალური კუთვნილების საფუძველზე;
- აღდგენითი მართლმსაჯულება მხარს უჭერს ადამიანთა, როგორც თანასწორი და აქტიური მოქალაქეების, მონაწილეობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

აღდგენითი მართლმსაჯულების ძირითადი ღირებულებები (იხილეთ დიაგრამა 1.1) უკავშირდება ისეთ ცნებებს, როგორიცაა: სამართლიანობა, სოლიდარობა, პასუხისმგებლობა, ადამიანის ღირსების პატივისცემა და სიმართლე:



დიაგრამა 1.1 აღდგენითი მართლმსაჯულების ძირითადი ღირებულებები
 აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის მიხედვით
 (Chapman & Törzs, 2018).

- მართლმსაჯულება – როგორც ღირებულება – გულისხმობს, რომ ჩარევის ფოკუსი არის ზიანი, რომელიც თავისთავად უსამართლოა. შესაბამისად, აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკა უნდა შემუშავდეს იმგვარად, რომ სამართლიანი ურთიერთობების წახალისებით, ხელი შეეწყოს უსამართლობის თავიდან აცილებას. ადამიანებმა უნდა გაისიგრძეგანონ

საკუთარი ანგარიშვალდებულება, უნდა აანაზღაურონ ზიანი, დაზარალებულს უნდა შეუმცირონ ტანჯვა და ამით უნდა გამოსწორდეს უსამართლობა. ამ ყოველივეს ეფექტურად განსახორციელებლად აღდგენითი პროცესი უნდა იყოს სამართლიანი და არ უნდა აძლევდეს რომელიმე მხარეს უპირატესობის უფლებას.

- სოლიდარობა – როგორც ღირებულება – გულისხმობს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესი უნდა აღიარებდეს ჯანსაღი და მრავალფეროვანი ურთიერთობების მნიშვნელობას. აგრეთვე იმას, რომ ისინი იძლევა ხელახალი კავშირების დამყარების შესაძლებლობას. მიზანი ისაა, რომ ვიცოდეთ, რა ვალდებულებები გვაკისრია იმისათვის, რომ ერთმანეთის კეთილდღეობას ხელი შევუწყოთ.
- ადამიანის ღირსების პატივისცემა ნიშნავს, რომ ყველა პირი უნდა იყოს ჩართული პროცესში, რამდენადაც თითოეული ადამიანი არის ღირებული და აქვს ცნობიერება, ცოდნა და უნარი, რომ იმსჯელოს მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ამიტომ ადამიანებისათვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი უსაფრთხო და ღირსეული გარემო, რათა მათ პროცესის მონაწილედ იგრძნონ თავი და თავისუფლად შეძლონ საუბარი.
- სიმართლე – როგორც ღირებულება – გულისხმობს, რომ თითოეული ადამიანის თვალსაზრისმა შეიძლება შეიტანოს წვლილი სიმართლის დადგენაში, მიუხედავად იმისა, გვაწოდებს თუ არა ის სრულ ჭეშმარიტებას („ნარატივის“ როლი და „დილოგის სიმართლე“). ამიტომაც, აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესების მონაწილეებს უნდა ესმოდეთ სიმართლის მოყოლისა და სრული გულწრფელობის მნიშვნელობა.

გაეროს სახელმძღვანელოს მიხედვით („აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებზე“ UNODC, 2020), აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამის მთავარი მიზანია:

- დაზარალებულთა მხარდაჭერა, მათთვის გამოხატვის საშუალების მიცემა, მათი ჩართულობის უზრუნველყოფა და მათ საჭიროებებზე რეაგირება;
- საზოგადოებრივი წესრიგისა და მშვიდობის აღდგენა, დაზიანებული ურთიერთობების გამოსწორება;
- კრიმინალური ქცევის შემცირება;

- ჩართული მხარეების, განსაკუთრებით კი დამზარალებლის მიერ პასუხისმგებლობის აღების წახალისება;
- აღდგენითი პოტენციალის იდენტიფიცირება, გრძელვადიანი შედეგები;
- რეციდივიზმის თავიდან არიდება ინდივიდუალური დამნაშავეების სასიკეთოდ შეცვლითა და მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციის წახალისებით.

ამ შემთხვევაში უნდა მივმართოთ გაეროს განმარტებებს, რომლებიც წარმოდგენილია „სისხლის სამართლის საქმეებში აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების გამოყენების ძირითად პრინციპებში“ (UN ECOSOC Resolution 2002/12):

1. აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამა: ნიშნავს ნებისმიერ პროგრამას, რომელიც ეფუძნება აღდგენით პროცესებს და მიზნად ისახავს აღდგენითი შედეგების მიღწევას.
2. აღდგენითი პროცესი: გულისხმობს ნებისმიერ პროცესს, რომელშიც დაზარალებული და დამზარალებელი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც დანაშაული შეეხო, დანაშაულთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში მონაწილეობს ძირითადად ფასილიტატორის მეშვეობით. აღდგენითი პროცესი შეიძლება მოიცავდეს მედიაციას, კონსილიაციას, კონფერენციას და სასჯელის წრეებს.
3. აღდგენითი შედეგი: გულისხმობს აღდგენითი პროცესის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას. აღდგენითი შედეგები მოიცავს პროგრამებს, როგორცაა: რეპარაცია, რესტიტუცია და საზოგადოებრივი შრომა. ეს მიზნად ისახავს, უპასუხოს მხარეების ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ საჭიროებებსა და პასუხისმგებლობას. ამასთანავე გულისხმობს დაზარალებულისა და დამზარალებლის რეინტეგრაციას.

აქამდე გავეცანით აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციას. ამ საკითხზე ბევრად მეტის თქმა შეიძლება და არსებობს თეორიული თუ პრაქტიკაზე ორიენტირებული საერთაშორისო ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომია. განსაზღვრულია აღდგენითი მართლმსაჯულების სხვადასხვა ტიპოლოგია და კონცეპტუალიზაცია (იხილეთ მოგვიანებით). Johnstone and Van Ness (2007)-ის ნაშრომი ხშირადაა ციტირებული, რომელიც ეხება განსხვავებას შეპირისპირების კონცეფციას, რეპარაციის კონცეფციასა და ტრანსფორმაციის კონცეფციას შორის.

ამჯერად აღდგენითი მართლმსაჯულება წარმოვადგინეთ როგორც ინოვაციური მიდგომა, რომელიც ეფუძნება დაშვებებს, ღირე-

ბულებებსა და მიზნებს. მომდევნო სესიაზე ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს ზოგადი მიდგომა პრაქტიკაში ისეთი მოდელების საშუალებით, როგორიც არის მედიაცია ან კონფერენცია. ამ მომენტისათვის მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, აღდგენითი მართლმსაჯულების ზოგად ფილოსოფიასა და, მეორე მხრივ, პრაქტიკულ მოდელებს შორის არსებული კავშირის გაგება. თუ ჩვენ სათანადო ყურადღებას არ გავამახვილებთ ამ განსხვავებაზე, თუ არ გავერკვევით ძირიდან ღირებულებებში, რომლებსაც ჩვენი აქტივობა უნდა ეფუძნებოდეს (მაგალითად მედიაციის პროგრამის დანერგვა), არსებობს რისკი, რომ პროცესი მეტად გადაიტვირთება რეგულაციებით, რამდენადაც ისინი წარმართველია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინსტიტუციონალურ კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ხელმძღვანელებთან მჭიდრო თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, ევროპის საბჭოს მიხედვით, საკმარისი ავტონომია უნდა მიეცეს აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისებს, რადგანაც ისინი ტრადიციული სისხლის სამართლმსაჯულებისაგან განსხვავებულ დაშვებებს ეფუძნება. „აღდგენითი მართლმსაჯულების განმახორციელებელ სუბიექტებს უნდა მიეცეთ საკმარისი ავტონომია სისხლის სამართლმსაჯულების სისტემაში. უნდა შენარჩუნდეს ბალანსი ამ სუბიექტების ავტონომიურობასა და აღდგენითი მართლმსაჯულების სტანდარტის დაცვას შორის“ (რეკომენდაცია CM/Rec(2018)8, წესი 20).

2.3. ჯგუფური განხილვა

რამდენადაც მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებისათვის არსებითი გახდეს აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომები, პირად ანალიზსა და განხილვას შეიძლება უდიდესი მნიშვნელობა მიეცეს. ზოგიერთი ქვემოთ ჩამოთვლილი კითხვა შეიძლება წამოიჭრას დისკუსიისათვის ლექციის განმავლობაში, თუმცა უფრო რეალისტურია დისკუსიის ორგანიზება მცირე ჯგუფებს შორის, რომლებიც თავად განიხილავენ ამ და სხვა საკითხებს მომდევნო სესიისათვის სავალდებულოდ წასაკითხი ლიტერატურის დახმარებით. სტუდენტებმა საკუთარი მსჯელობის შედეგები უნდა წარმოადგინონ ზეპირად ან წერილობით.

- ეთანხმებით თუ არა, რომ დანაშაულზე რეაგირების მთავარი ამოცანა უნდა იყოს პრობლემის გადაწყვეტა და რეპარაცია? არის თუ არა ამ პროცესში სამაგიეროს მიზღვის, შურისძიების, მკაცრი სასჯელის სივრცე? რას იტყობით განათლებასა

და რეაბილიტაციაზე, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ან სისხლის მართლმსაჯულების მიზნებზე?

- უნდა აღვიქვათ თუ არა აღდგენითი მართლმსაჯულება, როგორც აუცილებლად დაპირისპირებული სისხლის მართლმსაჯულებასთან? რომელი ელემენტებია საერთო და რომელი – ფუნდამენტურად განსხვავებული?
- თქვენი გამოცდილებით, რა არის დაზარალებულთა ყველაზე მნიშვნელოვანი საჭიროებები? რა განასხვავებს დანაშაულის შედეგად დაზარალების გამოცდილებას უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებისაგან – ავადმყოფობა, ბუნებრივი კატასტროფა ან რაიმე სხვა შემთხვევითობა?
- რას ენიჭება ყველაზე დიდი მნიშვნელობა აღდგენით მართლმსაჯულებაში: პროცესს (შეხვედრა, დიალოგი, გაგება...) თუ შედეგს (ფინანსური ან არამატერიალური ანაზღაურება, საზოგადოებრივი სამუშაო, ტრენინგსა ან ფსიქოლოგიურ დახმარებაში ჩართვა, ...)?
- როგორ შეიძლება ჩვენ – საზოგადოება – ჩავეერთოთ აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკაში? როგორ შეიძლება ჩაერთოს სამოქალაქო საზოგადოება ან საგანმანათლებლო სექტორი და ხედავთ თუ არა მედიაში მოხალისეთა ჩართვის სივრცეს?
- რა კავშირი შეიძლება დავინახოთ მედიაციის პროცესის შედეგად მართლმსაჯულების მიღწევასა და სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების აღსრულებას შორის?
- როგორ განმარტავდით აღდგენით მართლმსაჯულებას საკუთარი სიტყვებით?
- გაეროს განმარტებებიდან გამომდინარე, შეგვიძლია თუ არა საზოგადოებრივი სამუშაო აღვიქვათ, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ფორმა?
- რა შეზღუდვები შეიძლება არსებობდეს აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის მისი მიზნებიდან, დაშვებებიდან, ღირებულებებიდან გამომდინარე?

საშინაო დავალება: სავალდებულო საკითხავი

- Johnstone, G. & Van Ness, D.W. (2007). The meaning of restorative justice. In G. Johnstone & D.W. Van Ness (eds.), Handbook of restorative justice (pp. 5-23). Cullompton: Willan Publishing.
- United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) (2020). Handbook on Restorative Justice Programmes. New York: United Nations.
- Walgrave, L. (2011). Investigating the Potentials of Restorative Justice Practice. Washington University Journal of Law & Policy, 36, 91-139.

3. აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელები პრაქტიკაში

ამ ნაწილის მიზანი: აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკაში არსებული სხვადასხვა მოდელების შესახებ ცოდნის მიღება.

ამოცანები:

- აღდგენითი მართლმსაჯულების მთავარი მოდელების – მედია-აცია, კონფერენცია და წრეები – არსებითი მახასიათებლების და განსხვავებების გაგება;
- საკუთარ ქვეყანაში გავრცელებული მოდელისაგან დისტანცირება და აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელების ზოგადი კრიტიკული ანალიზი;
- პრაქტიკული მოდელების დაკავშირება აღდგენითი მართლმსაჯულების ზოგად არსთან (დაშვებები, ღირებულებები, მიზნები);
- აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელების მრავალფეროვნების გაგება და კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე მათი კონტინიუმზე განთავსება.

აქტივობები:

ლექცია, ჯგუფური დიკუსია, კითხვა.

3.1. აღდგენითი მართლმსაჯულება პრაქტიკაში: სხვადასხვა მოდელი

საერთაშორისო მასშტაბით არსებობს აღდგენითი მართლმსაჯულების სამი ძირითადი მოდელი: დაზარალებული-დამზარალებლის მე-

დიაცია, ოჯახის ჯგუფური კონფერენცია და მშვიდობის წრეები. თუმცა არსებობს ამ მოდელების სხვადასხვაგვარი ვარიანტი, სხვადასხვა ფორმა (იგულისხმება შერეული ფორმა). ამასთან, ტერმინოლოგიაც შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვით. მათ შორის, ისეთი ტერმინები, როგორცაა: აღდგენითი კონფერენცია, საზოგადოებრივი კონფერენცია, სასჯელის წრეები და აღმდგენი წრეები.

მედიაციასა და კონფერენციას შორის განსხვავება ყოველთვის არ არის ძალიან მკაფიო. ხშირად მედიაციის პროცესში ასევე შეიძლება ჩართულნი იყვნენ სხვა პირები დაზარალებულისა თუ დამზარალებლის მხარდასაჭერად. თუმცა, აღდგენითი მართლმსაჯულების თითოეული მოდელის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს კომუნიკაციისა და დიალოგის ელემენტი. როგორც ევროპის საბჭოს რეკომენდაციის CM/Rec(2018)8 წესი 4 განსაზღვრავს: „აღდგენითი მართლმსაჯულება გულისხმობს დიალოგს (პირდაპირს ან არაპირდაპირს) დაზარალებულსა და დამზარალებელს შორის და შეიძლება ასევე მოიცავდეს იმ პირის ჩართულობას, რომელზეც რაიმე გავლენა მოახდინა დანაშაულმა. ამ ინდივიდებში შესაძლოა იგულისხმებოდეს დაზარალებულისა და დამზარალებლის მხარდამჭერები, შესაბამისი პროფესიონალები, დაზარალებული თემის წარმომადგენლები“.

ამ ეტაპზე ზოგადად წარმოგიდგენთ აღდგენითი მართლმსაჯულების სამ ძირითად მოდელს. მედიაციის მოდელი უფრო დეტალურად იქნება განხილული მე-3 და დანარჩენ თავებში.

ა) დაზარალებული-დამზარალებლის მედიაცია

დაზარალებული-დამზარალებლის მედიაცია (მოხსენიებული როგორც სისხლის სამართლის მედიაცია) ფართოდაა გავრცელებული ევროპაში. ევროპის საბჭომ მიიღო სისხლის მედიაციის შემდეგი განმარტება (თავის რეკომენდაციაში R(99)19, რომელიც წინ უძღოდა რეკომენდაციას – CM/Rec(2018)8):

„...ნებისმიერი პროცესი, რომლის შედეგადაც მსხვერპლსა და სამართალდამრღვევს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ დანაშაულის შედეგად წარმოშობილი საკითხების მოგვარებაში მესამე მიუკერძოებელი მხარის დახმარებით (მედიატორი)“.

ეს ფართოდ გავრცელებული განმარტება ძალიან მარტივად ჟღერს, თუმცა მაინც საჭიროებს გარკვეულ ახსნას. ამ ფორმულირებაში არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტი:

- მედიაცია გულისხმობს პროცესს: იგი არ წარმოადგენს ზომას, ჩარევას ან შეთანხმებას, რომლის გამოყენებაც სწრაფად შეიძლება, მაგალითად სატელეფონო ზარით ან წერილის საშუალებით. მედიაცია მოითხოვს პერსონალიზებულ პროცესს ორივე მხარეს შორის (დაზარალებული და დამზარალებელი) და მოიცავს მედიაციის შეთავაზებას, მამოტივირებელ პროცესს, მედიატორსა და მეორე მხარესთან კომუნიკაციას, შეთანხმების მიღწევისაკენ სწრაფვას;
- დაზარალებულს და დამზარალებელს ეწვეათ მნიშვნელოვანი დახმარება ამ პროცესში აქტიური მონაწილეობის მისაღებად;
- დაზარალებულიც და დამზარალებელიც პროცესში მონაწილეობაზე საკუთარი ნებით თანხმდებიან. შესაბამისად, მათ არ აიძულებენ მონაწილეობას.
- მედიატორი არის მესამე მხარე, რომელიც მოქმედებს მიუკერძოებლად.

მედიაცია არ არის იგივე, რაც მოლაპარაკება: ეს უკანასკნელი არის ორ (ან მეტ) დაინტერესებულ მხარეს შორის კონფლიქტის გადაწყვეტის მოდელი, რომელიც არ გულისხმობს მესამე მხარის ჩარევას. მედიაცია ასევე განსხვავდება არბიტრაჟისაგან: მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟი მოიცავს მესამე მხარის (არბიტრის) ჩარევას, მისი პოზიცია პროცესში განსხვავდება მედიატორის როლისაგან. თუ არბიტრაჟში ორივე მხარე მესამე მხარეს ანიჭებს კონფლიქტის გადაწყვეტის უფლებამოსილებას, მედიაციის შემთხვევაში ორივე მხარე თავად უნდა მივიდეს გადაწყვეტილებამდე. მედიატორი ეხმარება პროცესს, მაგრამ მას არ შეუძლია მხარეების ნაცვლად გადაწყვეტილების მიღება. ამიტომაც მედიაცია შეიძლება ასევე მივიჩნიოთ მსჯელობის პროცესად: მედიატორი არ განსჯის დამნაშავეს და არ აკისრებს მას რაიმე სანქციას.

არაგანსჯადი დამოკიდებულების შემუშავება არის ნამდვილად აუცილებელი პირობა კარგი მედიატორისათვის. მედიატორი შეიძლება არ ეთანხმებოდეს იმას, რაც მოხდა (დანაშაულს), თუმცა არ უნდა უარყოს ან დააკნინოს დამნაშავეს პიროვნება. მედიატორს ურთიერთობისა და ნდობის პირობების შექმნა შეუძლია მხოლოდ ორივე მხარის მიმართ თანაგრძობისა და აღიარების გამოხატვით, რის შედეგადაც შეიძლება გაჩნდეს სივრცე, რომელშიც აღიარებულია ორივე მხარე. ასეთ პირობებში მათ უნდა შეძლონ გულისხმიერი დამოკიდებულების ჩამოყალიბება და ერთმანეთის მოსმენა.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, მიუკერძოებლობა და ნეიტრალურობა არის მედიაციის პროცესის წარმართვის კიდევ ერთი არსებითი პირობა: მედიატორი არ უნდა იყოს მიკერძოებული დაზარალებულის ან დამზარალებლის მიმართ – არც უნდა „იჭერდეს რომელიმე მხარეს“; არც უნდა ერეოდეს პროცესში რომელიმე მხარის სახელით. მედიატორი ორივე მხარეს სთავაზობს თანაბარ სერვისს, რათა კომუნიკაციის პროცესი და პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელი გახდეს. მხოლოდ თავად მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთთან საუბარი და მოსმენა იმის გასაგებად, თუ რა მოხდა და რა შედეგები მოჰყვა დანაშაულს. მხოლოდ მათ შეუძლიათ განიხილონ, თუ რა ფორმით შეიძლება გამოსწორდეს მდგომარეობა. მედიატორი გარკვეულწილად „ორივე მხარეს არის.“ ნეიტრალურობის პრინციპი ხშირად მოიხსენიება როგორც „მრავალმხრივი მიკერძოება“.

დაზარალებულისა და დამზარალებლის ნებაყოფლობითი მონაწილეობა არის მედიაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობა. დაზარალებული არ უნდა გრძნობდეს წნეხს, რომელიც მედიაციაში მონაწილეობისაკენ უბიძგებს, თუმცა დამზარალებელიც უნდა მონაწილეობდეს მხოლოდ „თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის“ საფუძველზე.

„დაუშვებელია ინდივიდის მონაწილეობის უზრუნველყოფა არალეგიტიმური გზებით“ (ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec(2018)8, წესი 26).

მედიაციისათვის ნეიტრალურობასა და ნებაყოფლობითობასთან ერთად, მესამე მნიშვნელოვან პირობად მიიჩნევა კონფიდენციალურობა. ევროპის საბჭოს რეკომენდაციის მიხედვით CM/Rec(2018)8, „აღდგენითი მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს კონფიდენციალურობის დაცვით. აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში ჩატარებული განხილვები უნდა დარჩეს კონფიდენციალური და დაუშვებელია მათი შემდგომი გამოყენება მხარეთა თანხმობის გარეშე“ (წესი 17). მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მედიაციის პროცესის განმავლობაში მედიატორი ინფორმირებული იქნება „შესაძლო ან მძიმე დანაშაულის“ შესახებ, იგი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სპეციალურ ორგანოებს (წესი 49). კონფიდენციალურობა მნიშვნელოვანია, რათა ორივე მხარეს მიეცეს ღიად საუბრის საშუალება დაცულ ატმოსფეროში იმისათვის, რათა შეძლონ გარკვეული ინფორმაციისა თუ პრობლემის დაფარვა.

მედიატორის როლი მნიშვნელოვანია როგორც პროცესის, ისე შედეგებისთვის. რა საკითხები განიხილება და რა ეტაპზე, მხოლოდ მხარეების გადასაწყვეტია. მედიატორი ასრულებს დამხმარე ფასილიტატორის როლს საკითხების ჩამოყალიბებისა და პროცესის სტრუქტურირებისათვის. პროცესი შეიძლება მედიატორის მიერ წარიმართოს მეტნაკლებად პროაქტიულად იმის მიხედვით, თუ რა საჭიროებები აქვთ მხარეებს, როგორია საქმის არსი და მედიატორის პერსონალური მიდგომა. იდეალურ შემთხვევაში მედიატორთან მოსამზადებელი საუბრების შემდეგ დაზარალებული და დამზარალებელი პირდაპირ ხვდებიან ერთმანეთს მედიაციის სესიაზე. თუმცა, როდესაც გარკვეული მიზეზების გამო ეს არ არის მიზანშეწონილი, მედიაცია შეიძლება წარიმართოს არაპირდაპირი გზით –მედიატორი ცალ-ცალკე შეხვდება მხარეებს და გადასცემს კონკრეტულ სათქმელს ('shuttle diplomacy').

[დაზარალებული-დამზარალებლის მედიაციის ამ გაცნობითი ნაწილის შემდეგ შესაძლებელია მედიაციის საქმის წარმოდგენა.]

ბ) ოჯახის ჯგუფური კონფერენცია

ოჯახის ჯგუფური კონფერენცია სათავეს იღებს ახალ ზელანდიაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში 1980-იანი წლების ბოლოს. ტრადიციული მაორის კულტურიდან ინსპირირებული მოდელი მოიცავს არა მხოლოდ დაზარალებულსა და დამზარალებელს, არამედ ოჯახის წევრებს, მეგობრებს, პროფესიონალ დამხმარეებს და, სავარაუდოდ, სხვა პირებსაც. როდესაც მეტი ფოკუსირება ხდება თემისა და საზოგადოების როლზე, ამ მოდელს ხშირად „თემის კონფერენციას“ უწოდებენ. ფასილიტატორი ან კოორდინატორი (მედიატორის ნაცვლად) ამზადებს დაზარალებულსა და დამზარალებელს, ადგენს დამხმარე პირებს და ატარებს ჯგუფურ შეხვედრას. კონფერენციები, როგორც წესი, ტარდება ერთობლივად შეთანხმებული გეგმის შესაბამისად, თუ როგორ უნდა აიღოს არასრულწლოვანმა დამზარალებელმა პასუხისმგებლობა და იმუშაოს საკუთარ მიდგომებზე, უნარებსა თუ ქცევაზე. ამიტომაც დამზარალებლის მხარდამჭერი პირების ჩართვას პროცესში შეიძლება გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს: ეს პირები მნიშვნელოვანი ადამიანები უნდა იყვნენ დამზარალებლისათვის, რომლებსაც იგი ენდობა და რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მის ცხოვრებაში.

არსებობს კონფერენციის მრავალი მოდელი ინსტიტუციური თუ სამართლებრივი კონტექსტის მიხედვით. ხშირად ისინი წარიმართება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სააგენტოს ან არასრულწ-

ლოვანთა დახმარების პროგრამების მეშვეობით (იქნება ეს საჯარო თუ არასამთავრობო დაწესებულება). თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ასევე განვითარებულია კონფერენციის მოდელები საპოლიციო სისტემაში, მაგალითად, როგორც პრევენციის პროგრამის ნაწილი. ამ შემთხვევაში პოლიციის ოფიცერი ასრულებს ფასილიტატორის ფუნქციას. გარდა ამისა, პირველ მოდელში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფარგლებში შეიძლება კონფერენციის პროცესზე დასასწრებად მოწვეული იყოს პოლიციელი ან სახელმწიფოს სხვა წარმომადგენელი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს საჯარო ინტერესს. კონფერენციები ძირითადად გამოიყენება არასრულწლოვანი დამზარალებლების შემთხვევაში, მაგრამ არ არის გამორიცხული სრულწლოვანი დამნაშავეების შემთხვევებზეც გავრცელდეს (დამოკიდებულია სამართლებრივ კონტექსტზე).

ზოგიერთ (ევროპულ) ქვეყანაში კონფერენციები გამოიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის გარეთ. მაგალითად: სკოლებში, ოჯახებში, სამეზობლოებში. ამ შემთხვევაში ჯგუფი ეძღვნება უფრო მეტად საგანმანათლებლო, საოჯახო ან სოციალურ პრობლემას, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეს.

კონფერენციების პრაქტიკის საერთაშორისო მიმოხილვისათვის იხილეთ – Zinsstag and Vanfraechem (2012), პრაქტიკული სახელმძღვანელოსათვის იხილეთ – Shapland et al. (2011).

გ) მშვიდობის წრეები

აღდგენითი მართლმსაჯულების მესამე – ძირითადი მოდელი შედგება მრავალი ქვემოდელისაგან: მშვიდობის წრეები, სასჯელის წრეები, აღდგენის წრეები... ამ შემთხვევაშიც ინსპირაციის წყარო არის აბორიგენული მართლმსაჯულება, ამ შემთხვევაში კანადისა და ამერიკის პირველი მცხოვრებლები. ის, რაც ყველა წრისათვის საერთოა, არის გაფართოებული ჯგუფური შეხვედრა, რომელიც მოჰყვება დანაშაულს ან სერიოზულ ინციდენტს. ამ შეხვედრაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ არა მხოლოდ დაზარალებულს, დამზარალებელსა და მათ მხარდამჭერებს, არამედ თემის, საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებსაც აღეგებთ მომხდარი. პროცესი წარიმართება წრის ფასილიტატორის მიერ 'circle keeper' ან ჯგუფის ზომიდან გამომდინარე – ორი ფასილიტატორის მიერ. მშვიდობის წრეების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია „მშვიდობის საუბრები“. ხშირ შემთხვევაში ეს არის სიმბოლური ღირებულების მქონე ნივთი, რომელიც გადაიცემა წრეში და განსაზღვრავს, თუ ვინ ისაუბრებს.

მშვიდობის წრეები მედიაციისგან მხოლოდ ჯგუფის ზომით არ განსხვავდება. არსებითი განსხვავება ისაა, რომ წრის პროცესი იმთავითვე დანაშაულსა და ინციდენტზე არ არის მიმართული (როგორც ეს კონფერენციისა და მედიაციის შემთხვევაში ხდება). იგი იწყება ჯგუფის საერთო ღირებულებების ჩამოყალიბებითა და განხილვით. ეს ღირებულებები ხაზს უსვამს პატივისცემას, პატიოსნებას და ადამიანთა კავშირს. ინციდენტზე ყურადღება მახვილდება, როგორც არა მხოლოდ დაზარალებულისა და დამზარალებლის პირად პრობლემაზე, არამედ როგორც ჯგუფის საერთო სატკივარზე. კრიმინალური ინციდენტი უფრო ფართოდ განიხილება და ფოკუსირდება დანაშაულის სოციალურ მიზეზებზე. ამიტომაც ჯგუფური დისკუსია შეიძლება დასრულდეს იმით, რომ ადგილობრივ თემს ან ხელისუფლებას დანაშაულთან და სოციალურ პრობლემებთან გასამკლავებლად მნიშვნელოვანი რეკომენდაციები მიეცეთ.

სასჯელის წრეებში სასამართლოს წარმომადგენლები არიან წრის პროცესის მონაწილენი: პოლიცია, პროკურორი ან მოსამართლე. ამ შემთხვევაში ჯგუფური პროცესი დიდწილად ემსახურება ყველაზე სამართლიანი და მიზანშეწონილი სასჯელის შესარჩევად წინადადებების განხილვას. სასამართლოს წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ განხილვაში, თუმცა საკუთარ სამართლებრივ კომპეტენციას სასჯელზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად იყენებენ. სასჯელის წრეები ხშირად მხარდაჭერილია ადგილობრივი „თემის იუსტიციის კომიტეტის“ მიერ, რომელიც ასრულებს მედიატორი ორგანოს ფუნქციას სასამართლოს წარმომადგენლებსა და საზოგადოებას შორის; ისინი აფასებენ საქმის შესაბამისობას, არჩევენ საზოგადოების წარმომადგენლებს და აფასებენ პროცესის შედეგებს.

კონფერენციები და წრეები ხშირად გამოიყენება არა სისხლის სამართლის საქმეებზე, მაგალითად, სკოლებში, სამეზობლოებში, სამუშაო ადგილას ან სხვა ტიპის ორგანიზაციებში, არამედ სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე დიალოგისა და დებატების სტრუქტურულად წარმართვისათვის.

ევროპაში მშვიდობის წრეების გაფართოების პროექტის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ – Weitekamp (2015), პრაქტიკული სახელმძღვანელოსათვის იხილეთ – Fellegi and Szegő (2013).

3.2. ალდგენითი კონტინიუმი

ალდგენითი მართლმსაჯულების ზემოთ ხსენებული მოდელები მსოფლიოში სხვადასხვაგვარად გამოიყენება. ევროპაში ყველაზე პოპულარულ მოდელს მედიაცია წარმოადგენს, რასაც მოჰყვება ოჯახის ჯგუფური კონფერენცია. მშვიდობის წრეები ნაკლებად გამოიყენება ევროპაში (სისხლის მართლმსაჯულების კონტექსტში მაინც), უფრო ხშირად – ჩრდილოეთ ამერიკასა და სხვა რეგიონებში. კონფერენციები და წრეები არის უფრო კომპლექსური და მეტად ხანგრძლივი მოდელები, ამიტომაც ძირითადად გამოიყენება მხოლოდ ძძიმე დანაშაულების შემთხვევაში.


ხშირად ალდგენითი მართლმსაჯულების მოდელებად მიიჩნევა „ალდგენითი საბჭოები“ ან „ალდგენითი პანელები“, ასევე დაზარალებულთა დახმარების პროგრამები, დამზარალებელთა ცნობიერების ამაღლების პროგრამები, საზოგადოებრივი სამუშაო ან მხარდაჭერისა და ანგარიშვალდებულების წრეები (COSA) სექსუალური დანაშაულის შემთხვევაში. თუმცა, ეს მოდელები ძირითადად ორიენტირებულია მხოლოდ ერთ მხარეზე (დაზარალებულსა ან დამზარალებელზე). მიუხედავად ამისა, ხშირად მეორე მხარის საჭიროებების გაგება მხარეებს შორის უშუალო დიალოგის გარეშე, შეიძლება ჩაითვალოს ალდგენით პროცესად (მაგალითად, პატიმრებისათვის დაზარალებულთა შესახებ ცნობიერების ამაღლების პროგრამა).

ხშირად ასევე ხაზგასმულია განსხვავება ალდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებსა და ალდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკას შორის. პირველი, როგორც წესი, მიემართება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საქმეებს, ხოლო მეორე გამოიყენება ყველა სახის სოციალური კონფლიქტის შემთხვევაში.

თუმცა, ეს განსხვავება შეიძლება შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს, რამდენადაც არა სისხლის სამართლის კონფლიქტებიც ასევე წარმართება არაფორმალური მართლმსაჯულების საჭიროებებითა და გამოცდილებით.

ალდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების მრავალფეროვნების მისაღწევად შემუშავდა ტიპოლოგიები. ერთ-ერთი ამგვარი ტიპოლოგია შემუშავდა მაქგოლდის (2000) მიერ, რომელმაც კატეგორიებად დაყო პროგრამები მათი ალდგენითი ხარისხის (შესაბამისად, შედეგის) მიხედვით: ნაწილობრივ ალდგენითიდან სრულად ალდგენითამდე (იხილეთ დიაგრამა 1.2). „სრულად ალდგენითი პროგრამა (სამი წრის ცენტრალური თანაკვეთა) პასუხობს ყველა მხარის

საჭიროებებს: დაზარალებული, დამზარალებელი, საზოგადოება. უმეტესწილად აღდგენითი არის პროგრამები, რომლებიც ეხება ორ მხარეს, მაგალითად – დაზარალებული-დამზარალებლის მედიაცია. „ნაწილობრივ“ აღმდგენი არის პროგრამები, რომლებიც ფოკუსირდება მხოლოდ ერთ მხარეზე, მაგალითად – არასრულწლოვანთა დახმარების პროგრამები.



დიაგრამა 1.2: აღდგენითი მართლმსაჯულების ტიპოლოგია McCold (2000).

კატეგორიზაციის კიდევ ერთ ფორმას წარმოადგენს აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების კონტინიუმზე განლაგება (Zehr, 2002) (იხილეთ დიაგრამა 1. 3):



დიაგრამა 1.3: აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის დონეები (Zehr, 2002).

„პოტენციურ აღდგენით მართლმსაჯულებად“ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაო იმ პირობით, თუ სამუშაოს სახე შერჩეულია დამზარალებელთან, დაზარალებულსა და საზოგადოების წევრებთან განხილვის საფუძველზე. ძლიერი სასჯელი ან სიკვდილით დასჯა – იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს გადაწყვეტილება აკმაყოფილებს ზოგიერთი დაზარალებულს ან საზოგადოებას, არის აშკარად ფსევდო ან არააღდგენითი.

აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები შეიძლება ასევე დაიყოს მათი თეორიული ბაზისის მიხედვით. ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ Johnstone and Van Ness (2007), რომლებმაც განასხვავეს შეპირისპირების კონცეფცია, აღდგენითი კონცეფცია და ტრანსფორმაციული კონცეფცია. იმის მიხედვით, თუ რომელ კონცეფციას დავყვარდებით, აღდგენითი მართლმსაჯულების სხვადასხვა პროგრამა შეგვიძლია პრიორიტეტების მიხედვით დავყოთ. არსებობს თეორიული ბაზისების მიხედვით ტიპოლოგიის განსაზღვრის კიდევ ერთი მაგალითი – Robinson and Hudson (2016). ისინი განასხვავებენ ოთხ ძირითად მიდგომას, რომლებიც განსაზღვრავენ აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკას რეინტეგრაციული მიდგომა, ფსიქოთერაპევტული მიდგომა, საზოგადოებრივი მიდგომა და მეამბოხებრივი მიდგომა. შესაბამისად, ისინი ფოკუსირებულია დამზარალებელზე (მიკრო დონეზე), დაზარალებულზე (მიკრო დონეზე), თემსა (საშუალო დონეზე) და სოციო-პოლიტიკურ სისტემაზე (მაკრო დონეზე). ამის მიხედვით ყალიბდება განსხვავებული პრაქტიკა დაწყებული დაზარალებული-დამზარალებლის ინტერპერსონალური მოდელიდან, გაგრძელებული საზოგადოებრივი მშვიდობის მოდლებით და დასრულებული სიმართლისა და შერიგების კომისიებით.

საბოლოოდ, აღდგენითი მართლმსაჯულების სხვადასხვა პრაქტიკა შეიძლება იდენტიფიცირდეს მათი შიდა დინამიკის მიხედვითაც. ამ მიდგომის მაგალითია კვლევა Rossner and Bruce (2018). მათ გამოიკვლიეს სასჯელის მისჯის კონფერენციების ინტერაქციული „რიტუალების“ ტიპები. დაკვირვებამ აჩვენა, რომ ტიპები განისაზღვრება კონფერენციის ტრაექტორიის მიხედვით (კონსენსუსსა თუ დაპირისპირებაზე ორიენტირებულ) და პროგრამის სტრუქტურული ელემენტების შესაბამისად. მათ გამოყვეს კონფერენციის პროგრამების ხუთი ძირითადი ტიპი: მითიური, სამოქალაქო, გამომფიტველი, მაშველი, დამყოფი.

3.3. ჯგუფური დისკუსია

განიხილეთ აღდგენითი მართლმსაჯულების სხვადასხვა მოდელი: რა არის თითოეული მოდელის სუსტი და ძლიერი მხარეები? აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის მნიშვნელოვანი რომელი ღირებულებებისა თუ მოსაზრებების ამოცნობა შეიძლება თითოეულ მოდელში?

საშინაო დავალება: საკითხავი ლიტერატურა

- Duenkel F., Grzywa-Holten J. & Horsfield P. (2015). Restorative Justice and Penal Mediation in Europe – Comparative overview. In F. Duenkel F., J. Grzywa-Holten & P. Horsfield (eds.), Restorative Justice and Mediation in Penal Matters. A stock-taking of legal issues, implementation strategies and outcomes in 36 European countries (Vol. 2) (pp. 1015-1096). Monchengladbach: Forum Verlag Godesberg.

4. ევროპული და საერთაშორისო რეგულაციები

ამ ნაწილის მიზანი: აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში უნივერსალური რეგულაციების შინაარსისა და ფუნქციონირების შესახებ ცოდნის მიღება.

ამოცანები:

- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2018)8 წევრი სახელმწიფოების მიმართ სისხლის სამართლის საქმეებში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ;

- გაეროს ძირითად პრინციპებთან შედარება;
- ევროპის საბჭოს რეკომენდაციის გამოყენება საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში და დაზარალებული-დამზარალებლის მედიაციის რეალურ პროცესში;
- სუპრანაციონალური ინსტრუმენტების მნიშვნელობის გაანალიზება და მომზადება ეროვნულ სისტემაში მათი პრაქტიკული გამოყენებისათვის.

აქტივობები:

ლექცია, ჯგუფური დისკუსია, კითხვა.

4.1. ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec(2018)8 სისხლის სამართლის საქმეებში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ

2018 წლის რეკომენდაცია წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეებში მედიაციის შესახებ რეკომენდაციის R(99)19 გაგრძელებას. 1999 წლის რეკომენდაცია კვლავ ძალაშია, თუმცა ახალ – 2018 წლის – ვერსიაში წარმოდგენილია უფრო დეტალური მითითებები (1999 წლის რეკომენდაციაში ასახულ სტრუქტურასა და პრინციპებზე დაყრდნობით). 2018 წლის რეკომენდაციასთან ერთად გამოქვეყნდა ევროპის საბჭოს ვრცელი კომენტარი, რომელშიც ასახულია ამ ინიციატივის წინარე ინფორმაცია და ისტორია. ასევე ევროპაში აღდგენით მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია რეკომენდაციის პრეამბულისა და მუხლების (წესების) შინაარსის ახსნასთან ერთად.

ახლა განვიხილოთ 2018 წლის რეკომენდაციის მონახაზი. ეს არის საკმაოდ ვრცელი დოკუმენტი, რომელიც შედგება 67 წესისაგან. შესაბამისად, მისი დეტალური განხილვა ერთი სესიის პირობებში შეუძლებელია, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია დოკუმენტის ღრმად შესწავლა და განხილვა თავად სტუდენტების მიერ.

რეკომენდაციის პრეამბულაში შედის მთავარი მიზეზები და არგუმენტები, რომლებიც საფუძვლად დაედო ინიციატივას, მათ შორისაა: აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართ მზარდი ინტერესი წევრ სახელმწიფოებში; აღდგენითი მართლმსაჯულების, როგორც ტრადიციული სისხლის სამართალწარმოების, შემავსებელი, დამატებითი ან ალტერნატიული მექანიზმის როლი; დაინტერესებული მხარეების

ჩართულობის გაზრდის საჭიროება; აღდგენითი მართლმსაჯულების დაბალანსებული მიდგომა, დაზარალებულთა ლეგიტიმური ინტერესები და დამზარალებელთა პასუხისმგებლობა; კვლევის დადებითი შედეგები; სადამსჯელო სანქციების გადამეტებული გამოყენებისა და ზეკრიმინალიზაციის რისკი და ის არსებითი კონტრიბუცია, რომელიც შეიძლება ადგილობრივმა საზოგადოებამ/არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიტანონ პროცესში. წევრი სახელმწიფოების მთავრობებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ „აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების პროცესში გაითვალისწინონ ამ რეკომენდაციის დანართში მოცემული პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა რეკომენდაცია No. R(99)19-ს სისხლის სამართლის საქმეებში მედიაციის გამოყენების შესახებ. ასევე ადგილობრივი ორგანოებისა და სააგენტოებისათვის მათ ტექსტი რელევანტური უნდა გახადონ. პირველ რიგში, მათ შორის არიან: მოსამართლეები, პროკურორები, პოლიცია, სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამსახურები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამსახურები, მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისები და აღდგენითი მართლმსაჯულების სუბიექტები“.

დანართი იწყება „რეკომენდაციის მიზნის“ განმარტებით, რომელიც მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს თავიანთ სისხლის მართლმსაჯულების სისტემაში დანერგონ/განავითარონ აღდგენითი მართლმსაჯულება მისი სტანდარტების გაძლიერებით და პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვით, იმისათვის, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესი მაქსიმალურად ეფექტიანი გამოდგეს. ის ასევე ახალისებს ინოვაციურ აღდგენით მიდგომებს, რომლებიც შეიძლება არსებობდეს სისხლის მართლმსაჯულების მიღმა. რეკომენდაცია მიემართება ყველა საჯარო და კერძო სუბიექტს, ვინც მოქმედებს სისხლის მართლმსაჯულების სფეროში, ვინც გადასცემს საქმეებს აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის, ან ვინც საკუთარი საქმიანობის ფარგლებში შეიძლება იყენებდეს აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს.

მეორე ნაწილი მოიცავს „განმარტებებსა და ზოგად პრინციპებს“ მოცემულია აღდგენითი მართლმსაჯულების განმარტება (წესი 3) და მითითება კეთდება მონაწილეებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების შესაძლო ფორმებზე (წესი 4 და 5) (იხილეთ ასევე ზემოთ). მე-6 წესის მიხედვით „აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება შესაძლებელია სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე“. მაგალითად, საპატიმრო სასჯელისაგან, სისხლის სამართლის წესით დევნისაგან განრიდებით. აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძი-

ებას შეიძლება მივმართოთ პოლიციის განყოფილებაში, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებამდე ან მისი დაწყების შემდეგ, ბრალის წარდგენიდან – სასჯელის შეფარდებამდე, სასჯელის შეფარდების შემდეგ, როგორც სასჯელის ნაწილი ან სასჯელის მოხდის ვადის ამოწურვის შემდეგაც კი. აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენებისათვის მიმართვა შეიძლება განხორციელდეს სისხლის მართლმსაჯულებაში ჩაბმული სუბიექტების მიერ (პოლიცია, სასჯელალსრულების დაწესებულება, პრობაცია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, დაზარალებულთა მხარდაჭერის სერვისები) ან მხარეთა ინიციატივის საფუძველზე.

ნაწილი 3 აყალიბებს „აღდგენითი მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებს“: აღდგენითი მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები (წესი 13) „მხარეთა მონაწილეობას“ უკავშირდება (მხარეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება მიიღონ აქტიური მონაწილეობა დანაშაულით გამოწვეული საკითხების გადაწყვეტაში). ამავდროულად არის მოცემული ზიანის გამოსწორების პრინციპი – დანაშაულზე რეაგირება უნდა ემსახურობდეს დანაშაულით გამოწვეული ზიანის გამოსწორებასა და შემცირებას, რომელიც მიადგა ინდივიდებს, ურთიერთობებს ან უფრო ფართო საზოგადოებას. სხვა ძირითად პრინციპებში შედის (წესი 14): ნებაყოფლობითი დიალოგი; მონაწილე მხარეების საჭიროებებისა და ინტერესების თანაბარი გათვალისწინება; პროცედურული სამართლიანობა; კოლექტიური, კონსენსუსზე დაფუძნებული შეთანხმება; ფოკუსირება აღდგენაზე, რეინტეგრაციაზე და ურთიერთგაგების მიღწევაზე, დომინანტობის თავიდან არიდებაზე. ნეიტრალურობის პრინციპი (მიუკერძოებლობა), ნებაყოფლობითობა (მხარეები თანახმა არიან იმ პირობებში, როცა ინფორმირებულნი არიან პროცესის ბუნებასა და შესაძლო შედეგებზე. მათ შორის, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესს მიმდინარე სისხლის სამართალწარმოებაზე) და კონფიდენციალურობა (წესები 15, 16, 17). წესი 18 განსაზღვრავს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება უნდა იყოს „საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სერვისი“ – დანაშაულის სიმძიმე და გეოგრაფიულმა არეალმა, მიუხედავად სხვადასხვა ფაქტორისა, არ უნდა გამორიცხოს დაზარალებულებისა და დამზარალებლებისათვის აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისების შეთავაზება.

აღდგენითი მართლმსაჯულების განმარტებულ სუბიექტებს (საჯარო თუ კერძო) სისხლის მართლმსაჯულების სისტემაში „უნდა მიეცეთ საკმარისი ავტონომია“ (წესი 20).

ნაწილი 4 არის „აღდგენითი მართლმსაჯულების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში“. სასურველია არსებობდეს სამართლებრივი საფუძველი, როდესაც სასამართლოს შეუძლია საქმის გადამისამართება ან როდესაც აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესმა შეიძლება გავლენა მოახდინოს საქმის განხილვაზე ზოგადად. (წესი 21). როდესაც აღდგენითი მართლმსაჯულება გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესში, უნდა შემუშავდეს შესაბამისი პოლიტიკა. ეს უნდა მოიცავდეს საქმეთა რეფერირების პროცედურას და აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების წესს (წესი 22). პროცედურული გარანტიების დანერგვის საჭიროებაზე მითითებულია 23-ე წესში: მხარეებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჩივრის გამოხატვის შესაბამისი პროცედურა, მაგალითად, სამართლებრივი დახმარებისა და თარჯიმნის გამოყენების სერვისები, როცა ამის საჭიროებაა. როდესაც აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში ჩართულნი არიან ბავშვები (დაზარალებულის ან დამზარალებლის სახით), მათ მშობლებს, მეურვეებს თუ სხვა უფლებამოსილ სრულწლოვანს უნდა ჰქონდეს პროცესზე დასწრების უფლება (წესი 24).

ნაწილი 5 ეხება „სისხლის მართლმსაჯულების ფუნქციონირებას აღდგენით მართლმსაჯულებასთან მიმართებით“. ამ ნაწილში კიდევ ერთხელ არის ყურადღება გამახვილებული მხარეების მხრიდან თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის მნიშვნელობაზე. (არალეგიტიმური გზების გამოყენებით იძულება დაუშვებელია, წესი 26). ასევე განმტკიცებულია აღდგენითი მართლმსაჯულების ინკლუზიური და მოქნილი ხასიათის მნიშვნელობა (წესი 27). ამავე ნაწილში ახსნილია სისხლის მართლმსაჯულების უფლებამოსილი პირებისა და სასამართლოს წარმომადგენლების ვალდებულებები: მათ უნდა უზრუნველყონ შესაბამისი პირობები, პროცედურები და ინფრასტრუქტურა იმისათვის, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში საქმეები გადაეცეს აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისებს. (წესი 28). მედიატორებს უნდა მიეცეთ საკმარისი დრო და რესურსები, რათა შეძლონ შესაბამისად მომზადება, რისკის შეფასება, მხარეებთან შემდგომი სამუშაოების ჩატარება. (წესი 29). წესი 30 ეხება აქტუალურ საკითხს – სჭირდება თუ არა ბრალდებულს ბრალის აღიარება აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის მისაღებად. რეკომენდაციაში პოზიცია მკაფიოდაა ჩამოყალიბებული: საქმის ძირითადი ფაქტობრივი გარემოებების აღიარება მხარეების მიერ უნდა დაედოს საფუძვლად აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის დაწყებას. თუმცა, აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობა არ შეიძლება ჩაითვალოს ბრალის აღიარებად და არც შეიძლება გახდეს შემდგომი პროცე-

დურული ღონისძიებების საფუძველი. მეტიც, სამართლებრივი პროცედურების კონტექსტში უნდა განისაზღვროს „გონივრული ვადა“ აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის (წესი 31). გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რა გავლენას მოახდენს მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმება მსჯავრდების ან განაჩენის გამოტანის პროცესზე, უნდა მიიღოს სასამართლომ (წესი 32). აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის დაწყებამდე, სასამართლოს და სისხლის მართლმსაჯულების სუბიექტების მიერ მედიატორს უნდა მიეწოდოს საჭირო ინფორმაცია საქმის რელევანტური გარემოებებისა და ფაქტების შესახებ (წესი 33). აღდგენითი მართლმსაჯულების შედეგად შეთანხმების წარმატებით მიღწევისა და შესრულების საფუძველზე, სამართალწარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილებას უნდა ჰქონდეს იგივე სამართლებრივი სტატუსი, რაც სხვა საფუძველებით სისხლის სამართლის სამართალწარმოების შეწყვეტას აქვს (წესი 34).

ნაწილი 6 – „აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისების ფუნქციონირება“ მოიცავს 18 სხვადასხვა წესს. აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისები უნდა მოწესრიგდეს აღიარებული სტანდარტების შესაბამისად. უნდა ჩამოყალიბდეს კომპეტენციისა და ეთიკის, შერჩევის პროცედურების, ტრენინგის, მედიატორების მხარდაჭერისა და შეფასების სტანდარტები (წესი 36). აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისები და ტრენინგები უნდა შეფასდეს კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოების მიერ (წესი 37). აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისები უნდა მოიცავდეს ფასილიტატორების მუშაობის მუდმივი მონიტორინგის მექანიზმსა (წესი 38) და მონაცემთა შეგროვების შესაბამის სისტემას (წესი 39). ფასილიტატორები უნდა წარმოადგენდნენ საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს, უნდა ესმოდეთ ადგილობრივი კულტურა და საზოგადოებრივი ჯგუფების თავისებურებები. მათ გააზრებული უნდა ჰქონდეთ, თუ რა შესაძლებლობებია ინტერკულტურულ გარემოში აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის (წესი 40). საწყისი და განგრძობითი ტრენინგის აუცილებლობა ხაზგასმულია წესში – 42, ეს ასევე ვრცელდება სისხლის მართლმსაჯულების იმ პროფესიონალებზე, რომლებიც აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის საქმეთა გადაცემას წარმართავენ. ფასილიტატორებს უნდა ჩაუტარდეთ საფუძვლიანი ტრენინგი მგრძობიარე, კომპლექსურ და სერიოზულ საქმეებზე (წესი 43). ასევე, აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისების მენეჯერებს უნდა ჩაუტარდეთ საქმეთა ზედამხედველობისა და მომსახურების მენეჯმენტის შესაბამისი ტრენინგი (წესი 44).

46-53 წესებში მიმოხილულია აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის სხვადასხვა ასპექტი, მათ შორის ფასილიტატორის ზოგადი მიდგომები და უნარები, მხარეთა ადეკვატური მომზადების მნიშვნელობა, მოწყვლადი მონაწილეებისათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დამატებითი დახმარების შეთავაზება ან მხარეთა გადამისამართება სპეციალიზებული სერვისების საჭიროების შემთხვევაში. 49-ე წესი განსაზღვრავს, თუ როდის შეიძლება ფასილიტატორისათვის კონფიდენციალურად განდობილი ინფორმაცია მიეწოდოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. წესი 53 დამატებით ადგენს, რომ ფასილიტატორი სასამართლოს და სისხლის მართლმსაჯულების სხვა სუბიექტებს ინფორმაციას აწვდის მხოლოდ გადადგმულ ნაბიჯებსა და მიღებულ შედეგებზე (და არა განხილვების შინაარსზე). მხარეებს შორის შესაძლო მიღწეული შეთანხმება განხილულია 50-ე, 51-ე და 52-ე წესებში, მათ შორის მითითება, რომ აუცილებელი არ არის, შეთანხმებები გულისხმობდეს ხელშესახებ შედეგებს. (დიალოგი შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს) და იგი უნდა ეფუძნებოდეს თავად მხარეების მოსაზრებებს.

დაბოლოს, ნაწილი 7 ეძღვნება აღდგენითი მართლმსაჯულების განგრძობად განვითარებას. ეფექტური იმპლემენტაციის აუცილებელი პირობები ეხება/უკავშირდება ადეკვატურ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს, ასევე ეროვნული სტრუქტურების მიერ კოორდინირებული პოლიტიკის განხორციელებას (წესი 54), რეგულარულ კონსულტაციას ჩართულ უწყებებს შორის (წესი 55) და ადგილობრივ თემებთან თანამშრომლობასა და მათ ინფორმირებას (წესი 56). აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის დანერგვასთან ერთად (როგორც არის თავად მედიაცია), სასურველია სასამართლო სუბიექტებისა და სისხლის მართლმსაჯულების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება აღდგენითი მართლმსაჯულებისა და კონფლიქტის გადაწყვეტის პრინციპების შესახებ იმგვარად, რომ მათ შეძლონ ამ პრინციპების გააზრება და ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენება (წესი 57). 58-ე წესი განმარტავს, თუ როგორ შეიძლება აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება პრობაციის ზედამხედველობის პირობებში. წესი 59 წარმოადგენს მაგალითებს, თუ როგორ შეიძლება აღდგენითი მართლმსაჯულების ღირებულებებისა და პრინციპების გამოყენება ინოვაციურ პრაქტიკაში, იმ შემთხვევაშიც კი, როცა აქტივობა არ გულისხმობს მხარეთა შორის დიალოგს: თემის რეპარაციის სქემები, რეპარაციის საბჭოები, დაზარალებულთა პირდაპირი რესტიტუცია, „პრობლემის გადამჭრელი“ სასამართლოები და სხვა.

თუ როგორ შეიძლება აღდგენითი პრინციპების გამოყენება სისხლის მართლმსაჯულების უფრო ფართო კონტექსტში თავად სისხლის სამართალწარმოების მიღმა, განმარტებულია მე-60 წესში: მაგალითად, მათი გამოყენება შესაძლებელია, როდესაც არსებობს კონფლიქტი მოქალაქესა და პოლიციელს შორის, პატიმარსა და სასჯელაღსრულების ინსტიტუციის თანამშრომელს შორის, პატიმრებს შორის, პრობაციის ოფიცერსა და მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სამართალდამრღვევს შორის. 61-ე წესში კვლავ ხაზგასმულია აზრი, რომ მართლმსაჯულების სისტემაში ძალზე სასურველია აღდგენითი პრინციპებისა და მიდგომების გამოყენება. ამ მიდგომამ შეიძლება ხელი შეუწყოს ურთიერთობების დამყარებასა და შენარჩუნებას, მაგალითად, სისხლის სამართლის სისტემის თანამშრომელთა შორის, პოლიციის თანამშრომლებსა და საზოგადოების წევრებს შორის; პატიმრებს შორის; პატიმრებსა და მათ ოჯახებს შორის; ან პატიმართა და ციხის თანამშრომლებს შორის. ასევე ხელი შეუწყოს ამ ჯგუფებს შორის ნდობისა და პატივისცემის გაძლიერებას. მეტიც, აღდგენითი პრინციპები და მიდგომები შეიძლება პროაქტიულად გამოიყენებოდეს იმ ორგანიზაციებში, რომელთა მენეჯმენტშიც გადაწყვეტილებები ერთობლივად მიიღება. ამ მიზნით სასურველია ორგანიზაციებში ფორმალური უფლებამოსილებებით აღჭურვილი პირის გამოყოფა, რომელიც იზრუნებს კონკრეტული ორგანიზაციის მიერ აღდგენითი მართლმსაჯულების მექანიზმების გამოყენებაზე (წესი 63). ქვეყნებს შორის რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობა წახალისებულია 64-ე წესში, რომელშიც იგულისხმება – წარმატებული პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის გაზიარება და პოლიტიკის, კვლევის, სწავლებისა და ინოვაციური მიდგომების ერთობლივი შემუშავება. 65-ე წესით რეკომენდებულია საზოგადოებაში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ ცნობიერების ამაღლება. ხოლო 66-ე წესი ადგენს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წარმართონ და წახალისონ აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროს კვლევა, ასევე დაფინანსებული თუ განხორციელებული პროგრამების შეფასება. წესი 67 გულისხმობს პრაქტიკის მუდმივ განვითარებას და, საჭიროების შემთხვევაში, აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებისა და მათი განხორციელების გზების გადახედვას.

4.2. გაეროს ძირითადი პრინციპები სისხლის საქმეებში აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების შესახებ

გაეროს ძირითადი პრინციპების პირველადი ვერსია 2000 წელს გაჩნდა, ხოლო შემდეგი – ECOSOC – საბოლოო რეზოლუციის სახით

2002 წელს. ზემოთ უკვე მოყვანილი იყო ტერმინთა განმარტებები ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით (აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამა – პროცესი – შედეგი). ევროპის საბჭოს 1999 წლის რეკომენდაციასთან შედარებით, გაეროს ძირითად პრინციპებს უფრო ფართო მიმართება აქვს და სამიზნე ჯგუფად ისახავს მთელ საზოგადოებას. ამიტომაც, ეს პრინციპები ეხება აღდგენითი მართლმსაჯულების ყველა ტიპის პროგრამას, რამდენადაც ისინი განვითარებულია მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში განსხვავებულ კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტში. მიუხედავად ამისა, თვალსაჩინოა შინაარსობრივი მსგავსება ევროპის საბჭოს ორივე რეკომენდაციასთან. იგივე ძირითადი პრინციპი წარმოდგენილია 1999 წლის რეკომენდაციის თითქმის იდენტური ფორმულირებით: თავისუფალი და ნებაყოფლობითი სერვისი, რომელიც გამოიყენება სისხლის მართლმსაჯულების ნებისმიერ ეტაპზე, მიუკერძოებლობისა და კონფიდენციალურობის პრინციპები, უდანაშაულობის პრეზუმფცია, უსაფრთხოება და მხარეთა პროცესუალური გარანტიები, ეროვნული სტანდარტებისა და გზამკვლევების დადგენის საჭიროება ...

როგორც ევროპის საბჭოს 1999 წლის რეკომენდაცია არის გამყარებული პრაქტიკასა და პოლიტიკაზე ორიენტირებული სახელმძღვანელოთი (Aertsen et al., 2004), ასევე გაეროს ძირითად პრინციპებსაც ეძღვნება სახელმძღვანელო რეზოლუციის აღსრულების შესახებ (პირველად გამოქვეყნებულია 2006 წელს, განახლებული ვერსია UNODC, 2020)

4.3. სუპრანაციონალური რეგულაციების როლი და მათი აღსრულება

ევროპის საბჭოს რეკომენდაციასა და გაეროს ძირითად პრინციპებში მოხსენიებული ზოგიერთი პროცედურული გარანტია ასევე გვხვდება ევროპის დაზარალებულთა დირექტივაში 2012/29/EU, რომელიც დაზარალებულის პოზიციასა და ინტერესებზეა მიმართული. ამავე დროს დირექტივა წარმოადგენს ევროკავშირის ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფოსათვის სავალდებულო კანონმდებლობას და არა მხოლოდ რბილ სამართალს.

აღდგენითი მართლმსაჯულების გარანტიებით სარგებლობის უფლება განსაზღვრულია ევროკავშირის დირექტივის მე-12 მუხლით: „აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ემსახურება იმ დაზარალებულის ინტერესებს, რომლის უსაფრთხოების საკითხიც დგას და ეფუძნება მის

თავისუფალ და ინფორმირებულ თანხმობას, რომლის უკან წაღება შესაძლებელია ნებისმიერ დროს“. მეტიც, მუხლი 12 ყურადღებას ამახვილებს მონაწილეებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებაზე, ვიდრე ისინი დასთანხმდებიან მედიაციას და კიდევ ერთხელ მიუთითებს ალდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის ნებაყოფლობით და კონფიდენციალურ ხასიათზე.

მიუხედავად არამბოჭავი სამართლებრივი ხასიათისა, 1999 წლის რეკომენდაციაში დადასტურებულია მისი გავლენა მრავალ ევროპულ სახელმწიფოზე. ეროვნული კანონმდებლობები და პრაქტიკის სტანდარტები ჩამოყალიბდა ამ რეკომენდაციის საფუძველზე. თუმცა, რა გავლენა ექნება ამგვარ სუპრანაციონალურ დოკუმენტს წევრ სახელმწიფოში, დამოკიდებულია ინდივიდებსა თუ ორგანიზაციებზე, რომლებიც მოტივირებულნი არიან ისარგებლონ დოკუმენტით და სურთ რეკომენდაციის მითითებების საფუძველზე გააღრმავონ თანამშრომლობა სახელმწიფოსთან.

ევროპის საბჭოს 1999 წლის რეკომენდაცია და ახალი – 2018 წლის – რეკომენდაციის მომზადება წახალისებულ იყო ევროპის ეფექტიანობისა და მართლმსაჯულების საბჭოს (CEPEJ) მითითებების გამოცემით „სისხლის საქმეებში მედიაციის არსებული რეკომენდაციის უკეთ აღსასრულებლად“ (2007). ევროპის საბჭოს ანგარიშში (Lhuillier, 2007) გამოვლინდა ეფექტური აღსრულების ზოგიერთი დამაბრკოლებელი გარემოება: ალდგენითი მართლმსაჯულებისა და მედიაციის შესახებ ცნობიერების შეზღუდულობა კონკრეტულ ქვეყანაში, მედიაციის პროგრამების ნაკლებობა, მედიაციისათვის საქმეების გადამისამართების უფლებამოსილების შეზღუდვა, მაღალი ხარჯები და სპეციალიზებული ტრენინგისა და მედიატორთა კვალიფიკაციის ნაკლებობა. ამიტომაც 2007 წლის მითითებები შეიცავს რიგ შეთავაზებებს, თუ როგორ შეიძლება მედიაციის პროგრამების ხელმისაწვდომობის, ასევე მათ შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება. (იხილეთ შემდგომში).

4.4. ჯგუფური დისკუსია

შესაძლებელია მცირე ჯგუფების შეხვედრების ორგანიზება (საკლასო სესიის მიღმა), რომელზეც განიხილება ევროპის საბჭოს რეკომენდაციის წესების გარკვეული ნაწილი საქართველოსთან მიმართებით. რომელ საკითხებში მიჰყვება რეკომენდაციას საქართველოში არსებული მედიაციის პრაქტიკა და რომელ საკითხებში – არა; რო-

გორ შეიძლება ამის გამოსწორება. ჯგუფური რეკომენდაციები შეიძლება აისახოს ანგარიშის სახით.

საშინაო დავალება: სავალდებულო კითხვა

- მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2018)8 წევრი სახელმწიფოების მიმართ სისხლის სამართალწარმოებაში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ
- Commentary to Recommendation CM/Rec(2018)8 of the Committee of Ministers to member States (https://www.coe.int/en/web/prison/home/-/asset_publisher/ky2olXXXogcx/content/recommendation-cm-rec-2018-8)

5. პრაქტიკაში დანერგვა

ამ ნაწილის მიზანი: წინა ნაწილების შინაარსის განვრცობა/დაკონკრეტება, რათა გავაანალიზოთ აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების ეროვნულ დონეზე დანერგვისა და განხორციელების გამოწვევები.

ამოცანები:

- გაიგონ, თუ როგორ შეიძლება აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარება სხვადასხვა ორგანიზაციულ, ინსტიტუციურ და სამართლებრივ კონტექტში;
- გაანალიზონ აღდგენითი მართლმსაჯულების ინსტიტუციონალიზებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გამოწვევები და მიუსადაგონ ისინი საქართველოს კონტექსტს;
- აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში პოლიტიკის განსაზღვრის მნიშვნელობა და ამის გაანალიზება საქართველოში მიმდინარე პროცესებთან მიმართებით.

აქტივობები:

ლექცია, ჯგუფური დისკუსია, კითხვა.

5.1. ინსტიტუციური კონტექსტი

აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს, რამდენადაც ისინი შემოთავაზებული იყოს არაერთგვაროვანი ბუნების ინსტიტუციების მხრიდან. ამ მიმართულებით აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების ორგანიზაციული ჩარჩო სხვადასხვაგვარია ქვეყნების მიხედვით. პირველ რიგში, მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, თუ რა ტიპის საქმეების გადაცემა შეიძლება აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებისათვის. ხშირად მედიაციის პროგრამები ორიენტირებულია ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე, მაგრამ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა აფართოებს მედიაციის (და კონფერენციის) გამოყენების ფარგლებს; ავრცელებს მათ შედარებით მძიმე საქმეებზე ან არატრადიციული ტიპის დანაშაულებზე, როგორც არის მაგალითად, გარემოსათვის ზიანის მიყენება. ამის ერთ-ერთი მიზეზი დაზარალებულთა საჭიროებებს უკავშირდება: მაგალითად, მძიმე ძალადობის საქმეებში ხშირად დაზარალებულებს აქვთ მნიშვნელოვანი კითხვები დამნაშავესთან და ამ შემთხვევაში აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში წარმართულმა დიალოგმა შეიძლება არსებითი როლი ითამაშოს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო რეგულაციები, როგორც არის ევროპის საბჭოს რეკომენდაცია, არ გამორიცხავს პროგრამების ნებისმიერი ტიპის დანაშაულზე გავრცელებას.

მეორე მახასიათებელი არის სისხლის სამართალწარმოების ეტაპი, როდესაც შესაძლებელია აღდგენითი მართლმსაჯულების შეთავაზება. არსებობს ფართო კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ მედიაცია და აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა პრაქტიკა ხელმისაწვდომი უნდა იყოს მართლმსაჯულების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე. რაც ნიშნავს, რომ მედიაცია არ განიხილება როგორც განრიდების ზომა (დევნის თავიდან ასარიდებლად), არამედ ის მიმდინარეობს სისხლის სამართლის პროცესის პარალელურად. ამიტომ გადამამისამართებელი ორგანოები, რომლებიც განსაზღვრავენ შესაბამის საქმეებს და მხარეებს სთავაზობენ მედიაციაში მონაწილეობას, ასევე მრავალფეროვანია. მედიაციაში მონაწილეობის შეთავაზების ინიციატივა შეიძლება მოდიოდეს პოლიციისაგან, პროკურორისაგან, მოსამართლისაგან, პრობაციის სამსახურისაგან, სასჯელაღსრულების სისტემისაგან, დაზარალებულთა დახმარების სერვისებისაგან, სხვა სოციალური სამსახურისაგან ...

აღდგენით მართლმსაჯულებას (ძირითადად დაზარალებულ-ლი-დამზარალებლის მედიაციის სახით) უმეტეს ევროპულ სახელმწიფოებში სამართლებრივი საფუძველი აქვს (Miers & Aertsen, 2012; Duenkel et al., 2015). ეროვნულ დონეზე მედიაცია ხშირად დარეგულირებულია სპეციალური კანონმდებლობით: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტი, სისხლის სამართლის კოდექსი, საპროცესო კოდექსი ან დამოუკიდებელი მედიაციის აქტი (ხშირად იგი მოიცავს როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლის საქმეებს). ნორმის სამართლებრივი ეფექტი შეიძლება განსხვავებული იყოს: ნებადამრთველი (კანონი პროკურორს ან სხვა უფლებამოსილ პირს ანიჭებს დისკრეციას, რომ გადასცეს ან არ გადასცეს საქმე მედიაციისათვის), იძულებითი (კანონი ავალდებულებს პროკურორს მედიაციის შესაძლებლობის განხილვას), მავალდებულებელი (კანონი ავალდებულებს პროკურორს ეფექტურად მოახდინოს საქმის გადაცემა). თუმცა დანარჩენი დეტალები აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების პრაქტიკაში ფუნქციონირების შესახებ ხშირად გაწერილია კანონქვემდებარე აქტებში (მაგალითად დებულებებსა თუ მინისტრთა ბრძანებებში). ამ ფორმალურ დოკუმენტებში სხვა აპექტებთან ერთად გაწერილია მედიატორთა მომზადებასთან თუ პროგრამების დაფინანსებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის სამართლებრივი ჩარჩო მოგვიანებით განხილული იქნება მე-4 თავში.

საბოლოოდ, აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები შეიძლება განთავსდეს კონტინუუმზე მართლმსაჯულების სისტემასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან მათი მიმართების მიხედვით (იხილეთ ცხრილი 4). ზოგიერთ ქვეყანაში მედიაციის პროგრამები ხორციელდება პროკურატურის ან არასრულწლოვანთა სამსახურის მიერ. სხვა პროგრამებში წამყვანი პოზიცია უკავია პრობაცის სამსახურს, ხოლო ზოგიერთ სახელმწიფოში – დაზარალებულთა მხარდამჭერ ორგანიზაციებს, ადგილობრივ თვითმმართველობებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს. სისტემასთან დაკავშირებული ორგანიზაციები ხშირად იმართება ერთი უწყების მიერ. არასამთავრობო ორგანიზაციები კი უმეტესწილად კონტროლდებიან პარტნიორი ორგანიზაციების, მათ შორის, სასამართლოს მიერ. ამ უკანასკნელ მოდელს აქვს მეტი შესაძლებლობა მოიცვას უფრო ფართო საზოგადოება, რათა მოქალაქეებმა უფრო მეტი პასუხისმგებლობა იგრძნონ დანაშაულთან დაკავშირებულ საკითხებზე. ზოგიერთ ქვეყანაში აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებში ასევე ჩართულნი არიან მოხალისეები,

რათა მათ შეასრულონ მედიატორის ფუნქცია (კარგი მომზადებისა და ზედამხედველობის პირობებში.) აღდგენითი მართლმსაჯულების

პროგრამებში მოხალისეების ჩართვა ემსახურება საზოგადოებაში პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას, მედიაციისა და კომუნიკაციის უნარების გავრცელებას მის წევრებში, ასევე დამნაშავეთა სტერეოტიპული აღქმის შეცვლას.

სისტემაზე დაფუძნებული		↔		საზოგადოებაზე დაფუძნებული
პროკურორი	სასამართლოს სოციალური სამსახურები	პრობაციის სერვისები	ადგილობრივი მუნიციპალიტეტები	არასამთავრობო ორგანიზაციები
(ბელგია – სისხლის სამართლის მედიაცია)	(გერმანია)	(ავსტრია, ჩიხეთი)	(ნორვეგია, ფინეთი)	ბელგია (აღდგენითი მედიაცია), საფრანგეთი, ჰოლანდია, გაერთიანებული სამეფო)
ერთი უწყება		↔		მრავალი უწყება
პროფესიონალები		↔		მოხალისეები

ცხრილი 1.3: აღდგენით მართლმსაჯულების სერვისების პოზიციონირება

აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამის ინსტიტუციონალიზების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს მიკერძოება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს პროგრამის ერთი უწყების ინსტიტუციურ

კონტექსტში მოქცევამ. (Aertsen, Daems & Robert, 2006). თითოეულ ინსტიტუციას აქვს თავისი რისკები და მოქმედების ლოგიკა, კულტურა და იდეოლოგია. ეს უკანასკნელი ყოველთვის თანხვედრაში არ მოდის აღდგენითი მართლმსაჯულების ღირებულებებსა და პრიორიტეტებთან. მაგალითად, თუ აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამა არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სერვისი ან პრობაციის სერვისი, ამ შემთხვევაში ფოკუსში მოექცევა დამზარალებელი და არა დაზარალებული, რაც თავისთავად დაარღვევს საჭირო ბალანსს. თუ აღდგენითი მართლმსაჯულება შეერევა სხვა ტიპის აქტივობებს, რომლებიც ამ ინსტიტუციას უკავშირდება ან ჩვეულ არსებულ პრაქტიკას, ორგანიზაციული პრიორიტეტები ან საბიუჯეტო შეზღუდვები ასევე შეიძლება იქცეს დამაზიანებლად აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებისათვის. ამიტომაც, როგორც უკვე ითქვა, საჭიროა მაღალი დონის ავტონომიურობა, რათა ჩამოყალიბდეს აღდგენითი მართლმსაჯულების კარგი სერვისი.

აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამაში პირველი გამოწვევაა დაზარალებულისადმი სუსტი ყურადღება. ეს გასაგებია, რადგანაც ზოგიერთ ქვეყანას დაზარალებულებთან მოპყრობის ტრადიცია და შესაბამისი ცოდნა არ გააჩნია. ამიტომაც განათლებისა და სწავლების მნიშვნელოვან მიზანს უნდა წარმოადგენდეს სტუდენტებისათვის დაზარალებულების ფსიქოლოგიური, სოციალური და სამართლებრივი საჭიროებების უკეთ გაცნობა. ასევე მსჯელობა იმაზე, თუ რა როლი შეიძლება შეასრულოს აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისებმა და მედიაციამ დაზარალებულების მიერ საკუთარ გამოცდილებასთან გამკლავებაში. აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისის ან პროგრამის დანერგვისას საწყის კითხვას არ უნდა წარმოადგენდეს „რა მოვუხერხოთ დამნაშავეს“ ასევე მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოვეპყრობით დაზარალებულს მისი მოლოდინისა თუ საჭიროების გათვალისწინებით (Aertsen, 2017; Biffi, 2016; Choi, Bazemore & Gilbert, 2012). ამ სახელმძღვანელოს მეორე თავი უფრო დეტალურად განიხილავს „დაზარალებულობის“ მნიშვნელობას და დაზარალებულთა საჭიროებებს.

იგივე გამოწვევა ჩნდება, როდესაც იწყება აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამაში საზოგადოების ჩართვის მცდელობა. თეორიულად, ჩვენ ყველა მივიჩნევთ საზოგადოებას აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის მესამე მნიშვნელოვან მხარედ. ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ მხოლოდ დაზარალებულისა და დამზარალებლის უშუალო გარემოს (მათი ნათესავები ან მათზე მზრუნველი გარემო),

არამედ მოვიაზრებთ უფრო ფართო საზოგადოებას. როგორც მედიაციის, ისე კონფერენციის მოდელებს არ გააჩნიათ ამ პროცესში ფართო საზოგადოების ჩართვის ინსტრუმენტები და მეთოდები. ისევე, როგორც ეს ხდება მშვიდობის წრეებში, უნდა ჩამოყალიბდეს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გამჭვირვალე კრიტიკერიუმებისა და პროცედურების საფუძველზე აღდგენით პროცესში ადამიანთა ჩართვას (Fellegi & Szegő, 2013; Weitekamp, 2015). როგორ შეიძლება საზოგადოების ინფორმირება აღდგენითი მართლმსაჯულების ღირებულებებსა და უნარებზე, დეტალურად იქნება განხილული სახელმძღვანელოს მე-6 თავში.

5.2. ეროვნული პოლიტიკის შემუშავება

აღდგენითი მართლმსაჯულების შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა. სამართლებრივი ნორმები უნდა აღსრულდეს ეფექტურად, რამდენადაც შეიძლება არსებობდეს უზარმაზარი განსხვავება ფურცლებზე ასახულ კანონებსა და რეალობაში მათ მოქმედებას შორის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ უმეტესი იურისდიქციებისათვის აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები არის სამართლებრივ სისტემაში არსებული 'Fremdkörper', ამიტომაც გამოიწვევს ინსტიტუციების რეზისტენტულობას. მეტიც, აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესები უნდა წარმართოს მოქნილად საქმის მახასიათებლებისა და საჭიროებების შესაბამისად, ამიტომაც მიზანშეწონილი არ არის კანონმდებლობაში მათი ხისტად გაწერა.

ყოველივე ზემოთ ხსენებულის მიხედვით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში პოლიტიკის განსაზღვრას. ეს ისევე მნიშვნელოვანია, როგორც კანონმდებლობა, ტრენინგი და რესურსები. ხშირად პროგრამების განხორციელებისას ერთგვარი სიცარიელე ჩნდება, რაც ნიშნავს იმას, სერვისები არ არის ხოლმე სათანადოდ გამოყენებული. მაგალითად, მედიაცია არ გამოიყენება რაოდენობრივად იმდენ საქმეში, რამდენზეც კანონი იძლევა ამის საშუალებას.

სხვა გამოწვევად შეიძლება იქცეს გადამეტებული დამოკიდებულება სისხლის მართლმსაჯულების წარმომადგენლებზე, რომლებიც ასრულებენ საქმეების გადაცემის მაკონტროლებელ როლს. შესაბამისად, აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების ხელმისაწვდომო-

ბის გაზრდა მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს თითოეულ ქვეყანაში, რათა მოქალაქეებისათვის ეს სერვისები თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს (Biffi & Laxminarayan, 2014).

შესაბამისად, აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში პოლიტიკის განსასაზღვრად მრავალი ამოცანაა მნიშვნელოვანი. მხოლოდ საკანონმდებლო ბაზის შექმნა ან ახალი სერვისების დანერგვა საკმარისი არ არის. აღდგენითი მართლმსაჯულება მოითხოვს დაუსრულებელ მუშაობას. მედიატორთა მოზიდვა და ტრენინგი პერმანენტულად უნდა მიმდინარეობდეს. აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისები მხარდაჭერილი უნდა იყოს. პრაქტიკოსებმა თანადგომა უნდა იგრძნონ; მათ უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილებების, სიახლეების, კვლევის შედეგების შესახებ; მათ ყოველ საქმეზე უნდა მიიღონ მხარდაჭერა; უნდა გაეწიოთ ზედამხედველობა; უნდა წახალისდნენ გუნდური მუშაობისათვის; მათ უნდა გაუზიარონ გამოცდილება აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა სერვისებისა და პროგრამების თანამშრომლებს; უნდა მიეცეთ შესაძლებლობა საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების დოკუმენტურად ასახვისა და უნდა წახალისდნენ, რომ ზოგადად გახდნენ თვითგანვითარებადი პრაქტიკოსები.

ამ სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელთათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა აღდგენითი მართლმსაჯულების ადგილობრივ სერვისებს შორის კოორდინაციაა. ამან შეიძლება გააძლიეროს პრაქტიკოსთა შორის ურთიერთდახმარების ტრადიცია და მეტად თანაბარი გახადოს მედიაციის სერვისი რეგიონების მიხედვით. ეს უკანასკნელი გაამარტივებს მიმდინარე პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათ გადაჭრას.

პოლიტიკის განმსაზღვრელები ასევე პასუხისმგებელნი არიან სასამართლოს წარმომადგენლებსა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სუბიექტებთან ურთიერთობის კოორდინაციასა თუ თანამშრომლობაზე; მათ, მაგალითად, შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის საქმის გადაცემის კრიტერიუმების შემუშავებაში. ეთიკისა თუ დეონტოლოგიური კომისიის ფორმირება პოლიტიკის განმსაზღვრელთათვის კიდევ ერთი არჩევანია: ამ ორგანოში აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკოსებსა და მოქალაქეებს შეუძლიათ მედიაციასთან დაკავშირებული ეთიკური პრობლემების შესახებ კითხვების წარმოდგენა. მეტიც, პოლიტიკის დამნერგავებს ხშირად შეიძლება ევალებოდეთ აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცე-

ლება და მედიასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა. ამის ნაწილს წარმოადგენს უნივერსიტეტებთან თუ სხვა კვლევით ან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა. დაბოლოს, პოლიტიკის დამნერგავები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ევროპული და საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით, რამდენადაც ეს აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთი ასპექტია.

5.3. ჯგუფური დისკუსია

შესაძლებელია ამ ნაწილის შინაარსთან დაკავშირებით და მის წინა ნაწილებთან ინტეგრირებით მცირე ჯგუფური დისკუსიის ორგანიზება. პირველი კრიტიკული განხილვა საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების არსებული სამართლებრივი ჩარჩოს შესახებ აქ უნდა შედგეს, მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე თავი მოიცავს სამართლებრივ ჩარჩოსთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე შესაძლებელია საქართველოში მედიაციის სერვისების ინსტიტუციური და ორგანიზაციული მოდელის განხილვა. ამასთან, მნიშვნელოვანია აღდგენითი მართლმსაჯულების ეფექტიანი პოლიტიკის განვითარებისათვის არსებული მთავარი გამოწვევების იდენტიფიცირება.

საშინაო დავალება: სავალდებულო საკითხვა

- European commission for the efficiency of justice (CEPEJ) (2007): Guidelines for a better implementation of the existing Recommendation concerning mediation in penal matters.
- Biffi, E. (2016). Practice Guide for Restorative Justice Services. The Victims' Directive Challenges and opportunities for restorative justice. Leuven: European Forum for Restorative Justice.
- Biffi, E. & Laxminarayan, M. (2014). Accessibility and Initiation of Restorative Justice: A Practical Guide. Leuven: European Forum for Restorative Justice.
- Daly, K. (2002). Restorative Justice: The Real Story. Punishment & Society 4(1), 55–79.
- Hein, L. (2019). The 2018 Council of Europe Recommendation concerning restorative justice in criminal matters: A briefing for the Ministry of Justice of Georgia. Leuven: European Forum for Restorative Justice.

თავი II

დაზარალებული, დამზარალებელი და მათი გარემო: ფსიქოლოგიური თავისებურებები

ჯანა (დარეჯან) ჯავახიშვილი

ძირითდი მიზანია სტუდენტების და მონაწილეების მიერ ღრმა და სისტემური ცოდნის მიღების ხელშეწყობა დაზარალებულის, დამზარალებლისა და მათი გარემოს ფსიქოლოგიური თავისებურებების თაობაზე.

მოცემული მასალის გავლის შემდგომ, სტუდენტებს და მონაწილეებს ეცოდინებათ:

- თუ რა სახის ფსიქოსოციალური პრობლემები შეიძლება განუვითარდეს დაზარალებულს დანაშაულის გავლენით და, როგორ ეხმარება მას აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში ჩართვა ამ პრობლემების დაძლევაში;
- დაზარალების რისკისა და დამცავი ფაქტორები;
- დანაშაულის ჩადენის რისკის ფაქტორები, დაკავშირებული ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და მორალურ განსჯასთან;
- თუ რა სახის ფსიქოლოგიური პრობლემები შესაძლოა ჰქონდეს დამზარალებელს და როგორ ეხმარება აღდგენითი მართლმსაჯულება ამ პრობლემების გადალახვაში.

სასწავლო აქტივობები და მეთოდოლოგია:

- ცოდნის კუმულირება ინფორმაციის გადაცემის, შესაბამისი რეფლექსიისა და ინტერაქტიული სწავლების გზით;
- ცოდნის მიღებისა და გაღრმავების უზრუნველყოფა საკითხავი მასალის (შესაბამისი ლიტერატურა, დოკუმენტაცია და ა.შ.) ინდივიდუალურად დამუშავების გზით;
- კურსის მსვლელობაში ათვისებული კრიტიკული განწყობებისა და სოციალური უნარების გავარჯიშება პირადი რეფლექსიისა და ჯგუფური დისკუსიების გზით.

დროის ჩარჩო:

4 საკონტაქტო საათი (2 ორსაათიანი სესია) + 8 საათი ინდივიდუალური კითხვისა და მომზადებისა.

გეგმა:

1. სესია პირველი: დაზარალებულის ფსიქოლოგიური მახასიათებლები (2 საათი):
 - 1.1. დანაშაულის ტრიადა, დაზარალების რისკისა და დამცავი ფაქტორები
 - 1.2. დაზარალებულის ფსიქოლოგიური პრობლემები და საჭიროებები
2. სესია მეორე: დამზარალებლის ფსიქოლოგიური მახასიათებლები (2 საათი):
 - 2.1. დამზარალებლის ფსიქოსოციალური მოწყვლადობა
 - 2.2. აღდგენითი მართლმსაჯულება, როგორც დაზარალებულის და დამზარალებლის დეჰუმანიზების გადალახვის შესაძლებლობა

1. დაზარალებულის ფსიქოლოგიური მახასიათებლები

მოცემული ქვეთავის მიზანია დაზარალებულის ფსიქოლოგიური მახასიათებლების გაცნობა.

შესაბამისი ამოცანებია:


- დანაშაულის დაინტერესებული სუბიექტების (ე.წ. დანაშაულის ტრიადის) გაცნობიერება
- დაზარალების რისკისა და დამცავი ფაქტორების გაცნობიერება
- დაზარალებულის დანაშაულთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პრობლემების გაცნობიერება
- დაზარალებულის დანაშაულთან დაკავშირებული საჭიროებების გაცნობიერება
- აღდგენითი მართლმსაჯულების, როგორც ამ საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობის გააზრება

1.1. დანაშაულის ტრიადა

დანაშაული ინერაქტიული მოვლენაა, მისი ჩადენა შეუძლებელია მხოლოდ ერთი დაინტერესებული სუბიექტის არსებობისას. დანაშაული რომ შედგეს, მინიმუმ ორი სუბიექტი უნდა არსებობდეს: ის, ვინც არღვევს კანონს (სამართალდამრღვევი/დამზარალბელი) და ის, ვისაც ის აზარალებს – ეს შეიძლება იყოს ინდივიდი, ოჯახი, ორგანიზაცია, თემი, საზოგადოება, სახელმწიფო. მაგრამ არც ეს ორი სუბიექტია იზოლირებულად მოცემული სამყაროში: ჩვეულებრივ, ვიქტიმოლოგიასა და კრიმინოლოგიაში დანაშაულის სცენის მესამე სუბიექტსაც გამოყოფენ – ე.წ. გვერდიდან მაყურებელს (bystander) (Cohen, 1993; Lavy & Ben-David, 2008; Bewster & Tacker, 2016). იგი შესაძლოა გახდეს მოწმე დანაშაულისა და რეაგირება არ მოახდინოს მასზე. ამ შემთხვევაში მას „რეალურ გვერდიდან მაყურებელს“ უწოდებენ; ან, პირიქით, ის შეიძლება არ იყოს დანაშაულის ჩადენის ადგილზე, მაგრამ მედიიდან ან სხვა წყაროდან გაიგოს დანაშაულის თაობაზე. ამ შემთხვევაში მას „მეტაფორულ გვერდიდან მაყურებელს“ უწოდებენ (Cohen, 1993). თუ ჩაერია, მაშინ ის გადის „გვერდიდან მაყურებლის“ როლიდან და შესაძლოა გახდეს დანაშაულის ერთ-ერთი მზარე (დაზარალბელი ან სამართალდამრღვევი), ან მხსნელი. რეალური თუ მეტაფორული გვერდიდან მაყურებელი შესაძლოა ერთი ინდივიდი იყოს, შესაძლოა – ინდივიდთა ჯგუფი, საზოგადოების გარკვეული სეგმენტი ან მთელი საზოგადოება (ასეა კაცობრიობის წინაშე დიდი მასშტაბის დანაშაულებების შემთხვევაში). გვერდიდან მაყურებლები განსხვავდებიან, აგრეთვე, იმის მიხედვით, თუ რამდენად იცნობენ / არ იცნობენ ან ახლოს არიან დაზარალბულთან, რამდენად მოვალენი არიან (თავიანთი სტატუსის მიხედვით), რომ ჩაერიონ; აგრეთვე იმის მიხედვით, თუ რამდენად ახდენენ გავლენას დანაშაულის დინამიკაზე. გარკვეული კვლევების თანახმად, გვერდიდან მაყურებლის ამა თუ იმ ქცევამ შესაძლოა სიტუაცია მიიყვანოს დანაშაულამდე (Lickel et al, 2003). ვიქტიმოლოგიაში ერთ დროს პოპულარული იყო თეორიები, რომელთა მიხედვითაც, ასევე, დაზარალბულს მიუძღვის წვლილი იმაში, რომ დამზარალბელმა მასზე დანაშაულებრივი ქმედება განახორციელა. გარკვეული (განსაკუთრებით, ძალადობრივი) დანაშაულის შემთხვევაში გვერდიდან მაყურებლისა და დაზარალბულის დადანაშაულება ისეთი გავრცელებული ფენომენია, რომ მის ახსნას არაერთი სამეცნიერო კვლევა და თეორია მიეძღვნა (Lavy & Ben David, 2008). თანამედროვე კრიმინოლოგიასა და ვიქტიმოლოგიაში არც გვერდიდან მაყურებელს, არც დაზარალბულს უმიზნობდ აღარ

ადანაშაულებენ, თუმცა, გარკვეული სახის (განსაკუთრებით, ძალადობასთან დაკავშირებული) დანაშაულის შემთხვევაში აღიარებენ მათ, როგორც გავლენის ფაქტორებს (Sanchez, 2019). მაგალითად, ცნობილია ისეთი ფენომენები, როგორიცაა ყურადღების ცდომილება და აღქმის ცდომილება, რომელიც ადამიანს ხელს უშლის, ობიექტურად შეაფასოს ამა თუ იმ სიტუაციაში დაზარალების რისკები და, ამდენად, ზრდის მისი დაზარალების ალბათობას. მაგრამ ეს არ არის „მისი ბრალი“.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, დანაშაული შესაძლოა იქნას განხილული, როგორც დანაშაულის ტრიადის შემადგენელი სუბიექტების ურთიერთქმედების ფუნქცია. ეს შესაძლოა გამოისახოს სამკუთხედის სახით (იხ. ქვევით):



დიაგრამა 2.1: დანაშაულის ტრიადა

რიგი ავტორებისა, ზევით აღწერილი ტრიადის სუბიექტებთან ერთად, ყურადღებას ამახვილებენ დანაშაულის ადგილზე (ლოკაციაზე) და იქ მოქმედ სიტუაციურ ფაქტორებზე, რომლებიც ასევე ახდენენ გავლენას დანაშაულის სცენაზე/ხდომილებაზე/დინამიკაზე (Bewster & Tacker, 2016).

გვერდიდან მაცურებლის მსგავსად, არც დაზარალებულები და დამზარალებულები არიან ჰომოგენური ჯგუფები. ვიქტიმოლოგიაში დაზარალებულთა ტიპოლოგიის არაერთი მცდელობა განხორციელდა (Sanchez, 2019). კლასიფიკაციის პრინციპად ზოგმა ავტორმა, მაგალითად, დანაშაულის პროცესში თანამონაწილეობა აირჩია (Mendelsohn, 1976), ზოგმა – დანაშაულის თვალსაზრისით მოწყვლადობა (Von Hentig, 1948), და სხვა. თუმცა, რამდენადაც არც ერთი ტიპოლოგია არ არის ამომწურავი, და თანაც, უგულვებელყოფს ინდივიდუალურ გან-

სხვაგვებებს, თანამედროვე მიდგომა ყურადღებას ამახვილებს დაზარალების რისკისა და დამცავ ფაქტორებზე. ეს ფაქტორები ყოველი კონკრეტული პიროვნების შემთხვევაში ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დონეებზე მოქმედებს.

1.2. დაზარალების რისკისა და დამცავი ფაქტორები

ნებისმიერ ადამიანის შემთხვევაში არსებობს ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დონეზე მოქმედი რისკისა და დაცვითი ფაქტორები, რომელთა თანაფარდობაც განსაზღვრავს მის მოწყვლადობას დაზარალების მიმართ. ბიოლოგიურ დონეზე ამგვარი ფაქტორებია, მაგ., ფიზიკური ძალა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.; ფსიქოლოგიურ დონეზე ამგვარი ფაქტორებია, მაგ., ადეკვატური თვითშეფასება და საკუთარი შესაძლებლობების მართებულად განსაზღვრა, კონკრეტულ სიტუაციაში არსებული რისკების ობიექტურად განსაზღვრისა და გათვალისწინების უნარი, ემოციური თვითრეგულაციის უნარი და ა.შ.; სოციალურ დონეზე ამგვარი ფაქტორებია, მაგ., ვითარება სამეზობლოში/თემში, ოჯახური ატმოსფერო და სხვ. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც, კვლევების თანახმად, დაზარალებულის როლში აღმოჩენის უანსი უფრო მაღალია იმ ადამიანებისათვის, ვინც ბავშვობაში ოჯახურ, ფიზიკურ და/თუ სექსუალურ ძალადობასა და/თუ უგულბელებყოფას დაექვემდებარა. ე.წ. რევიქტიმიზაციის (ანუ, განმეორებადი ვიქტიმიზაციის) სიხშირე უფრო მაღალია იმ ადამიანებს შორის, ვისაც ბავშვობაში ძალადობის გამოცდილება აქვთ (Spatz Widom et al, 2008).

ამავე დროს, ვიქტიმიზაციამ და, განსაკუთრებით, ბავშვობის ასაკში ძალადობის გამოცდილებამ, შესაძლოა ადამიანი თავად მიიყვანოს ძალადობრივ ქცევამდე (ამ თემაზე უფრო დაწვრილებით – დამზარალებლის ფსიქოლოგიური მახასიათებლებისადმი მიძღვნილ თავში). შეიძლება, ტრავმირებული ადამიანი მოგვიანებით ერთდროულად მოძალადისა და მსხვერპლის როლში გამოდიოდეს და ერთგვარი გაორება ჰქონდეს ამ თვალსაზრისით. მაგრამ, იმისთვის, რომ თავიდან ავირიდოთ სტიგმატიზება, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ბავშვობაში გამოცდილი თუ შემდგომი ძალადობა არავითარ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად არ უბიძგებს ადამიანს იმისკენ, რომ ის გახდეს ან მსხვერპლი, ან მოძალადე (Cohen, 2017). ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დონეზე სხვა მრავალი დაცვითი ფაქტორი მოქმედებს, რომელიც ადამიანს აძლევს შანსს, გამოვიდეს / დატოვოს

ზევით აღწერილი სამკუთხედი, მართოს საკუთარი ცხოვრება, თვითრეალიზაციას მიაღწიოს და ცხოვრების კარგი ხარისხი ჰქონდეს.

1.3. დაზარალებულის ფსიქოლოგიური პრობლემები

დანაშაულის შემდგომ, დაზარალებულის მდგომარეობა დამოკიდებულია, ერთი მხრივ, იმაზე, თუ რა სახის დანაშაულს დაექვემდებარა იგი (რაც უფრო მძიმეა დანაშაული, მით უფრო დიდია ზარალის რისკი) და, მეორე მხრივ, იმაზე, თუ რამდენად მოწყვლადია ის დანაშაულის მიმართ. დანაშაულებრივი ქმედება დაზარალებულზე მოქმედებს როგორც სტრესორი. თუ მატრავმირებელი სტრესორი ადამიანის მიერ აღიქმება, როგორც სასიკვდილო მუქარის შემცველი, იგი მოიცავს პოსტტრავმული სტრესული აშლილობის (პტსა) განვითარების რისკს. პტსა არის ფსიქიკური აშლილობა, რომელიც შესულია ფსიქიკური დაავადებების საერთაშორისო კლასიფიკაციებში. პტსა-ს სინდრომი შედგება სიმპტომთა ოთხი კლასისგან:

(1) ე.წ. შემოჭრითი სიმპტომები: ტრავმულ გამოცდილებასთან დაკავშირებული შინაარსების (ტრავმასთან დაკავშირებული მოგონებების, სიზმრების და ა.შ.) უკონტროლო, შემოჭრითი ხასიათის, განმეორებადი განცდა;

(2) ე.წ. თავის არიდების სიმპტომები: მატრავმირებელ ვითარებასთან დაკავშირებული სიტუაციების და/ან ადამიანების თავის არიდება, შესაბამისად – სოციალური გარემოდან დისტანცირება, გარშემომყოფთაგან იზოლაცია; ასევე – ემოციური გაშეშება, ანუ ემოციების განცდის უუნარობა, და ა.შ.;

(3) აზრების, ემოციების, გრძნობების ნეგატიური ცვლილებები: მაგ., ბრალეულობისა თუ სირცხვილის უსაფუძვლო განცდა, თვითშეფასების დაქვეითება, უსუსურობის განცდა, სამყაროს როგორც მტრულის აღქმა, უარესის მოლოდინი და ა.შ.;

(4) ე.წ. ზესიფიზიზი: მოუსვენრობა, ადვილად შეკრთომა, შფოთვა, ძილის დარღვევები, ბრაზი, რისხვის აფექტი, შესაძლო აგრესიულობა და ა.შ.

სამეცნიერო მტკიცებულების თანახმად, დაზარალებულთა შორის პოსტტრავმული სტრესული აშლილობის გავრცელება მნიშვნელოვანწილად აღემატება ზოგად მოსახლეობაში ამ დაავადების გავრცელების მაჩვენებლებს. მაგალითად, თუ ზოგად პოპულაციაში ქალ-

თა შორის ცხოვრების განმავლობაში პტსა-ს გავრცელება 10-11%-ია, დაზარალებულ ქალთა შორის ეს მაჩვენებელი 26%-ია (Norris & Slone, 2007). დაზარალებულებში პოსტტრავმული აშლილობის გავრცელება ვარირებს დანაშაულის სპეციფიკის შესაბამისად – მაგალითად, გაუპატიურების შემთხვევაში ტრავმირების მაჩვენებელი კაცებს შორის 65%-ს, ხოლო ქალებს შორის – 46%-ს უტოლდება, რაც ასევე ბევრჯერ აღემატება ზოგადი მოსახლეობის მონაცემებს (კაცები ზოგადი პოპულაციიდან – 5%, ქალები – 10-11%). მტკიცებულების თანახმად, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა აწუხებს არა მარტო დაზარალებულებს, არამედ მათ ოჯახის წევრებსაც – ცხოვრების მანძილზე ამ კონდიციის გავრცელება აქაც მნიშვნელოვანწილად აღემატება ზოგადი მოსახლეობის მაჩვენებელს (7-12%) და 23.3%-ს უტოლდება (Kilpatrick & Acierno, 2003). ეს მკაფიოდ ავლენს, რომ დაზარალებულის პრობლემური მდგომარეობა მოქმედებს მთელ ოჯახურ სისტემაზე, და თუ არ იქნა გაწეული სათანადო დახმარება, აქვეითებს კიდევ რამდენიმე ადამიანის ცხოვრების ხარისხსა და კეთილდღეობას.

სტრესული გამოცდილების შედეგად შესაძლოა, ასევე, განვითარდეს ე.წ. ნასწავლი უსუსურობა (Seligman, 1975): მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანს შეუძლია, იმ შემთხვევაში, თუ იმოქმედებს, გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა, მაგრამ სტრესული გამოცდილების ზეგავლენით თავს უსუსურად გრძნობს და უმოქმედოა, ფაქტობრივად – იმობილიზებულია.

დანაშაულის ფაქტი, განსაკუთრებით, თუ ის ძალადობრივია, ადამიანს უნგრევს მთელ რიგ ისეთ ილუზიებს, რასაც ფსიქოლოგიაში „საბაზოს“ ვუწოდებთ: ეს ის ილუზიებია, რომლებიც გვეხმარება თავი მეტ-ნაკლებად უსაფრთხოდ ვიგრძნოთ და ნორმალურად ვიცხოვროთ. ესენია: სამყაროს უსაფრთხოების, ცხოვრების სამართლიანობის, საკუთარი ცხოვრების კონტროლირებადობის, საკუთარი ხელშეუხებლობისა და სხვა ილუზიები (Janoff-Bulman, 1992). დანაშაულის შედეგად, ეს ილუზიები ქრება, ადამიანი თავს უსუსურად გრძნობს, სამყაროს – მტრულად. ამ დროს, ხშირად, საკომპენსაციოდ, ჩნდება ბრალეულობის განცდა: „მე ვარ დამნაშავე იმაში, რაც დამემართა!“ მიუხედავად იმისა, რომ ეს განცდა ადამიანს გარემოსა და საკუთარ ცხოვრებაზე დაკარგული კონტროლის გრძნობის საკომპენსაციოდ უჩნდება („თუ მე ვარ დამნაშავე იმაში, რაც დამემართა, ამის მერე სწორად და კარგად მოვიქცევი და არაფერი ამდაგვარი აღარ დამემართება“ (ჯავახიშვილი, 2008), ბრალეულობის გრძნობა დესტრუქცი-

ულია და ცუდად აისახება როგორც ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ასევე მისი ცხოვრების ხარისხზე.

1.4. „რა უნდა დაზარალებულს“: დაზარალებულის საჭიროებები

დანაშაულის პროცესში/სიტუაციაში ადამიანს შესაძლოა ჰქონდეს სამი სახის რეაქცია: შეზღოვება, გაქცევა, გაშეშება. ინგლისურ ენაზე ამ რეაქციებს „სამი F“-ს რეაქციებს უწოდებენ (Fight-Flight-Freeze). ეს ინსტინქტური რეაქციებია და რომელს მიმართავს ესა თუ ის ადამიანი ამა თუ იმ მუქარის სიტუაციაში, ძნელად პროგნოზირებადია. ამავდროულად, ხშირად ადამიანს, დანაშაულს დაქვემდებარების შემდგომ, აწუხებს ხოლმე შეკითხვა: „რატომ მოვიქეცი ისე, როგორც მოვიქეცი“ და ჰგონია, სხვანაირად რომ მოქცეულიყო, საქმე სხვანაირად (უკეთ) წავიდოდა. მაგალითად, ახალგაზრდა ქალს, რომელიც გაშეშების გამო ვერ შეეწინააღმდეგა დანით შეიარაღებულ მძარცველს, ჰგონია, რომ წინააღმდეგობა რომ გაეწია და შეზღოვებოდა, მძარცველი მასზე ვერ იძალადებდა (რაც, შესაძლოა, სინამდვილეში სრულიად პირიქით ყოფილიყო და წინააღმდეგობის გაწევით მძარცველი უფრო გახელდებოდა და უარესი ზიანი მიეყენებინა). ამასთან დაკავშირებით, ქალს შესაძლოა ბრალეულობის განცდაც ჰქონდეს.

ბრალეულობის განცდას დაზარალებულს შესაძლოა უმყარებდნენ სხვა ადამიანები მისი სოციალური გარემოცვიდან (ოჯახის წევრებისა და სამართალდამცავების ჩათვლით), რომლებიც, დაზარალებულის დადანაშაულების ფენომენის გავლენით, მის დაზარალებაში მასვე ადანაშაულებენ. ჯუდით ჰერმანმა, ქალებზე ძალადობის მკვლევარმა, სიღრმითი ინტერვიუების მეთოდით შეისწავლა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების ფსიქოლოგიური პრობლემები და მათი ტრავმული გამოცდილება. ჰერმანის მიერ შეგროვებული სამეცნიერო მტკიცებულებით, ამ ქალებისთვის ყველაზე მძიმე გამოცდილებები სწორედ რომ მათი ოჯახებისა და სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენელთა მხრიდან ამა თუ იმ ფორმით გამოხატული განსჯითი დამოკიდებულება და გაკიცხვაა (Herman, 1992; Herman, 2019).

კვლევის საფუძველზე ჯუდით ჰერმანი გამოყოფს დაზარალებულის შემდეგ **საჭიროებებს**: უსაფრთხოება, ზარალის აღიარება, ღირსების გაფრთხილება, ძალებისა და კონტროლის განცდის აღდგენა, საკუთარი ტრავმული გამოცდილების პირადი ნარატივის ჩამოყალიბება, მატრავმირებელი სიტუაციის შემახსენებელ სტიმულებთან ნაკ-

ლები შეხება, და ამ ყველაფრის საფუძველზე – შემდგომი შესაძლო ზიანის შემცირება.

ამავე კვლევის საფუძველზე, ჯუდიტ ჰერმანი პრიორიტეტულობის თანმიმდევრობით ალაგებს კვლევაში მონაწილე დაზარალებულ ქალების მოლოდინებს/მოთხოვნილებებს მართლმსაჯულების სისტემის მიმართ (Herman, 2019):

- **ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტები:** ფაქტების (მომხდარის) აღიარება (დაინტერესებული სუბიექტების მხრიდან იმის აღიარება, რაც მოხდა, ამას ნამდვილად ჰქონდა ადგილი; მიყენებული ზიანის აღიარება; გამართლება თემის/საზოგადოების (ანუ, გვერდიდან მაყურებლის) თვალში/მხრიდან.
- **შემდგომი პრიორიტეტები:** ბოდიშის მოხდა, სამართლიან რესტიტუცია, დამზარალებლის შერცხვენა და მისგან შემდგომი ზიანის აღბათობის შემცირება, მისი ქცევის ცვლილება.
- **ნაკლებად პრიორიტეტულია:** დამზარალებლის დასჯა, მასზე შურისძიება, მისთვის პატიება და მასთან შერიგება.

დანაშაულს დაქვემდებარება, ასევე, დაკავშირებულია მრავლობით დანაკლისთან (ილუზიების, უსაფრთხოების განცდის, ცხოვრების კონტროლირებადობის, და ა.შ.). ნებისმიერი დანაკლისის განცდა, რათა დაიძლიოს, საჭიროებს გამოგლოვებას (Volkan, 2006). გლოვა არ გულისხმობს მიანიცადამინც ტირილსა და გოდებას. იგი გულისხმობს დანაკლისის აღიარებას, დანაკლისთან დაკავშირებული ემოციებისგან გათავისუფლებას, დანაკლისთან დაკავშირებული ცვლილებების მიღებასა და დანაკლისში საზრისის ჩადებას (Hopper, 2003). საზრისის ჩადება კომპლექსური აქტია და გულისხმობს ადამიანის მიერ ორი საკვანძო საფეხურის გავლას: ახსნას იმისა, თუ რა მოხდა და გაცნობიერებას იმისა, თუ რა შესძინა მას დანაკლისმა პიროვნული ზრდის თვალსაზრისით (Neimeyer, 2002). აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობა ადამიანს ამ შინაგანი ეგზისტენციური მუშაობის განხორციელებაში ეხმარება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მას საზრისის ჩადების პირველი საფეხურის (ახსნის) განხორციელებაში. მაგალითად, მედიაციის პროცესი ეხმარება ადამიანს, გასცეს პასუხი იმ შეკითხვებზე, რაც მას გადატანილ გამოცდილებასთან დაკავშირებით აქვს. ჰოვარდ ზეჰრის მიხედვით, შესაძლებელია გამოვყოთ ექვსი ამგვარი შეკითხვა (Zehr, 2015):

- რა მოხდა?
- რატომ დამემართა მაინცადამაინც მე?
- რატომ მოვიქეცი ისე, როგორც მოვიქეცი მაშინ?
- რატომ ვიქცევი ისე, როგორც ვიქცევი იმის მერე?
- რა მოხდება, ისევ რომ შემემთხვას ანალოგიური?
- რას ნიშნავს ის, რაც მოხდა – ჩემთვის და ჩემი ცხოვრებისთვის?

შესაძლოა ყოველ კონკრეტულ ადამიანს მეტი ან ნაკლები, მსგავსი ან კიდევ დამატებით სხვა შეკითხვები გაუჩნდეს თავის შემთხვევასთან დაკავშირებით – ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი ისაა, რომ მედიაციის პროცესი აძლევს საშუალებას დაზარალებულს გასწიოს შინაგანი მუშაობა, რათა ამ შეკითხვებზე პასუხები თავად მონახოს. ამ შეკითხვებზე სხვა ვერ გასცემს პასუხს, რამდენადაც ეს ეგზისტენციური შეკითხვებია.

1.5. დისკუსია მცირე ჯგუფებში, 15 წთ:

[გთხოვთ, მოცემული მასალის საფუძველზე, იმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება დაეხმაროს აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესი დაზარალებულს მის ტრავმულ გამოცდილებასთან გამკლავებაში].

დისკუსიის დაჯამებისას შესაძლებელია საუბარი შემდეგზე: მედიაციაში ჩართვას და მედიაციის პროცესში მონაწილეობას აქვს პოტენციალი, დაეხმაროს ადამიანს დანაშაულის (დაზარალებულობის) ტრავმასთან გამკლავებაში. აქ ხდება მისი ზარალის აღიარება – რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ხდება მოლაპარაკება ზარალის კომპენსაციაზე, ხდება იმ ემოციების ვალიდიზაცია, რომელსაც ადამიანი განიცდის და შესაძლოა ვერც უმჟღავნებს უახლოეს სოციალურ გარემოცვას (რამდენადაც არა აქვს იმედი, რომ სწორად გაუგებენ), ხდება დაზარალებულის მხრიდან ბოდიშის მოხდა და ა.შ.

საშინაო დავალება: სავალდებულო საკითხავი

- Bewster, M., Tacker, J. (2016). Understanding Bystander behavior: The Influence of and Interaction between Bystander Characteristics

and Situational Factors. In: Victims & Offenders. An International Journal of Evidence-based Research, Policy, and Practice. Volume 11, 2016 – Issue 3. Pp: 455-481.

- Kilpatrick, Dean & Acierno, Ron (2003). Mental Health Needs of Crime Victims: Epidemiology and Outcomes. In: Journal of Traumatic Stress, Vol. 16, No. 2, April 2003, pp. 119-132.
- Spatz Widoma, Cathy, Czajaa, Sally and Duttonb Mary Ann (2008). Childhood victimization and lifetime re-victimization. In: Child Abuse Neglect. 2008 August, 32(8): 785-796.
- Zehr, Howard (2015). Changing Lenses – Restorative Justice for Our Times/Fifty-Fifth Anniversary Edition/Herald Press, harrisonburg, Virginia, Kitchener, Ontario.

2. დამზარალებლის ფსიქოლოგიური მახასიათებლები

მოცემული ქვეთავის მიზანია დამზარალებლის ფსიქოლოგიური მახასიათებლების გაცნობა.

ამოცანები:

- დამზარალებლის ფსიქოლოგიური მოწყვლადობისა და განსაკუთრებული საჭიროებების გაცნობიერება
- დანაშაულის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და მორალურ განსჯასთან დაკავშირებული რისკფაქტორების გაცნობიერება
- აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში ჩართვა, როგორც დაცვითი ფაქტორი

1.3. „დაზარალებული მარსიდანაა და დამზარალებელი ვენერადან?“

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ქვეთავში ზოგადად „დამზარალებელზე“ ვმსჯელობთ, თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტერმინი პირობითია და არაჰომოგენურ ჯგუფს გულისხმობს – ზუსტად ისევე, როგორც დაზარალებულისა და გვერდიდან მყოფების შემთხვევაში.

მოცემული ქვეთავის დასაწყისშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ სათაურში დასმულ შეკითხვაზე პასუხი უარყოფითია. დამზარალებული-

სა და დამზარალებლის გამიჯვნა ყოველი კონკრეტული დანაშაულის შემთხვევაშია შესაძლებელი, მაგრამ ცხოვრების ციკლის პერსპექტივიდან თუ შევხედავთ ამ ორ ჯგუფს, ისინი ერთმანეთთან იკვეთება: არსებობენ დაზარალებულები, რომლებიც სხვას აზარალებენ; არიან დამზარალებლები, რომლებიც თავად იყვნენ ან არიან დაზარალებული ცხოვრების ამა თუ იმ მონაკვეთში, შესაძლოა – დაზარალების მომენტშიც. ამის ერთ-ერთი მაგალითია ე.წ. მობუღინგე ბუღინგის მსხვერპლი, რომელიც, კვლევის თანახმად, ბევრად უფრო ხშირ და ინტენსიურ ბუღინგს ექვემდებარება, ვიდრე „არამობუღინგე ბუღინგის მსხვერპლი“ (Dulmus, 2006). შეგვიძლია მოვიყვანოთ კიდე უფრო მძიმე დამნაშავის მაგალითიც – საბჭოთა პერიოდის 1980-იანი წლების მოქმედი სერიული მკვლეელი, პედოფილი, კანიზალი ანდრეი ჩიკატილო, რომელმაც 50-ზე მეტი ადამიანი მოკლა. მისი ბიოგრაფიის კვლევამ გამოავლინა, რომ ჩიკატილო ბავშვობაში თავად იყო ძალადობის მსხვერპლი და, სავარაუდოდ, ტრავმირებული (ჩვამანია, 2016). კერძოდ, იგი უკრაინაში დაიბადა და მისმა ოჯახმა ე.წ. გოლოდომორი (საბჭოთა ხელისუფლების მიერ უკრაინელი ხალხის დამორჩილების მიზნით ხელოვნურად ორგანიზებული შიმშილობა) გამოიარა, რომლის დროსაც მილიონობით უკრაინელი დაიღუპა. ჩიკატილოს უფროსი ძმა უგზო-უკვლოდ დაიკარგა და ჩიკატილო ბავშვობაში დედის მხრიდან რეგულარულად ისმენდა მონათხრობს იმის თაობაზე, რომ მისი უფროსი ძმა შეჭამეს გოლოდომორის დროს. ჩიკატილოს დედა ფიზიკურად ძალადობდა მასზე, როდესაც ის ბავშვი იყო. მამამისი ომში იბრძოდა, ტყვედ ჩავარდა, დაბრუნების შემდგომ ხალხის მტრად იქნა გამოცხადებული და გადაასახლეს. არსებობს ვერსია, რომ ბავშვობაში, მაშინ როდესაც მისი სოფელი გერმანელებს ჰქონდათ დაკავებული, იგი სხვა ბავშვებთან ერთად თანასოფლელების დახვრეტის სცენის მოწმეც გახდა, და ა.შ. რასაკვირველია, ძალადობის ეს გამოცდილება, ცალკე ალებული, ვერ ახსნის მის ჩამოყალიბებას ბოროტმოქმედად, მაგრამ ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ დამზარალებელისა და დაზარალებულის როლები არ არის ურთიერთგამომრიცხავი.

დაზარალებისა და ტრავმირების გამოცდილება არათუ უცხო არ არის დამზარალებლის როლში მყოფთათვის, არამედ კანონთან კონფლიქტში შესვლის რისკფაქტორია. ამ მხრივ საინტერესოა ამერიკაში ჩატარებული კვლევების მონაცემები, რომელთა თანახმად ამერიკის მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ არასრულწლოვანთა 70% აკმაყოფილებდა ფსიქიკური ჯანმრთელობის ამა თუ იმ დიაგნოზის კრიტერიუმებს, ხოლო 30% – პოსტტრავმული სტრესული აშლილობის კრიტერიუმებს (Dierkhsing et al, 2013). შესაძარებლად: ზოგად

მოსახლეობაში, მოზარდთა შორის პტსა-ს მაჩვენებლები ცხოვრების განმავლობაში იყო 10% გოგოებს შორის და 6% ბიჭებს შორის; მრავალჯერადი სექსუალური ძალადობის მსხვერპლ გოგონებში სიცოცხლის მანძილზე პტსა-ს მაჩვენებელი იყო 34%, ბიჭების შემთხვევაში – 41% (Friedman et al, 2007).

მსგავსად ამერიკის მონაცემებისა, საქართველოში 2010 წელს ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ პტსა-ს შესაბამისი სიმპტომები ჰქონდა გამოკვლეულ არასრულწლოვანთა 70%-ს. გარდა ამისა, პერსონოლოგიური აშლილობის სიმპტომები აწუხებდა 61%-ს, ქცევითი აშლილობისა – ასევე, 61%-ს, გუნება-განწყობილების აშლილობისა – 36%-ს და შფოთვის – ასევე, 36%-ს. კვლევამ გამოავლინა, რომ სტრესის მიმართ დაქვემდებარება, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ტრავმის სიმპტომები, ხდებოდა როგორც მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრამდე, ასევე იქ მოხვედრის შემდგომ (მახაშვილი და ყვავილაშვილი, 2010).


გამომდინარე ზემოთქმულიდან, დამზარალელების სოციალურ რეინტეგრაციაზე ზრუნვისას მნიშვნელოვანია ვუპასუხოთ მის მთელ რიგ ბიო-ფსიქო-სოციალურ (განსაკუთრებულ) საჭიროებებს, მათ შორის – ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებებს.

1.3. დანაშაულის ჩადენის ზოგიერთი რისკის ფაქტორი

ასაკი, როგორც რისკის ფაქტორი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი აღიარებული ანგარიში უსვამს ხაზს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები გლობალურად მოსახლეობის კრიმინალურად ყველაზე აქტიურ სეგმენტს წარმოადგენენ, მათი უმრავლესობა, საბოლოოდ, თავს ანებებს სამართალდარღვევებს და ღირსეულ მოქალაქედ ყალიბდება (UN, 2005). ამ მხრივ, განსაკუთრებული როლი ეკისრება გარემოს და მასში არსებულ დამცავ ფაქტორებს: იმას, თუ რამდენად არის იგი ხელშემწყობი, კეთილგანწყობილი, სამართლიანი, ადამიანის უფლებების გამთვალისწინებელი, ღირსების გაფრთხილება და ზრუნვაზე ორიენტირებული. თუ გარემო პირიქით, არაკეთილგანწყობილი და საუარესო შემთხვევაში – ძალადობრივია, ეს ადამიანს მნიშვნელოვანი რისკების წინაშე აყენებს (ჯავახიშვილი და მახაშვილი, 2012).

ბავშვობის მძიმე გამოცდილებები, როგორც რისკის ფაქტორი. ვინსენტ ფელიტიმ გასული საუკუნის 90-იან წლებში, კოლეგებთან ერთად, ჩაატარა უაღრესად მნიშვნელოვანი კვლევა, რომლითაც

დაამტკიცა, რომ ის ბავშვები, რომელთაც ბავშვობაში ისეთი მძიმე გამოცდილებები აქვთ გადატანილი, როგორცაა სხვადასხვა სახის ძალადობა და უფლებებელყოფა, განიცდიან პრობლემათა მთელ რიგს ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დონეზე. ამ პრობლემებს შორისაა: სოციალური, კოგნიტიური და ემოციური უნარების დეფიციტი; ჯანმრთელობისთვის და სოციალურად სარისკო ქცევა; შესაბამისად – მათში უფრო მაღალია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული და სოციალური პრობლემები (დელინქვენტობისა და კანონთან კონფლიქტის ჩათვლით), და შედარებით ნაკლებია სიცოცხლის ხანგრძლივობა (Felitti et al, 1998):



დიაგრამა 2.2: ვისნეტ ფელიტის ბავშვობის მძიმე გამოცდილებების კვლევა

ბავშვობის მძიმე გამოცდილებების, როგორც დელინქვენტური ქცევის რისკის ფაქტორის გააზრება შესაძლებელია ე.წ. სოციალური კონტრაქტის ცნების შუქზე. სოციალური კონტრაქტის ცნება განმანათლებელთა ეპოქაში გაჩნდა (ჟან ჟაკ რუსოს, ჯონ ლოკის, თომას ჰობსის და სხვათა ნააზრევში), ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დასახასიათებლად. ის ასახავს, თუ რამდენად ლეგიტიმურად და ავტორიტეტულად აღიქვამს ინდივიდი სახელმწიფოს და რამდენად მზად არის დათმოს თავისი უფლებების ნაწილი სახელმწიფოს მხრიდან სხვა უფლებების დაცვის სანაცვლოდ. ანალოგიურად, შესაძლებელია განვიხილოთ ოჯახის ვითარება: ბავშვსა და მასზე მზრუნველ(ებ)ს შორის ასევე არსებობს ერთგვარი სოციალური კონტრაქტი – მზრუნველს აქვს მთელი რიგი უფლებებისა ბავშვზე, რის

სანაცვლოდ მან მისი დაცულობა, უსაფრთხოება და განვითარებისთვის ადეკვატური პირობების შექმნა უნდა უზრუნველყოს. თუ ბავშვი მზრუნველისგან უსაფრთხოების ნაცვლად ძალადობას და/ან იგნორირებას იღებს, ეს არღვევს მათ შორის არსებულ დაუწერელ კონტრაქტს და ბავშვს შესაძლოა გაუჩნდეს სკეპტიკური დამოკიდებულება სოციალური ნორმებისა და ზრდასრულთა სამყაროს წესების მიმართ. ეს კი, დელინქვენტობისა და კანონის დარღვევის რისკის ფაქტორია (Cook et al, 2003; Buffington et al, 2010).

ბავშვობის მძიმე გამოცდილებები თამაშობს რისკის ფაქტორის როლს როგორც დელინქვენტური თუ კანონის მიმართ კონფლიქტური ქცევის განხორციელების თვალსაზრისით, ასევე დაზარალებულის როლში აღმოჩენის თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზევით აღწერილი რისკებისა, ბავშვობის მძიმე გამოცდილებები და/ან ფსიქოლოგიური ტრავმა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ერთმნიშვნელოვნად იმას, რომ ადამიანი ან მოძალადე გამოვა, ან დანაშაულს ჩაიდენს, ან დანაშაულს დაექვემდებარება. რისკფაქტორების პარალელურად, მოქმედებს მთელი რიგი დამცავი ფაქტორები, რომელთაც ქვევით შევხებით და რომელთაც შესაძლოა გაანეიტრალონ ბავშვობის ესა თუ ის მძიმე გამოცდილება.

მორალური განსჯის დეფიციტი, როგორც რისკის ფაქტორი. ადამიანის მხრიდან სხვა ადამიანისა თუ ამა თუ იმ სუბიექტის დაზარალება, დელინქვენტური ქცევა, კანონთან კონფლიქტში შესვლა, შემთხვევათა უმრავლესობაში, დაკავშირებულია მორალური განსჯის დეფიციტთან. ეს, შესაძლოა, მორალური განვითარების შეფერხების ინდიკატორი იყოს. მორალური განსჯის განვითარებაზე მუშაობა დამზარალებელთა რეაბილიტაციის მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

ამერიკელმა მეცნიერმა, ლოურენს კოლბერგმა, გამოყო მორალური განსჯის განვითარების სამი ძირითადი დონე: პრეკონვენციური, კონვენციური და პოსტკონვენციური. თითოეული ეს დონე, თავის მხრივ, აერთიანებს ორ ქვედონეს ანუ, მორალური განვითარების კონკრეტულ სტადიებს (Kohlberg, 1983):

პრეკონვენციური დონე

სტადია პირველი: ადამიანი იქცევა ზნეობრივად, ან იცავს მის სოციალურ კონტექსტში არსებულ ნორმებს, ან კანონმორჩილია, რადგან თვლის, რომ მხოლოდ ასე შეძლებს დასჯის თავიდან აცილებას. ამგვარი ქცევა ადრეული ბავშვობის ასაკისთვისაა დამახასიათებელი

ლი, თუმცა არც თუ ისე იშვიათია ზრდასრულებში (მაგ., ის მძლოლე-ბი ან მგზავრები, რომლებიც უსაფრთხოების ქამარს ჯარიმის შიშის მოტივით იკეთებენ).

სტადია მეორე: ადამიანი იქცევა ზნეობრივად, ან იცავს მის სოციალურ კონტექსტში არსებულ ნორმებს, ან კანონმორჩილია, რათა ჯილდო (რეალური თუ სიმბოლური) დაიმსახუროს. აქ წამყვანი მოტივი სარგებლის მიღებაა. მაგალითად: ბავშვი კვირის მანძილზე კარგად სწავლობს, რათა შაბათს მშობელმა კინოში წაიყვანოს. ამგვარი ქცევა მოზარდობამდელი ასაკისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ხშირად ვხვდავთ ზრდასრულებშიც.

კონვენციური დონე

სტადია მესამე: ადამიანი იზიარებს სრულად ქცევის იმ წესებს, რაც მის სოციალურ წრეშია მიღებული. ამგვარი ქცევა მოზარდისთვის არის დამახასიათებელი: მაგალითად, მოზარდი შესაძლოა ეწეოდეს ან რეკრეაციულ ნარკოტიკებს მოიხმარდეს, რადგან მის წრეში ასეა მიღებული. ამგვარი ქცევა ზრდასრულ ასაკშიც ხშირია: მაგ., ე.წ. კანონიერი ქურდების თემი. ამ სტადიაზე მყოფი ადამიანი უკრიტიკოა იმ წესებისა და ნორმების მიმართ, რაც მის წრეშია გამეფებული და საკუთარ თავსაც ამ ნორმებიდან გამომდინარე აფასებს.

სტადია მეოთხე: ამ სტადიაზე ადამიანი არის კანონმორჩილი მოქალაქე. ის სრულად ემორჩილება კანონს, გინდაც ეს კანონი აბსურდული იყოს. ამის იუმორით გაჯერებული ილუსტრაციაა ძველი იტალიური კინოკომედია „კანონი კანონია“: ფილმის გმირი, დაბადებული საფრანგეთისა და იტალიის საზღვარზე, ზრდასრულობაში კარგავს იტალიის მოქალაქეობას, რადგანაც ის ტერიტორია, სადაც იგი დაიბადა, უკვე საფრანგეთის კუთვნილებაშია. ამავე დროს, ვერ იღებს საფრანგეთის მოქალაქეობას, რადგანაც იმ დროს, როდესაც დაიბადა, მისი დაბადების ადგილი არ იყო საფრანგეთის ტერიტორია. როგორც იტალიელი, ასევე ფრანგი პოლიციელები ბრმად მისდევნენ საკანონმდებლო ნორმებს და ადამიანი „ცასა და დედამიწას შორის გამოკიდებული“ რჩება. მორალური განვითარების მოცემულ სტადიაზე ადამიანები მაშინაც კი იჩენენ კანონმორჩილებას, როდესაც არსებული კანონმდებლობა, ზოგადასაკაცობრიო ფასეულობებიდან გამომდინარე, ეწინააღმდეგება ჰუმანისტურ, თუ სამოქალაქო, თუ დემოკრატიულ პრინციპებსა და ფასეულობებს.

პოსტკონვენციური დონე

სტადია მეხუთე: ადამიანი აცნობიერებს კანონმდებლობასა და სხვადასხვა ზნეობრივ „ათვლის სისტემას“ შორის არსებულ წინააღმდეგობებს და იმუშავებს საკუთარ მრწამსს იმის თაობაზე, თუ რა არის ზნეობრივი და რა – არა; ეძებს თანამოაზრეებს, ვისთანაც „ერთი ათვლის სისტემა“ ექნება. ამგვარ ქცევას ხშირად ვხვდებით სოფლიდან ქალაქში მიგრაციის დროს.

სტადია მეექვსე: პიროვნება აყალიბებს საკუთარ ზნეობრივ კოდექსს, დაფუძნებულს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე და მოქმედებს მის ცხოვრებაში გასატარებლად, შესაბამისი ცვლილებების ინიციაციისთვის. ეს სამოქალაქო აზროვნებასა და გაბედულებას მოითხოვს და რიგ შემთხვევებში ადამიანს, შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დაუფუძღვას – მაგალითად, ილია ჭავჭავაძე.

დამზარალბელი, მაშინ როდესაც დანაშაულს სჩადის, შესაძლოა, საკუთარ წრეში გამეფებული ასოციალური ნორმების თანახმად მოქმედებდეს; ანუ, მორალური განვითარების მესამე სტადიაზე იყოს. თუ მას კონვენციური მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის) ღონისძიებებით ვუპასუხებთ, იგი, სავარაუდოდ, კოლბერგის კლასიფიკაციით, პირველ ან მეორე პრეკონვენციურ სტადიაზე „ჩავა“ (დასჯის შიშით, ან წახალისების მოლოდინის მოტივით კანონმორჩილი ქცევა). ამავე დროს, თუ მას აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში ჩაერთავთ, მაშინ გაჩნდება შესაძლებლობა, რომ მორალური განვითარების მესამე სტადიიდან მეოთხეში გადავიყვანოთ – სადაც იგი გაიგებს თავისი საქციელით სხვისთვის მიყენებულ ზიანს, და შეეცდება მის გამოსწორებას. აქედან გამომდინარე, ეს ბევრად უფრო მდგრადი შედეგი იქნება მომავალში რეციდივიზმის თავიდან ასაცილებლად და საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის.

2.3. აღდგენითი მართლმსაჯულება, როგორც დაზარალბულის და დამზარალბელის დეჰუმანიზების გადალახვის შესაძლებლობა

დანაშაულის შემდგომ, როგორც დაზარალბულის, ასევე დამზარალბელის საზოგადოებაში დაბრუნების გასაღები მათ მიმართ არსებული დეჰუმანიზაციის გადალახვაშია.

დამზარალბელისთვის მისი მსხვერპლი დეჰუმანიზებულია, იგი მას ინდივიდად არ აღიქვამს და რიგ შემთხვევებში არც უნდა, რომ აღიქვას. არსებობს მაგალითები, რომელთა თანახმადაც, სახლებში

გასაქურდად შესული დამზარალელები იქ არსებულ ოჯახის წევრთა ფოტოებს კედლისკენ ატრიალებენ, რათა „თვალი აარიდონ“, არ დაინახონ, ადამიანებად არ აღიქვან – წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გაუჭირდებათ მათთვის ზარალის მიყენება; ისეთი სასტიკი დამნაშავეც კი, როგორც ჩიკატილო იყო, თავის მსხვერპლს თვალებს უხვევდა (ჩვამანია, 2016). დამზარალელები, რათა გააცნობიეროს, თუ რა ზარალი მიაყენა დაზარალებულს და, შესაბამისად, იგრძნოს თავისი პასუხისმგებლობა, მნიშვნელოვანია პირისპირ შეხვდეს დაზარალებულს – რის საშუალებასაც აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში მედიაცია იძლევა.

დაზარალებულისთვისაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს დამზარალელებელთან შეხვედრა, რათა მისი მისტიფიცირებული აღქმა და შიში გადალახოს, დაინახოს, რომ ის ჩვეულებრივი ადამიანია, შესაძლოა თვითდაურწმუნებელი, არარეალიზებული, არასრულფასოვნების კომპლექსის მქონე და სწორედ ამიტომ წამსვლელი სხვებისთვის ზარალის მიყენებაზე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია დამზარალელების მიმართ არსებული დეჰუმანიზაციის გადალახვა. როგორც კი შედის მართლმსაჯულების სისტემაში, დამზარალელებელი დეჰუმანიზებულია: საზოგადოების თვალში იგი „დამნაშავეა“, „კრიმინალი“ და, ამდენად, არის სტიგმატიზებული და დეჰუმანიზებული; მართლმსაჯულების სისტემის თვალში კი იგი ჯერ „ბრალდებულია“, შემდგომ – დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში – „მსჯავრდებული“, და თუ თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა – „პატიმარი“. სამივე ეს იპოსტასი გულისხმობს, რომ დამზარალელებელი „განსუბიექტებულია“, ანუ ხდება სისტემის ზემოქმედების ობიექტი და, ამგვარად, დეჰუმანიზებულია. დამზარალელებელი ამ დეჰუმანიზების მსხვერპლად გრძნობს თავს და დიდია ალბათობა, რომ იმის მაგივრად, კათარზისი განიცადოს, დანაშაულის გამო პასუხისმგებლობა გააცნობიეროს და მორალურ განვითარებაში წინ წაიწიოს, პირიქით – თავდაცვით პოზიციაში ჩადგება. ამის საწინააღმდეგოდ, დამზარალელებელში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანის დანახვა საზოგადოებისა და მართლმსაჯულების სისტემის თვალში მის ჰუმანიზაციას ეხმარება, რაც, თავის მხრივ, ამ საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვასა და მის საზოგადოებაში დაბრუნებას შეუწყობს ხელს.

2.4. ჯგუფური დისკუსია, 15 წუთი:

[მონაწილეებს ვთხოვთ იმსჯელონ იმაზე, თუ რა შესაძლებლობებს აძლევს ალდგენითი მართლმსაჯულება დამზარალებელს საზოგადოებასთან ინტეგრაციისთვის.]

საშინაო დავალება: სავალდებულო საკითხავი

- Buffington, Kristine, Dierkhising, Carly, Marsh, Shawn. (2010). Ten Things Every Juvenile Court Judge Should Know About Trauma and Delinquency. The National Child Traumatic Stress Network.
- Dierkhising, Carly, Ko, Susan, Woods-Jaeger, Briana, Briggs, Ernestine, Lee, Robert and Pynoos Robert (2013). Trauma histories among justice-involved youth: finding from the National Child Traumatic Stress Network. In: European Journal of Psychotraumatology, 2013: 4. 20274.

გამოყენებული ლიტერატურა:

მახაშვილი, ნინო, ყვავილაშვილი, ნატო (2010). ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ავჭალის სააღმზრდელო დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვანთა შორის საქართველოში. კვლევის ანგარიში.

ჩვამანია, გვანცა (2016). სერიული მკვლეელი და ბავშვობის მძიმე გამოცდილებები ანდრეი ჩიკატილოს ბიოგრაფიის ანალიზის მაგალითზე. გამოუქვეყნებელი სამაგისტრო ნაშრომი.

ჯავახიშვილი, ჯანა (2008). ტრავმის გავლენა ბავშვებსა და მოზარდებზე. სარჯველაძე, ნოდარი, ბებერაშვილი ზურაბი, ჯავახიშვილი, ჯანა, მახაშვილი, ნინო, სარჯველაძე, ნატალია (2008). ტრავმა და ფსიქოლოგიური დაზიანება. მესამე გადაამუშავებული გამოცემა. თბილისი: ნეკერი.

ჯავახიშვილი, ჯანა და მახაშვილი, ნინო (2012). არასრულწლოვანთა დელინქენტობის პრევენცია: ფსიქოსოციალური სერვისის გამოცდილება. თბილისი: ნეკერი.

Cohen, S. (1993). Human rights and crime of the state: The culture of denial. Australian and New Zealand Journal of Criminology, 26, 97-115

- Cook, Alexandra, Blaustein, Margaret, Spinazzola, Jozef, Van Der Kolk, Bessel (2003). *Complex Trauma in Children and Adolescents White Paper* from The National Child Traumatic Stress Network task Force.
- Bewster, M., Tacker, J. (2016). Understanding Bystander behavior: The Influence of and Interaction between Bystander Characteristics and Situational Factors. In: *Victims & Offenders. An International Journal of Evidence-based Research, Policy, and Practice*. Volume 11, 2016 – Issue 3. Pp: 455-481.
- Cohen, Judith, Mannarino, Anthony, Deblinger, Esther. (2017). *Treating Trauma and Traumatic Grief in Children and Adolescents*.
- Dulmus, C. N., Sowers, K. M., & Theriot, M. T. (2006). Prevalence and Bullying Experiences of Victims and Victims Who Become Bullies (Bully-Victims) at Rural Schools. *Victims & Offenders*, 1(1), 15–31.
- Felitti, V.J., Anda, R.F., Norderberg, D., et al.(1998). Relationship of childhood abuse and Household Dysfunction to many of the leading causes of death in adults: the adverse childhood experiences (ACE) study. *American Journal of Preventive Medicine*. Vol.14(4), Pp: 245-258.
- Friedman, Matthew, Keane, Terence, Resick, Patricia (2007). *The Handbook of PTSD. Science and Practic*. The Guilford Press.
- Herman, Judith (1997). *Trauma and recovery: the aftermath of violence – from domestic abuse to political terror*. New York: BasicBooks.
- Herman, Judith (2019). *Truth and Reconciliation: Envisioning Justice from the Victim’s Perspective*. Key Note Speech at the International Society for Traumatic Stress Studies Annual Meeting in Boston, USA.
- Höfler, Katrin (2016). Types of Offenders—A Criminological Perspective in Historical Contexts. In: *Legal Certainty in a Contemporary Context*. Springer. Pp: 169-177.
- Hopper, E. (2003). *Traumatic Experience in the Traumatic Life of Groups: The Forth Basic Assumption: Incohesion: Aggregation/Massification or (ba) I:A/M*. London & New York: Jessica Kingslay Publishers;
- Janoff-Bulman, Ronnie (1992). *Shattered Assumptions*. New York: Free Press.
- Kilpatrick, Dean & Acierno, Ron (2003). Mental Health Needs of Crime Victims: Epidemiology and Outcomes. In: *Journal of Traumatic Stress*, Vol. 16, No. 2, April 2003, pp. 119-132.

- Reichert, Elizabeth, Segal, Caroline, Flannery-Schroeder, Ellen (2015). Trauma, Attentional Biases, and Revictimization Among Young Adults. In: *Journal of Trauma & Dissociation*, March 2015, 16(2). Pp:1-16.
- Kohlberg, Lawrence; Charles Levine; Alexandra Hewer (1983). *Moral stages : a current formulation and a response to critics*. Basel, New York: Karger.
- Lavy, Ina, Ben-David, Sara (2008). Blaming Victims and Bystanders in the Context of Rape. In: Ronel, N., Jaishankar, M., Ben-Simon, M. (eds). (2008). *Trends and Issues in Victimology*. Cambridge Scholars Publishing.
- Norris, Fran & Slone, Laurie (2007). Epidemiology of PTSD. In: Friedman, M., Keane, T., Resick, P. (eds.), *The Handbook of PTSD*. The Guilford Press. Pp: 78-99.
- Lickel, B., Schmader, T., & Hamilton, D. L. (2003). A case of collective responsibility: Who else was to blame for Columbine high school shootings? *Personality and Social Psychology Bulletin*, 29, 194-204.
- Mendelsohn, Benjamin (1976). Victimology and contemporary society's trends. In: *Victimology*, 1(1), 8-28.
- Neimeyer, R. A., Prigerson, H. G., Davies, B. (2002). Mourning and meaning. *American Behavioral Scientist*, Vol.46, Pp: 235-251.
- Sanchez, Shanell (2019). Victims and Victims Typologies. In: Burke, Alison, Carter, David, Fedorek, Brian , Morey, Tiffany, Rutz-Burri, Lore and Sanchez, Schanel (2019). *Introduction to The American Criminal Justice System*. SOU-CCJ230.
- Seligman, Martin (1975). *Helplessness: On Depression, Development, and Death*. San Francisco: W.H. Freeman.
- Spatz Widom, Cathy, Czaja, Sllly J., Dutton, Mary Ann (2008). Childhood Victimization and Lifetime Revictimization. In: *Child Abuse & Neglect*. 2008, Aug: 32 (8). Pp. 785-796). <http://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC2572709/>
- Volkan, V.D. (2006). What Some Monuments Tell us about Mourning and Forgiveness. In: Barkan, E., Karn, A. (eds), *Taking Wrongs Seriously: Apologies and Reconciliation*. Stanford, CA: Stanford University Press. Pp:115-131.
- Von Hentig, H. (1948). *The criminal and his victim: Studies in the sociobiology of crime*. In: New Haven: Yale University Press.

United Nations World Youth Report, 2005 <http://www.un.org/esa/socdev/nyin/wyr05.htm>

Zehr, Howard (2015). *Changing Lenses – Restorative Justice for Our Times/ Fifty-Fifth Anniversary Edition*/Herald Press, harrisonburg, Virginia, Kitchener, Ontario.

თავი III

მედიაცია აღდგენით მართლმსაჯულებაში

ჯანა (დარეჯან) ჯავახიშვილი

ძირითადი მიზანია: მედიაციის თაობაზე სტუდენტების და მონაწილეების მიერ ღრმა და სისტემური ცოდნის მიღების ხელშეწყობა.

მასალის გავლის შემდგომ, სტუდენტებს და მონაწილეებს ეცოდინებათ

- მედიაციის არსი და ფასეულობები
- დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის (victim-offender mediation) პრინციპები და სტანდარტები
- დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის პრაქტიკა, პროცესის დინამიკა და ფაზები
- მედიატორის პროფესიული როლი და საკვანძო უნარ-ჩვევები

სასწავლო აქტივობები და მეთოდოლოგია:

- ცოდნის კუმულირება ინფორმაციის გადაცემის, შესაბამისი რეფლექსიისა და ინტერაქტიული სწავლების გზით;
- ცოდნის მიღებისა და გაღრმავების უზრუნველყოფა საკითხავი მასალის (შესაბამისი ლიტერატურა, დოკუმენტაცია და ა.შ.) ინდივიდუალურად დამუშავების გზით;
- კურსის მსვლელობაში ათვისებული კრიტიკული განწყობებისა და სოციალური უნარების გავარჯიშება პირადი რეფლექსიისა და ჯგუფური დისკუსიების გზით.

დროის ჩარჩო:

4 საკონტაქტო საათი (2 ორსაათიანი სესია) + 8 საათი ინდივიდუალური კითხვისა და მომზადებისა.

გეგმა:

1. სესია პირველი: მედიაციის არსი და დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაცია (2 საათი):
 - 1.1. მედიაციის რაობა, მიზანი და ფასეულობები
 - 1.2. დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის პრინციპები და სტანდარტები
2. სესია მეორე: დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის პრაქტიკა და მედიატორი (2 საათი):
 - 2.1. მედიაციის პრაქტიკა
 - 2.2. მედიატორის როლი და უნარ-ჩვევები
 - 2.3. შემთხვევის განხილვა, 30 წუთი

1. მედიაციის არსი

მოცემული ქვეთავის მიზანია მედიაციის არსის წვდომა.

შესაბამისი ამოცანებია:

- მედიაციის რაობის, მიზნისა და ფასეულობების გაცნობა
- დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის პრინციპების გაცნობა

1.1. მედიაციის რაობა, მიზანი და ფასეულობები

მედიაცია, სიტყვასიტყვით, შუამავლობას ნიშნავს. მედიატორი არის შუამავალი კონფლიქტის მდგომარეობაში მყოფ მხარეებს შორის. ცნება კონფლიქტს ამ კონტექსტში ვიყენებთ ჯონ პოლ ლედერაჰის მიერ შემოთავაზებული ყველაზე ზოგადი მნიშვნელობით – როგორც მხარეებს შორის უთანხმოებას მატერიალური და/ან სიმბოლური რესურსის განაწილების თაობაზე (Lederah & Moiese, 2009).

მედიაციის მიზანია მხარეებს შორის შექმნილი უთანხმოების მოგვარება იმგვარად, რომ ყველა ჩართული მხარე (და, შესაბამისად, მათი ინტერესები და საჭიროებები) დაკმაყოფილებული იყოს. ამის მისაღწევად, მედიაცია ხელს უწყობს მხარეებს შემდეგში:

- **მიაღწიონ ურთიერთგაგებას**, რაც გულისხმობს კომუნიკაციის პროცესის გამართვას (კომუნიკაციური ხარვეზების გამოსწორებას, ურთიერთმოსმენის უზრუნველყოფას, ურთიერთობის წესების შეთანხმებასა და დაცვას) და დიალოგის ხელშეწყობას.
- **თავად მოიძიონ არსებული პრობლემის მოგვარების გზები**, რაც გულისხმობს ამ პრობლემის მოგვარებისთვის მხარეების თანამშრომლობის ხელშეწყობას, მოგვარების ალტერნატივების ერთობლივ მოძიებასა და განხილვას.
- **მიიღონ ინკლუზიური გადაწყვეტილებები**, ანუ ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც ჩართული მხარეების ინტერესებსა და საჭიროებებს გაითვალისწინებს და, შესაბამისად, იქნება ყველასთვის მისაღები.

მედიაციის პროცესის მთავარი მოქმედი გმირები თავად პროცესში ჩართული მხარეები არიან, მედიატორი მხოლოდ და მხოლოდ ხელს უწყობს მათ დიალოგსა და თანამშრომლობას არსებული პრობლემის მოსაგვარებლად.

მედიაცია ადამიანზე ცენტრირებული მიდგომაა: ის ზრუნავს მასში ჩართული ადამიანების/სუბიექტების ღირსების გაფრთხილებაზე, საბაზო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, ინტეგრირების გათვალისწინებაზე, პირადი პასუხისმგებლობის გაცნობიერებაზე, არჩევანის გაკეთების ხელშეწყობაზე. შესაბამისად, იგი ჰუმანისტურ-ეგზისტენციურ ფილოსოფიას ეფუძნება და შემდეგ ფასეულობებს იზიარებს:

- ადამიანის ღირსება
- ადამიანის უფლებები
- ადამიანის უნიკალობა და რესურსულობა
- არჩევანი და პირადი პასუხისმგებლობა
- სამართლიანობა
- შემოქმედებითობა

ამ ფასეულობების რეალიზაციისთვის, მედიაცია უზრუნველყოფს:

- კონფიდენციურ, სამართლიან, ნდობაზე დაფუძნებულ პროცესს, რომელიც მხარეებს არსებული პრობლემის საერთო პრობლემად აღქმასა და მასზე ერთობლივ მუშაობაში ეხმარება.

რება, დიალოგში შესვლის, გადაჭრის გზების ერთობლივი ძიების, არჩევანის გაკეთების და ამ არჩევანის განხორციელებაზე პასუხისმგებლობის ალების გზით;

- მხარეებში თვითფექტურობის რწმენას, ანუ რწმენას იმისა, რომ კონსტრუქციული დიალოგი და ყველასთვის მისაღები (ინკლუზიური) გადაწყვეტილების პოვნა შესაძლებელია;
- იმგვარ ატმოსფეროს, რომლის დროსაც ნეგატიური ემოციების (ბრაზის, უთანხმოების) გამოხატვა შესაძლებელია, მაგრამ, ამავე დროს, მართვაც შესაძლებელია: მხარეების მიერ მინიჭებული პასუხისმგებლობის ფარგლებში, შეთანხმებული წესების დაცვით;
- მხარეების მიერ ყურადღების გადატანას წარსულიდან (და წარსულის გამო აღძრული ემოციებიდან) აწმყოსა და იმ შესაძლებლობებზე, რაც აწმყოშია.

მედიაცია არ წარმოადგენს კონფრონტაციულ მიდგომას, იგი ტრანსფორმაციულია. იგი არ „ეჯახება“ პრობლემას, არამედ ცდილობს არსებულ პრობლემაში რესურსის დანახვას და მასზე დაყრდნობით, სიტუაციის გაჯანსაღებაზე ზრუნვას, მონაწილე მხარეთა დიალოგის ხელშეწყობის გზით. მედიაციის ფილოსოფია ამ მხრივ აიკიდოს, აღმოსავლური ორთაბრძოლის ხელოვნების, ფილოსოფიას ჰგავს. აიკიდოში დახელოვნებული ადამიანი ბრძოლაში არასდროს უტევს მოწინააღმდეგეს. პირიქით, ის იყენებს მოწინააღმდეგის შეტევის ენერჯიას მისსავე მოსაგერიებლად, აგრესიის გარეშე. ამდენად, მედიაცია ტრანსფორმაციული მიდგომაა: კონფრონტაციისა და ბრძოლის ნაცვლად, იგი ცდილობს სიტუაციაში არსებული ძალთა თანაფარდობის დაბალანსებას, და პრობლემის გადასაჭრელად დიალოგისა და თანამშრომლობის ხელშეწყობას.

მედიაცია სხვადასხვა სახის უთანხმოების მოგვარების ინსტრუმენტად გამოიყენება და, შესაბამისად, არსებობს მედიაციის მთელი რიგი განსხვავებული მოდელები. გამომდინარე სახელმძღვანელოს თემატიკიდან, ჩვენ ყურადღებას დავუთმობთ **დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციას**, რომელიც უკვე იყო მოკლედ აღწერილი პირველ თავში, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთი მოდელი.

მართლმსაჯულების სისტემის მიღმა, ჩვეულებრივი კონფლიქტის/დავის გადაჭრაზე მიმართული მედიაციის საბაზო დაშვება იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მონაწილე მხარეს მეტ-ნაკლები წვლილი

მიუძღვის უთანხმოების წარმოქმნაში. ამის ინდიკატორია ისიც, რომ პროცესის მონაწილეებს „მოდავეებად“ მოიხსენიებენ. ამისგან განსხვავებით, დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციაში როლები ერთმნიშვნელოვნად გამიჯნულია და არსებობს საბაზო კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ დამზარალებელი არის დამნაშავე არსებული პრობლემის (და, შესაბამისად, უთანხმოების) გაჩენაში. აქედან გამომდინარე, მან უნდა გაიაზროს თავისი დანაშაული, გაისიგრძეგანოს ზარალი, რომელიც დაზარალებულს მიაყენა და, შეძლებისდაგვარად, აიღოს პასუხისმგებლობა სიტუაციის გამოსწორებაზე/ზარალის ანაზღაურებაზე. ამასთან დაკავშირებით, სამედიაციო შეხვედრებს აქ ხშირად არ არქმევენ მედიაციას და უწოდებენ „დაზარალებულისა და დამზარალებლის კონფერენციას“, „დაზარალებულისა და დამზარალებლის შეხვედრას“ და ა.შ. (Umbreit & Greenwood, 2000; Umbreit, 2015).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ასეთი მკაფიო გამიჯვნისა, მედიაციის პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, სადაც როლები შებრუნებულია და ფაქტობრივი დაზარალებული სინამდვილეში გარკვეულწილად დამზარალებელია. არაერთია, აგრეთვე, ისეთი შემთხვევაც, სადაც ორივე მხარე დამზარალებელია, თუმცა ამა თუ იმ მიზეზით (მაგალითად, მტკიცებულების არქონის გამო) კანონის წინაშე პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთს აქვს დაკისრებული. ამგვარი შემთხვევები მედიატორს დილემის წინაშე აყენებს და მან უნდა უპასუხოს გამოწვევას – როგორ წაიყვანოს მედიაციის პროცესი ისე, რომ დამზარალებლის დაზარალებულობა (და/ან დაზარალებულის დამზარალებულობა) გაითვალისწინოს.

თუ ჩვეულებრივი დავის შემთხვევაში მთავარი აქცენტი მედიაციის შედეგზე, ანუ მიღწეულ შეთანხმებაზეა გადატანილი, დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის შემთხვევაში აქცენტი უფრო მეტად თავად მედიაციის პროცესზე კეთდება. ეს პროცესი დაზარალებულს აძლევს საშუალებას: (1) გააგებინოს/გამოუხატოს დამზარალებელს, თუ რამდენად ავნო მისმა ქმედებამ, (2) თავად გაიგოს მეტი დანაშაულის შესახებ დამზარალებლისთვის შესაბამისი კითხვების დასმის გზით (გავიხსენოთ ჰოვარდ ზეჰრის ექვსი შეკითხვა, რომელიც სახელმძღვანელოს მეორე თავშია გადმოცემული), (3) უშუალოდ იყოს ჩართული სამართლიანობის აღდგენის პროცესში – იქნება ეს ზარალის ანაზღაურების განსაზღვრა თუ დამზარალებლის შესასრულებელი პირობების დათქმა. ამ ყველაფერს დაზარალებულისთვის თერაპიული ეფექტი მოაქვს, რამდენადაც:

- დამზარალებლის მხრიდან იმის გაგება, თუ რა ზიანი მიაყენა დაზარალებულს, ზიანის აღიარების წინაპირობაა, რაც, როგორც სახელმძღვანელოს მეორე თავიდან გვახსოვს, ესოდენ მნიშვნელოვანია დაზარალებულისთვის;
- დამზარალებლისთვის შეკითხვების დასმა და დანაშაულის შესახებ მეტის გაგება დაზარალებულს, ერთი მხრივ, ტრავმული გამოცდილების ახსნაში და, შესაბამისად, მასში საზრისის ჩადებაში ეხმარება. გარდა ამისა, იგი მას ეხმარება ინფორმაციის ნაკლებობის გამო განვითარებული ირაციონალური შიშის გადალახვაში;
- რესტიტუციისა და დამზარალებლის მიერ შესასრულებელი პირობების განსაზღვრის პროცესში მონაწილეობა და მასზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა დაზარალებულს კონტროლის დაკარგული განცდის დაბრუნებაში ეხმარება.

დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაცია სასარგებლოა, ასევე, დამზარალებლისთვის: თუ ის ინანიებს თავის დანაშაულს, მედიაციის ფორმატი მას დაზარალებულისთვის ამ სინანულის გაზიარების, ბოდიშის მოხდისა და, შესაბამისად, მორალური ტვირთის შემსუბუქებისა და ზარალის გამოსწორება/აღდგენაზე მუშაობის საშუალებას აძლევს. იმ შემთხვევაში, თუ ის არ ინანიებს დანაშაულს, მედიაციის პროცესში ეძლევა საშუალება დაინახოს, თუ რა მატერიალური, ემოციური, მორალური ზარალი მიაყენა დაზარალებულს და ამან შესაძლოა მასზე კათარზისული ეფექტი იქონიოს, ზარალის აღდგენაზე პასუხისმგებლობის აღების მოტივაცია გაუღვიძოს და, შესაბამისად, უფრო მოწიფული პოზიცია დააკავებინოს. მედიაციის ფორმატი, ასევე, იძლევა დაზარალებულისა და დამზარალებლის თანამშრომლობის საშუალებას ამ ზარალის გამოსასწორებლად.

დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაცია უფრო ხშირად გულისხმობს მათ პირისპირ შეხვედრას, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, სადაც ეს მიზანშეუწონელია (მაგალითად, შეიცავს დაზარალებულის რეტრავმატიზაციის საფრთხეს), ის შესაძლებელია განხორციელდეს პირისპირ შეხვედრის გარეშე. აქ მედიატორი ცალ-ცალკე ხვდება ორივე მხარეს და უზრუნველყოფს მათ შორის ინფორმაციის გაცვლასა და, შესაბამისად, გაშუალებულ კომუნიკაციას.

1.2. დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის პრინციპები და სტანდარტები

დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის პროცესი კომპლექსურია და მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიჰყვება ის პროფესიულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს. ეს პრინციპები შემდეგში მდგომარეობს:

- **პროფესიონალიზმი:** მედიატორის მიერ პროფესიული ეთიკის, სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ცოდნა, გათვალისწინება, ცხოვრებაში გატარება. ამისთვის მნიშვნელოვანია მედიატორების მომზადების სათანადო ინსტიტუტიციური მექანიზმების განვითარება და მუშაობის ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი ინსტრუმენტების ამოქმედება, როგორცაა ინტერვიზია, სუპერვიზია და პროფესიული დახელოვნება;
- **კონფიდენციალობა:** მედიატორის მიერ კონფიდენციალობის უზრუნველყოფა; ამავე დროს, მისი მხრიდან კონფიდენციალობის ეთიკურად და კანონით გამართლებული დარღვევის წინაპირობებზე მონაწილეთა ინფორმირება;
- **ნებაყოფლობითობა:** მხარეების მიერ მედიაციის პროცესში ჩართვის ნებაყოფლობითობა და პროცესიდან ნებისმიერ მომენტში გასვლის უფლება, რისი უზრუნველყოფაც უნდა ხდებოდეს ინფორმირებული თანხმობის პროცედურით¹;
- **შერჩევითობა:** მედიაციის პროცესში მხარეთა ჩართვამდე მოსამზადებელ ფაზას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ ხდება მხარეთა გაცნობა, მათი მდგომარეობის შესაწავლა, სკრინინგი და მონაწილეობითვის შერჩევა, მაგალითად, თუ დამზარალებელი არ აღიარებს საკუთარ დანაშაულს, მისი ჩართვა მედიაციის პროცესში არ არის მიზანშეწონილი და ვერ მოხდება; ან, თუ დაზარალებული იმდენად არის ტრავმირებული, რომ მედიაციის პროცესში მისი ჩართვა რეტრავმატიზაციის რისკს შეიცავს, პირისპირ მედიაციის ფორმატი არ არის რეკომენდებული და ა.შ.;

1 ქვევით („მედიაციის პრაქტიკის“ ქვეთავში) ვნახავთ, რომ არსებობს დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის ისეთი ფორმატიც, სადაც დამზარალებლის მონაწილეობა არ არის ნებაყოფლობითი. რამდენადაც ამ შემთხვევაში მედიაციას მინიმალური აღდგენითი პოტენციალი აქვს, ნებაყოფლობითობას მივიჩნევთ ერთერთ საკვანძო პრინციპად.

- **უსაფრთხოება:** მედიაციის პროცესის მსვლელობაში შეძლებისდაგვარად უსაფრთხო ატმოსფეროს უზრუნველყოფა. ეს, უპირველეს ყოვლისა, მონაწილეებისთვის ქცევის წესების შეთავაზებით, შეთანხმებითა და დაცვით ხდება. წესები ისეთი უნდა იყოს, რომ პროცესის ყველა მონაწილის ღირსების გაფრთხილებასა და ადამიანის უფლებების დაცვას უზრუნველყოფდეს;
- **ძალთა ბალანსი:** პროცესის მონაწილეთა ძალთა თანაფარდობაზე ყურადღების გამახვილება და მის დაბალანსებაზე ზრუნვა. ძალთა უთანაბრობას განაპირობებს დაზარალებულისათუ და მზარალებლის სტატუსი, ფინანსური მდგომარეობა, გენდერული კუთვნილება, თანმხლებ პირთა რაოდენობა და სტატუსი, და ა.შ. ეს ყველაფერი უნდა გათვალისწინებულ იქნას მედიაციის დაგეგმვისა და განხორციელების დროს;
- **სივრცის შესაბამისობა და დისკურსების გათვალისწინება:** სამედიაციო შეხვედრების სივრცის შესაბამისობა მის პრინციპებსა და ფასეულობებთან. აქ ყურადღება უნდა მიექცეს შეხვედრის ადგილს, ოთახში სკამებისა და მაგიდის განლაგებას, მედიატორსა და მონაწილეებს შორის დისტანციას, მედიატორის მიერ თითოეული მხარისადმი სიტყვიერი მიმართვისა და თვალებით კონტაქტის სიხშირეს. ეს ყველაფერი ძალთა თანაფარდობის დაბალანსებაზე უნდა იყოს მიმართული;
- **მიუკერძოებლობა:** ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინება და ორივე მხარის განსაკუთრებული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა. ამავე დროს, მედიატორის მაღალი გათვინობიერებულობა საკუთარ წინასწარგანწყობებსა და წინარესჯაზე, რათა მედიაციის პროცესზე მათი გავლენა მინიმუმამდე შეამციროს;
- **მხარეების აქტიური მონაწილეობა:** მხარეები წარმოადგენენ პროცესის მთავარ სუბიექტებს („პირველ ვიოლინოებს“). ამისთვის საჭიროა მათი აქტიურობის ხელშეწყობა, დიალოგის ფასილიტაცია და მათ შორის კომუნიკაციის ხარვეზების შემთხვევაში, მათ გამოსწორებაზე ზრუნვა და ურთიერთგაგების გაადვილება;
- **მონაწილეთა თვითგამოხატვა:** ამისთვის დროისა და სივრცის უზრუნველყოფა, იმდენად დაცული ატმოსფეროს შექმნა, რომ შესაძლებელი იყოს როგორც ემოციების უსაფრთხო გამოხატ-

ვა, ასევე პაუზების დაჭერა (და არა მათ „შევსებაზე“ შფოთვა);
ჭარბი ემოციების შემთხვევაში – „ტაიმაუტის“ გამოყენება;

- **შერიგებისა და მიტევების არდაძალბა:** მედიაციის ფოკუსის მიმართვა დიალოგსა და შეთანხმებაზე (და შეთანხმების მისაღწევად – თანამშრომლობაზე), ნაცვლად შერიგებისა და მიტევებისა, რაც ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევაში შეუძლებელია, ან ბევრად მეტ დროს (ე.წ. შერიგების ჰორიზონტს) მოითხოვს, ვიდრე დაზარალებიდან მედიაციის მომენტამდე არის გასული;
- **კულტურის პატივისცემა:** კულტურული თავისებურებებისა და განსხვავებების პატივისცემა და გათვალისწინება მედიაციის მომზადებისა და განხორციელების პროცესში;
- **მონაწილეობითი კულტურა:** პროცესის მსვლელობაში, შეძლებისდაგვარად ყველა საკითხზე, გადაწყვეტილების მიღებაში მხარეების მონაწილეობა, თუმცა – მედიაციის სახელმძღვანელო პრინციპების ფარგლებში/ლიმიტებში;
- **შემოქმედებითობა და მოქნილობა:** პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებისას სხვადასხვა ალტერნატივის გენერირებისა და განხილვის ხელშეწყობა. პროცესის დინამიკის მიხედვით მედიატორის ქცევის კურსის მოქნილი ცვლილება;
- **ინკლუზიური გადაწყვეტილებები:** ისეთი საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა, რომელიც ორივე მხარის საჭიროებებსა და ინტერესებს გაითვალისწინებს;
- **შედეგების შეფასება და მონიტორინგი:** მედიაციის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გამოცდილებიდან გაკვეთილების გამოსატანად, პრაქტიკის დასახვეწად და საუკეთესო პრაქტიკების ჩამოსაყალიბებლად.

დისკუსია მცირე ჯგუფებში, 15 წთ:

[სტუდენტებს ვთავაზობთ იმსჯელონ იმაზე, თუ რა ინდიკატორების მიხედვით არის შესაძლებელი ძალთა თანაფარდობის შეფასება დაზარალებულსა და დამზარალებელს შორის, და რა ხერხებით არის შესაძლებელი მედიაციის დროს ძალთა დაბალანსება].

საშინაო დავალება: სავალდებულო საკითხავი

- Umbreit, Mark & Lewis, Ted (2015). Dialogue-driven Victim-Offender Mediation. Center of restorative Justice and Peacemaking, University of Minnesota. Pp: 7-91. http://www.antonioacasella.eu/restorative/Umbreit_Lewis_2015.pdf
- Umbreit, Mark, Greenwood, Jean (2000). Guidelines for Victim Sensitive Victim-Offender Mediation: Restorative Justice Through Dialogue. Center for Restorative Justice and Peacemaking, Minesota, OVC. Pp: 1-25.
- Handbook on Restorative Justice Programs (2020). United Nations Office on Drugs and Crime. (თავი 2.1. დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაცია და თავი 3. პრინციპები და ხარისხის გარანტიები).

2. დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის პრაქტიკა და მედიატორი

მოცემული ქვეთავის მიზანია დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის პრაქტიკისა და მედიატორის როლის გაცნობა.

შესაბამისი ამოცანებია:

- დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის პრაქტიკის, პროცესის, ფაზების გაცნობა
- მედიატორის როლისა და ამ როლის განსახორციელებლად საჭირო უნარ-ჩვევების გაცნობიერება

2.1. დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის პრაქტიკა

მარკ უმბრეიტი დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის სხვადასხვა პრაქტიკას წარმოგვიდგენს, როგორც კონტინუუმს, რომელიც განფენილია სამედიაციო მიდგომის ორ განსხვავებულ პოლუსს შორის: ერთ პოლუსზეა ე.წ. შეთანხმებაზე (ანუ, შედეგზე) ორიენტირებული მედიაცია. მეორე პოლუსზეა ე.წ. დიალოგზე (ანუ, პროცესზე) ორიენტირებული მედიაცია. ამ უკანასკნელს, ასევე, დაზარალებულის მიმართ მგრძობიარე (Victim-sensitive) მედიაციასაც უწოდებენ (იხ. ცხრილი 3.1). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებ-

ბულისა და დამზარალელების მედიაციის თანამედროვე პრაქტიკა ორიენტირებულია როგორც პროცესზე, ასევე შედეგზე.

<p>მინიმალური აღდგენითი ეფექტი: შეთანხმებაზე ორიენტირებული, ანუ დამზარალეებელზე ცენტრირებული მედიაცია</p>	<p>მაქსიმალური აღდგენითი ეფექტი: დიალოგზე ორიენტირებული, ანუ დაზარალეებულის მიმართ მგრძობიარე მედიაცია</p>
<ul style="list-style-type: none"> • ძირითადი ფოკუსი აქ რესტიტუციის (თანხის) ოდენობის განსაზღვრაზეა. არ იხილება ის, თუ რა გავლენა მოახდინა დანაშაულმა დაზარალეებულზე, თემზე, თავად დამზარალეებელზე. 	<ul style="list-style-type: none"> • აქ ძირითადი ფოკუსი იმაზეა, რომ დაზარალეებულსა და დამზარალეებელს მიეცეთ ერთმანეთთან პირისპირ საუბრის საშუალება.
<ul style="list-style-type: none"> • საერთო შეხვედრამდე არ იმართება დაზარალეებულთან და დამზარალეებელთან წინასწარი მოსამზადებელი შეხვედრები. • დაზარალეებულს არ აძლევენ მედიაციის ადგილისა და თანმხლები პირების შერჩევის შესაძლებლობას. • მხარეებს უგზავნიან მხოლოდ და მხოლოდ წერილობით შეტყობინებას მედიაციის ადგილისა და დროის შესახებ. • შეხვედრის დროს საუბრობს მედიატორი, შემდგომ დამზარალეებელი, დაზარალეებულს ეძლევა მხოლოდ რამდენიმე შეკითხვის დასმის ან მედიატორის შეკითხვებზე პასუხის გაცემის საშუალება. 	<ul style="list-style-type: none"> • რესტიტუცია მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო პრიორიტეტულია დიალოგი დანაშაულის გავლენაზე. • იმართება მოსამზადებელი შეხვედრები ორივე მხარესთან, სადაც უსმენენ, იგებენ, თუ რა გავლენა მოახდინა დანაშაულმა მათზე და ამზადებენ სამედიაციო შეხვედრისთვის. • დაზარალეებულს მედიაციის პროცესის განმავლობაში აძლევენ არჩევანის გაკეთების საშუალებას (სად გაიმართოს შეხვედრა, ვისთან ერთად მოვიდეს, და ა.შ.) • დაზარალეებულს ეძლევა საშუალება სრულად გამოხატოს, თუ რა გავლენა მოახდინა მასზე დანაშაულმა და მიიღოს პასუხები შეკითხვებზე, რომელიც აინტერესებს.

<ul style="list-style-type: none"> • მედიატორის მიერ გაწეული ფასილიტაციის სტილი დირექტიულია, ის ყველაზე მეტს საუბრობს, უსვამს შეკითხვებს დაზარალებულსა და დამზარალებელს; თვით დაზარალებულსა და დამზარალებელს შორის დიალოგი მწირია, ან საერთოდ არ მიმდინარეობს. • გრძნობათა გამოხატვისა და პაუზების მიმართ შეხვედრის დროს დაბალი ტოლერანტობაა. 	<ul style="list-style-type: none"> • დამზარალებელს ეხმარებიან, გაიგოს, თუ რა გავლენა მოახდინა მისმა ქცევამ სხვა ადამიანებზე, და აილოს პასუხისმგებლობა ვითარების გამოსწორებაზე. • ფასილიტაციის სტილი აქ არადირექტიულია, პაუზები, სიჩუმე, გრძნობების გამოხატვა, ემპათია – პროცესის ნორმალური ნაწილია.
<ul style="list-style-type: none"> • დაზარალებულისთვის სამედიაციო სესიაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, მაშინ როცა დამზარალებლისთვის სავალდებულოა, მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა ის პასუხისმგებლობას. • მედიაცია ორიენტირებულია შეთანხმების ანუ გადაწყვეტილების მიღებაზე და ძალიან ხანმოკლეა (10-15 წუთი). 	<ul style="list-style-type: none"> • მედიაციის გაწევა ან მედიაციაში თანაშემწეობის გაწევა შეუძლიათ მოხალისეებს თემიდან. • აქ მონაწილეობა ორივე მხარისთვის ნებაყოფლობითია. • მედიაციის სესია ორიენტირებულია დიალოგზე და გრძელდება ერთ საათს და ზოგჯერ მეტხანს, საჭიროებისამებრ.

ცხრილი 3.1: დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის კონტინუუმი: მინიმალური აღდგენითი ეფექტიდან მაქსიმალურისკენ (Umbreit & Lewis, 2015)

დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის პრაქტიკა განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში და ვის მიერ ხორციელდება. თითოეულ ქვეყანას თავისი სპეციფიკური საკანონმდებლო ჩარჩო, რეგულაციები და შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმები აქვს, რაც განსაზღვრავს მედიაციის პრაქტიკას. ასევე, სხვადასხვა განმხორციელებელ ორგანიზაციას (იმის მიხედვით, სათემო ორგანი-

ზაციაა, საჯარო თუ სხვა) მედიაციის თავისი სტილი და პროცედურები აქვს. მაგრამ, არსებობს მედიაციის მახასიათებლების მთელი რიგი, რომელსაც მედიაციის საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავს და ამდენად – უნივერსალურია. ერთ-ერთი ასეთია – მედიაციის ფაზები.

დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციის პროცესში შესაძლოა გამოიყოს ოთხი ძირითადი ფაზა, ესენია:

ფაზა პირველი: შემთხვევის მიღება (გადმომისამართება). ეს შესაბამისი უწყებების თანამშრომლობის საფუძველზე ხდება. ამ ფაზაზე მედიატორი ეცნობა ხელმისაწვდომ ინფორმაციას შემთხვევის თაობაზე და ადგენს მხარეებთან შეხვედრის გეგმას.

ფაზა მეორე: მოსამზადებელი. ამ ფაზაზე მედიატორი, შემთხვევის გარშემო შესწავლილი ინფორმაციის საფუძველზე, ამყარებს (უფრო ხშირად, სატელეფონო) კონტაქტს მხარეებთან და მართავს მოსამზადებელ შეხვედრებს. პირველი შეხვედრა ხდება დამზარალებელთან. მედიატორი ისმენს მის ისტორიას, უხსნის მას მედიაციის არსს, პროცედურას, მოსალოდნელ შედეგებს, სასარგებლოობას – ახდენს მის მოტივირებას მონაწილეობაზე და დათანხმების შემთხვევაში – ინფორმირებული თანხმობის მოპოვებას. ასევე, იგი აგროვებს ინფორმაციას – დამზარალებლის დამოკიდებულებაზე დანაშაულის მიმართ, განიცდის თუ არა იგი სინანულს, აღიარებს თუ არა დანაშაულს (რაც მედიაციაში ჩართვის აუცილებელი პირობაა). თუ დამზარალებელი მედიაციაზე თანხმდება, ამის მერე მედიატორი მართავს მოსამზადებელ შეხვედრას დაზარალებულთან, უხსნის მას მედიაციის არსს, უსაფრთხო კომუნიკაციის უზრუნველყოფის მექანიზმებს, მოსალოდნელ შედეგებს, მონაწილეობის სასარგებლოობას. ამ ფაზაზე, ფაქტობრივად, ხდება მხარეების მოტივირება მონაწილეობაზე (ყოველგვარი ზეწოლის გარეშე), მათი ინფორმირება მედიაციის არსსა და პროცედურაზე, და ინფორმირებული თანხმობის მოპოვება. ამავე ფაზაზე, პირისპირ კონტაქტის პროცესში, მხარეებთან მყარდება ნდობითი ურთიერთობა. აქ მედიატორი მიმართავს ისეთ მეთოდებს, როგორცაა აქტიური ემპათიური მოსმენა და მოტივაციური საუბარი. როცა ორივე მხარე დათანხმებულია, მედიატორი ამზადებს სამედიაციო შეხვედრას: პროცესის სცენარს (და არა შინაარსს), სივრცეს და ა.შ. სამედიაციო შეხვედრამდე (მესამე ფაზამდე) მედიატორს შესაძლოა მხარეებთან მეტი შეხვედრა და/ან სატელეფონო კომუნიკაცია დასჭირდეს.

ფაზა მესამე: სამედიაციო შეხვედრა. შეხვედრა იმართება სპეცი-
ალურად მომზადებულ სივრცეში. შესაძლებელია, მხარეებმა მხარ-
დამჭერები მოიყვანონ – ეს წინდაწინ უნდა იყოს შეთანხმებული,
რამდენადაც მედიატორმა უნდა დააბალანსოს ძალთა თანაფარდობა.
შეხვედრის პირველ ეტაპზე მედიატორი აკეთებს შესავალს – შეხვედ-
რის მიზნებზე, თუ საჭიროა (თუ მონაწილეები ერთმანეთს არ იცნო-
ბენ), ხდება მონაწილეების ურთიერთწარდგინება, რის მერეც მედი-
ატორი შეხვედრის წევრებს სთავაზობს წესებს, რომელიც მათ უნდა
დაიცვან პროცესის ნაყოფიერად წარმართვისათვის. ამის შემდეგ,
დამზარალებელსა და დაზარალებულს ეძლევათ საშუალება, შეხვედ-
რის მონაწილეებს გაუზიარონ თავიანთი ისტორიები დანაშაულთან
დაკავშირებით – რა მოხდა, როგორ მოხდა, რა გავლენა მოახდინა
დანაშაულმა მათსა და გარშემომყოფი ადამიანების ცხოვრებაზე.
საუბრობენ დაზარალებულის დანაკლისზე და ამ დანაკლისის ანაზ-
ღაურების შესაძლო გზებზე/ალტერნატივებზე. შესაძლოა, სათანადო
ალტერნატივები მედიატორს წინასწარ (უკვე მეორე ფაზაზე) ჰქონ-
დეს მოკვლეული და შეთანხმებული მხარეებთან, თუმცა ასეთ შემთ-
ხვევაშიც შეხვედრის დროს შეიძლება რაიმე ახალმა ალტერნატივამ
იჩინოს თავი. ალტერნატივების მოძიება და განხილვა შესაძლოა არა
მოსამზადებელ ეტაპზე, არამედ სწორედ მედიაციის პროცესშიც მოხ-
დეს. ყველა შემთხვევაში, დაზარალებული და დამზარალებელი უნდა
შეთანხმდნენ რესტიტუციის ფორმასა და მოცულობაზე. ეს შესაძლოა
იყოს ფინანსური კომპენსაცია, და/ან დაზარალებულისთვის პირადი
მომსახურების გაწევა, და/ან სათემო მომსახურების გაწევა (საზოგა-
დოებისთვის სასარგებლო შრომა), და/ან დამზარალებლის ჩართვა
გამაჯანსაღებელ/სარეაბილიტაციო პროგრამაში (მაგ., ბრაზის მე-
ნეჯმენტის). რესტიტუციის ფორმა და მოცულობა ორივე მხარის მიერ
უნდა განიხილებოდეს, როგორც სამართლიანი. მესამე ფაზის წარმა-
ტების ინდიკატორი მხარეების შეთანხმებამდე მისვლა და შესაბამისი
ხელშეკრულების ხელმოწერაა. აქვე თანხმდებიან ხელშეკრულების
შესრულების სამონიტორინგო შემდგომ შეხვედრაზე. მოცემულ ფაზა-
ზე მედიატორის ძალისხმევა მიმართულია დაზარალებულსა და დამ-
ზარალებელს შორის გამართული უსაფრთხო კომუნიკაციის უზრუნ-
ველყოფაზე, მათი ურთიერთგაგების გაადვილებაზე. იგი მიმართავს
აქტიური მოსმენის ხერხებს – პერფორაზირებას, შეკითხვების დასმას,
პაუზებსა და ა.შ.; ასევე, ე.წ. რეფრეიმინგის (ჩარჩოს ცვლილების –
Reframing) ტექნიკას. რეფრეიმინგი ტრანსფორმაციული ტექნიკაა და
გულისხმობს მოვლენისთვის სხვა რაკურსით შეხედვას (მაგ., თუ და-
ზარალებული თავს მსხვერპლად – დანაშაულის ობიექტად განიცდის,

მისი ხელშეწყობა იმაში, რომ მან თავი გადარჩენილად, აქტიურ სუბიექტად განიხილოს).

ფაზა მეოთხე: შემდგომი კომუნიკაცია (Follow-up შეხვედრა). ეს შეხვედრები, თუ იქნა ორგანიზებული, არის ხანმოკლე – დაახლოებით, ნახევარსაათიანი, და ეთმობა იმის განხილვას, თუ როგორ სრულდება ხელშეკრულების პირობები. ეს, ფაქტობრივად, მედიაციის შედეგების მონიტორინგს უზრუნველყოფს.

2.2. მედიატორის პროფესიული როლი და უნარ-ჩვევები

ზემოთ აღწერილი სამუშაოს შესასრულებლად, მედიატორი შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:

მედიატორს არ უნდა ჰქონდეს პირადი ინტერესი/ინტერესთა კონფლიქტი მოცემული შემთხვევის მიმართ – ანუ, იყოს მიუკერძოებელი, არ ემხრობოდეს კონფლიქტში მყოფ არც ერთ მხარეს და ცდილობდეს ორივეს ინტერესებისა და საჭიროებების დაცვა-გათვალისწინებას. იმ შემთხვევაში, თუ მედიატორს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, მან აცილება უნდა მისცეს საკუთარ თავს და არ გასწიოს ამ კონკრეტული შემთხვევის მედიაცია.

მედიატორი თავისუფალი უნდა იყოს შეფასებითი/განსჯითი დამოკიდებულებისაგან, წინარესჯისგან (prejudice) მხარეების მიმართ. ეს მოითხოვს, რომ მედიატორს თვითგაცნობიერების მაღალი დონე ჰქონდეს – ჰქონდეს საკუთარი თავის ღრმა ცოდნა/გაცნობიერება, სამედიაციო შემთხვევის მიმართ აღძრული პირადი ემოციებისა და აზრების გაცნობიერებისა და განზე გაწევის უნარი. ამისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იგი ინფორმირებული იყოს ე.წ. გადატანისა და კონტრგადატანის ფენომენებზე (transference and contra-transference). გადატანის ფენომენი გულისხმობს, რომ მედიაციის პროცესის ამა თუ იმ მონაწილემ შესაძლოა მედიატორზე მიმართოს, „გადაიტანოს“ ის არარეალიზებული ემოციები, რომელთაც იგი თავის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადამიანების მიმართ განიცდიდა. ამის გამო პროცესის მონაწილე შესაძლოა არაპროპორციულად დადებითად ან პირიქით, უარყოფითად იყოს განწყობილი მედიატორის მიმართ. კონტრგადატანა გულისხმობს იმავე პროცესს ახლა უკვე მედიატორის მხრიდან – მედიატორის მიერ პროცესის ამა თუ იმ მონაწილეზე იმ არარეალიზებული ემოციების გადატანას, რასაც იგი საკუთარ გარემოცვაში მნიშვნელოვანი სხვა ადამიანების მიმართ განიცდიდა. გადატანა და

კონტრგადატანა ნორმალური და ხშირი ფენომენებია, მათი გაჩენა ჩვეულებრივი მოვლენაა, გამკლავება კი – აუცილებელი. სხვაგვარად რთულია პროფესიულ საზღვრებში დარჩენა, პროფესიული დისტანციის დაცვა და ეფექტიანი მუშაობა. კონტრგადატანის გაცნობიერება-გადალახვაში მედიატორს დიდ დახმარებას უწევს სუპერვიზია.

მედიატორს უნდა ჰქონდეს კონფლიქტის მოგვარებისა და მოლაპარაკების წარმოების ცოდნა და შესაბამისი უნარ-ჩვევები. მედიატორს უნდა ესმოდეს კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიდგომა, შეეძლოს კონფლიქტის დადებითი ასპექტების გაცნობიერება, პრობლემაში რესურსის დანახვა, ჰქონდეს პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიებისა და ძიების ხელშეწყობის გამოცდილება, ესმოდეს კონფლიქტის ესკალაციისა და დეესკალაციის მექანიზმები და ფაქტორები, შეეძლოს კონფლიქტში ჩართული დაინტერესებული სუბიექტების ანალიზი, ჰქონდეს ამ სუბიექტების პოზიციების მიღმა ინტერესებისა და საჭიროებების დანახვის უნარი, იცოდეს, თუ როგორ იმუშაოს დაინტერესებული სუბიექტების შიშების გათვალისწინებასა და გადალახვაზე, მოგება-მოგება პრინციპზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობაზე.

მედიატორი დახელოვნებული უნდა იყოს ფასილიტაციაში, მგრძნობიარე იყოს პროცესის მონაწილეთა საჭიროებების მიმართ, გაწაფული იყოს როგორც ერთი ერთზე კომუნიკაციაში რაპორტის (ნდობაზე დაფუძნებული ეფექტიანი კონტაქტი) დამყარებაში, ასევე იცოდეს ჯგუფის დინამიკა და მისი მართვა, შეეძლოს თავისი მე-ს (ეგოს) უკანა პლანზე გადაწევა და პროცესის მონაწილეთათვის ინიციატივის გადაცემა, და მათი თვითგამოხატვისა და ინტერაქციისთვის სივრცის შექმნა. მას უნდა ჰქონდეს აქტიური მოსმენის, მოსმენილის გაგებისა და, საჭიროების შემთხვევაში, რეფრეიმინგის (იხ. ქვედა აბზაცში უფრო დაწვრილებით) განვითარებული უნარ-ჩვევები.

მედიატორი უნდა დახელოვნებული იყოს ტრანსფორმაციულ აზროვნებაში. მედიატორს უნდა შეეძლოს პრობლემაში რესურსის დანახვა, და ამ რესურსზე დაყრდნობით, პრობლემის ტრანსფორმაციასა და გადაჭრაზე მუშაობა. ერთ-ერთი საკვანძო ტექნიკა აქ არის ე.წ. „ჩარჩოს ცვლილება“ ანუ, რეფრეიმინგი. ეს გულისხმობს მოვლენის ხედვის კუთხის ცვლილებას, მის სხვა კუთხიდან დანახვას. არსებობს რეფრეიმინგის სხვადასხვა კლასიფიკაცია და სხვადასხვა სახე (Moore, 2014). მაგალითისთვის – ე.წ. დეტოქსიკაციური რეფრეიმინგი, როდესაც მედიატორი ერთი მხარის მიერ არაკონსტრუქციულად (შეფასებითად, შეტევით, და ა.შ.) გამოთქმულ აზრში გამოარჩევს კონსტ-

რუქციულ გზავნილს და მეორე მხარისთვის მისაღები ენით უკეთებს პერფორაზს ისე, რომ ეს გზავნილი არ დაიკარგოს. მაგ., მონაწილის ფრაზას „ბატონო იპოლიტე, თქვენ ბავშვივით იქცევით, როცა არ მიგდებთ ყურს!“ მედიატორმა შესაძლოა უპასუხოს ფრაზით „თქვენ გაქვთ რაღაცა სათემელი ბატონი იპოლიტესთვის“.

მედიატორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია სხვა ადამიანებში (პროცესის მონაწილეებში) რესურსების დანახვა, კეთილგანწყობილება, ამავე დროს, ასერტიულობა (საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება სხვისი ინტერესების შელახვის გარეშე). თუ მედიატორს ეს რესურსები აქვს, მას არ გაუჭირდება რაპორტის დამყარება, ნდობის მოპოვება, კომუნიკაციაში უსაფრთხო ატმოსფეროს შექმნა და პროცესის არადირექტიულად, ზეწოლის გარეშე წარმართვა. მედიაციის პროცესში, განსაკუთრებით მოსამზადებელ ეტაპზე, არანაკლებ მნიშვნელოვანი რესურსია მედიატორისთვის – მოთმინება.

დაბოლოს, მედიატორი უნდა აღიქმებოდეს მხარეების მიერ, როგორც ლეგიტიმური, იშუამდგომლოს მათ შორის. ლეგიტიმურობის განცდის მნიშვნელოვანი წყაროა მონაწილეთა დარწმუნებულობა მედიატორის პროფესიონალიზმსა და მიუკერძოებლობაში.

ზევით აღწერილი უნარ-ჩვევების გამოყენებით, მედიატორის პროფესიული როლი დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციაში გულისხმობს მედიაციის პროცესში ხუთი საკვანძო პრობლემის ტრანსფორმაციის/რეფრეიმინგის ხელშეწყობას. ესენია:

- **პრობლემა:** მხარეთა ფიქსაცია წარსულზე – დანაშაულზე, და მასთან დაკავშირებულ ემოციებზე

შესაბამისი ტრანსფორმაცია/რეფრეიმინგი: მედიაციის პროცესში მედიატორმა ხელი უნდა შეუწყოს დაზარალებულსა და დამზარალებელს, გაუზიარონ ერთმანეთს დანაშაულთან დაკავშირებული თავიანთი ისტორიები და გამოხატონ შესაბამისი ემოციები. ეს მათ შვებას მოჰგვრის და დაეხმარება ყურადღების გადმოტანაში წარსულიდან აწმყოზე, „აქ და ამაჟამად“. აწმყოზე ყურადღების გადმოტანა მათ დაეხმარება, ყურადღება მიაქციონ აწმყოში არსებულ შესაძლებლობებს.

- **პრობლემა:** მონაწილეთა ფიქსაცია ბრალეულობაზე („ჩემი ბრალია რაც მოხდა“, „მისი ბრალია რაც მოხდა“).

შესაბამისი ტრანსფორმაცია/რეფრეიმინგი: მედიაციის პროცესში პრობლემის გადაჭრაზე მხარეთა ორიენტაციის ხელშეწყობით, მედი-

ატორი ეხმარება როგორც დაზარალებულს, ასევე დამზარალებელს აქცენტი ბრალეულობიდან პასუხისმგებლობაზე გადაიტანონ (მაგ., „ჩემი პასუხისმგებლობა მიყენებული ზარალის ანაზღაურება“).

- **პრობლემა:** მონაწილეთა ფიქსაცია პოზიციებზე („აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!“).

შესაბამისი ტრანსფორმაცია/რეფრეიმინგი: მედიაციის პროცესში, ჯერ კიდევ მოსამზადებელ ეტაპზე, მედიატორმა ხელი უნდა შეუწყოს მხარეებს ე.წ. „პოზიციური აზროვნებიდან“ („მე მაგას არ დაველაპარაკები და მორჩა!“) გადავიდნენ იმის გაცნობიერებაზე, თუ რა ინტერესი შეიძლება დაიკმაყოფილონ მედიაციის პროცესში მონაწილეობით („რა მინდა“, „რა მჭირდება“, „რა მაინტერესებს“). მაგ., დაზარალებულს შესაძლოა აინტერესებდეს გაიგოს, თუ რამდენად ინანიებს დამზარალებელი მიყენებულ ზიანს; დამზარალებელს შესაძლოა აინტერესებდეს, თუ რამდენად შეიძლება მოელოდეს დაზარალებულის მხრიდან მიტევებას, და სხვა. პოზიციებიდან ინტერესებზე გადანაცვლება ხელს უწყობს დაზარალებულსა და დამზარალებელს მათი ურთიერთობა ურთიერთდაპირისპირების ფორმატიდან პრობლემის გადაჭრის ფორმატში გადავიდეს.

- **პრობლემა:** მხარეების კონფრონტაცია – „მე შენ წინააღმდეგ“

შესაბამისი ტრანსფორმაცია/რეფრეიმინგი: მედიაციის პროცესში მედიატორმა ხელი უნდა შეუწყოს მხარეებს, რომ მათ შორის დაპირისპირება შეიცვალოს/ტრანსფორმირდეს დაპირისპირებაში მათსა და მოსაგვარებელ პრობლემას შორის: „ჩვენ – პრობლემის წინააღმდეგ“ (როგორ გამოვასწოროთ რაც მოხდა, როგორ ავანაზღაუროთ/აღვადგინოთ ზარალი).

- **პრობლემა:** უსუსურობის განცდა და ფიქსაცია „მსხვერპლის“ როლზე (ვნებით გვარზე, „მე ეს გამიკეთეს“ მდგომარეობაზე). მსხვერპლის როლზე შესაძლოა ფიქსირებული იყოს როგორც დაზარალებული, ასევე, რიგ შემთხვევებში დამზარალებელიც, განსაკუთრებით, თუ სასჯელს იხდის (ან მოიხდა).

შესაბამისი ტრანსფორმაცია/რეფრეიმინგი: მედიაციის პროცესში მხარეთა აქტიური ჩართულობის ხელშეწყობით, მათი აზრების გათვალისწინებით, გადაწყვეტილებების მიღებაში წვლილის შეტანის შესაძლებლობის მიცემით, მედიატორი ეხმარება როგორც დაზარალებულს, ასევე დამზარალებელს კონტროლის განცდის დაბრუნებასა

და საკუთარი თავის არა როგორც ზემოქმედების ობიექტის, არამედ როგორც აქტიური სუბიექტის აღქმაში.

2.3. შემთხვევის განხილვა, 30 წუთი

მონაწილეებს ვაცნობთ ქვევით მოყვანილ შემთხვევას სამედიცინო პრაქტიკიდან:

შემთხვევის ზოგადი აღწერა: 15 წლის მეგობრებმა – გიორგიმ და გივიმ, რომლებიც ერთ კლასში სწავლობენ და ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ, ღამით გაქურდეს სამეზობლოში მოქმედი სასურსათო ჯიხური. გამოძიება დაიწყო ჯგუფური ქურდობის ფაქტზე, გამოძიების პროცესში დადგინდა ზარალის ოდენობა და სასამართლომ მეგობრებს არასაპატიმრო სასჯელი შეუფარდა. სასურსათო ჯიხურის მეპატრონე 48 წლის ქალია – ეთერი. იგი არ დაკმაყოფილდა საქმის შედეგებით და ითხოვს დამატებით თანხას, რამდენადაც ჯიხურიდან წაღებული ყველა პროდუქტი არ დაუბრუნდა, და შესაბამისად, თვლის, რომ სრულფასოვანი ანაზღაურება ვერ მიიღო. შემთხვევა მედიაციის წარმართვის მიზნით გადაეცა მედიატორს.

მხარეები:

გიორგი: გიორგის ყავს უმცროსი და-ძმა, ოჯახში სულ სამი შვილია, მამამისი მუშაობს მშენებლობაზე, დედა – სკოლის დამლაგებლად, ოჯახი უკიდურესად გაჭირვებულია, მათ არა აქვთ შესაძლებლობა რაიმე დამატებით აუნაზღაურონ დაზარალებულს. არც რაიმე პერსპექტივა ჩანს, რომ მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდებოთ. ქურდობის საღამოს გიორგის შეყვარებულის დაბადების დღე იყო, მას „არ უნდოდა ხელცარიელი მისვლა“ და გივიც დაიყოლია ჯიხური გაეტეხათ და დაბადების დღეზე ტკბილეულით და სხვა სანოვაგით „ხელდამშვენებულები“ მისულიყვნენ.

გივი: გივი და დედამისი მარტო ცხოვრობენ, მამა უკვე სამი წელია რაც ციხეშია – მთვრალ მდგომარეობაში ჩხუბის დროს კაცი დაჭრა. დედა მუშაობს ერთერთ მსხილ სუპერმარკეტში, ორ ცვლაში, რომ ოჯახი არჩინოს და ციხეში მყოფ მეუღლესაც დაეხმაროს. ბიჭი, პრაქტიკულად, მარტო იზრდება. არც მათ აქვთ დამატებითი თანხის გადახდის საშუალება. დედა სასოწარკვეთილებაშია – მეუღლე ციხეში ყავს და ახლა უკვე შვილმაც ჩაიდინა დანაშაული. ეშინია, გივი კრიმინალურ გზას არ დაადგეს. არ იცის რა იღონოს, რომ ამას აარიდოს,

სასოწარკვეთილებაშია, თავს გამოუვალ მდგომარეობაში გრძნობს და ღამ-ღამობით ტირის. გივი თვითონაც განიცდის, დედაც ეცოდება – იცის, რომ ნერვიულობს. ნანობს, რომ გიორგის ჯიხურის გატეხვა არ გადააფიქრებინა.

ეთერი: ეთერი მარტოხელა დედაა, ქმარი არასდროს ყოლია, ყავს 12 წლის ქალიშვილი. ის ინიციატივიანი ქალია და მოახერხა ჯიხურის დადგმა და ამუშავება, თუმცა ახლაც ისტუმრებს ჯიხურის დადგმის ვალს. იგი პროდუქტს რეგულარულად ლილოს ბაზრობაზე ყიდულობს და ბაზრობიდან, ფაქტობრივად, თვითონ ეზიდება მძიმე ჩანთებს ჯიხურამდე, დამხმარე არავინ ყავს. ყველაფერი, რასაც აკეთებს, მძიმე შრომის ფასად უჯდება, მაგრამ ის აზრი, რომ გოგონას ზრდის, ამხნევეებს და დაულალავად შრომობს. ჯიხურის გაქურდვამ ის აზარალა არა მარტო ფინანსურად. მიღებულმა თანხამ მართლაც ვერ აუნაზღაურა ზარალი, მითუმეტეს რომ ჯიხურს კედელი დაუზიანდა, რითიც, ფიქრობს, რომ სხვა სამართალდამრღვევები ისარგებლებენ და უფრო ადვილად გატეხავენ ჯიხურს. ჯიხურის გაუქრდვის შემდეგ ეთერი ძალიან ნერვიული გახდა, დაუცველობის განცდა გაუჩნდა, ღამე ცუდად სძინავს, იმიტომ რომ შფოთავს იმაზე, რომ კვლავ არ გაქურდონ. ძალიან გაბრაზებულია გიორგის და გივის ოჯახებზე, ზარალი რომ არ აუნაზღაურეს. გარდა ამისა, გაგებულნი აქვს, რომ გივის მამა სასჯელალსრულების დაწესებულებაშია და ეშინია, რომ ბიჭი თუ კრიმინალურ გზას დაადგა, შეიძლება კიდევ არაერთხელ აზარალოს.

მონაწილეებს ეძლევათ დავალება იმსჯელონ და პასუხი მონახონ შემდეგ შეკითხვებზე:

- როგორ შეიძლება მედიატორმა დააინტერესოს დაზარალებული ჩაერთოს მედიაციის პროცესში? როგორია დაზარალებულის პოზიცია? რა შეიძლება იყოს ჩართვის ინტერესი?
- როგორ შეიძლება მედიატორმა დააინტერესოს დამზარალებელი მხარე და მათი კანონიერი წარმომადგენლები ჩაერთონ მედიაციის პროცესში? როგორია მათი (გიორგი და მისი ოჯახი, გივი და მისი ოჯახი) პოზიცია? რა შეიძლება იყოს თითოეულისთვის ჩართვის ინტერესი?

საშინაო დავალება: სავალდებულო საკითხავი

- Moore, Christopher (2014). The Mediation Process. Practical strategies for Resolving Conflict. 4th Edition. John Wiley and Sons Inc. New York., Pp: 240-244.

- Umbreit, Mark, Lewis, Ted (2015). Dialogue-driven Victim-Offender Mediation. Center of restorative Justice and Peacemaking, University of Minnesota. Pp: 91-198. http://www.antonioacasella.eu/restorative/Umbreit_Lewis_2015.pdf

გამოყენებული ლიტერატურა:

Handbook on Restorative Justice Programs (2020). United Nations Office on Drugs and Crime.

Lederach, John Paul & Moiese, Michelle (2009). Conflict Transformation: A Circular Journey With A Purpose. In: New Routes. A Journal for Peace Research and Action. 2009, 2(14). Pp: 7-11. https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/ConflictTransformation_NewRoutes2009.pdf

Moore, Christopher (2014). The Mediation Process. Practical strategies for Resolving Conflict. 4th Edition. John Wiley and Sons Inc. New York.

Umbreit, Mark, Lewis, Ted (2015). Dialogue-driven Victim-Offender Mediation. Center of restorative Justice and Peacemaking, University of Minnesota. http://www.antonioacasella.eu/restorative/Umbreit_Lewis_2015.pdf

Umbreit, Mark, Greenwood, Jean (2000). Guidelines for Victim Sensitive Victim-Offender Mediation: Restorative Justice Through Dialogue. Center for Restorative Justice and Peacemaking, Minnesota, OVC.

თავი IV

აღდგენითი მართლმსაჯულების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში¹

ლადო ჯავახიშვილი

ძირითადი მიზანი: სტრუქტურებისთვის და მონაწილეებისთვის სამართლის ზოგადი ცნებების, ტერმინების, პრინციპების და საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების მარეგულირებელი საკითხების გაცნობა.

სტრუქტურა და მონაწილეს კურსის მოსმენის შემდეგ:

- ექნება ინფორმაცია სამართლის ძირითადი ცნებების, ინსტიტუტებისა და პრინციპების თაობაზე;
- შეძლებს ორიენტირებას სამართლის სისტემაში;
- ეცოდინება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ძირითადი ტერმინები;
- ექნება ზოგადი ცოდნა აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით.

სააწავლო აქტივობები და მეთოდოლოგია:

- ინტერაქციული ლექცია;
- ჯგუფური დისკუსია;
- გონებრივი იერიში;
- დამოუკიდებელი მუშაობა.

¹ ამ თავით გათვალისწინებულ სალექციო კურსს, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, რეკომენდებულია წარუძღვეს იურიდიული პროფესიის წარმომადგენელი.

დროის ჩარჩო:

6 საკონტაქტო საათი + 12 საათი ინდივიდუალური მუშაობისათვის.

გეგმა:

1. სესია 1 (4 საათი):
 - 1.1. სამართლის ზოგადი პრინციპები და ძირითადი ცნებები
2. სესია 2 (2 საათი)
 - 2.1. აღდგენითი მართლმსაჯულების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

1. სამართლის სისტემა და ზოგადი ცნებები

მიზანი: სტუდენტებისთვის და მონაწილეებისთვის სამართლის სისტემის, ცნებებისა და ზოგადი პრინციპების გაცნობა.

კურსის მოსმენის შემდეგ, სტუდენტს/მონაწილეს:

- უნდა ჰქონდეს ინფორმაცია სამართლის ზოგადი ცნებების, სისტემის და პრინციპების შესახებ;
- უნდა შეეძლოს მართლმსაჯულების სისტემაში ორიენტირება;
- უნდა შეეძლოს ძირითადი ტერმინების გაგება და პრაქტიკაში გამოყენება.

აქტივობა:

სესია, დისკუსია, ინდივიდუალური მუშაობა.

რატომ არის მნიშვნელოვანი აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკაში გამოყენების დროს სამართლის ძირითადი ცნებების, პრინციპებისა და ტერმინების ცოდნა?

აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სამართლის ზოგადი ჩარჩოს, პრინციპებისა და ზოგადი ცნებების ცოდნა. მედიაცია სისხლის სამართალში, საქართველოში კონვენციური სისხლის სამართლის განუყოფელი ნაწილია და როგორც მედიატორს, ასევე ფასილიტატორს მუდმივად აქვს შეხება მართლმსაჯულების სფეროს სპეციალისტებსა და სამართლებრივ საკითხებთან. აქედან გამომდინარე, პედაგოგმა უნდა

შეძლოს და იურიდიული გამოცდილებისა და ცოდნის არმქონე მსმენელს მიაწოდოს ზოგადი ინფორმაცია სფეროს, სამართლის მნიშვნელობის, ზოგადი ცნებების, ტერმინებისა და პრინციპების თაობაზე. მნიშვნელოვანია, რომ სესიის განმავლობაში პედაგოგმა მსმენელებთან განიხილოს შემდეგი თემები:

- სამართლის და სამართლიანობის ცნებების გამიჯვნა;
- სამართლის ნორმა და ნიშნები;
- სამართლის დარგები;
- დანაშაულის ცნება (ქმედება, მართლწინააღმდეგობა, ბრალი);
- დაუმთავრებელი დანაშაული;
- ჯგუფური დანაშაული;
- დანაშაულის კატეგორიები;
- სასჯელები სისხლის სამართალში.

1.1. სამართალი და სამართლიანობა

სამართლის მეცნიერება შეისწავლის სახელმწიფოს მიერ დადგენილ პოზიციურ სამართალს. მეცნიერთა მოსაზრებით, სამართალი საფუძველს იღებს სამართლიანობისაგან და ზოგადად მიჩნეულია, რომ სამართლის ნორმა სამართლიანია, მაგრამ პრაქტიკაში ეს ყველა შემთხვევაში აუცილებელი არაა, ასე იყოს, რადგანაც შესაძლებელია, სამართლის ნორმა იყოს უსამართლოც. ამის მიზეზი კი სამართლიანობის განსხვავებული აღქმაა.

რას ნიშნავს სამართლიანობა? სამართლიანობა უმეტესად ადამიანის შინაგანი განცდაა, ინდივიდუალური აღქმა მოვლენებისა და ქმედებების მიმართ, რომელიც თითოეულ ადამიანში განსხვავებულად ყალიბდება შინაგანი და გარემო ფაქტორების ურთიერთქმედებით. მეცნიერულ წრეებშიც დღემდე ვერ ჩამოყალიბდა სამართლიანობის ზოგადი, უნივერსალური ცნება, გამომდინარე იქიდან, რომ იგი მთლიანად შეფასებით კატეგორიას წარმოადგენს. სამართლიანობის აღქმა ერთსა და იმავე საზოგადოებაში, მიკროსოციალურ კი, შესაძლებელია განსხვავებული იყოს.

ამ აქტივობის დროს პედაგოგმა, დისკუსიის გზით, უნდა მიიყვანოს მსმენელები იმ დასკვნამდე, რომ ერთ კონკრეტულ დილემას შე-

საძლებელია რამდენიმე სამართლიანი გადაწყვეტა ჰქონდეს, მაგრამ სამართლებრივად ითვლება მხოლოდ ის, რომელსაც ადგენს კონკრეტული ნორმა. სამართლის ნორმა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება კონკრეტული ინდივიდისთვის უსამართლო იყოს, მაინც მოქმედია. აქტივობის დროს შესაძლებელია კაზუსის გამოყენება და ჯგუფური სავარჯიშოს ორგანიზება, ალტერნატივად შესაძლებელია კონკრეტულ კაზუსზე დისკუსიის ფორმატში მუშაობა, მონაწილეთა მოსაზრებების შეკრება და განხილვა. საერთო ჯამში, პედაგოგმა უნდა აღნიშნოს, რომ მონაწილეთა ყველა მოსაზრება შესაძლებელია იყოს სამართლიანი, მაგრამ შეჯამებისას მიუთითოს, რომ, თუ სამართლებრივად მივუდგებით, ამ კაზუსს მხოლოდ ერთი ახსნა ექნება – ის, რაც მითითებულია სამოქალაქო კოდექსში.

შეჯამებისას აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას, რომ ზოგადად სამართლის ნორმას აწესებს სახელმწიფო და იგი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამართლიანი არაა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია არსებობდეს კანონიერი უსამართლობაც, მიუხედავად ამისა, ჩვენ ყველანი მაინც ვალდებული ვართ, დავემორჩილოთ მას მანამ, სანამ არ გაუქმდება².

1.2. სამართლის ნორმის ცნება და ნიშნები

სამართლის ზუსტი ცნება, რომელსაც ყველა მეცნიერი აღიარებდა, ბევრი მცდელობის მიუხედავად, დღემდე არ არის ჩამოყალიბებული. ამას არაერთი მიზეზი აქვს. თუმცა უმთავრესი ალბათ ისაა, რომ სამართალი მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის, იგი მუდამ იცვლება დროსა და საზოგადოებასთან ერთად. თუ ჩვენს დროში არსებულ რეალობას გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა (პოზიტიური სამართლის ცნება).

მიჩნეულია, რომ სამართალს ახასიათებს შემდეგი ნიშნები: იგი ადგენს ქცევის წესს, ეს წესი ზოგადსავალდებულოა, აქვს მოქმედების პრეტენზია და შესაძლებელია მისი იძულებით შესრულების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ჩარევით.

აქტივობის დროს პედაგოგმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მონაწილეებმა გააცნობიერონ სამართლისა და მისი შემადგენელი ნაწილების ნორმების დანიშნულება. მათ უნდა განემარტოთ, რომ სამართალი

2 ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2014, 66-69.

შედგება ნორმებისაგან; ნორმა კი, თავის მხრივ, დღევანდელ რეალობაში მიიჩნევა, რომ არის სათანადო და უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ, სათანადო წესით მიღებული ქცევის წესი, რომელიც მიმართულია მომავლისაკენ და პირთა წრეს უდგენს შეზღუდვას. იგი სრულდება ნებაყოფლობით ან სახელმწიფოს აქვს ბერკეტი, რომ იგი იძულებით აღასრულოს.

1.3. სამართლის დარგები

პედაგოგმა მსმენელებს უნდა აუხსნას სამართლის დარგების მნიშვნელობა და მათ შორის განსხვავება. ზოგადად, დარგობრივად გამოყოფენ საჯარო და კერძო სამართალს და მათი განსხვავება მართივი საქმე არ არის, ამის შესახებ სამართლის მეცნიერებაში არაერთი თეორია არსებობს, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ვერც ერთი მათგანი ზუსტ გამიჯვნას ამ ორ დარგს შორის ვერ ახდენს. საჯარო და კერძო სამართლის გამიჯვნის მცდელობები უძველეს დროშიც იყო, ჯერ კიდევ რომის სამართალი ცდილობდა ამას. რომის სამართლის მიხედვით, საჯარო სამართალი იყო ის, რაც უკავშირდებოდა რომის სახელმწიფოს, ხოლო კერძო სამართალი ის, რაც მიმართული იყო ინდივიდების ურთიერთობისკენ. საჯარო და კერძო სამართლის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ესაა. კერძო სამართალისთვის მნიშვნელოვანია ალიაროს პირადი ავტონომია. ამის მიხედვით, ადამიანი არის ინდივიდი და იგი მოქმედებს საკუთარი ნება-სურვილითა და პასუხისმგებლობით. საჯარო სამართალში კი პირიქითაა – უმნიშვნელოვანესია კანონით შეზღუდვა, საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში უფლება-მოვალეობები განისაზღვრება არა მხარეთა ნებით, არამედ კანონით.

კერძო სამართალს მიეკუთვნება, მაგალითად, სამოქალაქო სამართალი, რომელიც დაფუძნებულია თანასწორი პირების ურთიერთობაზე, იგი არეგულირებს როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებს შორის ურთიერთობას. საჯარო სამართალს მიეკუთვნება, მაგალითად, ადმინისტრაციული სამართალი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირების წესებს. მაგალითად, სისხლის სამართალი და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს დარგები, რომელთა სრული გამიჯვნაც ვერ ხერხდება, ისინი თანაბრად მიეკუთვნება როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართალს³.

3 ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2014, 205-210.

1.4. დანაშაული

დღეს მოქმედი ქართული სისხლის სამართალი ეფუძნება სამსაფეხურიან სისტემას, რომლის მიხედვითაც, დანაშაულს აქვს სამი ძირითადი ელემენტი: ქმედება, მართლწინააღმდეგობა, ბრალი.

1. ქმედება – ეს არის პირის მიერ სს კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ ნორმასთან პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობის დადგენა.
2. მართლწინააღმდეგობა – პირის მიერ ჩადენილი ქმედების წინააღმდეგობრიობა კულტურულ, მორალურ ნორმებთან. ამ ეტაპზე უნდა დადგინდეს ქმედების გასაკიცხაობა.
3. ბრალი – ქმედების გასაკიცხაობის დადგენის შემდეგ, მოსამართლის, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის გაკიცხვა ამ ქმედების ჩადენის გამო.

პედაგოგმა ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა განიხილოს სქემის მიხედვით, დანაშაულის შემადგენლობის ვიზუალიზაცია მონაწილეებს ძალიან ეხმარება აღქმაში. სასურველია სქემის ეტაპობრივად ჩამოწერა და ისრებისა და სხვადასხვა ფერის მარკერების გამოყენება. სქემა უნდა დაიხაზოს პრაქტიკული მაგალითის გამოყენებით. პედაგოგმა უნდა აირჩიოს განზრახ დამთავრებული დანაშაულის მარტივი მაგალითი და იმის მიხედვით დახაზოს სქემა.

1. ქმედება
 - 1.1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა
 - სუბიექტი
 - მოქმედება
 - ობიექტი
 - შედეგი
 - მიზეზობრივი კავშირი
 - 1.2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა⁴

4 განზრახვისა და გაუფრთხილებლობის საკითხი, არაიურისტისათვის მარტივად აღქმადია ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე. შესაბამისად, მიზანშეწონილად მივიჩნევთ მოცემული თემების აქ განხილვას, რაც შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს მეცნიერების გარკვეული ნაწილის აზრს.

- მოტივი, ემოცია, მიზანი
 - განზრახვა, გაუფრთხილებლობა
2. მართლწინააღმდეგობა
 3. ბრალი

1.5. დაუმთავრებელი დანაშაული

პედაგოგმა აქტივობის ფარგლებში მონაწილეებს უნდა აუხსნას დანაშაულის ჩადენის ეტაპები. ამისათვის უნდა გამოიყენოს ვიზუალური სქემა, რაც უფრო აადვილებს აღქმადობას. პირველ ეტაპზე საუბარი უნდა წარიმართოს განზრახვის გამომჟღავნებაზე.

განზრახვის გამომჟღავნება – ეს არის ის ეტაპი, როდესაც იწყება დანაშაულის ჩადენა. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ აზროვნების ეტაპი, სადაც პირი ამჟღავნებს განზრახვას. კანონმდებელი კი გარკვეული ქმედებისთვის ან საფრთხის შექმნისთვის აწესებს დასჯადობას, სურვილისთვის დასჯადობა გამორიცხულია დღევანდელი კანონმდებლობით. შემდეგი ეტაპი არის უკვე დანაშაულის მომზადება, მას კი მოსდევს დასრულებული დანაშაული ან მცდელობა.

დაუმთავრებელი დანაშაულის ერთ-ერთი სახეა მომზადება. მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა. მომზადება დასჯადია მხოლოდ გარკვეული კატეგორიის დანაშაულებისათვის. მოსამზადებელი საქმიანობა შეიძლება სხვადასხვა ქმედებით გამოვლინდეს, რაც დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე.

მომზადებასთან შედარებით უფრო საშიშია დანაშაულის მცდელობა, როდესაც პირი მომზადების ეტაპიდან უკვე ქმედების განხორციელებაზე გადადის. დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. მცდელობა დანაშაულის მომზადებისა და დამთავრებული დანაშაულის შუალედური რგოლია, მაგრამ არაა აუცილებელი, რომ ყველა დანაშაულმა მომზადების ეტაპი გაიაროს. დანაშაულის მცდელობისას სამართლით დაცულ სიკეთეს ექმნება რეალური საფრთხე, რადგანაც პირი უკვე ახორციელებს დანაშაულის ჩადენისათვის საჭირო ქმედებას. მცდელობა შეიძლება იყოს ორი სახისა – დაუმთავრებელი და დამთავრებული. დაუმთავრებელი მცდელობისას ჯერ კიდევ არ არის ყველა მოქმედება შესრულებული, რამაც დანაშაულებრივი შედეგი უნდა გა-

მოიწვიოს, დამთავრებულისას კი მოქმედება შესრულებულია, მაგრამ შედეგი არ მოჰყვა რაიმე მიზეზის გამო.

აქტივობის განხორციელებისას აუცილებელია, პედაგოგმა თითოეულ საკითხზე მონაწილეების აქტიური ჩართულობით განიხილოს პრაქტიკული მაგალითები.

1.6. ჯგუფური დანაშაული

როდესაც ორი ან მეტი პირი სჩადის დანაშაულს, ისინი შეიძლება იყვნენ ამსრულებლები ან თანამონაწილეები. ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში. აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხადობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. რაც შეეხება დანაშაულში თანამონაწილეობას, აქ შეიძლება არსებობდეს რამდენიმე სახე. დანაშაულში თანამონაწილეებად ითვლებიან ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე. დანაშაულის უშუალო ამსრულებელია ის, ვინც დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ საკუთარი გონებით და ხელით ახორციელებს. ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა, ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას; აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზაციული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. დანაშაულის ორგანიზატორი თანამონაწილეთა და თანამსრულებელთა შორის უმთავრესი ფიგურაა. წამქეზებელია ის, ვინც სხვა დაიყოლია დანაშაულის ჩასადენად. დანაშაულის ჩადენაზე დაყოლიება ნიშნავს ამსრულებელში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების წაქეზებას. დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. დახმარება შეიძლება გამოიხატოს ძალიან ბევრი სახით, მთავარია, რაიმე სახის დახმარება გაეწიოს.

კოდექსის მიხედვით, არსებობს ჯგუფური დანაშაულის სამი სახე: წინასწარ შეთანხმების გარეშე, წინასწარ შეთანხმებით და ორგანიზებული. დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. ჯგუფური დანაშაულის მეორე სახეა ორი ან მეტი პირის წინასწარი შეთანხმებით შეკავშირება დანაშაულის ჩასადენად. დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განხორციელდა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები

წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომელთა მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან მატერიალური სარგებლობის უკანონოდ მიღება. სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის.

1.7. სასჯელები სისხლის სამართალში

სასჯელი, შეიძლება ითქვას, რომ არის სახელმწიფოს რეაქცია ჩადენილ დანაშაულზე. იგი სახელმწიფო იძულების ღონისძიებაა და მხოლოდ სასამართლოს განაჩენის საფუძველზე ინიშნება სახელმწიფოს სახელით. სასჯელი წარმოადგენს დანაშაულის ანუ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩამდენი პირის სახელმწიფოს მიერ გაკიცხვას და იგი გარკვეული პერიოდით იწვევს ისეთ შედეგს, როგორიცაა ნასამართლობა.

სასჯელს აქვს მკაცრად პერსონალური ხასიათი. ეს ნიშნავს, რომ სასჯელი შეეფარდება დამნაშავეს მხოლოდ მის მიერ ჩადენილი ქმედების ფარგლებში და, შესაბამისად, ყოველი სასჯელი მეტ-ნაკლებად ტანჯვასთან, შეზღუდვასთან, პასუხისგებასთანაა დაკავშირებული. ღონისძიება, რომელიც ამ მომენტს არ შეიცავს, არაა სასჯელი. კოდექსის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია შემდეგი სასჯელები:

1. ჯარიმა;
2. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
3. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა;
4. გამასწორებელი სამუშაო;
5. სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა;
6. თავისუფლების შეზღუდვა;
7. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა;
8. უვადო თავისუფლების აღკვეთა;
9. ქონების ჩამორთმევა.

სს კოდექსის მიხედვით, სასჯელები იყოფა ძირითად და დამატებით სასჯელებად. ძირითადია: საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთა. ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად, ამიტომ შეიძლება მათ შერეული ტიპის სასჯელები ვუწოდოთ.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

- ჯარიმა – ეს არის ფულადი გადასახდელი, რომელიც ინიშნება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის ფორმით. სასამართლომ ჯარიმა უნდა დაინიშნოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით.
- თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშვნილი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივ თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში.
- საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს, რომ სასამართლო განაჩენში მითითებული ვადის განმავლობაში პირს ეკრძალება გარკვეული პროფესიული ან სხვაგვარი საქმიანობა. ეს სასჯელი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.
- საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის თავისუფალ დროს უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. ეს შეიძლება იყოს მოხუცის ან ინვალიდის მოვლა და ზოგიერთი სხვა სამუშაო, რომელიც არ მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. თუმცა, ზოგჯერ მსჯავრდებულის სპეციალური ცოდნის უსასყიდლო გამოყენებაც შეიძლება საზოგადოების სასარგებლოდ. ძირითადი სასჯელის სახით იმ შემთხვევაში ინიშნება, თუ ამ სასჯელის შესახებ პირდაპირაა მითითებული შესაბამისი მუხლის სანქციაში.
- გამასწორებელი სამუშაო სასჯელის ძირითადი სახეა და გულისხმობს მსჯავრდებულის იძულებით ჩაბმას შრომაში მის ძირითად სამუშაო ადგილზე. გამასწორებელი სამუშაოს და-

ნიშნისას მას ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში განაჩენით დადგენილი ოდენობის თანხა ექვითება.

- სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა სპეციალურ სასჯელებს მიეკუთვნება. იგი ინიშნება მხოლოდ ძირითადი სასჯელის სახით.
- თავისუფლების შეზღუდვა ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლაციის გარეშე მოთავსებას სპეციალურ დაწესებულებაში მასზე ზედამხედველობით. აქ მსჯავრდებულები არ განიცდიან საზოგადოებისგან მკაცრ იზოლაციას, უფლება აქვთ შეხვდნენ ახლობლებს, დადონ გარიგებები, მიიღონ საშუალო და უმაღლესი განათლება.
- ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლაციას და კანონით განსაზღვრულ სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსებას. ეს ძირითადი სასჯელია და მისი გამოყენება დაიშვება მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში.
- უვადო თავისუფლების აღკვეთა არის ძირითადი სასჯელი, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს.

პედაგოგმა მონაწილეებს უნდა მიაწოდოს აგრეთვე ინფორმაცია დანაშაულთა ერთობლიობის, რეციდივის და სასჯელთა ერთობლიობის შესახებ; რა წესები მოქმედებს არსებული კანონმდებლობის მიხედვით და როგორ ინიშნება სასამართლოს მიერ სასჯელები მოცემულ შემთხვევებში.

საშინაო დავალება:

- კაზუსების ამოხსნა
- სავალდებულო ლიტერატურის მომზადება შემდგომი სესიისთვის

სავალდებულო საკითხავი

- ხუბუა გ., სამართლის თეორია
- სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი თავები

1.8. აღდგენითი მართლმსაჯულების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

დღეისათვის არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა რეგულირდება შემდეგი აქტებით: საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“; საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის ბრძანება „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“; საქართველოს იუსტიციის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების, 2016 წლის 15 მარტის ერთობლივი №132/№95/№23 ბრძანება და სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ დირექტორის ბრძანება „არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესისა და სამუშაო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ“.

რაც შეეხება ახალ, სისხლის სამართლის მედიაციის პროგრამას მსჯავრდებული პირებისათვის, მას არეგულირებს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ დირექტორის ბრძანება „აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამის – სისხლის სამართლის მედიაციის საპილოტე რეჟიმში დამტკიცების შესახებ“. ეს პროგრამა 2018 წელს ამოქმედდა და მისი ამოქმედებით სისხლის სამართლის მედიაცია საქართველოში უკვე წარმოდგენილია როგორც დამოუკიდებელი მექანიზმი და იგი გამოიყენება განრიდების პროგრამისაგან დამოუკიდებლად, როგორც დაზარალებულის სერვისი ან/და მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამა.

2016 წლის პირველ იანვარს ამოქმედებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ეყრდნობა აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს, მისი მთავარი, ამოსავალი პრინციპია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი და კოდექსის შესაბამისი მუხლები პირდაპირ მიუთითებენ აღდგენითი მართლმსაჯულებისა და ალტერნატიული ღონისძიებების უპირატესობას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებით კიდევ უფრო გაუმჯობესდა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის რეგულირების საკითხები. განრიდების შესაძლებლობა გავრცელდა 18-დან 21 წლამდე პირებზე, განრიდების უფლებამოსილება მინიჭება სასამართლოს,

გაუმჯობესდა განრიდების ღონისძიებების შესახებ დათქმები, გაჩნდა განრიდების ახალი ღონისძიებები და სხვა.

მოქმედი რეგულაციების მიხედვით, 21 წელს მიუღწეველი პირის განრიდების უფლებამოსილებას პროკურორს წინასასამართლო სხდომამდე საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ანიჭებს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განრიდების უფლებამოსილება ასევე აქვს მოსამართლესაც, რომელსაც სწორედ არასრულწლოვანთა კოდექსმა მიანიჭა უფლება – საქმე დაუბრუნოს პროკურორს პირის განრიდების მიზნით. ხოლო პროკურორი უკვე ვალდებულია, განარიდოს 21 წელს მიუღწეველი პირი. მოსამართლეს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, განრიდების გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზეც. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკაში მოსამართლეები გადაწყვეტილებას არა მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე იღებენ, ასევე დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსაგან ითხოვენ განსარიდებელი პირის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, რაც ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს განრიდების გადაწყვეტილების მიღებისას.

ასევე ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა ჩაითვალოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანთა საქმეებზე პირველ რიგში უნდა მოხდეს განრიდების შესაძლებლობის განხილვა და უნდა შეფასდეს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უბრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და დანაშაულის თავიდან აცილებას. ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის მაღალ სტანდარტს, როგორც პროკურორისათვის, ასევე მოსამართლისათვის – შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაასაბუთოს, რატომ არ იყენებს განრიდებას და რატომ მიიჩნევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უფრო მნიშვნელოვნად ყოველ კონკრეტულ საქმეში.

განვიხილოთ განრიდების პროცედურები ზემოაღნიშნული დოკუმენტებისა და პრაქტიკის საფუძველზე. პირველ ეტაპზე, მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიღებს განრიდების წინასწარ გადაწყვეტილებას, იგი ხვდება არასრულწლოვანს და მის კანონიერ წარმომადგენელს (ადვოკატის ყოლის შემთხვევაში, მასაც); უხსნის მათ განრიდების

პროგრამის არსს, სამაგალითო პირობებს და აწვდის ყველა საჭირო ინფორმაციას. თანხმობის მიღების შემთხვევაში იგი ხვდება დაზარალებულსაც, მასაც აწვდის განრიდების გადაწყვეტილების მიღების შესახებ ინფორმაციას და აფორმებს დაზარალებულთან კონსულტაციის ოქმს; ამის შემდეგ კი უხსნის, რომ მას დაუკავშირდება მედიატორი და აწვდის მოკლე ინფორმაციას მისი საქმიანობის შესახებ. მომდევნო ეტაპზე პროკურორს გამოაქვს დადგენილება განრიდების პროცესის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც მიმართვას აგზავნის 3 სამუშაო დღის განმავლობაში დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკისა და მედიატორის გამოყოფის მოთხოვნით. შესაბამისი სპეციალისტები ვალდებული არიან, 2 სამუშაო დღის განმავლობაში საქმე დააწერონ სოციალურ მუშაკს და მედიატორს. თითოეული მათგანი მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს მუშაობას.

სოციალურ მუშაკს აქვს 10 სამუშაო დღის ვადა იმისათვის, რომ შეაფასოს არასრულწლოვანი და მისი სოციალური გარემო; შეაფასოს განსარიდებლის ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები და მოამზადოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, რომელშიც დაფიქსირებული იქნება ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი და ასევე შესთავაზოს პროკურორს და, მედიაციის შემთხვევაში, მედიატორსაც სარეკომენდაციო პირობები განრიდებისათვის, ამასთან ერთად, უნდა შეფასდეს განმეორებითი დანაშაულის რისკიც. სოციალური მუშაკის პარალელურად, 10 სამუშაო დღის განმავლობაში დაზარალებულთან მუშაობს მედიატორიც, ამ ვადაში იგი ვალდებულია, შეხვდეს დაზარალებულს, გააცნოს მას განრიდების პროგრამა, მიაწოდოს ინფორმაცია მედიაციის შესახებ და მიიღოს მისგან მედიაციაში ჩართვაზე გაცნობიერებული თანხმობა ან უარი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ მედიატორს აქვს უფლებამოსილება, თავად განაცხადოს უარი დაზარალებულის მედიაციის პროცესში ჩართვაზე. მოცემული გარემოება შესაძლებელია სხვადასხვა მიზეზით იყოს განპირობებული, მაგალითად, დაზარალებულის აგრესიულობით, მისი ცხოვრებისეული დამოკიდებულებით ან სხვა ფაქტორებით. ზემოხსენებულ 10 დღის ვადაში მედიატორი ვალდებულია, დაზარალებულის უარის ან მის (მედიატორის) მიერ დაზარალებულის პროცესში ჩართვაზე უარის შემთხვევაში, შესაბამისი ოქმი გადაუგზავნოს პროკურორს, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერს და აგრეთვე შეატყობინოს სოციალურ მუშაკს. სწორედ ამ ეტაპზე წყდება, განრიდება გაგრძელდება მედიაციით თუ მედიაციის გარეშე.

პრაქტიკაზე დაყრდნობით და პრაქტიკოსი მედიატორების ინფორმაციით, მათ ყველაზე დიდი შრომა დაზარალებულის მედიაციაში მონაწილეობაზე დასათანხმებლად უწევთ. ამ დროს ისინი დაზარალებულთან მუშაობენ მოტივაციის ამაღლების მიზნით, რადგან დაზარალებულების მოტივაცია უმეტეს შემთხვევაში ძალიან დაბალია. უმეტესობა მათგანი ვერ აცნობიერებს მედიაციის დადებით როლს როგორც მისთვის, ასევე არასრულწლოვნისათვის. ხშირად მოქალაქეებს არც სმენიათ მედიაციის შესახებ და, ბუნებრივია, არც პროგრამას იცნობენ. მედიატორებს დიდი ძალისხმევის გაღება უწევთ პროგრამის არსის, მიზნების, პრინციპების ახსნისა და დაზარალებულების მოტივაციის ამაღლებისათვის. თუმცა, სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, დაზარალებულების დიდი ნაწილი თანხმება მედიაციას⁵. უმეტეს შემთხვევებში მათი უარი მოუცლელიობითა და ზიანის სიმცირითაა განპირობებული. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც თავად მედიატორი აფორმებს უარის ოქმს, ამის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგალითად, დანაშაულის შემდეგ გასული დიდი დრო, არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური მდგომარეობა ან, თუნდაც, დაზარალებულის უარი მედიატორთან პირველ შეხვედრაზეც კი.

იმ შემთხვევაში, თუ განრიდება გრძელდება მედიაციის გარეშე, სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადა ეძლევა პროკურორს, იმისათვის, რომ უზრუნველყოს განრიდების ხელშეკრულების გაფორმება. მოცემულ ვადაში შედის ასევე ხუთი სამუშაო დღე, რომლის განმავლობაშიც სოციალური მუშაკი და პროკურორი ვალდებული არიან, შეთანხმდნენ ხელშეკრულების პირობებზე. მედიაციის გარეშე განრიდების წარმართვის შემთხვევაში პრაქტიკაში ხელშეკრულება ფორმდება პროკურატურის შენობაში, სადაც მას ხელს აწერენ: არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი და სოციალური მუშაკი. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს ჰყავს ადვოკატი, ხელშეკრულებას ხელს აწერს ისიც; ასევე შესაძლებელია საჭირო იყოს თარჯიმნის ან სხვა პირის დასწრება, რომლებიც ხელმოწერით ადასტურებენ ხელშეკრულებას.

5 სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ ანგარიში განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ, 2015, 5. იხ. <http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf> [30.06.2016]

იმ შემთხვევაში, თუ განრიდება წარმართება მედიაციით, სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადა აქვს მედიატორს იმისათვის, რომ უზრუნველყოს მხარეებთან მედიაციის მოსამზადებელი შეხვედრებისა და მედიაციის კონფერენციის წარმართვა. მოცემული 10 სამუშაო დღის განმავლობაში მედიატორი ვალდებულია, ხელშეკრულების პირობები შეათანხმოს პროკურორსა და სოციალურ მუშაკთან, შემდეგ კი, სულ მცირე, ერთხელ, შეხვედეს არასრულწლოვანს და დაზარალებულს, მოამზადოს ისინი მედიაციის კონფერენციისათვის და შემდეგ ჩაატაროს მედიაციის კონფერენცია. ზემოაღნიშნული შეხვედრა იმართება აუცილებლად ნეიტრალურ ტერიტორიაზე. დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დირექტორის ბრძანების თანახმად, თბილისში მედიაციის მოსამზადებელი და საერთო შეხვედრები იმართება „მედიაციის სახლში“; რომელიც 2014 წელს გაიხსნა და არის სპეციალურად მოწყობილი სივრცე მედიაციისათვის; უზრუნველყოფილია კომფორტული ოთახები მოსამზადებელი შეხვედრებისა და მედიაციის კონფერენციისთვის. რაც შეეხება კონფერენციის მიმდინარეობას, მას წარმართავს მედიატორი. შეხვედრას ესწრებიან არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, ადვოკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დაზარალებული. მედიაციის კონფერენციას, სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა, დაესწროს პროკურორი და სოციალური მუშაკიც, რაც ასევე მნიშვნელოვან ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ.

მედიაციის კონფერენციის დროს ყველა დამსწრე პირს რიგრიგობით ეძლევა სიტყვის წარმოთქმის საშუალება. რიგითობას წინასწარ განსაზღვრავს მედიატორი. პრაქტიკოსი მედიატორების თქმით, ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე მონაწილეების განლაგება კონფერენციის მსვლელობისას. არასრულწლოვანი და დაზარალებული უნდა ისხდნენ პირისპირ მედიატორის მარჯვნივ და მარცხნივ. არასრულწლოვნის გვერდით უნდა იჯდეს მისი კანონიერი წარმომადგენელი და სოციალური მუშაკი, დაზარალებულის გვერდით კი – პროკურორი. კონფერენციის დროს მონაწილეები გულწრფელად საუბრობენ მომხდარი ფაქტის შესახებ, გამოხატავენ ემოციებს და მოსაზრებებს. მედიაციის საერთო შეხვედრაზე დაუშვებელია არასრულწლოვნის პიროვნების გაკიცხვა. ამ დროს საუბარი ეხება მხოლოდ ქმედებას და არა თავად არასრულწლოვნის პიროვნებას. ასევე დაუშვებელია აგრესი-

ული და დირექტიული ტონით საუბარი. სიტუაციის დაძაბვის შემთხვევაში მედიატორი უფლებამოსილია, გამოაცხადოს შესვენება და მხარეები გაიყვანოს ცალ-ცალკე ოთახებში, შემდეგ ისევ დააბრუნოს და გააგრძელოს მედიაციის კონფერენცია. საერთო შეხვედრის დასასრულია ხელშეკრულების ხელმოწერა ყველა დამსწრე პირის მიერ.

რაც შეეხება განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებას, ეს არის სამოქალაქო ტიპის ხელშეკრულება, რომლის ხანგრძლივობის ვადა შეიძლება იყოს 1-დან 12 თვემდე. მასში ასახულია მხარეების ვალდებულებები. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების არასრულწლოვნის მიერ შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სოციალური მუშაკი, რომელიც ხვდება მას გარკვეული პერიოდულობით, ესაუბრება მომხდარი ფაქტის შესახებ და მუშაობს მასთან დანაშაულის გაცნობიერებაზე. იგი ასევე ამოწმებს ხელშეკრულების პირობების შესრულების მიმდინარეობას. ზემოაღწერილის თაობაზე წერს ყოველთვიურ ანგარიშს, რომელიც ეგზავნება პროკურორს. თავად პროკურორი კი ვალდებულია, სულ მცირე, 3 თვეში ერთხელ შეხვდეს არასრულწლოვანს. არსებობს ალბათობა, რომ არასრულწლოვანმა არ გამოიყენოს მიცემული შანსი და დაარღვიოს ხელშეკრულების პირობა. ასეთ შემთხვევაში, თუ პირობა უხეშადაა დარღვეული, პროკურორი არასრულწლოვანთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაუბრების შემდეგ, ყველა გარემოების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, შეწყვიტოს განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება და საქმე წარმართოს სასამართლოში ტრადიციული მართლმსაჯულების გზით.

სისხლის სამართლის მედიაციის პროგრამას მსჯავრდებული პირებისათვის არეგულირებს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ დირექტორის ბრძანება „აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამის – სისხლის სამართლის მედიაციის საპილოტე რეჟიმში დამტკიცების შესახებ“; მოცემული ბრძანების თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია წარმართოს სისხლის სამართლის მედიაცია, როგორც დაზარალებულის, ასევე მსჯავრდებულის მოთხოვნის შემთხვევაში. აღსანიშნავია ისიც, რომ სააგენტოს უფლებამოსილება აქვს, საქმე მიიღოს ასევე სახელმწიფო უწყებისა და სასამართლოსგანაც. სისხლის სამართლის მედიაციის პროგრამის სამუშაო დოკუმენტაცია და პროცედურები საპილოტო პერიოდში რეგულირდება არასრულწლოვანთა მედიაციის ანალოგიურად.

საშინაო დავალება:

- სავალდებულო საკითხავი მასალის მომზადება

სავალდებულო საკითხავი

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისი თავები
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ
- ბრძანება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ
- ბრძანება მედიაციის წესებისა და სამუშაო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ

თავი V

აღდგენითი მართლმსაჯულების გამოცდილება საქართველოში

ლადო ჯავახიშვილი

ძირითადი მიზანი: სტუდენტებისთვის და მონაწილეებისთვის საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების ისტორიის გაცნობა და დღეს არსებული მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

კურსის მოსმენის შემდეგ, სტუდენტს/მონაწილეს ექნება ინფორმაცია:

- საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების ისტორიის შესახებ;
- არსებული განრიდების პროგრამების პრინციპების შესახებ;
- არსებული პროგრამებისა და მექანიზმების შესახებ.

სასწავლო აქტივობები და მეთოდოლოგია:

- ინტერაქციული ლექცია;
- ჯგუფური დისკუსია;
- გონებრივი იერიში;
- დამოუკიდებელი მუშაობა.

დროის ჩარჩო:

6 საკონტაქტო საათი + 12 საათი ინდივიდუალური მუშაობისათვის.

გეგმა:

1. სესია 1 (2 საათი):

- აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების განვითარების ისტორია
- განრიდებისა და მედიაციის პროგრამის პრინციპები

2. სესია 2 (2 საათი)

- სისხლის სამართლის მედიაციის პრაქტიკული საქმეები – წარმატებული მედიაციის შემთხვევის აღწერა

3. სესია 3 (2 საათი)

- სისხლის სამართლის მედიაციის პრაქტიკული საქმეები (როლური თამაში)

1. აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების განვითარების ისტორია

ლექციის/სესიის მიმდინარეობისას, პედაგოგმა მსმენელებს დეტალურად უნდა გააცნოს საქართველოში სისხლის სამართლის მედიაციის განვითარების ისტორია, მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამების არსებულ შედეგებზე და გააცნოს სალექციო კურსის მიმდინარეობისას არსებული ანგარიშები და სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც პროაქტიულად ქვეყნდება განრიდების პროგრამების ვებგვერდზე, ასევე დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე.

საქართველოში თანამედროვე სისხლის სამართლის მედიაციის ისტორია 2010 წლიდან, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ამოქმედებიდან, იწყება. არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა დღეისათვის საერთაშორისო გამოცდილებასა და აღდგენითი მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებს ეფუძნება. ამის შემდეგ უკვე, 2018-2019 წლებში დაიწყო აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების ახალი ეტაპი, კერძოდ, ამოქმედდა სისხლის სამართლის მედიაციის პროგრამა მსჯავრდებულ პირებისათვის, მართალია, საპილოტო რეჟიმში, მაგრამ ამ რეგულაციების ამოქმედებიდან, სისხლის სამართლის მედიაცია საქართველოში უკვე წარმოდგენილია როგორც დამოუკიდებელი მექანიზმი და გამოიყენება განრიდების პროგრამისგან დამოუკიდებლად, როგორც დაზარალებულის სერვისი ან/და მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამა.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა საქართველოში 2010 წელს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში

შესული ცვლილებების საფუძველზე ამოქმედდა¹. სწორედ აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, 2010 წლის 19 ნოემბერს პირველად მოეწერა ხელი განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებას. ამ დროს პროგრამა მხოლოდ საქართველოს 4 ქალაქში მოქმედებდა². „განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიზანია, ის არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, ბოდიში მოუხადა დაზარალებულს, მზად არის აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ახალი პროგრამა, ერთი მხრივ, განარიდებს არასრულწლოვანს სისხლის სამართლის სისტემისა და ნასამართლობისაგან, მეორე მხრივ, ხელს უწყობს სამართლიანობის აღდგენას, რეციდივის თავიდან აცილებას და მოზარდის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას“³. 2010 წლის შემდეგ პროგრამა გაფართოვდა, 2013 წლის აგვისტოს თვეში დასრულდა საპილოტო რეჟიმი, ხოლო 2014 წლის ნოემბერში, მისი ამოქმედებიდან 4 წლის შემდეგ, დაიწყო განრიდებისა და მედიაციის პროგრამის რეფორმა. გაანალიზდა საპილოტო პერიოდში არსებული მდგომარეობა, მოხდა შეცდომებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება, შესწორდა ბევრი რამ და, რაც ყველაზე მთავარია, პროგრამა ახალ ეტაპზე გადავიდა⁴.

2014 წელს გატარებული რეფორმის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის №216 ბრძანების თანახმად, პროგრამა ვრცელდებოდა მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე და ისეთ დანაშაულებზე, რომელიც „ჯგუფურობის“ (როგორც დამამძიმებელი გარემოების) გამო ხვდებოდა მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში. 2014 წელს ბრძანებაში შესული ცვლილებების თანახმად კი, პროგრამა გავრცელდა უკვე მძიმე დანაშაულებზეც. მედიაციის მიმართულე-

1 საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ, №3616, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24.09.2010.

2 სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ანგარიში განრიდების/განარიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ, 2015, 1. იხ. <http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf> [30.06.2016]

3 შალიკაშვილი მ, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013, 4.

4 სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ანგარიში განრიდების/განარიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ, 2015, 1. იხ. <http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf> [30.06.2016]

ბით მნიშვნელოვან ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს განრიდების გადაწყვეტილების მიღების სავალდებულო წინაპირობის გაუქმება არასრულწლოვნის მზადყოფნის შესახებ, დაზარალებულისათვის ბოდიშის მოხდისა და ზიანის ანაზღაურებისათვის მზადყოფნის თაობაზე. აგრეთვე, ამავე პერიოდში დაიხვეწა პროცედურები და პროფესიონალთათვის სამოქმედო ვადები დაწესდა. 2014 წელიდან აგრეთვე გაიზარდა მედიატორის როლი. იუსტიციის მინისტრის 2010 წლის №216 ბრძანების ცვლილების მიხედვით, მედიატორი 2014 წლის ნოემბრიდან უკვე ადრეულ ეტაპზევე ერთვება განრიდებისა და მედიაციის პროცესში. მანამდე არსებული რედაქციით, მედიაციის პროცესში დაზარალებულის მონაწილეობის თაობაზე თანხმობას ან უარს იღებდა პროკურორი, ცვლილებების შემდეგ კი, ყველა საქმეში, სადაც დაზარალებული არსებობს, ერთვება მედიატორი. იგი თავად უხსნის პროგრამის არსს, მიზნებს და ამის შემდეგ იღებს დაზარალებულის ინფორმირებულ თანხმობას ან უარს მედიაციის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით. „პრაქტიკამ აჩვენა, რომ პროკურორები ხშირად ვერ ახერხებენ საჭირო დონეზე დაზარალებულთან კომუნიკაციას, დროის უქონლობის და სხვა მიზეზების გამო უჭირთ დაზარალებულისათვის პროგრამის მიზნებისა და არსის ახსნა და მათი დათანხმება მედიაციის პროცესში ჩართვაზე“⁵. აღნიშნული ცვლილება უდავოდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამას სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ მიერ გამოქვეყნებული მაჩვენებლებიც ადასტურებს. 2015 წლის მონაცემებით, პროგრამაში გაზრდილია მედიაციის კომპონენტის გამოყენება, 2015 წელს წარმატებით დასრულებული მედიაციის⁶ მაჩვენებელმა შეადგინა 51%, რაც წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით თითქმის გასამმაგებულია, 2014 წლის ამავე პერიოდში წარმატებული მედიაციის მაჩვენებელი იყო 18%, 2013 წელს – 25%. წარმატებას ცხადყოფს მედიაციის კონფერენციების რაოდენობაც: 2015 წელს ჩატარდა 114 მედიაციის კონფერენცია, მაშინ როდესაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ჩატარებული იყო 28, ხოლო 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში – 34⁷.

5 სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ანგარიში არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ, 2014, 2-3. იხ. <<http://diversion.ge/res/files/52/Diversion%20Report%202014.pdf>> [30.06.2016]

6 მედიაციის პროცესი, რომელზეც გაიმართა მედიაციის კონფერენცია და რომელიც დასრულდა განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების გაფორმებით. (ავტორის განმარტება – ლ.ჯ.)

7 სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ანგარიში განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ, 2015, 5. იხ. <http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf> [30.06.2016]

2016 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შედეგად ცვლილებები შეეხო განრიდების პროგრამებსაც. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს განრიდების პრიორიტეტულობის საკითხი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, უპირატესობა ენიჭება აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებებს, რაც ნიშნავს, რომ პროკურორი, პირველ რიგში, ვალდებულია, განიხილოს განრიდების შესაძლებლობა და მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება, დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ განრიდება შესაბამისი შედეგის მომტანი ვერ იქნება. აქვე გაჩნდა განრიდებაზე უარის დასაბუთებისა და გასაჩივრების მექანიზმები, რაც კოდექსის ამოქმედებამდე არ არსებობდა. თუ 2016 წლამდე, პროკურორი განრიდების გადაწყვეტილებას ასაბუთებდა, 2016 წლის შემდეგ განრიდების გადაწყვეტილებას დასაბუთება აღარ სჭირდება და პროკურორი უკვე ვალდებულია, დაასაბუთოს განრიდებაზე უარი. ხოლო არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს და ადვოკატს უფლება აქვთ, პროკურორის ეს გადაწყვეტილება ზემდგომ პროკურორთან გაასაჩივრონ.

2016 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ განრიდების უფლებამოსილება მიენიჭა მოსამართლესაც. წინასასამართლო ეტაპის შემდეგ ნებისმიერ დროს, უკვე მოსამართლე უფლებამოსილია, მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით საქმე დაუბრუნოს პროკურორს განრიდების მიზნით და იგი ვალდებულია აღასრულოს ეს გადაწყვეტილება. ამ ცვლილებების ერთიანობით კი მნიშვნელოვნად გაიზარდა განრიდების მაჩვენებელი და შემცირდა სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლე, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა შემოიტანა, იყოს ისიც, რომ განრიდების პროგრამების მოქმედება გავრცელდა არა მხოლოდ არასრულწლოვნებზე, არამედ 18-დან 21-წლამდე პირებზე. ამას საფუძვლად დაედო ის, რომ თანამედროვე მიდგომების მიხედვით, ეს ასაკი მიიჩნევა გარდამავალ პერიოდად და კანონმდებელმა ჩათვალა, რომ განრიდების შესაძლებლობა ამ ასაკის ახალგაზრდებსაც უნდა ჰქონოდათ.

საერთო ჯამში, თამამად შეიძლება ითქვას, უკვე კონკრეტულ რიცხვებსა და შედეგებზე დაყრდნობით, რომ არასრულწლოვანთა განრიდების მექანიზმი საქართველოში წარმატებით მუშაობას. ამას ადასტურებს საერთაშორისო ექსპერტების შეფასებები და ის ინტერესი, რომელიც როგორც პოსტსაბჭოთა, ასევე ევროპის ქვეყნებში არსებობს საქართველოს მოდელის მიმართ. საერთო ჯამში, ამ ყველაფრის უმ-

თავრეს წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს უწყებათა კოორდინირებული და ერთობლივი მუშაობა თითოეულ საქმეზე, ადგილობრივ თუ ცენტრალურ დონეზე. გარდა პრაქტიკაში მულტიგუნდური მუშაობისა, აღსანიშნავია, რომ კოდექსის ამოქმედების შემდეგ შეიქმნა და დღითი დღე ძლიერდება ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმი, რომელიც გულისხმობს ადგილობრივ დონეზე, სპეციალისტთა პერიოდულ შეხვედრებს, რეგიონის მასშტაბით არსებული გამოწვევებისა და სირთულეების იდენტიფიცირებას. ამ საკითხებიდან ნაწილზე გადაწყვეტილებას თავად ადგილობრივი საბჭო იღებს, ხოლო ის საკითხები, რაზეც შეთანხმება ვერ ხერხდება, საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს ან მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე არსებობს საჭიროება, ეგზავნება ცენტრალურ მულტიდისციპლინურ გუნდს, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში სისხლის სამართლის რეფორმის საბჭოს დაქვემდებარებაში არსებობს.

სისხლის სამართლის მედიაციის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპად უნდა ჩაითვალოს 2018 წლის ბოლოს საპილოტო რეჟიმში სისხლის სამართლის მედიაციის პროგრამების ამოქმედება, რაც ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ამ მექანიზმის მიხედვით, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრში“ ამოქმედდა მსჯავრდებულთა და ყოფილ მსჯავრდებულთათვის სისხლის სამართლის მედიაციის პროგრამა, როგორც ნებაყოფლობითი სერვისი. მას შემდეგ აქტიურად დაიწყო მუშაობა ამ მიმართულებით და სახელმწიფო უწყებებთან, კერძოდ, პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან ერთად შეიქმნა მექანიზმი. 2019 წელს უკვე ცენტრმა 20-მდე საქმე მიიღო წარმოებაში და 2019 წლის ზაფხულში შედგა პირველი წარმატებული მედიაცია პირობით მსჯავრდებულ პირსა და დაზარალებულის უფლებამონაცვლეს შორის.

2020 წლის იანვრიდან სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ და სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ გაერთიანებამ და ახალი, ერთიანი სტრუქტურის – სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ ჩამოყალიბებამ კიდევ უფრო უნდა შეუწყოს ხელი სისხლის სამართლის მედიაციის პროგრამების განვითარებას და მეტად აქტიური ნაბიჯები გადაიდგას საპილოტო რეჟიმიდან სრულყოფილ პროგრამად ჩამოყალიბებისათვის.

ზემოაღნიშნული პროგრამების წარმატებასა და ახალი პროგრა-

მების განვითარების პროცესზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა და მათი როლი როგორც აღდგენითი, ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარების პროცესში. დღიდან პროგრამის ამოქმედებისა, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები მუდმივად ჩართული იყვნენ პროცესებში და მხარს უჭერდნენ სახელმწიფო უწყებებს ამ მიმართულებით. სწორედ საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების, მულტიდისციპლინური მიდგომების დამკვიდრების, მრავალი ტრენინგის, სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მიმართული განგრძობადი პროგრამების, სასწავლო სახელმძღვანელოების, ტრენინგ-მოდულების, სტანდარტების ჩარჩოდოკუმენტების შემუშავების, ადგილობრივ დონეზე შეხვედრებისა და სხვა აქტივობების შედეგად გახდა შესაძლებელი საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვა და ახალი პროგრამების შემუშავება.

2. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის პრინციპები

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანება „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ აწესებს არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შემდეგ პრინციპებს: ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა; ნებაყოფლობითობა; პროპორციულობა; კონფიდენციალურობა; სტიგმატიზაციის დაუშვებლობა; არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობის პრინციპის ქართულ რეალობაში შემოტანა და დამკვიდრება ძალზედ მნიშვნელოვანი და სასარგებლოა საქმისათვის. მ. შალიკაშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ეს პრინციპი საქართველოს რეალობაში ახალია და ასეთ რამეს აქამდე არ იცნობდა მის მიერ დამუშავებული ლიტერატურა⁸. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული რეალობისაგან განსხვავებით, ზემოაღნიშნულ პრინციპს იცნობს და აწესებს ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტები, როგორები-

8 შალიკაშვილი მ, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სისხლისამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013, 32-33.

ცაა: ბავშვთა უფლებათა კონვენცია⁹ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ (შემდგომში „პეკინის წესები“)¹⁰. გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი სახელმწიფოებს ავალდებულებს, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის მიიღოს ზომები სასამართლო განხილვის გარეშე, ადამიანის უფლებათა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვით. გარდა ამისა, „პეკინის წესების“ მე-6 და მე-11 წესები ცალსახად აწესებს ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების უპირატესობას სისხლის სამართლის პროცესის დროს. სწორედ ამ საერთაშორისო ნორმების შესატყვისი ნორმები აისახა ქართულ სისხლის სამართალში, რაც, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს პრინციპი კიდევ უფრო გამყარებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიერ¹¹, რაც საგრძნობლად წინ გადადგმული ნაბიჯია ქართული სისხლის სამართლისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის.

იუსტიციის მინისტრის №120 ბრძანების თანახმად, განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა არის **ნებაყოფლობითი** გადაწყვეტილება, როდესაც არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს. მათი პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით მხარეებზე ზეგავლენა დაუშვებელია. მხარეები უფლებამოსილი არიან, ნებისმიერ ეტაპზე თქვან უარი განრიდების/მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე. ზემოხსენებული პრინციპი წარმოადგენს განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს. ნებაყოფლობითობის გარეშე შეუძლებელი იქნება იმ მიზნების მიღწევა, რომლებსაც პროგრამა გულისხმობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროცესის ყველა მონაწილეს, ნებისმიერ დროს, შეუძლია უარი განაცხადოს პროგრამაში მონაწილეობაზე, იქნება ეს მოსამზადებელი, პრეკონფერენციისა თუ მედიაციის კონფერენციის ეტაპი. მოცემული პრინციპი კიდევ უფრო ამყარებს პროგრამით გათვალისწინებულ გარანტიებს. სხვაგვარად, პროცესში მისი ნებაყოფლობითი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის გაცნობიერება.

9 Convention on the Rights of the Child (მიღებული 1989 წლის 20 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს).

10 United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice („The Beijing Rules“), (მიღებული 1985 წლის 29 ნოემბერს).

11 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლი, №3708-IIIს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24.06.2015.

მეტად მნიშვნელოვანია დაზარალებულის გაცნობიერებული თანხმობა მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, სწორედ ამ მიზეზით გახდა საჭირო მედიატორის როლისა და ჩართულობის გაზრდა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში. დღეისათვის, პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ მედიატორები მუშაობის პროცესში დიდ დროსა და ძალისხმევას უთმობენ დაზარალებულის მიერ მისი როლისა და ფუნქციის გაცნობიერებას. დაზარალებულის ჩართულობა, გარდა იმისა, რომ იგი იღებს როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურებას, ძალზე მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის გაცნობიერებისთვისაც.

პროპორციულობის პრინციპის თანახმად, არასრულწლოვნისათვის დაკისრებული ვალდებულებები ჩადენილი ქმედების პროპორციული უნდა იყოს. იუსტიციის მინისტრის №120 ბრძანების მიხედვით, ღონისძიებების განსაზღვრისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას არასრულწლოვნის ასაკი, მისი პირადი მახასიათებლები, დანაშაულის ბუნება, სიმძიმე, მიყენებული ზიანი და დანაშაულის გავლენა საზოგადოებაზე. ზემოთქმული პრინციპი უზრუნველყოფს იმას, რომ არასრულწლოვანს არ დაეკისროს სასჯელზე უფრო მკაცრი ღონისძიება და მისთვის შერჩეული პირობები არ იყოს იმაზე მკაცრი, ვიდრე ის ჩადენილი ქმედებით იმსახურებს. პრაქტიკოსი პროფესიონალების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, განრიდების ხელშეკრულების პირობები ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურად ირჩევა პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე. ასეთ პირობებზე პირველ ეტაპზე აუცილებლად უნდა შეთანხმდნენ პროკურორი, სოციალური მუშაკი და მედიატორი, შემდეგ კი – მხარეები.

კონფიდენციალურობა არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია, კონფიდენციალურობის დაცვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა პროგრამის მიზნების მიღწევა და პროფესიონალების მიერ გაწეული შრომაც წყალში ჩაყრილი აღმოჩნდებოდა. აღნიშნული კი ერთ-ერთი საფუძველია იმისა, რომ არ მოხდეს არასრულწლოვნის სტიგმატიზაცია. სწორედ კონფიდენციალურობის დაცვის და **სტიგმატიზაციის დაუშვებლობის პრინციპებია** ის უმთავრესი და ფუძემდებლური პრინციპები, რომლებიც იცავენ არასრულწლოვანს და ასეთ დიდი მნიშვნელობას სძენენ არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამას. „განრიდების და/ან მედიაციის პროცესში მონაწილე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებზეა დამოკიდებული ის, რომ არ მოხდეს

მოზარდის დამნაშავედ სტიგმატიზაცია (ეტიკეტირება) და შემდგომ მის მიერ საკუთარ პიროვნებაში დამნაშავეის ძებნა. განრიდების და/ან მედიაციის პროცესში მონაწილე პირების სათუთი და ინდივიდუალური დამოკიდებულება დამნაშავე მოზარდისადმი უნდა ეყრდნობოდეს მოქალაქეთა პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობას და ხელს უნდა უშლიდეს მოზარდის კრიმინალად სტიგმატიზაციას და მისი კრიმინალური „კარიერის“ ჩამოყალიბებას¹².

საერთაშორისო დოკუმენტებზე დაყრდნობით **არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი** ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა დადგინდეს. ბავშვის საუკეთესო ინტერესი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში უნდა განვმარტოთ, როგორც მისი უფლება: იყოს დაცული, ჰქონდეს უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის განცდა; ასევე უნდა იყოს დაცული მისი ჯანმრთელობის, განათლებისა და განვითარების უფლებები; უმთავრესი ამოსავალი წერტილი კი უნდა იყოს ბავშვის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და საზოგადოებაში მისი სრულფასოვან წევრად დაბრუნება¹³. ყველა ზემოაღნიშნულის დაცვა კი უნდა მოხდეს თავად ბავშვის მოსმენით. ამ უფლების დეფინიციას ცალკე გვაძლევს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლი¹⁴. ბავშვის საუკეთესო ინტერესის დეფინიცია აღწერილია ისეთ საერთაშორისო დოკუმენტში, როგორცაა „პეკინის წესები“ და გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10. ამ უკანასკნელში ნათქვამია: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს. ბავშვებს უფროსებისგან ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარება, აგრეთვე ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებები განასხვავებს. სწორედ ეს განსხვავებებია კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის შედარებით მსუბუქი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. ეს განსხვავებები წარმოშობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განცალკევებისა და ბავშვების მიმართ განსხვავებული მოპყრობის საჭიროებას. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა კანონდამრღვევი ბავშვების მიმართ გულისხმობს სისხლის სამართლის

12 შალიკაშვილი მ, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013, 41.

13 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განმარტებითი ბარათი, 59-60. იხ. <<http://www.parliament.ge/ge/law/8688/18832>> [30.06.2016]

14 Convention on the Rights of the Child (მიღებული 1989 წლის 20 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს).

ისეთი ტრადიციული ამოცანების ჩანაცვლებას, როგორცაა რეპრესია/დასჯა რეაბილიტაციითა და აღდგენითი მართლმსაჯულებით. ყოველივე აუცილებელია განხორციელდეს საზოგადოების უსაფრთხოების საკითხის გათვალისწინებით¹⁵.

მედიატორების მიღების წესები / მომზადება

მედიაციის პროგრამების წარმატებისა და განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო ამ მიმართულების დანაშაულის პრევენციის ცენტრში თავმოყრა და შემდეგ მაღალი პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება. როგორც აღინიშნა, 2013 წლის აგვისტომდე განრიდებისა და მედიაციის პროგრამა საპილოტო რეჟიმში მოქმედებდა, პირველ ეტაპზე მხოლოდ 4 ქალაქში, ხოლო შემდეგ პერიოდულად იზრდებოდა ჩართული ქალაქების რაოდენობა. 2013 წლიდან განრიდება და, შესაბამისად, მედიაციის კომპონენტიც მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცელდა. 2013 წლიდანვე მედიატორები დასაქმდნენ დანაშაულის პრევენციის ცენტრში, მოგვიანებით შემუშავდა მონიტორინგის მექანიზმები, დაინერგა სუპერვიზიისა და ინტერვიუების მეთოდები.

2016 წლიდან დანაშაულის პრევენციის ცენტრი მედიატორებს არჩევდა მათი კვალიფიკაციის და პიროვნული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით. შერჩევის ეტაპის შემდეგ ძალზე დიდი ყურადღება ეთმობა თანამშრომელთა გადამზადებას და მათი პრაქტიკული უნარებით აღჭურვას. საქმიანობის დაწყებამდე, ყველა მედიატორი ვალდებულია, გაიაროს სპეციალური 3-საფეხურიანი მომზადების კურსი საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში. სასწავლო კურსის პირველი საფეხურია „შესავალი მედიაციაში“, რომელიც მოიცავს ზოგადად მედიაციის, მოლაპარაკების, კონფლიქტის მართვისა და კომუნიკაციის საკითხებს, საფეხურის დასრულების შემდეგ ტარდება ტესტირება. ტესტირების ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ მსმენელი გადადის სწავლების მეორე საფეხურზე, სადაც იღებს სპეციალურ ცოდნასა და უნარებს უშუალოდ სისხლის სამართლის მედიაციის შესახებ. სასწავლო კურსის სახელმძღვანელო მომზადდა ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების ერთობლივი მუშაობის შედეგად, ევროკავშირის პროექტის დახმარებით და იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: აღდგენითი მართლმსაჯულება, სისხლის სამართლის მედიაცია, დაზარალებულისა და დამზარალებლის ფსიქოლოგიური ასპექტები, მათი ინტერაქცია, სამართლის შესავალი, სისხლის სამართლის ზოგა-

15 GENERAL COMMENT No. 10, Children's rights in juvenile justice, UN [2007].

დი და კერძო ნაწილები, სისხლის სამართლის პროცესი, ზიანის ანაზღაურების საკითხები კერძო სამართალში, როლური თამაშები და სხვა. სწავლების მესამე საფეხურია სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, რომელიც წარმართება საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად და სავალდებულო წესით მოიცავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტებს, საქართველოს კანონმდებლობას, ფსიქოლოგიურ ასპექტებს და სხვა.

სასწავლო კურსის გავლისა და ტესტირებების წარმატებით ჩაბარების შემდეგ იწყება მომდევნო ეტაპი, რომელიც უზრუნველყოფს მედიატორთა პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვას და დამოუკიდებელი მუშაობისათვის მომზადებას. ამ პროცესში არჩევენ მენტორ მედიატორს შერჩევა და ახალ კადრთან ერთად იგი აწარმოებს მედიაციის საქმეებს, რა დროსაც მენტორი მუდმივად აწვდის უკუკავშირს და ასწავლის საქმის წარმოების სპეციფიკას. მედიატორს პრაქტიკაში დამოუკიდებლად მუშაობის უფლება მხოლოდ მენტორი მედიატორის შეფასების საფუძველზე ეძლევა.

საშინაო დავალება:

- ინტერნეტრესურსებისა და ლიტერატურის გამოყენებით მსმენელებმა ჯგუფურად უნდა მოამზადონ პრეზენტაცია პროგრამის განვითარების ისტორიისა და პრინციპების შესახებ.

სავალდებულო საკითხავი

- Diversion.ge – მოცემულ ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

3. წარმატებული მედიაციის შემთხვევის აღწერა

ჯანა (დარეჯან) ჯავახიშვილი

მოკლედ ინფორმაცია შემთხვევაზე

2016 წლის 5 მარტს, შებინდებისას, თბილისის გარეუბანში, ტაქსის მძღოლს (შემდგომში როსტომი), რომელსაც მგზავრი ვაშლიჯვარში მიჰყავდა, მანქანა სველ ასფალტზე მოუსრიალდა, საჭე ველარ დაიმორჩილა და დაეჯახა ფეხით მოსიარულე 39 წლის ქალს, რომელიც გადასვლისთვის შეუფერებელ ადგილზე კვეთდა ქუჩას. ქალი ადგილზე გარდაიცვალა. მას თავისი ოჯახი არ ჰყავდა, დარჩა მარტოხელა მოხუცი დედა (შემდგომში ქალბატონი მარინე), პენსიონერი. როსტომი ამჟამად 37 წლისაა, ჰყავს ორი შვილი – ქალ-ვაჟი, 15 და 13 წლის. მას შეეფარდა პირობითი მსჯავრი 4 წლის ვადით, განაჩენით ჯარიმა არ დაენიშნა. პრობაციის ოფიცერმა მედიაციის პროცესში ჩართვა შესთავაზა, რაზეც მან თანხმობა განაცხადა. პრობაციის ოფიცერმა აუხსნა, რომ მასთან იმუშავებს მედიატორი, და როსტომი დათანხმდა მედიატორისთვის პრობაციის ოფიცრის მიერ თავისი პირადი ინფორმაციის გაზიარებას.

მედიატორის მიერ გაწეული სამუშაოს აღწერა

მედიატორმა გამართა პირველი შეხვედრა როსტომთან, აუხსნა აღდგენითი მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის მედიაციის არსი, მიზნები, პროგრამაში ჩართვაზე თანხმობის ან უარის მოსალოდნელი შედეგები. ამის საფუძველზე, როსტომმა მედიატორს მისცა პროგრამაში ჩართვაზე ინფორმირებული თანხმობა. ამის შემდეგ მედიატორმა მას სთხოვა, მოეთხრო შემთხვევის დეტალები, თავისი დამოკიდებულება და განცდები შემთხვევისა და დაზარალებულის მიმართ. როსტომის განმარტებით, მომხდარმა ავტოსაგზაო შემთხვევამ მისი ცხოვრება რადიკალურად გააუარესა. იმ დღის შემდეგ მას აღარ შეუძლია ოჯახის რჩენა, რადგან ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება, ხოლო მძღოლობის გარდა სხვა პროფესიას არ ფლობს. მუშად მუშაობს და თუ გაუმართლა და ვინმემ აიყვანა, კონკრეტულ

დღეს აქვს მცირედი შემოსავალი. ოჯახი რომ გამოკვებონ, ცოლმა, რომელიც დიასახლისი იყო, მაღაზიაში დამლაგებლად მუშაობა დაიწყო. დროის დიდი ნაწილი შვილები მშობლების ყურადღების გარეშე არიან, არადა, რთული ასაკი აქვთ და ყურადღება ახლა სჭირდებათ. როსტომმა გაიხსენა, რომ მისი მთავარი ფიქრი შეჯახების შემდეგ იყო ის, რომ დაშავებული ქალი გადარჩენილიყო. გარდაცვლილის ოჯახის წევრებთან მას პირადად არ ჰქონია კომუნიკაცია, რადგან მძიმე ემოციურ მდგომარეობაში იყო, თუმცა იცის, რომ გარდაცვლილის დედას შეხვდნენ მისი ნათესავები.

მას მერე, რაც როსტომმა მედიაციაში მონაწილეობაზე ინფორმირებული თანხმობა განაცხადა, პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი დაუკავშირდა დაზარალებულის უფლებამონაცვლეს – დედამისს, ქალბატონ მარინეს, რათა ეთხოვა თანხმობა მედიატორისთვის მისი პირადი ინფორმაციის გადაცემის თაობაზე. ამის შემდეგ, გაიმართა მედიატორის მოსამზადებელი შეხვედრა ქალბატონ მარინესთან. მედიატორმა მას დეტალურად განუმარტა აღდგენითი მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის მედიაციის არსი, მიზნები და პროგრამაში ჩართვის მოსალოდნელი შედეგები. ქალბატონ მარინეს გაუჩნდა მედიაციაში ჩართვის მოტივაცია, რადგანაც ჰქონდა შეკითხვები, რომელზე პასუხის გაცემაც მხოლოდ დამზარალებელს შეეძლო. მაგრამ, მას პირისპირ შეხვედრა არ სურდა. ამიტომ, მედიატორმა შესთავაზა არაპირდაპირი მედიაცია, რაზეც ქალბატონი მარინე დათანხმდა. მედიატორმა სთხოვა, მოეთხრო თავის განცდებსა და დამოკიდებულებაზე მომხდარის მიმართ. მარინემ მიუგო, რომ გარდა იმისა, რომ საყვარელი ერთადერთი ქალიშვილი დაკარგა, არაერთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: იგი 75 წლისაა, პენსიონერია, მუშაობა აღარ შეუძლია, და ქალიშვილის გარდაცვალებასთან ერთად, ფაქტობრივად, დაკარგა მარჩენალი. როდესაც ეს უბედურება მოხდა, მასთან მოვიდნენ დამზარალებლის ოჯახის წარმომადგენლები და დაჰპირდნენ, რომ თუ დააფიქსირებდა, რომ დამზარალებელთან პრეტენზია არა აქვს, გარკვეულ ფინანსურ კომპენსაციას გადასცემდნენ. მაგრამ აღარ გამოჩენილან და არაფრით დახმარებიან. ქალბატონი მარინე ძალიან გაბრაზებული იყო დამზარალებელზე, მიაჩნდა, რომ მან მოატყუა.

ამის მერე, მედიატორი შეხვდა როსტომს და აუხსნა საქმის ვითარება, ჰკითხა, იყო თუ არა თანახმა მედიაციის არაპირდაპირ ფორმატზე, და როდესაც თანხმობა მიიღო, გადასცა ქალბატონი მარინეს მიერ დასმული შეკითხვა ფინანსურ კომპენსაციაზე. რაც შეეხება

წარსულში მოლაპარაკებებს ზიანის ოდენობასა და ანაზღაურებასთან დაკავშირებით, როსტომმა უპასუხა, რომ სრულ ინფორმაციას არ ფლობდა, რადგან ამ პროცესში მისი ოჯახის წევრი იყო ჩართული, მაგრამ ახლა მას აქვს ზიანის ანაზღაურების სურვილი და სთხოვა მედიატორს, გაერკვია, თუ რა თანხა იყო ქალბატონი მარინესთვის მისაღები.

ქალბატონ მარინესთან შემდგომ შეხვედრაზე გამოიკვია, რომ მას დამატებით აწუხებდა კითხვა, თუ ვინ არის ის ადამიანი, ვინც შვილი წაართვა. მას არასდროს შეხვედრია და არც სურვილი ჰქონია, მაგრამ მედიატორთან საუბრის შემდეგ დაინტერესდა, ინანიებდა თუ არა დამზარალეხელი მომხდარს და რადგანაც ამის დანახვა, მისი აზრით, მხოლოდ თვალეხში ჩახედვით იყო შესაძლებელი, პირისპირ შეხვედრაზე დათანხმებას არ გამოიციხავდა. მისი ინფორმაციით, ზიანი, თავდაპირველი შეთანხმებით, შეადგენდა 3000 ლარს და სურდა, იგივე თანხა დარჩენილიყო.

როსტომთან შემდგომ შეხვედრაზე გაიკვია, რომ ქალბატონი მარინეს მიერ მოთხოვნილი თანხა მისთვის მისაღები იყო, და იგი თანახმა იყო მის გადახდაზე მას მერე, რაც პირობითი მსჯავრი მოეხსენებოდა და მუშაობის დაწყებას შეძლებდა.

ამის საპასუხოდ, ქალბატონმა მარინემ როსტომთან პირისპირ შეხვედრა გადაწყვიტა. მედიატორმა ორივე მხარესთან შეთანხმება ხელშეკრულების პირობები, მედიაციის კონფერენციის თარიღი და დრო. ასევე, თითოეულ მხარესთან ცალ-ცალკე დეტალურად გაიარა მედიაციის კონფერენციის სცენარი და ესაუბრა მედიაციის პროცესში განცდების გაზიარების შესაძლებლობაზე.

მედიაციის კონფერენცია მოეწყო. როსტომმა შემთხვევის დეტალები გაიხსენა: სალამოს საათებში ვაშლიჯვრის მიმართულებით მოძრაობდა, მანქანა სველ ასფალტზე მოსრიალდა, საჭე ვერ დაიმორჩილა და უნებლიეთ დაეჯახა მანქანის სავალ ნაწილზე მოსიარულე ქალს, რომელიც ქუჩას კვეთდა. როსტომმა აღნიშნა, რომ ფხიზელი იყო და არც სირქარე გადაუჭარბებია, და რომ, შესაბამისად, მომხდარს ვერ უძებნის ახსნას. მან ქალბატონ მარინეს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „თქვენ რომც მაპატიოთ, მე ვერ შევძლებ საკუთარი თავის პატიებას, სხვა ადამიანი რომ დავლუპე!“ გარდა ამისა, აღნიშნა, რომ როგორც კი მუშაობის განახლების საშუალება მიეცემა, ქალბატონ მარინეს შეპირებულ (შეთანხმებულ) მატერიალურ დახმარებას გაუწევს.

ქალბატონი მარინესთვის ძალიან ემოციური აღმოჩნდა დამზა-

რალეზლის გულწრფელი სინანულის მოსმენა, ცრემლების გარეშე ვერ შეძლო საკუთარ განცდებზე საუბარი, მისთვის ქალიშვილი იყო სიყვარულიც, მეგობარიცა და ერთადერთი მარჩენალიც. მარტოდ დარჩენილს, უამრავ პრობლემასთან უწევს გამკლავება, ახლაც გამათბობელი გაუფუჭდა და, ფაქტობრივად, იყინება ამ ზამთარში და ელოდება, ეგება მისი ქალიშვილის რომელიმე მეგობარმა სამადლოდ გაუკეთოს, მაგრამ მაგათაც უჭირთ. ამიტომ დათანხმდა ზიანის ანაზღაურებას. მან მიმართა როსტომს: „პირველ რიგში, შენს შვილებსა და ცოლს მიხედე და თუ დაგრჩება საშუალება, რომ მე დაეხმარო, ჩამირიცხე ბარათზე შეთანხმებული თანხა. მე ამდენი წლის განმავლობაში მთავაზობდნენ, მეჩვილა და ახლაც ვიცი, რომ მაქვს უფლება კანონის ძალით მოგთხოვო, მაგრამ არ მინდა – ვხედავ, რომ განიცდი და ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.“

მედიაციის შედეგები და შემდგომი ინფორმაცია

მედიაცია წარმატებით დასრულდა, ხელშეკრულებას ხელი მოეწერა. მედიაციის წარმატებით დასრულებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, როსტომს პირობითი მსჯავრი მოუხსნეს, მან მუშაობა დაიწყო, ყოველთვიურად ურიცხავდა ქალბატონ მარინეს შეპირებული თანხის ნაწილებს და ვალი ორ წელიწადში დაფარა.

4. მედიაციის როლური თამაში

ჯანა (დარეჯან) ჯავახიშვილი

გასათამაშებელი შემთხვევის მოკლე აღწერა:

პავლე 43 წლისაა, პროფესიით ტაქსის მძღოლია. ახლახან გამოვიდა საპატიმროდან, 3 წელი უნდა იყოს პრობაციაზე. 2 წლის წინ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული. კერძოდ, ზაფხულის ერთ საღამოს, როდესაც ქალაქში ტაქსით მიძრაობდა, აღმაშენებლის გამზირზე მას ხელი აუწია, დილომში წასვლის ფასზე შეუთანხმდა და მანქანაში ჩაუჯდა ახალგაზრდა ქალი (ელენე). ქალს ძვირფასი ყელსაბამი ეკეთა. პავლემ, დილმისკენ როცა აიღეს გეზი, მანქანა ერთ-ერთ უკაცრიელ ადგილზე გააჩერა, დანა ამოიღო და ელენეს ძვირფასეულობის, მობილური ტელეფონის და ფულის მიცემა მოსთხოვა. ელენემ წინააღმდეგობა გაუწია, ჩანთა შემოარტყა და მანქანის კარის გაღებას შეეცადა. ამას პავლე არ ელოდა და თავადაც ფიზიკური ძალა იხმარა – ყელსაბამი ჩამოგლიჯა, ჩანთაც წაართვა. ამ მომენტში ელენეს დაუზიანდა ტანისამოსი და დანით, შემთხვევით, ხელი გაეჭრა, თუმცა მანქანიდან გადახტომა მოახერხა. პავლე მოგვიანებით პოლიციამ დააკავა. საერთო ჯამში, ყელსაბამის ფასი 1000 ლარამდე იყო, ხოლო ჩანთაში თანხა – დაახლოებით 1000 ლარამდე. სათვალთვლო კამერების ჩანაწერების საფუძველზე, მისი საქმის სასამართლო განხილვა დასრულდა და სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. აქედან 2 წელი პავლემ საპატიმროში მოიხადა, ხოლო სამი წელი – პირობით მსჯავრზე. იგი აღიარებს თავის დანაშაულს და მონდომებულია, მონაწილეობა მიიღოს დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციაში.

თამაშის მსვლელობა:

ნაბიჯი პირველი:

წამყვანი სთხოვს მონაწილეებს, რომ როლურ თამაშში მონაწილეობის მსურველებმა დაინაწილონ როლები: პავლე, პავლეს მხარდამჭერი პირი (მისი მეუღლე), ელენე, ელენეს მხარდამჭერი პირი (მისი მეგობარი) და მედიატორი.

ნაბიჯი მეორე:

წამყვანი ყველა მონაწილეს სათითაოდ აწვდის შესაბამის ინფორმაციას (რაც ობიექტურად, ამ შემთხვევასთან დაკავშირებით შეიძლება იცოდეს თითოეულმა მათგანმა):

ინფორმაცია, რომელსაც ვაწვდით პავლეს და მისი მხარდამჭერის (მეუღლის) როლების შემსრულებლებს:

პავლე

დანაშაულის ჩადენამდე რამდენიმე დღით ადრე პავლეს 14 წლის ვაჟიშვილი თამაშისას ხიდან ჩამოვარდა და ხერხემალი დაუზიანდა, ესაჭიროებოდა სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია, რომელიც დაახლოებით 6000 ლარი ღირდა. თანხის ნაწილი საყოველთაო დაზღვევით დაფინანსდა, მაგრამ ოჯახს დამატებით 2000 ლარი სჭირდებოდა, წინასწარი გამოკვლევების საფასურის ჩათვლით. პავლეს ცუდი საკრედიტო ისტორია ჰქონდა და არცერთმა ბანკმა ეს თანხა არ მისცა, ვერც ნათესავებში მოახერხა მისი შეგროვება. დანაშაულის შედეგად მიღებული თანხით კი მოახერხა შვილისათვის ოპერაციის გაკეთება. მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტში ძარცვით მოპოვებულმა თანხამ გადაარჩინა, ოჯახს საშინლად გაუჭირდა ცხოვრება, სანამ პავლე ციხეში იყო. პავლეს მეუღლე სკოლაში მუშაობს და ძალიან დაბალი ანაზღაურება აქვს, ისინი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობენ და შვილის აღზრდისთვის და მინიმალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად თანხა ძლივს ჰყოფნიდათ და ჰყოფნით. პავლე ხვდება, რომ შვილის მდგომარეობით სასოწარკვეთილმა, მაშინ დიდი შეცდომა დაუშვა და მისმა ორწლიანმა ციხეში ყოფნამ ოჯახი კიდევ უფრო დააძაბუნა. ახლა ძალიან რცხვენია თავისი საქციელის და მედიატორსაც სწორედ მან მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ 2 წელზე მეტი ხანი გავიდა დანაშაულის შემთხვევიდან, კვლავ ძალიან წუხს იმ ქალის ბედზე, მანამდე სხვა დანაშაული არასოდეს ჩაუდენია და ამ შემთხვევაზე ფიქრი არ ასვენებს. თანაც, მანქანის მართვის გარდა სხვა საქმე არ იცის, არადა, პირობითი მსჯავრის გამო თავის პროფესიას ვერ დაუბრუნდა, რამაც ოჯახი უკიდურეს გაჭირვებამდე მიიყვანა. ამიტომ აქვს იმედი, რომ მედიაციის შემდეგ სასჯელი შეუმსუბუქდება.

ინფორმაცია, რომელსაც ვაწვდით ელენეს და მისი მხარდამჭერის (მეგობრის) როლების შემსრულებლებს:

ელენე

ელენე გამყიდველია და აღმაშენებლის გამზირზე ერთ-ერთ კერძო ტანსაცმლის მაღაზიაში მუშაობს, იმ დღეს სამსახურიდან ღამის 10 საათზე გამოვიდა და სახლში ერქარებოდა ბავშვთან, რომელსაც ძიძა ზრდის. ელენე მარტოხელა დედაა და ძლიან ბევრს შრომობს იმისთვის, რომ შვილს არაფერი მოაკლდეს. ამ შემთხვევამ მასზე ძალიან იმოქმედა, იმ დღის შემდეგ დასჩემდა შიში და ტაქსიში ვეღარ ჯდება. არადა, სამსახურიდან შორს ცხოვრობს და ტრანსპორტი მის სახლს ახლოს არ უდგება. ასევე, ღამით ქუჩაში სიარულისაც ძალიან ეშინია. შემთხვევიდან 2 წელზე მეტი გავიდა და ეს შიშები ჯერ კიდევ ვერ დაძლია. აღსანიშნავია, რომ თანხა, რომელიც ელენეს ჩანთაში ედო, იმ დღეს მაღაზიაში გაყიდვების შედეგად იყო გამომუშავებული, რომელიც მას ჩვეულებისამებრ თან მიჰქონდა ხოლმე და დილით ბანკში, მაღაზიის საბანკო ანგარიშზე შეჰქონდა. ამაზე იყო შეთანხმებული მაღაზიის მფლობელთან, რომელსაც ერჩივნა, თანხა ღამით მაღაზიაში არ დარჩენილიყო. ამ თანხის დაკარგვამ მას სამსახურში სერიოზული პრობლემები შეუქმნა. მფლობელი მის ანაზღაურებას სთხოვდა, ელენეს კი ეს არ შეეძლო და კინაღამ სამსახური დაკარგა. იმ პირობით დარჩა, რომ ამ თანხას მთელი წლის განმავლობაში, თანდათან გადაიხდიდა. თანხის გარდა, დაკარგა დოკუმენტებიც, რომელთა აღდგენაში ბევრი დრო გაუცდა. ელენე პოლიციამაც ძალიან გააწვალა გამოძიების დროს დაკითხვებზე, სასამართლოში რამდენჯერმე მოუწია მისვლა. ამ ყველაფრის გამო იგი ძალიან გაბრაზებული იყო და არის პავლეზე. ვერ ხვდება, რატომ მოიქცა ასე. ასევე, აწუხებს კითხვა, თუ რატომ აღმოჩნდა მსხვერპლი მაინცდამაინც თვითონ.

მედიატორს ვაწვდით ინფორმაციას როგორც პავლეს, ასევე ელენეს შესახებ.

როლური თამაში ორი ნაწილისგან შედგება: თამაშის პირველი ნაწილში მედიატორი ატარებს მოსამზადებელ სამუშაოს: ხვდება დამზარალბელსა და დაზარალბულს, არკვევს მედიაციაში მათი ჩართვის სურვილს, მოტივაციას, ხელშეკრულების შესაძლო პირობებს. როლური თამაშის მეორე ნაწილში მედიატორი მართავს კონფერენციას. აუცილებელი არ არის, რომ ორივე ნაწილში ერთი და იგივე მონაწილე იყოს მედიატორის როლში: თამაშის მსვლელობისას შესაძლებელია მედიატორის როლში სხვადასხვა მონაწილე ვათამაშოთ.

ნაბიჯი მესამე:

მონაწილეები გაითამაშებენ სხვადასხვა სცენას, თითოეული სცენის შემდეგ კი დამკვირვებლების როლში მყოფ მონაწილეებთან ერთად ტარდება უკუკავშირის რაუნდი. უკუკავშირის დროს მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა თამაშის მონაწილეებს შემდეგი თანმიმდევრობით მიეცეთ:

1. სცენაში მოთამაშე დაზარალებული
2. სცენაში მოთამაშე დამზარალებელი
3. სცენაში მოთამაშე მხარდამჭერი პირები
4. სცენაში მოთამაშე მედიატორი
5. მონაწილეები, ვინც არ ასრულებს რაიმე როლს და აკვირდება თამაშს
6. პედაგოგი/ტრენერი

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირის რაუნდის დაწყებამდე ტრენერებმა შეახსენონ ჯგუფს არაგანსჯითი, არაშეფასებითი უკუკავშირის მიცემის წესი: ერთმანეთს არ ვაკრიტიკებთ, არ ვაფასებთ, სცენაში მონაწილე კოლეგების მადლიერი ვართ იმის გამო, რომ გვაძლევენ უნიკალურ შანსს, საკუთარი მაგალითის (და შესაძლო შეცდომების) საფუძველზე დავხვეწოთ პროფესიული უნარ-ჩვევები.

უკუკავშირის დროს, ტრენერები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ რა იყო ამა თუ იმ კონკრეტული სცენის ამოცანა.

სცენები უნდა გათამაშდეს შემდეგი თანმიმდევრობით და თითოეულისთვის უნდა განისაზღვროს შემდეგი ამოცანები:

1. მედიატორი ხვდება დამზარალებელს და მის მხარდამჭერს
2. იგი უნდა დარწმუნდეს, რომ სამართალდამრღვევი თავს მიიჩნევს დამნაშავედ და მზად არის, რაიმე ფორმით აანაზღაუროს ზიანი დაზარალებულისთვის. მედიატორის ამოცანაა, დამზარალებელს სრულფასოვანი ინფორმაცია მიაწოდოს მედიაციის პროცესზე და ინფორმირებული თანხმობა მოიპოვოს მის ჩატარებაზე.
3. მედიატორი ხვდება დაზარალებულს (შესაძლოა, მის მხარდამჭერსაც) – აქ ამოცანაა დაზარალებულის სრულყოფილი ინფორმირება და მოტივირება მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, ასევე მისი საჭიროებების გამოკვლევა და მისი მოსაზრებების მოსმენა იმის თაობაზე, თუ რა სახით შეიძლება

დამზარალელებელმა მას აუნაზლაუროს ზიანი.

4. მედიაციის კონფერენცია – ამ ეტაპის ამოცანაა მხარეების მხრიდან ერთმანეთისთვის თავიანთი მოსაზრებების, ემოციებისა და დამოკიდებულებების გაზიარება, დამზარალელების მხრიდან თავისი ქმედების სრულყოფილად გააზრება, დაზარალელების მხრიდან დანაშაულში გარკვევა, მხარეების მიერ სიტუაციიდან საერთო გამოსავალზე შეთანხმება, დამზარალელების მიერ პრობლემის მოგვარებაზე პასუხისმგებლობის აღება, დაბოლოს – შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება.

ნაბიჯი მეოთხე:

თამაშის დასრულების შემდეგ მიმდინარეობს მისი ერთიანი განხილვა პლენარულ სხდომაზე. მაგრამ, სანამ განხილვაზე გადავიდოდეთ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ როლების შემსრულებელი მონაწილეები გამოვიდნენ იმ როლებიდან, რომლებსაც ასრულებდნენ. ამისთვის შესაძლებელია ან რაიმე ფიზიკური ენერჯაიზერის გაკეთება, ან წრეში დაბრუნებული როლების შემსრულებლებისთვის შემდეგი სავარჯიშოს შეთავაზება: წრეში თავისი სახელის ისტორიას გაზიარება – ვის პატივსაცემად დაარქვეს. თუ ჯგუფი მოინდომებს და დროც საკმარისია – ამის გაკეთება ყველა მონაწილეს შეუძლია.

ნაბიჯი მეხუთე:

პლენარულ სხდომაზე მიდის მსჯელობა იმაზე, თუ როგორ მუშაობდა მედიატორი (ანუ, მედიატორის როლის შემსრულებლები) მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლაზე კონფერენციამდელ ეტაპზე, თუ როგორ აბალანსებდა მხარეების მონაწილეობასა და ძალთა თანაფარდობას კონფერენციის ეტაპზე, როგორ ახერხებდა „ჩარჩოს ცვლილების“ ტექნოლოგიის გამოყენებას „მე-შენ“ დაპირისპირებიდან „ჩვენ“ ერთობაზე გადასვლის თვალსაზრისით, როგორ ახერხებდა მხარეების (და, საერთოდ, დაინტერესებული სუბიექტების) საბაზო მოთხოვნილებების, შიშების, ინტერესების გათვალისწინებას. ამ ეტაპზე, განხილვის საგანია „როგორ“ და არა „რატომ“ მედიატორის მუშაობისა. განხილვა უნდა მიმდინარეობდეს არაგანსჯით მოდუსში ისევე, როგორც თავად მედიაციის პროცესი.

თავი VI

აღდგენითი მართლმსაჯულება, საზოგადოება და მედია

ივო ერცენი
ჯანა (დარეჯან) ჯავახიშვილი

ძირითადი მიზანია სტუდენტებისთვის და მონაწილეებისთვის ღრმა და სისტემური ცოდნის მიღების ხელშეწყობა აღდგენით მართლმსაჯულებასა და მედიაციის თაობაზე საზოგადოების სათანადოდ ინფორმირებულობისა და ჩართულობის მნიშვნელობაზე, მედიის როლსა და საკვანძო სტრატეგიებზე.

მოცემული მასალის გავლის შემდგომ, სტუდენტებს/მონაწილეებს

- ეცოდინებათ საქართველოში ხალხური (ადათური, ჩვეულებითი) სამართლის ტრადიციული ფორმები და თავისებურებები
- გაცნობიერებული ექნებათ აღდგენით მართლმსაჯულებასა და მედიაციაზე საზოგადოების სათანადოდ ინფორმირებისა და ჩართულობის მნიშვნელობა
- გაცნობიერებული ექნებათ მედიის როლი აღდგენით მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფის საქმეში
- ეცოდინებათ აღდგენითი მართლმსაჯულებისა და მედიაციის ცხოვრებაში გატარების ხელშეწყობისთვის მედიასთან თანამშრომლობის საკვანძო სტრატეგიები

სასწავლო აქტივობები და მეთოდოლოგია:

- ცოდნის კუმულირება ინფორმაციის გადაცემის, შესაბამისი რეფლექსიისა და ინტერაქტიული სწავლების გზით;
- ცოდნის მიღებისა და გაღრმავების უზრუნველყოფა საკითხავი მასალის (შესაბამისი ლიტერატურა, დოკუმენტაცია და ა.შ.) ინდივიდუალურად დამუშავების გზით;

- კურსის მსვლელობაში ათვისებული კრიტიკული განწყობები-სა და სოციალური უნარების გავარჯიშება პირადი რეფლექსი-სა და ჯგუფური დისკუსიების გზით.

დროის ჩარჩო:

4 საკონტაქტო საათი (2 ორსაათიანი სესია) + 8 საათი ინდივიდუალური კითხვისა და მომზადებისა.

გეგმა:

1. სესია პირველი: საზოგადოების ინფორმირება და მონაწილეობა აღდგენით მართლმსაჯულებაში (2 საათი):
 - 1.1. ხალხური (ტრადიციული) სამართალი საქართველოში
 - 1.2. აღდგენითი მართლმსაჯულება და საზოგადოება
2. სესია მეორე: მუშაობა მედიასთან (2 საათი):
 - 2.1. მედიის როლი აღდგენით მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ინფორმირებაში
 - 2.2. მედიასთან მუშაობის საკვანძო სტრატეგიები
 - 2.3. პრაქტიკული რეკომენდაციები

1. საზოგადოების ინფორმირებულობა და მონაწილეობა აღდგენით მართლმსაჯულებაში

მოცემული ქვეთავის მიზანია საზოგადოების ინფორმირებულობისა და მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება აღდგენითი მართლმსაჯულების ცხოვრებაში გატარების საქმეში.

შესაბამისი ამოცანებია:

- საქართველოში სამართლის ტრადიციულ (ხალხურ, ჩვეულებით, ადათურ) ფორმებში აღდგენითი მართლმსაჯულების წანამძღვრების გაცნობიერება
- აღდგენით მართლმსაჯულებაზე საზოგადოების სათანადოდ ინფორმირებისა და მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება

1.1. საზოგადოება და ტრადიციული (ხალხური) სამართალი საქართველოში

საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულებისა და მედიაციის გარკვეული წინამძღვრები ხალხურ, ანუ ე.წ. ჩვეულებით, იგივე – ადათით განსაზღვრულ (ადათობრივ) სამართალში უნდა ვეძიოთ. ეთნოლოგ ნათია ჯალაბაძეს სპეციალურად აქვს ნაკვლევი ეს საკითხი და მოცემულ თავში გადმოცემული ინფორმაცია მისი ნაშრომის საფუძველზეა შედგენილი (ჯალაბაძე, 2016, გვ. 431-438).

ხალხური (იგივე ჩვეულებითი ან ადათობრივი) სამართალი საქართველოში წარმომადგენლობითი იყო, საზოგადოების მონაწილეობით ხორციელდებოდა. სამართლის მთავარ ინსტრუმენტებს აქ წარმოადგენდა, ერთი მხრივ, სხვადასხვა მასშტაბის (სოფელი, თემი, ხევი) სახალხო კრება და, მეორე მხრივ – შუამავლები (ანუ, თანამედროვე ენით – მედიატორები). თუმცა, შუამავლები აქ ერთგვარი მსაჯულების როლსაც ასრულებდნენ, რის გამოც სამართლის ფორმატი თანამედროვე არბიტრაჟთან უფრო ახლოა, ვიდრე მედიაციასთან.

ხალხური სამართლის პროცესი და სტრუქტურა მეტ-ნაკლებად განსხვავდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მიხედვით, მაგრამ ყველასთვის საერთო იყო ის, რომ სამართალი იყო დაფუძნებული მონაწილეობასა და თვითმმართველობაზე. იგი მიზნად ისახავდა თემსა თუ სოფელში წესრიგის აღდგენას და გულისხმობდა სამ კომპონენტს: დამნაშავეს დასჯას, დაზარალებულის მორალურ და მატერიალურ კომპენსაციას, დაბოლოს – იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული არ იყო იმ კატეგორიისა, რომელიც ისჯებოდა სიკვდილით ან თემიდან განკვეთით, ხალხური სამართალი მიმართული იყო მხარეების შერიგებაზე.

სოფლის მასშტაბის სახალხო კრებისთვის (იგივე საბჭოსთვის, ყრილობისთვის) წარმომადგენლებს ირჩევდნენ თითოეული კომლიდან. ეს წარმომადგენლობითი ორგანო ირჩეოდა სოფლის თავკაცს. უფრო მსხვილი (სათემო თუ ხევის მასშტაბის) კრებისთვის წარმომადგენლებს ირჩევდნენ უკვე სხვადასხვა სოფლიდან. სოფლის კრება არჩეოდა როგორც სოფლის თვითმმართველობის საკითხებს, ასევე სოფლის, ხევისა თუ სათემო წესების დარღვევების შემთხვევებს. უფრო მსხვილი მასშტაბის კრებები არჩეოდნენ სხვადასხვა სოფლის წარმომადგენელთა დავებს და ა.შ. საერთო კრების პარალელურად, დავებს არჩევდნენ შუამავალთა მომრიგებელი სასამართლოები. ამ შემთხვევაში, შუამავლები მსაჯულების როლშიც გამოდიოდნენ (ე.წ.

შუამავალ-მსაჯულები). სწორედ ამიტომ, პროცესი უფრო ახლოიყო თანამედროვე არბიტრაჟთან, ვიდრე მედიაციასთან. შუამავალ-მსაჯულები სწავლობდნენ შემთხვევას, ცალ-ცალკე მოისმენდნენ მომჩინისა და მოპასუხის ჩვენებებს და ამის საფუძველზე გამოჰქონდათ განაჩენი, რომელიც გულისხმობდა დასჯას, მატერიალურ კომპენსაციას და, შეძლებისდაგვარად – მხარეების შერიგებას.

შუამავლობა არ იყო მუდმივი როლი/ფუნქცია, უფრო ხშირად, შუამავალ-მსაჯულებს თავად დავაში მონაწილე მხარეები ირჩევდნენ, ერთმანეთთან შეთანხმების საფუძველზე. თუ შუამავალ-მსაჯულთა ვინაობაზე მხარეები ვერ თანხმდებოდნენ, მაშინ საქმეში ორივე მხარისთვის ნეიტრალური შუამავლები შემოდიოდნენ და ისინი ირჩევდნენ ამ კონკრეტული საქმის შუამავალ-მსაჯულებს. შუამავალ-მსაჯულების რაოდენობა იწყებოდა სამი ადამიანიდან, დანაშაულის სიმძიმის მიხედვით იზრდებოდა და შესაძლებელი იყო ასულიყო 24 კაცამდეც კი (მაგ., მკვლელობის დანაშაულის განხილვის შემთხვევაში). შუამავალ-მსაჯულები თავიანთი სამსახურის საფასურად იღებდნენ გარკვეულ გასამრჯელოს. სამართლის ქმნის პროცესის ჩატარების ადგილი განსხვავდებოდა საქართველოს კუთხეების მიხედვით: ზოგან ტარდებოდა ორივე მხარისგან თანაბრად დაშორებულ ნეიტრალურ ადგილზე, ან დანაშაულის ჩადენის ადგილზე, ზოგან – ამ საქმისთვის სპეციალურად ორგანიზებულ სივრცეში.

შუამავალ-მსაჯულად ირჩევდნენ გონიერებითა და წესიერებით ცნობილ ადამიანს. შუამავალ-მსაჯულის როლი საპატიო იყო, ამას მიანიშნებს ის სახელწოდებებიც, რაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამოიყენებოდა ამ როლის ადამიანის აღსანიშნად: მცოდნე კაცი, ბჭე, დარბაზული კაცი და ა.შ. მესტიის მუზეუმში დღესაც არის შემონახული შუამავლის ძალიან შთამბეჭდავი სავარძელი, რომლის პომპეზურობაც მოწმობს ამ როლის დაფასებას საზოგადოების მხრიდან.

მკვლელობის შემთხვევაში, საქართველოს გარკვეულ კუთხეებში, განსაკუთრებით კი – მთაში, ე.წ. სისხლის აღების წესი მოქმედებდა. ეს გულისხმობდა შურისძიებას, ანუ საპასუხო მკვლელობას (ე.წ. სისხლ-მესისხლეობა). ეს შესაძლოა განხორციელებულიყო ფაქტობრივად, ან სიმბოლურად (მაგ., რამდენიმე წლის განმავლობაში მკვლელის საბძელში გამოკეტვით). სისხლის აღების ვალდებულება გადადიოდა თაობიდან თაობაში. თუმცა, ასევე, ხდებოდა შერიგებაც, რაც მატერიალური და მორალური ზარალის კომპენსაციაზე მიმართული გარკვეული რიტუალების თანხლებით ხორციელდებოდა.

სხვადასხვა დანაშაული, ხალხური სამართლის თანახმად, გულისხმობდა მატერიალური ზარალის კომპენსაციის სხვადასხვა ფორმასა და მასშტაბს. თემის/საზოგადოების ლალატი, როგორც წესი, ისჯებოდა სიკვდილით (ყველაზე ხშირად, ჩაქოლვით). ქალის დაფენმძიმებისთვის (იმ შემთხვევაში, თუ ამას ქორწინება არ მოჰყვებოდა) კომპენსაცია გულისხმობდა მკვლევლობის შემთხვევაში არსებული კომპენსაციის ნახევარს. ქურდობის შემთხვევაში ხდებოდა, სულ ცოტა, ორმაგი კომპენსაცია გაქურდული ოჯახისთვის; აქ ზარალის კომპენსაცია – ანუ, გარკვეული საფასურის გადახდა ხდებოდა საზოგადოებისთვისაც. მატერიალური კომპენსაციის ფორმას განსაზღვრავდა საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში გავრცელებული მეურნეობის სახე (მესაქონლეობა, მიწათმოქმედება და ა.შ.). ყველაზე მაღალი მატერიალური კომპენსაცია ხდებოდა მკვლევლობის შემთხვევაში. მატერიალური ზარალის ანაზღაურების მხრივ არსებობდა გენდერული განსხვავებები: მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში მოკლული კაცის საფასური 60 ძროხა იყო, მაშინ როცა ქალისა – 30.

შერიგების პროცესის ყველაზე გავრცელებული ინსტიტუციური მექანიზმი იყო ე.წ. მოფიცრობის ინსტიტუტი – ფიცის დადება. მოფიცრების როლში გამოდიოდნენ, ერთი მხრივ, ე.წ. დაუსახელებელი მოფიცრები (დანაშაულის ჩამდენისა და დაზარალებულის გვარის წევრები/ნათესავები/სახლიკაცები) და „დასახელებული მოფიცრები“ – ნეიტრალური მოწვეული პირები, განთქმული თავიანთი წესიერებით. ფიცის დადება იყო გამოტანილი განჩინების შესრულების გარანტი. ფიცის დადების რიტუალები განსხვავდებოდა, ერთი მხრივ, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ადათ-წესების მიხედვით და, მეორე მხრივ, დანაშაულის მიხედვით. მაგალითად, მკვლევლობის შემთხვევაში ფიცის რიტუალი ყველაზე ხშირად, მოკლულის საფლავზე ხორციელდებოდა. სხვა დანაშაულის შემთხვევაში – ეკლესიაში, სამსხვერპლოსთან, ხატთან, ჯვარზე და ა.შ.

[დისკუსია მცირე ჯგუფებში, 15 წთ: გთხოვთ, მოცემული მასალის საფუძველზე, იმსჯელოთ იმაზე, თუ რა არის საერთო და რა არის განსხვავებული საქართველოს ტრადიციული (ხალხური, ადათური, ჩვეულებითი) სამართლის ზევით აღწერილ პრინციპებსა და აღდგენითი მართლმსაჯულების თანამედროვე მიდგომებს შორის].

საშინაო დავალება: სავალდებულო საკითხავი

- ჯალაბაძე, ნათია (2016). ხალხური (ჩვეულებითი) სამართალი. წიგნში: მელიქიშვილი, ლ. და ბერიაშვილი, ლ. (რედაქტორები)

(2016). ქართველები. ყველაფერი ქართველთა კულტურისა და ეთნოსის შესახებ. გამომცემლობა პალიტრა L., თბილისი. გვ. 431 – 438.

1.2. აღდგენითი მართლმსაჯულება და საზოგადოება


[ამ თემის განხილვას ვიწყებთ ხანმოკლე (15 წთ) ჯგუფური დისკუსიით ფილმზე „ორნი ქალაქში“, რომლის ნახვაც სტუდენტებს საშინაო დავალებად აქვთ მიცემული. დისკუსიის ძირითადი ჩარჩო შემდეგია: ფრანგულ ფილმში „ორნი ქალაქში“ კარგად ჩანს, თუ როგორი უსამართლობის განცდა შეიძლება გააღვიძოს კონვენციურმა მართლმსაჯულებამ, თვით მართლმსაჯულების მსახურშიც კი. ეს ფილმი რეჟისორმა ჟოზე ჯოვანიმ 1973 წელს გადაიღო. მასში აღწერილია ახალგაზრდა მამაკაცის – ჯინო სტრაბლიჯის ისტორია, რომელმაც სიცოცხლე გილიოტინაზე დაამთავრა პოლიციელის მკვლელობის გამო. პატიმართა აღმზრდელი („მენტორი“) ჟერმენ კაზანუვე, რომელსაც ფილმში ჟან გაბენი ასახიერებს, ცდილობს მის დახსნას – სასამართლოზე ცდილობს, პროკურორს, მოსამართლეს, ნაფიც მსაჯულებსა და იქ შეკრებილ საზოგადოებას აუხსნას, რომ სტრაბლიჯი არ არის საზოგადოებისთვის საშიში ბოროტმოქმედი, რომ მან დანაშაული აფექტის მდგომარეობაში ჩაიდინა, რომ მას განსაკუთრებული საჭიროებები აქვს, რომ მას არ მისცეს ციხიდან გასვლის შემდეგ საზოგადოებაში ინტეგრირების საშუალება, რომ დანაშაული, რაც მან ჩაიდინა, არ არის მხოლოდ მისი მიზეზით, რომ ამაში თავისი წილი პასუხისმგებლობა საზოგადოებასაც და მართლმსაჯულების არსებულ სისტემასაც ეკისრება, და რომ ეს საკმარისი არგუმენტია მისი სასჯელის შესამსუბუქებლად. მაგრამ სისტემა და, სისტემის სახით, საზოგადოება, აღმზრდელს ყურს არ უგდებს და სტრაბლიჯის გილიოტინაზე უშვებს. და აქ ისმის უნიკალური მონოლოგი – აღმზრდელის ხმამაღლა გახმოვანებული ფიქრები, რაც, ფაქტობრივად, ფილმის კულმინაციაა (თუმცა ამას ალენ დელონის ხიბლით მონუსხული მაყურებელი შესაძლოა ვერც მიხვდეს): ჟან გაბენის გმირი უჩივის მართლმსაჯულების სისტემის უსამართლობას... ფილმმა წვლილი შეიტანა საფრანგეთის რესპუბლიკაში გილიოტინის, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომის, გაუქმებაში (უკანასკნელი სიკვდილით დასჯა საფრანგეთში მოხდა 1977 წელს, კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები შევიდა 1981-ში). მაგრამ გაბენის მონოლოგი კიდევ უფრო ღრმა შინაარსსაც მოიცავდა, გარდა სიკვდილით დასჯის გაუქმებისა. თითქოს რა უნდა ყოფილიყო ამაზე მეტი, მაგრამ მაინც – მან კონვენციური მართლმსაჯულების სა-

მართლიანობა და, შესაბამისად, საზოგადოების კეთილდღეობის საქმეში მისი ეფექტიანობა დააყენა კითხვის ქვეშ.]

განვლილი მასალიდან უკვე ვიცით, რომ თუ კონვენციური მართლმსაჯულებისთვის მთავარი ფასეულობა კანონია, ანუ – კანონი თავისთავადი ფასეულობაა, აღდგენითი მართლმსაჯულების საკვანძო ფასეულობებია სამართლიანობა, სიმართლე, ადამიანის ღირსება და სოლიდარობა (Chapman & Törzs, 2018). რიგ შემთხვევებში, კანონი, სოციალური თუ ეკონომიკური მოწყობა არ არის შესაბამისობაში ამ ფასეულობებთან. სწორედ ამიტომ, იმ ქვეყნებში, სადაც აღდგენითი მართლმსაჯულება საზოგადოებაში ე.წ. სტრუქტურული ძალადობის (Galtung, 1969) აღმოსაფხვრელად და სამართლიანობის აღდგენის ინსტრუმენტად იქნა გამოყენებული, ამას შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა სისტემური ცვლილებებიც მოჰყვა. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში, აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომის წყალობით, სხვა აღდგენით ღონისძიებებთან ერთად, სახელმწიფო დონეზე ისეთი ცვლილებები განხორციელდა, რამაც შემდგომში რასობრივი ნიშნით ადამიანის დისკრიმინაციის აღბათობა შეამცირა და ხელი შეუწყო მონაწილეობითი დემოკრატიის განვითარებას (Batley, 2005).

ამგვარი სისტემური ცვლილებების განხორციელება აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში შესაძლებელია იმიტომ, რომ ეს მიდგომა დანაშაულს უყურებს არა როგორც ცალკეული ადამიანებისა თუ ადამიანთა ჯგუფ(ებ)ის პრობლემას, არამედ საზოგადოების, როგორც სისტემის დისფუნქციას...

ქვემოთ მოყვანილი სქემა ეკუთვნის ინგლისელ მეცნიერს, ანთროპოლოგს, სოციოლოგს, ლინგვისტს, კიბერნეტიკოსს, გრეგორი ბეიტსონს, სისტემების თეორიის ავტორს და, მის მიმდევარს – რობერტ დილტსს. სქემა გვაჩვენებს ადამიანს, როგორც სისტემას, რომელიც მოიცავს ლოგიკურ დონეებს (მე/იდენტობა, ფასეულობები, რწმენები, უნარ-ჩვევები, ქცევა) და რომელიც ჩართულია უფრო მსხვილ სისტემებში (ფიზიკური გარემო, ოჯახი, სკოლა, საზოგადოება, სახელმწიფო). სქემა მოქნილია და იგი შეგვიძლია შევავსოთ სხვა მცირე თუ ფართო მასშტაბის დონეებით (მაგ., მართლმსაჯულების სისტემა, მსოფლიო, სამყარო და ა.შ.).




დიაგრამა 6.1. სისტემა ადამიანი-გარემოს ლოგიკური დონეები (Dilts, 1999).

ბეიტსონ-დილტსის სქემისა და, შესაბამისად, სისტემების თეორიის თანახმად, ყველა დონე ურთიერთდაკავშირებულია. საქმის ესა თუ ის ვითარება ამ თუ იმ დონეზე, სისტემის, როგორც მთლიანის ფუნქციაა და მის სპეციფიკას ასახავს. შესაბამისად, ცვლილება სისტემის ერთ გარკვეულ წერტილში იწვევს ცვლილებათა ჯაჭვურ (და არა წრფივ) რეაქციას, ვრცელდება და, შესაბამისად, ცვლის მთელ სისტემას. ერთ რომელიმე პრობლემურ წერტილში ცვლილების მისაღწევად სისტემა უნდა განვიხილოთ, როგორც მთლიანი და მის ტრანსფორმაციაზე ვიმუშაოთ.

აღდგენითი მართლმსაჯულება სწორედ რომ ტრანსფორმაციული მიდგომაა: იგი გულისხმობს საზოგადოების ამა თუ იმ დისფუნქციის მოგვარებაზე მუშაობას. იგი სამართალდამრღვევს (შემდგომში – დამზარალეხელს) და დაზარალებულს განიხილავს, როგორც ერთიანი სისტემის სუბიექტებს. მაგრამ ამ სისტემის არანაკლებ მნიშვნელოვანი კიდევ ერთი სუბიექტი თვით საზოგადოებაა, როგორც უფრო ვრცელი (ფართო მასშტაბის) სისტემა. იგი მოიცავს როგორც დაზარალებულს, ასევე დამზარალეხელს, და ასევე, სხვა ადამიანებსა და მათ ერთობას. ამიტომ, სამართალდარღვევის საპასუხოდ, აღდგენითი მართლმსაჯულებას სამი ძირითადი ფოკუსი აქვს:

1) დაზარალებული. აღდგენითი მართლმსაჯულება ცდილობს გაარკვიოს, თუ ვინ არის დაზარალებული და რა ესაჭიროება მას,

რათა რეაბილიტირებულ იქნას, ანუ – აღდგეს (მისი ღირსება, ფიზიკური თუ მატერიალური კეთილდღეობა და ა.შ.); ქონებრივ დანაკლისზე საპასუხოდ მნიშვნელოვანია რესტიტუციური მიდგომა, ფსიქოლოგიურ/მორალურ ზიანზე საპასუხოდ – ფსიქოლოგიური/მორალური კომპენსაცია. და ყოველივე ეს უნდა მოხდეს გამართული, სამართლიანი, ინკლუზიური, ღირსების გაფრთხილებაზე, ნდობასა და ზრუნვაზე დაფუძნებული პროცესის ფარგლებში. ამიტომ, დაზარალებულის რეაბილიტაციის შემთხვევაში საუბარია სამი სახის დაკმაყოფილებაზე – ე.წ. დაკმაყოფილების სამკუთხედზე (Moore, 2014): მატერიალურზე, ფსიქოლოგიურ/მორალურსა და პროცედურულზე. (იხ. დიაგრამა № 6.2).



დიაგრამა 6.2: „დაკმაყოფილების სამკუთხედი“ (Moore, 2014, გვ. 128)

2) დამზარალებელი. აღდგენითი მართლმსაჯულება ცდილობს გაარკვიოს, თუ ვინ არის დამზარალებელი და ხელი შეუწყოს მას, აილოს თავის თავზე პასუხისმგებლობა საკუთარი საქციელის გამო. აქ დგება საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაისაჯოს იგი (პროპორციულად თავისი დანაშაულისა), რა ვალდებულება უნდა აილოს იმისთვის, რომ დაზარალებულს აღდგენაში (რეაბილიტაციაში) დაეხმაროს. ასევე, აღდგენითი მართლმსაჯულება ცდილობს დაეხმაროს დამზარალებელს, გაისიგრძეგანოს თავისი საქციელის ზიანის მომტანი შედეგები: გააგებინოს და აგრძნობინოს მას დაზარალებულის გულისტკივილი, დაეხმაროს მისი მდგომარეობის/წუხილის გაზიარებაში. გარდა ამისა, აღდგენითი მართლმსაჯულება ცდილობს გაარკვიოს, თუ რა საჭიროებები აქვს დამზარალებელს და როგორ უნდა დაკმაყოფილდეს ეს საჭიროებები, რათა იგი, სასჯელის მოხდის შემდგომ თუ დაზარალებულის მიმართ ვალდებულების მოხდის პარალელურად, არ გაირიყოს საზოგადოებიდან, იცხოვროს სრულფასოვანი საზოგადოებრივი ცხოვრებით. ამიტომ, აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომის თანახმად, დანაშაულის ჩამდენი პირი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ფსიქოსოციალური დახმარებით, რომელიც მას

თავისი სამართლებრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური პრობლემების მოგვარებაში შეუწყობს ხელს – არა აქვს მნიშვნელობა, იქნება ის პრობაციონერის, განრიდებულისა თუ პატიმრის სტატუსში. თუ იგი სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხვდა, უკვე პატიმრობის პერიოდშივე უნდა იყოს უზრუნველყოფილი ფსიქოსოციალური დახმარებით – იმის მიხედვით, თუ რა ესაჭიროება მას – ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მართვა, განათლება, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და ა.შ. ეს პატიმრობაში მყოფ პირს მოამზადებს სასჯელის მოხდის შემდგომ საზოგადოებაში დაბრუნება-ინტეგრაციისთვის, რაც რეციდივიზმის პრევენციას შეუწყობს ხელს.

3) საზოგადოება. დაზარალებულისა და დამზარალებლის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე მუშაობითა და მათი აღდგენა-რეაბილიტაციით აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომა რეციდივიზმის პრევენციას ახდენს, რაც საზოგადოებას უფრო უსაფრთხოს და დაცულს ხდის, ზრდის საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონეს. გარდა ამისა, აღდგენითი მართლმსაჯულება ცდილობს გაარკვიოს, თუ როგორ მოხდა დანაშაული, აქვს თუ არა მას რაიმე ინსტიტუციური მიზეზი (მაგ., სტრუქტურული ძალადობა), და თუ აქვს – იმუშაოს ცვლილებაზე.

უაღრესად მნიშვნელოვანია აღდგენით მართლმსაჯულებასა და მის ფორმატებზე საზოგადოების სათანადო ინფორმირება და საზოგადოებრივი მონაწილეობის ხელშეწყობა. ეს დაზარალებულისა და დამზარალებლის ინფორმირებულობასა და აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში სრულფასოვან ჩართვას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, მტკიცებულების თანახმად, საზოგადოების თანდასწრებით დამზარალებელს ეზრდება ჩადენილი ქმედების გამო პასუხისმგებლობის აღების მოტივაცია; მაღლდება საზოგადოების ცნობიერება დანაშაულსა და სამართლის პროცესზე, რაც საზოგადოებას უფრო მგრძობიარეს ხდის დაზარალებულისა და დამზარალებლის საჭიროებების მიმართ; თავის მხრივ, ეს ქმნის უკეთეს გარემოს დაზარალებულის მხარდაჭერისა და დამზარალებლის რეინტეგრაციისთვის (Zehr, 2015).

საშინაო დავალება: სავალდებულო საკითხავი

- Zehr, Howard (2015). Changing Lenses – Restorative Justice for Our Times/Fifty-Fifth Anniversary Edition/Herald Press, harrisonburg, Virginia, Kitchener, Ontario.

- Batley, Mike (2005). Restorative justice in the South African context. In Traggly Maepa, ed., Beyond Retribution: Prospects for Restorative Justice in South Africa. Monograph no. 111, February. Pretoria, South Africa: Institute for Security Studies, with the Restorative Justice Centre. Pp. 21-32.
- <https://oldsite.issafrica.org/uploads/111CHAP2.PDF>
- ფილმის „ორნი ქალაქში“ ნახვა

2. მედიის როლი აღდგენით მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ინფორმირებაში

მოცემული ქვეთავის მიზანია აღდგენითი მართლმსაჯულებისა და მედიის თანამშრომლობის მნიშვნელობის, ფორმატების, მოდელებისა და სტრატეგიების გაცნობა.

შესაბამისი ამოცანებია:

- მედიის როლის გაცნობიერება აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომის ცხოვრებაში გატარების საქმეში
- აღდგენითი მართლმსაჯულების ორგანიზაციებისა და მედიის თანამშრომლობის საკვანძო სტრატეგიების გაცნობა
- საქართველოში, აღდგენით მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მედიასთან თანამშრომლობის პრაქტიკული რეკომენდაციების მოწოდება

2.1. მედია და აღდგენითი მართლმსაჯულება

როგორც სოციალური, ისე კლასიკური მედია გვთავაზობს მნიშვნელოვან ინსტრუმენტებსა და სტრატეგიებს აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად და განსამტკიცებლად. მედიის როლი უნდა გავიგოთ, როგორც სოციალური რეალობისა და საზოგადოების მიმდინარე განვითარების თანაავტორი. აღდგენითი მართლმსაჯულება იწყება პირადი გამოცდილებით და დანაშაულის გააზრებით ადამიანების „ცოცხალი სამყაროს“ კონტექსტში, რაც მაქსიმალურად უწყობს ხელს საზოგა-

დობაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობების გაზრდას. ამიტომაც, აღდგენითი მართლმსაჯულება უნდა დავინახოთ არა მხოლოდ როგორც სისხლის სამართლის განუყოფელი ნაწილი, არამედ როგორც საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ზრუნვის ერთერთი მნიშვნელოვანი გზა. სწორედ ამიტომ, მას უნდა ჰქონდეს მყარი საფუძველი და მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან. საზოგადოებრივ მხარდაჭერას შეიძლება ჰქონდეს „პასიური“ ხასიათი, როდესაც ადამიანებმა იციან და მიესალმებიან მედიაციის და ზოგადად აღდგენითი მართლმსაჯულების იდეას. თუ საზოგადოება საკმარისად ინფორმირებულია აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ, მართლმსაჯულების სისტემის ყველა მოთამაშე – სამართალდამცავი სუბიექტები, დაზარალებულები, დამზარალებლები უფრო მოტივირებულნი იქნებიან მონაწილეობა მიიღონ ამ მიდგომის განხორციელებაში. საზოგადოებრივი მხარდაჭერა მიიღებს „აქტიურ“ სახეს მაშინ, როდესაც ადამიანები თავად მიიღებენ მონაწილეობას აღდგენით მართლმსაჯულებაში.

აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელებაში სამოქალაქო საზოგადოების როლი მნიშვნელოვანია. „სამოქალაქო საზოგადოება“ შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც „ნებაყოფლობით და კოლექტიურად მოქმედი საზოგადოება, რომელიც საერთო ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებების ირგვლივ არის გაერთიანებული.“ სოციალური კაპიტალის ცნება კი ასახავს საზოგადოებაში რესურსების მობილიზების პოტენციალს. სამოქალაქო საზოგადოება ასევე ზოგჯერ განმარტებულია, როგორც „მესამე სექტორი“ ან „შუამავალი ინსტიტუტები“, რომლებიც განსხვავდება სახელმწიფო (სამთავრობო) და საბაზრო (ბიზნეს) ორგანიზაციებისაგან. სამოქალაქო საზოგადოების პროცესში ჩართვის მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს სამოქალაქო ორგანიზაციებთან კოორდინაციის განვითარება. ეს ორგანიზაციები შეიძლება იყოს არასამთავრობო ორგანიზაციები, სასწავლო ინსტიტუტები, კულტურული ორგანიზაციები, რელიგიური ჯგუფები, რეგისტრირებული საქველმოქმედო ორგანიზაციები, სამოქალაქო ადვოკატირების ორგანიზაციები, გარემოს დამცველი ჯგუფები, ქალთა ორგანიზაციები, თვითდახმარების ჯგუფები და ა.შ. რომ დავაჯამოთ, აღდგენითი მართლმსაჯულებისადმი საზოგადოებრივი მხარდაჭერის გაძლიერება შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და მოქალაქეთა პირდაპირი ჩართულობით, და აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიის როლის გათვალისწინება.

სახელმძღვანელოს ამ და მომდევნო ნაწილში ყურადღებას გავამახვილებთ მედიის როლზე: როგორ უნდა ვითანამშრომლოთ მედიასთან აღდგენით მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ინფორმირების, განათლების და მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად? სანამ პრაქტიკული ინსტრუმენტებისა და სტრატეგიების აღწერაზე გადავიდოდეთ, ვცადოთ იმის გაგება, თუ როგორ ფუნქციონირებს მედია ზოგადად, და როგორ როლს თამაშობს ის სოციალური რეალობის კონსტრუირებაში. ხშირად აღინიშნება, რომ დღესდღეობით მედია ქმნის დანაშაულისა და საზოგადოებაში მისი ევოლუციის შერჩევით და მიკერძოებულ სურათს, რაც აძლიერებს სტიგმატიზაციასა და პოლარიზაციას. თუ გვსურს საზოგადოების ინფორმირება, რათა აღდგენითი მართლმსაჯულება უფრო მისაღები და გავრცელებული გახდეს, უნდა გვექნოდეს ნათელი ხედვა, თუ რისი მიღწევა შეიძლება მედიის საშუალებით და როგორ უნდა გავაკეთოთ ეს. Pali და Pelikan (2010: 6) გამოარჩევენ საზოგადოებრივ განწყობებში არსებულ პრობლემებს სხვადასხვა დონეზე: „პირველი – კოგნიტიურ დონეზე (ინფორმირებულობის დონე და ხარისხი), მეორე – ემოციურ დონეზე (როდესაც საქმე გვაქვს შიშთან, იმედგაცრუებასთან, გაურკვეველობის მდგომარეობასთან).“ ისინი ამატებენ მესამე – პოლიტიკურ დონეს, რომელიც ეხება „დამოკიდებულებების გამძაფრებას პოლიტიკური დისკურსისა და პოლიტიკის საშუალებით და გავრცელებული შიშების გაღვივებას მედიას მიერ.“

როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ საზოგადოება ჯეროვნად იყოს ინფორმირებული აღდგენითი მართლმსაჯულების თაობაზე? კვლევების თანახმად, საზოგადოება არასაკმარისად არის ინფორმირებული აღდგენითი მართლმსაჯულების თაობაზე და ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლებაა ამ მიდგომის დანერგვის გზაზე (Lhuillier, 2007). აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის წარმომადგენლები, პუბლიკაციაში „მედიის სამუშაო იარაღების ნაკრები აღდგენითი მართლმსაჯულებისთვის“ საქმის ამგვარი ვითარების ორ ძირითად მიზეზს ასახელებენ (Pali, 2009). ერთი გულისხმობს აღდგენითი მართლმსაჯულების ორგანიზაციების მხრიდან ერთგვარ უნდობლობას მედიის მიმართ – დაშვებას, რომ მედია არასწორად გააშუქებს დანაშაულს, არასწორად წარმოაჩენს დაზარალებულს, დამზარალებელს, სამართალის იდეასა და პრაქტიკას. მეორე მიზეზი, ავტორთა აზრით, არის ის, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების ორგანიზაციები არ ესაუბრებიან მედიას ისეთ ენაზე, რაც ამ საკითხების მიმართ მის ინტერესს გააღვივებდა. ამ ბარიერების გადალახვის გზად ავტორებს მედიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, თანამშრომლობის სხვა-

დასხვა ფორმატის ამოქმედება და შესაბამისი ეთიკური პრინციპების შემუშავება და ცხოვრებაში გატარება მიაჩნიათ. ამისთვის, ისინი კონკრეტული რეკომენდაციების ნაკრებსაც გვთავაზობენ.

ისეთ ქვეყნებში, სადაც აღდგენითი მართლმსაჯულება ამჟამად იკიდებს ფეხს – მათ შორის, საქართველოში, საზოგადოება არათუ არასაკმარისად, საერთოდ არ არის მის თაობაზე ინფორმირებული. ამიტომ, მედიასთან თანამშრომლობას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

[ჯგუფური დისკუსია, 15 წუთს + 15 წუთი:

- რა ბარიერებია საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების ადეკვატური გაშუქების თვალსაზრისით (15 წუთი);
- როგორ გადავლახოთ ეს ბარიერები, როგორ ვითანამშრომლოთ მედიასთან აღდგენით მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად (შემდგომი 15 წუთი)].

საშინაო დავალება: სავალდებულო საკითხავი

- Pali, B. (2009). Media Toolkit for Restorative Justice. Leuven: European Forum for Restorative Justice.

2.1. მედიასთან თანამშრომლობის საკვანძო სტრატეგიები

მედიასთან მუშაობის პრაქტიკული სტრატეგიები შეიძლება დაეფუძნოს თეორიულ ცოდნას მედიის ფუნქციონირების შესახებ დანაშაულის, მართლმსაჯულებისა და ალტერნატიული მიდგომების გაშუქებისას. პალი და პელიკანი (Pali & Pelikan, 2010: 80-101) აყალიბებენ ორ თეორიულ ჩარჩოს: „კრიმინოლოგიის ახალი ამბების“, როგორც დისკურსის ცვლილების ხელშემწყობი და „გართობა-განათლების სტრატეგია“, როგორც სოციალური ცვლილების ხელშემწყობი. პირველი – კრიმინოლოგიის ახალი ამბები – ეხება, ძირითადად, კოგნიტურ და პოლიტიკურ დონეებს და აანალიზებს კრიმინოლოგიის სფეროში მომუშავე პროფესიონალების როლს ახალი ამბების თუ ვითარების ინტერპრეტაციაში. აქ მედიის საშუალებით დანაშაულსა და სასჯელთან დაკავშირებული გზავნილები, მიდგომები დეკონსტრუირდება და ახალი ყალიბდება. შესაბამისად, შესაძლებელია დომინანტური დისკურსების (სამაგიეროს მიზღვის დისკურსი) ჩანაცვლება ალტერნატიული, მაგალითად, მშვიდობისა და მიტევების დისკურსით. მეორე თეორიული პერსპექტივა – გარ-

თობა-განათლების სტრატეგია მოიცავს, ძირითადად, კოგნიტიურ და ემოციურ დონეს. იგი გულისხმობს საგანმანათლებლო მასალის გასართობი გზავნილებით გადმოცემას (მაგალითად, სატელევიზიო სერიალი), რათა საკითხის მიმართ ჩამოყალიბდეს კეთილგანწყობა, შეიცვალოს დამოკიდებულება და ქცევა. სტრატეგია ეფუძნება რწმენას, რომ ამ გზავნილით გამოწვეულმა ემოციურმა ცვლილებებმა შეიძლება მიგვიყვანოს დამოკიდებულების შეცვლამდე, განსაკუთრებით, თუ ადამიანებს არ აქვთ მოტივაცია იფიქრონ კონკრეტულ გზავნილზე (Idem: 111). ეს არის მიდგომის – „კომუნიკაცია საზოგადოებრივი ცვლილებისათვის“ – ნაწილი. კონკრეტულ ფორმატში გზავნილის გაჟღერებას შეიძლება სხვადასხვა სახე, ინფორმაციული ღირებულება და ეფექტიანობა ჰქონდეს. ის, თუ რამდენად ღიად იქნება სათქმელი გამოთქმული, შეიძლება განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად აღიქვამენ ადამიანები კონკრეტულ პროგრამას, როგორც საგანმანათლებლო თუ საინფორმაციო საშუალებას. საინფორმაციო ღირებულება დამოკიდებულია კონკრეტულ ფორმატში გადმოცემული ინფორმაციის მოცულობაზე. ეფექტიანობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მიიღწევა მედიაფორმატის ამოცანები სამიზნე აუდიტორიის ცოდნის გაზრდის თუ დამოკიდებულების შეცვლის მიმართულებით. კვლევა უჩვენებს, რომ რაც უფრო ღიად არის გზავნილი გადმოცემული, მით უფრო ნაკლებეფექტიანია. ადამიანები გაზეთის კითხვისას ან ტელევიზორის ყურებისას გასართობი კომპონენტისაგან არ მიჯნავენ საგანმანათლებლო თუ ინფორმაციულ კომპონენტს: ინფორმაცია და გართობა უფრო გადაჯაჭვულია, ვიდრე ეს აქამდე იყო მიჩნეული. ამიტომაც, ზემოხსენებული მიდგომა ეფუძნება დაშვებას, რომ ინდივიდმა შეიძლება ეფექტიანად ისწავლოს სხვათა ქცევის დაკვირვებით და ამ ქცევის იმიტირებით, როგორც რეალურ ცხოვრებაში, ასევე ტელევიზიის საშუალებით.

აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისები ხშირად იყენებს მკაფიო და ინფორმაციულ ფორმატებს საკუთარი სამიზნე აუდიტორიისათვის. ზემოთ მოყვანილი თეორიული თეზისების საფუძველზე, მათ უნდა ასევე (თითქმის, უპირატესად) გამოიყენონ კომუნიკაციის ალტერნატიული მიდგომები. ამიტომაც, უნდა განავითარონ მედიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ახალი ფორმატები და შეიმუშაონ კომუნიკაციის ახალი სტრატეგიები. ძლიერი პერსონალური და ემოციური დატვირთულობის გამო, „აღდგენით მართლმსაჯულებას აქვს დიდი კომუნიკაციური პოტენციალი, თუმცა ჯერ არ აქვს კომუნიკაციის ძალა“ (Pali & Pelikan, 2010: 101).

ზემოხსენებული მსჯელობა ნათელს ხდის, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ მედია აღდგენითი მართლმსაჯულების მეგობრად (Pali, 2009: 16). მედია მართლაც ძალიან სასარგებლო შეიძლება გამოიყენებოდეს აღდგენითი მართლმსაჯულების მხარდასაჭერად. გარდა ამისა, მისი საშუალებით შეგვიძლია ინფორმაციის მიტანა პოლიტიკოსებამდე. რამდენადაც მედიას ძალიან აინტერესებს დანაშაულით, აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკოსებმა უნდა იფიქრონ იმაზე, თუ როგორ დაუკმაყოფილონ ეს ინტერესი ისე, რომ საქმეს წაადგეს. ეს შესაძლებელია იყოს ადამიანური ისტორიების გაზიარება, და ადამიანების ამგვარად ინფორმირება, რათა ისინი უფრო მგრძობიარე გახდნენ ამ ალტერნატიული მიდგომის მიმართ. „მედიანისტრუმენტები აღდგენითი მართლმსაჯულების ორგანიზაციებისთვის“ წარმოადგენს ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ათ ინსტრუმენტს. მოკლედ წარმოგიდგინთ ათივეს (მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მედიანისტრუმენტების სახელმძღვანელოში).

1) სტრატეგიული კომუნიკაციის დაგეგმვა

ორგანიზაციისათვის ბევრ აქტივობას აქვს კომუნიკაციური საზრისი, ამიტომაც კომუნიკაციის გეგმის შემუშავება გულისხმობს ფართო, ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც რამდენიმე ნაბიჯისაგან შედგება. პირველი ნაბიჯია კომუნიკაციის ინფრასტრუქტურის განსაზღვრა: რა დრო გვჭირდება, რა ფინანსური და ადამიანური რესურსებია საჭირო ეფექტიანი კომუნიკაციისათვის; რა არის ორგანიზაციის ძლიერი მხარე და გრაფიკული დიზაინის პოტენციალი; როგორ დავაკომპლექტოთ კომუნიკაციის გუნდი (კოორდინატორი, სპიკერი და მწერალი)? მეორე ნაბიჯია კომუნიკაციის გეგმის ამოცანების განსაზღვრა: რა მიღწევებსა და შედეგებს ველით? მესამე ნაბიჯია აუდიტორიის განსაზღვრა: ზოგადად, საზოგადოება ან/და რომელიმე კონკრეტული (პროფესიული) ჯგუფი? მეოთხე ნაბიჯი შედგება საკითხის ჩამოყალიბებისაგან: როგორ უნდა ჩამოყალიბდეს საკითხი, რათა შესაბამისობაში იყოს სამიზნე ჯგუფის ღირებულებებსა და საჭიროებებთან? მეხუთე ნაბიჯი ემსახურება გზავნილების ჩამოყალიბებას, და ბოლო ნაბიჯია კომუნიკაციის არხების შერჩევა (არხები მოიცავს: ადამიანებს, ტელევიზიებს, რადიოს, გაზეთებს, ვებგვერდებს, ელექტრონულ ფოსტას, ბიბლიოთეკებს, კულტურულ და რეკრეაციულ ცენტრებს, სუპერმარკეტებს და ა.შ.).

2) მედიის გაგება

მედია არ არის ერთგვაროვანი, იგი სხვადასხვა სახეობასა და ფორმატს მოიცავს: არსებობს ბეჭდური (გაზეთები, სპეციალიზებული გამოცემები), ელექტრონული და ახალი სოციალური მედია, და ა.შ. ამიტომ, მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ როგორ ფუნქციონირებს მედია. კლასიკურ მედიას აქვს თავისი შეზღუდვები. ის ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის ფუნქციონირებს ყოველდღიურად განსაზღვრულ ვადებში. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რა არის ჟურნალისტებისათვის მნიშვნელოვანი და საინტერესო. ისინი, მეტწილად, კონფლიქტის შემცველი ისტორიებით ინტერესდებიან და ცნობილი ადამიანებით. ზოგადად, ცნობილი ადამიანები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე. ისტორია უნდა შეიცავდეს უნიკალურ ან უჩვეულო ელემენტებს და უნდა იყოს ზუსტი და სანდო.

3) მედიაურთიერთობების ჩამოყალიბება

მედიაკონტაქტები და პირადი ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანია. ეს შეიძლება დაეფუძნოს ადგილობრივი თემის წყაროების გამოყენებას, ჟურნალისტთა პროფესიული ორგანიზაციების აღმოჩენას, მედიისადმი ინტერესის გამოხატვას (პოტენციურად დაინტერესებული ჟურნალისტების გამოსავლენად), აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისებში ჩართულ ჟურნალისტებთან თანამშრომლობას, ჟურნალისტებთან არაფორმალური შეხვედრების ორგანიზებას, აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის ზარების განხორციელებას და ზოგად ხელმისაწვდომობას ჟურნალისტებისთვის. პრესის ელექტრონული ფოსტის მისამართების სიების მუდმივი განახლება ასევე მნიშვნელოვანია, რამდენადაც ჟურნალისტები ხშირად იცვლიან სამუშაო ადგილს.

4) ეთიკის გზამკვლევი მითითებების ჩამოყალიბება

მედიის მიზნები და მოქმედების არსი ხშირად ეწინააღმდეგება მონაცემთა დაცულობას და ადამიანთა პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესებს. სასურველია იმ დაზარალებულთა და დამზარალებელთა მონაცემთა ბაზის წარმოება, რომლებიც მზად არიან ესაუბრონ მედიას. დაზარალებულები და დამზარალებლები ინფორმირებული და მომზადებული უნდა იყვნენ მედიასთან კომუნიკაციისათვის და უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ გადაამოწმონ საბოლოო პროდუქტი. სრული ინფორმირებული თანხმობის მნიშვნელობას ასევე უნდა მიექცეს ყურადღება დაზარალებულთა და დამზარალებელთა მოწყვლად

ჯგუფებთან თანამშრომლობისას. მედიის ინსტრუმენტების სახელმძღვანელო ნაბიჯ-ნაბიჯ წარმოადგენს მაგალითს, თუ როგორ შეიძლება ორგანიზაციამ ითანამშრომლოს მედიასთან.

5) პრესრელიზი და მედიალონისძიებები

პრესრელიზი უნდა ეფექტურად ავრცელებდეს იმ გზავნილისა და ინფორმაციას, რომლის გავრცელებას ისახავს ის მიზნად. კარგი პრესრელიზი ეფუძნება ფაქტებს, სტატისტიკას და ციტირებებს, ამბის ობიექტურად გადმოსაცემად. პრესრელიზის ფორმა შეიძლება განსხვავდებოდეს, თუმცა არსებობს გარკვეული ელემენტები, რომელიც ყველასთვის საერთოა. პრესრელიზის სათაური უნდა იყოს მოკლე, ყურადღების მიმპყრობი და ინფორმაციული. აღდგენითი მართლმსაჯულების საჯარო ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გააშუქდეს მედიის მიერ, შეგვიძლია ვუწოდოთ მედიალონისძიებები. უნდა გავითვალისწინოთ, თუ რამ შეიძლება გაზარდოს ამგვარი ღონისძიებით მედიის დაინტერესება. ეს შესაძლოა იყოს, მაგალითად, ე.წ. „მაგნიტი-პირების“ ჩართულობა („ცნობადი სახეები“ რომლებიც იზიდავენ მედიის ყურადღებას). პრესკონფერენციები უნდა მოეწყოს მხოლოდ კომპლექსური გზავნილების გასავრცელებლად, რაც მოითხოვს დიალოგს და სხვა საშუალებებით საკმარისი კომუნიკაცია შეუძლებელია.

6) ინტერვიუების მიცემა

ინტერვიუს მიცემისას მნიშვნელოვანი პირობაა, რომ რესპონდენტი ინარჩუნებდეს სიტუაციაზე კონტროლს და კარგად იყოს მომზადებული. მას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია ინტერვიუს მიზანზე, სამიზნე აუდიტორიაზე და ინტერვიუსა თუ გადაცემის ფორმატზე. ინტერვიუ უნდა შემოიფარგლოს რამდენიმე საკითხით და მნიშვნელოვანია ასახოს ის მოსაზრება, რომლის გადმოცემაც რესპონდენტს სურს. ყოველი მედიუმი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს, იქნება ეს სატელეფონო, რადიო – თუ სატელევიზიო ინტერვიუ. მეტი დეტალებისთვის იხილეთ მედიაინსტრუმენტების გზამკვლევი.

7) საჯარო მედიაკამპანიები

მედიაკამპანიისას, ორგანიზაციამ უნდა განსაზღვრის, რა საკითხებზე იქნება ფოკუსირებული. კამპანიის ყურადღებით დაგეგმვა უმნიშვნელოვანესია. პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს მიზნები, რომელსაც კამპანია ემსახურება. მიზნები შეიძლება იყოს მრავალფეროვანი: საზოგადოების განათლება, ცნობიერების ამაღლება, აღდ-

გენითი მართლმსაჯულების პოლიტიკურ დღის წესრიგში მოხვედრის ადვოკატირება ან პოლიტიკური ქმედების კამპანია. გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს კამპანიის ფორმატი – რეგიონული გაზეთები, რადიო, ტელევიზია, ბილბორდები თუ მათი კომბინაცია. აუდიტორია უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რა გზავნილის გავრცელებას ისახავს კამპანია მიზნად. კამპანიამ ასევე შეიძლება აიყვანოს ექსპერტი (აკადემიური ან პოლიტიკური ფიგურა), ცნობილი ადამიანი (მუსიკოსი, მწერალი, მსახიობი) ან რიგითი მოქალაქე (დაზარალებული), რათა მან კამპანიის სპიკერის როლი შეასრულოს.

8) ახალი მედიის გამოყენება

ახალი ტექნოლოგიების განვითარება, როგორცაა ინტერნეტი, ვიდეოების მომზადება და სხვა, იძლევა ახალ შესაძლებლობებს მედიააქტივიზმისთვის. სოციალური ქსელები, როგორც არის ფეისბუქი, ტვიტერი და LinkedIn-ი, გვთავაზობს ახალი ტიპის საზოგადოებრივი ჯგუფების შექმნის შესაძლებლობას, რათა ორგანიზაციებმა შეძლონ ამ წრეებში ინფორმაციის გავრცელება, საკუთარი საქმიანობის გაცნობა და ახალი წევრების მოზიდვა. შესაძლებელია ვიდეორგოლების ატვირთვა YouTube, VIMEO და სხვა არხების საშუალებით, რომლებიც მიეძღვნება კონკრეტულ ამბებსა თუ კომპლექსური საკითხების ახსნას. ბლოგები წარმოადგენს კომუნიკაციის დამატებით საშუალებას და მოსაზრებებისა და გამოცდილებების გაცვლის შესაძლებლობას იძლევა. ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების საშუალებით, ასევე ინსტაგრამით – შესაძლებელია ფოტომასალის გავრცელება. კიდევ ერთი ინსტრუმენტია – ონლაინ ვიდეოთამაშები, მათი გამოყენება ასევე შესაძლებელია სოციალური ან საგანმანათლებლო დანიშნულებით (მაგალითად, www.gamesforchange.org).

9) კომუნიკაცია სოციალური ცვლილებისათვის

როგორც ზემოთ ავხსენით, კომუნიკაცია სოციალური ცვლილებისთვის შეიძლება განვმარტოთ, როგორც კომუნიკაციის სხვადასხვა მედიუმის საშუალებით კონკრეტული გზავნილების გავრცელება სამიზნე აუდიტორიის ქცევის, ცოდნისა თუ დამოკიდებულების შესაცვლელად. ამგვარია ზევით აღწერილი გართობა-განათლების მიდგომა, როდესაც, მაგალითად, რადიო – თუ სატელევიზიო სერიალებში ჩაქსოვილია კონკრეტული სოციალური გზავნილები. კიდევ ერთი ინსტრუმენტია – ვიდეოწერილები: ისინი იძლევა კომუნიკაციის საშუალებას ისეთ პირობებში, სადაც ეს სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა, მაგალითად,

ომის შემდგომ გარემოში. აღდგენითი მართლმსაჯულების ორგანიზაციებს შეუძლიათ თეატრის გამოყენება, სადაც დაზარალებულები, დამზარალებლები და დაზარალებული საზოგადოების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას, როგორც მსახიობები და ხელს შეუწყობენ საზოგადოების ინფორმირებას ამ საკითხებზე. ხელოვნების სხვადასხვა ფორმა შეიძლება გამოვიყენოთ საზოგადოების მგრძობელობის ასამაღლებლად, როდესაც ეს შეუძლებელია წერილობითი თუ ზეპირი გზავნილების მეშვეობით. ერთ-ერთ ამგვარ მაგალითს წარმოადგენს კედელზე ხატვის პროექტები, რომლებიც ასახავენ საერთო წუხილს და კეთდება ადგილობრივ თემთან შეთანხმებით.

10) დიზაინის შესაძლებლობების გამოყენება

დაბოლოს, აღდგენითი მართლმსაჯულების ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა, რომ შეიმუშაოს და გამოიყენოს საკუთარი მედია. ერთ-ერთი ინსტრუმენტია პოსტერების დამზადება; კარგი დიზაინისა და ვიზუალური მასალის გამოყენების შემთხვევაში, მათ შეიძლება გადმოსცენ მკაფიო ინფორმაცია და მძლავრი გზავნილი. ბევრი (ეროვნული) ორგანიზაცია გამოსცემს საკუთარ ბროშურას, რომელთა დამზადება შესაძლებელია სტანდარტული პროგრამების საშუალებით. ვებგვერდების დამზადებაც ხშირად შიდა რესურსებითაა შესაძლებელი.

საშინაო დავალება: პრაქტიკული სავარჯიშო

თითოეულმა სტუდენტმა უნდა შეასრულოს შემდეგი დავალება:

- აღდგენითი მართლმსაჯულების ორგანიზაციისათვის სტრატეგიული კომუნიკაციის გეგმის შემუშავება, სურვილის შემთხვევაში ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთან თანამშრომლობით.
- ინტერვიუ ჟურნალისტთან აღდგენითი მართლმსაჯულების ადგილობრივი სერვისისათვის მედიასთან მუშაობის შესახებ რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.
- აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამის პოსტერის შექმნა.

2.3. პრაქტიკული რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღწერილის საფუძველზე, მოცემულ ქვეთავში გათვალისწინებული რეკომენდაციებს, მიმართულს აღდგენითი მართლმსაჯულების თაობაზე ქართული საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, და ამ საქმეში მედიასთან თანამშრომლობაზე:

სტრატეგიული საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების მონაწილეობითი პროცესის უზრუნველყოფ

სტრატეგიული საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების პირველი ნაბიჯი, სასურველია, იყოს აღდგენითი მართლმსაჯულების საკომუნიკაციო სტრატეგიული გეგმის თაობაზე დაინტერესებულ სუბიექტთა (stakeholders) ვორქშოფის ან საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა. შესაძლებელია, დაინტერესებულ სუბიექტთა ვორქშოფი საერთაშორისო კონფერენციის ნაწილი იყოს. საერთაშორისო კონფერენციაზე მნიშვნელოვანია მოვიწვიოთ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც საზოგადოების ინფორმირების და მედიასთან მუშაობის საუკეთესო პრაქტიკებსა და ამ თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებთან გამკლავების გამოცდილებას გაგვიზიარებენ. დაინტერესებული სუბიექტების ვორქშოფზე მნიშვნელოვანია განხილული იყოს სტრატეგიული გეგმის შემუშავების თითოეული ნაბიჯი, კერძოდ:

1) წარმომადგენლობითი/მონაწილეობითი საკომუნიკაციო გუნდის შემადგენლობაზე მსჯელობა და იმ რესურსებზე, რაც ამ გუნდის წევრებს თავიანთი ორგანიზაციებიდან შეუძლიათ ჩადონ ეფექტიანი მრავალმხრივი საკომუნიკაციო სტრატეგიის დაგეგმვისა და განხორციელების საქმეში;

2) დაინტერესებულმა სუბიექტებმა ერთობლივად უნდა იმსჯელონ და მიაღწიონ კონსენსუსს საკომუნიკაციო სტრატეგიის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებზე. სასურველია დაისახოს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები. ეს ყველაფერი უნდა იყოს მიმართული ცნობიერების ამაღლებაზე ისეთ საკითხებზე, როგორცაა დანაშაულის მიზეზები და გავლენა ინდივიდის, ოჯახისა და საზოგადოების დონეზე; დანაშაულის გარშემო არსებული მასტიგმატიზებული მითები და მათი გადალახვის გზები; აღდგენითი მართლმსაჯულება, როგორც დანაშაულის დამაზიანებელი გავლენის შემცირებაზე და დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული მიდგომა. მოსალოდნელი შედეგები სასურველია მიმართული იყოს საზოგადოების ყველა ფენის გათვალისწინებაზე

ამ კუთხით და საზოგადოებაში აღდგენითი მართლმსაჯულების ფასეულობებისა და, ამდენად, აღდგენითი კულტურის გავრცელებაზე;

3) მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესებული სუბიექტების ვორქშოფზე მოხდეს მსჯელობა იმაზე, თუ ვინ უნდა იყვნენ ის კონკრეტული სამიზნე ჯგუფები, რომლებზეც იქნება მიმართული კამპანია. რასაკვირველია, კამპანიის გრძელვადიანი მიზანი უნივერსალური მოცვა და საზოგადოების ყველა ფენის ინფორმირებაა, მაგრამ სტრატეგიაში უნდა იყოს გათვალისწინებული ე.წ. გავლენის ჯგუფები, რომელთა ინფორმირება სასურველია სტრატეგიის განხორციელების საწყის ეტაპზე (მაგ., ჟურნალისტები, იურისტები, განმანათლებლები და ა.შ.). გავლენის ჯგუფების ინფორმირებულობა მდგრად ფუნდამენტს ჩაუყრის სწორი გზავნილების გავრცელებას და სტრატეგიის შემდგომი ეტაპების განხორციელებას;

4) მნიშვნელოვანია, დაინტერესებულმა სუბიექტებმა იმსჯელონ იმაზე, თუ ქართული საზოგადოების რა ფასეულობები უნდა იყოს გათვალისწინებული კომუნიკაციის პროცესში, რომ საზოგადოების ან ამა თუ იმ ჯგუფის მხრიდან აღდგენით მართლმსაჯულებაზე კომუნიკაციამ არ გამოიწვიოს წინააღმდეგობა, უნდობლობა, სკეპტიკური დამოკიდებულება;

5) მნიშვნელოვანია, ზედა პუნქტში აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, დაინტერესებულმა სუბიექტებმა გამოკვეთონ პრიორიტეტული გზავნილები როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი საინფორმაციო მუშაობისთვის;

6) მნიშვნელოვანია, დაინტერესებულმა სუბიექტებმა იმსჯელონ კომუნიკაციის არხებსა და ფორმატებზე. გამომდინარე საკომუნიკაციო სტრატეგიის მიზნიდან – იყოს მაქსიმალურად მრავლისმომცველი, სასურველია ორიენტაციის აღება არხებისა და ფორმატების დივერსიფიცირებაზე. ამავე დროს, რამდენადაც რესურსები შეზღუდულია, აუცილებელია არხებისა და ფორმატების რელევანტურობისა და პრიორიტეტულობის განსაზღვრა. მაგალითად, თუ ფორმატად მედია კამპანიას ვირჩევთ, მისი სამიზნე ახალგაზრდობაა და კვლევებით კი ცნობილია, რომ ახალგაზრდობა ნაკლებად უყურებს ტელევიზორს და მეტ დროს ატარებს სოციალურ მედიაში – მაშინ სოციალური მედია უნდა ავირჩიოთ, როგორც კომუნიკაციის წამყვანი არხი. ან, თუ კვლევა ავლენს, რომ ესა თუ ის ქართული ტელესერიალი, რომელიც სოციალური ხასიათისაა და სოციალური კლიმატის გაჯანსაღებაში წვლილი შეაქვს, პოპულარულია მოსახლეობაში, შესაძლებელია,

მის ავტორებს შევუთანხმდეთ, რომ სცენარში ჩააქსოვონ აღდგენითი მართლმსაჯულების საუკეთესო პრაქტიკის ერთ-ერთი შემთხვევა (შეცვლილი სახით, რათა ცნობადი არ იყოს). ამგვარი სტრატეგია სასურველი მიმართულებით სოციალური ცვლილების (ცოდნის, განწყობების, ქცევის ცვლილების) ძლიერი ინსტრუმენტია.

საერთაშორისო კონფერენციისა და დაინტერესებულ სუბიექტთა ვორქშოფის ჩატარების შემდეგ, უნდა შედგეს შედარებით მცირე მუშა ჯგუფი (3-6 ადამიანი), სადაც, მაგალითად, შევლენ: მედიაექსპერტი, საზოგადოებრივი ურთიერთობების ექსპერტი, სტრატეგიული კვლევებისა და სტრატეგიის შემუშავების გამოცდილების მქონე ექსპერტი, აღდგენითი მართლმსაჯულების ექსპერტი, მედიაციის შედეგიანი/წარმატებული პროცესის მოსარგებლე, საზოგადოების წარმომადგენელი და ერთობლივად, უკვე წერილობითი სახით, ჩამოაყალიბონ საკომუნიკაციო სტრატეგია.

სტრატეგიის შემუშავების ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებული რელევანტური კვლევების (მოსახლეობის განწყობებისა და ფასეულობების, მედიის მოხმარების და ა.შ.) დეტალური გაცნობა და გათვალისწინება. ამ ეტაპზე, ასევე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის განსაზღვრა, წარმატების ძალიან მკაფიო, გაზომვადი ინდიკატორებით.

მედიასთან გრძელვადიან თანამშრომლობაზე ორიენტაცია

მედიასთან გრძელვადიანი თანამშრომლობის აშენებისათვის, საწყის ბიძგად შესაძლებელია გამოდგეს ზევით აღწერილი კონფერენცია (და მასში ინტეგრირებული დაინტერესებული სუბიექტების ვორქშოფი). არანაკლებ შედეგიანი იქნება ბიძგისმიმცემი ვორქშოფის ჩატარება ცალკე მედიაპროფესიონალებისთვის, სხვადასხვა – ბეჭდური, ელექტრონული, სოციალური (მაგ., ბლოგერები) მედიის წარმომადგენლებისთვის. ამ ვორქშოფზე უნდა მოხდეს, ერთი მხრივ, აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომის გაცნობა, და, მეორე მხრივ, იმის გარკვევა, თუ რა კუთხით შესაძლოა იყოს საინტერესო ამა თუ იმ მედიისთვის აღდგენითი მართლმსაჯულება. ამგვარი ვორქშოფის შემდგომ, ასევე, შეიძლება გამოცხადდეს კონკურსი აღდგენითი მართლმსაჯულების საუკეთესო (საინტერესო, დაბალანსებულ, ფაქტებზე დაფუძნებულ, ეთიკურ) გაშუქებაზე. ყველა ეს სტანდარტი უნდა იყოს განწესებული ვორქშოფის დროს. აღდგენითი მართლმსაჯულებისა და მედიაციის სპეციალისტები მზად უნდა იყვნენ ჟურნალისტებთან თა-

ნამშრომლობისთვის თემის გაშუქების საქმეში. მათ უნდა დაუთმონ დრო ინტერვიუებს, მიიღონ მონაწილეობა ტელე – და რადიოგადაცემებში, პოდკასტებში და ა.შ.

მნიშვნელოვანია, აღდგენითი მართლმსაჯულების სპეციალისტები და მედიის წარმომადგენლები შეთანხმდნენ სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობის წესებზე: მაგალითად, აღდგენითი მართლმსაჯულების სისტემაში სიახლეების დანერგვის შემთხვევაში – ღონისძიებებზე მედიას მოწვევასა და კვალიფიციური პრესრელიზით ჟურნალისტების უზრუნველყოფაზე; ინტერვიუების აღებისას – ჟურნალისტის მხრიდან ინტერვიუს მიზანსა და აუდიტორიაზე ინფორმირებაზე, რესპონდენტის (აღდგენითი მართლმსაჯულების სპეციალისტის) მზადყოფნასა და მომზადებულობაზე და ა.შ. ხშირად, მედიას აინტერესებს იმ ადამიანების ისტორიები, ვინც თავად არის ამა თუ იმ პროგრამის მოსარგებლე. ამგვარ რესპონდენტებთან მუშაობის ეთიკური პრინციპები დეტალურად უნდა იქნეს გავლილი და შეთანხმებული.

კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ვორქშოფზე გაჟღერდეს და განხილულ იქნას ის რისკები, რაც შესაძლოა მოჰყვეს აღდგენითი მართლმსაჯულების საკითხების არასწორ გაშუქებას (მაგალითად, კონფიდენციალობის დარღვევას, მასტიგმატიზებელ გაშუქებას, რესპონდენტის არაინფორმირებულობას გაშუქების შედეგებზე და ა.შ.). აქ აუცილებელია, დრო დაეთმოს ეთიკურ საკითხებზე მსჯელობას. ჟურნალისტებმა და აღდგენითი მართლმსაჯულების სპეციალისტებმა ერთად უნდა იფიქრონ ამგვარი რისკებისგან დაზღვევის გზებზე. საჭიროა, ჟურნალისტთა პროფესიული ეთიკის პრინციპებისა და სტანდარტების პარალელურად, მოხდეს შეთანხმება აღდგენითი მართლმსაჯულების საკითხების გაშუქების სპეციფიკაზე და იმაზე, თუ როგორ არ დაირღვეს უპირველესი ეთიკური პრინციპი – „არ ავნო“.

ზემოთ გადმოცემული რეკომენდაციების შესრულებაში ბარიერი შესაძლოა აღმოჩნდეს ის ნეგატიური სტერეოტიპები და, შესაბამისად – უნდობლობა, რაც საქართველოში მედიის წარმომადგენლების მიმართ არსებობს. ჩვენ არ ვართ ერთადერთი ქვეყანა, სადაც ამგვარმა სტერეოტიპებმა მოიკიდა ფეხი და მნიშვნელოვანწილად შეუშალა ხელი საზოგადოების ადეკვატურ ინფორმირებას. აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის ერთ-ერთ პუბლიკაციაში, რომელიც მედიასთან წარმატებული მუშაობის გამოცდილებას ეძღვნება, ავტორებს მოჰყავთ შემთხვევა, სადაც წლების წინ ნორვეგიელმა ჟურნალისტმა გრუ იორგენსენმა, წარმატებული ჟურნალისტური კარიერის გარკვეულ ეტაპზე, აღდგენით მართლმსაჯულებაში გადა-

ინაცვლა და არანაკლებ წარმატებული მედიატორი გახდა. ქალბატონი იორგენსენის მედიაციაში გადანაცვლებამ გარღვევა მოახდინა აღდგენითი მართლმსაჯულების თაობაზე ნორვეგიული საზოგადოების ინფორმირებაში, რასაც ავტორები იმით ხსნიან, რომ „იგი მედიას განიხილავდა, როგორც მეგობრებს და არა – როგორც მტრებს“ (Pali, 2009: 16). მედიასთან ურთიერთობის გასაღებიც სწორედ შემდეგშია: თანამშრომლობა თავდაცვითი აგრესიისა თუ იზოლაციის ნაცვლად.

საშინაო დავალება: პრაქტიკული სავარჯიშო

სტუდენტებმა და მონაწილეებმა ეს სავარჯიშო ჯგუფურად უნდა შეასრულონ (4-5 სტუდენტი ჯგუფში):

- სტუდენტების და მონაწილეების თითოეულმა ჯგუფმა უნდა გააანალიზოს აღდგენითი მართლმსაჯულების დაინტერესებული სუბიექტები, ანუ შეადგინონ ცხრილი, რომლის
1. მარცხენა სვეტში შეიტანენ დაინტერესებული სუბიექტების ჩამონათვალს,
 2. შემდეგ სვეტში, თითოეული სუბიექტის გასწვრივ – მათ ინტერესებს (აღდგენით მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით),
 3. ბოლო სვეტში – თითოეული სუბიექტის მიერ აღქმულ საფროტხეებს (ასევე, აღდგენით მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით).

გამოყენებული ლიტერატურა:

ჯალაბაძე, ნათია (2016). ხალხური (ჩვეულებითი) სამართალი. წიგნში: მელიქიშვილი, ლ. და ბერიაშვილი, ლ. (რედაქტორები) (2016). ქართველები. ყველაფერი ქართველთა კულტურისა და ეთნოსის შესახებ. გამომცემლობა პალიტრა L., თბილისი.

Batley, Mike (2005). Restorative justice in the South African context. In Traggy Maepa, ed., *Beyond Retribution: Prospects for Restorative Justice in South Africa*. Monograph no. 111, February. Pretoria, South Africa: Institute for Security Studies, with the Restorative Justice Centre. Pp. 21-32. <https://oldsite.issafrica.org/uploads/111CHAP2.PDF>

- Chapman, Tim & Törzs, Edit (2018). Practice Guide for Values and Standards for Restorative Justice Practices. <http://www.euforumrj.org/wp-content/uploads/2018/11/EFRJ-Values-and-Standards-manual-to-print-24pp.pdf>
- Dilts, Robert (1994). Strategies of Genius. Albert Einstein. Vol.2. Capitola, California: Meta Publications, pp. 13-15.
- Galtung, Johan (1969). Violence, Peace, and Peace Research. In: Journal of Peace Research, Vol. 6, No. 3 (1969), pp. 167-191.
- Moore, Christopher (2014). The Mediation Process. Practical strategies for Resolving Conflict. 4th Edition. John Wiley and Sons Inc. New York.
- Pali, B. (2009). Media Toolkit for Restorative Justice. Leuven: European Forum for Restorative Justice.
- Zehr, Howard (2015). Changing Lenses – Restorative Justice for Our Times/ Fifty-Fifth Anniversary Edition/Herald Press, harrisonburg, Virginia, Kitchener, Ontario.

თავი VII

მონიტორინგი, შეფასება და კვლევა

ივო ერცენი

ძირითდი მიზანი: აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების მონიტორინგის, შეფასებისა და კვლევის როლისა და შინაარსის გაგება.

ამ ნაწილის დასრულების შემდეგ მონაწილეები:

- შეძლებენ კარგად გაიგონ, როგორ უნდა დაეფუძნოს მონიტორინგი, შეფასება და კვლევა აღდგენითი მართლმსაჯულების დადგენილ სტანდარტებს;
- შეძლებენ კარგად გაიგონ მონიტორინგის როლი და ყოველდღიური სამუშაოს სხვადასხვა წესით შეფასების დანიშნულება;
- შეძლებენ კარგად გაიაზრონ სიღრმისეული კვლევის როლი და მისი მიმართება აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის განვითარებასთან;
- გაეცნობიან კვლევის სხვადასხვა მოდელსა და მეთოდს, რომლებიც შესატყვისია აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის;
- მიიღებენ საბაზისო ცოდნას აღდგენით მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი მიგნებების შესახებ;
- შეძლებენ კრიტიკულად გააანალიზონ საქართველოს კონტექსტში ემპირიული კვლევების საჭიროება.

სასწავლო აქტივობები და მეთოდოლოგია:

- ცოდნის მიღება ინფორმაციის გადაცემის, რეფლექსირებისა და ინტერაქციის მეშვეობით;
- მიღებული ცოდნის გაღრმავება ლიტერატურისა/დოკუმენტების ინდივიდუალურად კითხვისა და მომზადების საშუალებით;

- ინდივიდუალური ანალიზისა და დისკუსიების შედეგად კრიტიკული მიდგომებისა და სოციალური უნარების გამომუშავება.

დროის ჩარჩო:

4 საკონტაქტო საათი საკლასო ფორმატში + 8 საათი ინდივიდუალური კითხვისა და მომზადებისათვის.

გეგმა:

1. სესია 1 (2 საათი):
 - 1.1. აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის სტანდარტები
 - 1.2. მონიტორინგი და მიმდინარე შეფასება
2. სესია 2 (2 საათი)
 - 2.1. კვლევა და განვითარება

1. აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის სტანდარტები

ამ ნაწილის მიზანი: აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებისა და პრაქტიკის შინაარსისა თუ როლის გაგება იმისათვის, რომ დადგინდეს მონიტორინგისა და შეფასების მიზანი.

ამოცანები:

- აღდგენით მართლმსაჯულებაში სტანდარტების განსაკუთრებული მნიშვნელობის გააზრება;
- სტანდარტების არსის გაგება როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელის/პროგრამის დონეზე, ისე ყოველდღიური პრაქტიკისათვის;
- სტანდარტების ეთიკურ ჩარჩოზე დაფუძნების მიზეზისა და მნიშვნელობის გაგება;
- საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის სტანდარტების მისადაგების უნარის გამომუშავება.

აქტივობები:

სესია, ჯგუფური განხილვა, კითხვა.

1.1. აღდგენითი მართლმსაჯულების სტანდარტები: რატომ და როგორ?

წინა სესიიდან გამომდინარე, უკვე გვაქვს წარმოდგენა, თუ რა პირობებსა და მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების დანერგვა და განვითარება. ის, თუ რა განიხილება „საუკეთესო პრაქტიკად“ დაზარალებული-დამზარალებლის მედიაციის ჩატარებისას ან აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა პროგრამების ორგანიზებისას, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების პარალელურად, შესაძლებელია ნაწილობრივ მაინც ამოვიკითხოთ შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტებიდან, როგორცაა: ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec(2018)8 სისხლის სამართალში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ და გაეროს ძირითადი პრინციპები აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ (იხილეთ თავი 1). ეს სახელმძღვანელო პრინციპები დეტალურადაა ახსნილი ზემოთ ხსენებულ წიგნებში (Aerts et al., 2004; UNODC, 2020). ასევე უნდა აღინიშნოს რამდენიმე პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომლებიც შედგენილია გამოცდილი პრაქტიკოსი ტრენერების მიერ, მაგალითად, „Umbreit and Peterson Armour (2011)“. ზოგადი სახელმძღვანელოების გარდა, არსებობს პრაქტიკული სახელმძღვანელოები, რომლებიც კონკრეტულ საკითხებს ეხება აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების მიმართულებით. ზოგიერთი ამგვარი პრაქტიკული სახელმძღვანელო მოიპოვება აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის ფარგლებში და წარმოდგენილია ამ კურსის საკითხავ მასალაში (იხილეთ თავი).¹

ეს ინსტრუმენტები გადამზადებასთან ერთად ხელს უწყობს ეფექტური პრაქტიკის დანერგვას, თუმცა აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისას დამატებითი ყურადღება უნდა დაეთმოს ზოგად კრიტერიუმებსა და სტანდარტებს. მისი ინოვაციური ბუნების სირთულიდან გამომდინარე, სამართლებრივი გარემო და საზოგადოებრივ განწყობა, რომელიც ხშირად მიმართულია სამაგიეროს მიზღვასა და იზოლაციაზე, აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამის დანერგვა საკმაოდ რთული ამოცანაა. როგორც წინა სესიებზე აღინიშნა, არსებობს რისკი – აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებს შთანთქავს არსებული ინსტიტუტები იმგვარად, რომ პროგრამის სამუშაო პრინციპები დაექვემდებარება ამ ინსტიტუტების დომინანტ ამოცანებს, მიზნებსა და პროცედურ-

1 ყველა პრაქტიკული სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის ვებგვერდზე: www.euforumrj.org.

რებს. რომ არსებულმა ინსტიტუტებმა იმგვარად შთანთქას აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები, რომ მათი სამუშაო პრინციპები დაექვემდებაროს ამ ინსტიტუტთა ამოცანებს, მიზნებსა და პროცედურებს. აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპების სიცხადის შენარჩუნებისა და დაცვის მიზნით, ასევე პროგრამის ავტონომიურობის შესანარჩუნებლად, საჭიროა გარკვეული კრიტერიუმების არსებობა. ეს კრიტერიუმები დაგვეხმარება იმის შეფასებაში, თუ რამდენად სწორი მიმართულებით ვითარდება პროგრამა.

ამ კუთხით, Zehr (2002: 55) აყალიბებს 6 საკვანძო კითხვას, რომლებიც გვეხმარება აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელის როგორც ეფექტურობის, ისე მასშტაბის ანალიზში:

1. მიემართება თუ არა მოდელი ზიანს, საჭიროებებსა და გამოწვევებს მიზეზებს?
2. არის თუ არა იგი სათანადოდ მიმართული დაზარალებულზე?
3. უწყობს თუ არა იგი ხელს, რომ დამზარალებელმა პასუხისმგებლობა აიღოს?
4. ჩართულია თუ არა ყველა დაინტერესებული მხარე?
5. იძლევა თუ არა დიალოგისა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას?
6. ითვალისწინებს თუ არა მოდელი ყველა მხარის პატივისცემას?

ამ კითხვებში მნიშვნელოვანი მინიშნებებია მზარდი პროგრამის მდგომარეობის შესაფასებლად. მათი გამოყენება შესაძლებელია მენეჯერებისა და ინსტიტუციების წარმომადგენლების მიერ თვითშეფასებისათვის, რასაც შემდგომში შეიძლება დაეფუძნოს პროგრამის განვითარების მიმართულება. ამასთან ერთად, აუცილებელია გვექნოდეს აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამის შეფასების მკაფიო სტანდარტები. „სტანდარტები“ შეიძლება განვიხილოთ როგორც მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კარგი პრაქტიკა და რომელიც მიემართება ყველას, ვინც პროფესიულად ან ნებაყოფლობით ჩართულია პრაქტიკის აღსრულებაში. უმეტეს ქვეყნებში აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში სტანდარტები პრაქტიკის საფუძველზე, სამუშაო პროცესში წამოჭრილი საკითხებისა საერთო განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შედეგად მკვიდრდება. ამას ემატება ეროვნულ ან საერთაშორისო კანონმდებლობაში არსებული სტანდარტები, მათ შორის – ადამიანის უფლებათა სტანდარტები.

შედეგად, კონკრეტულ ქვეყანაში ყალიბდება სტანდარტების ერთობლიობა, რომლებსაც შემდეგ იყენებენ პროფესიული ორგანიზაციები თუ სახელმწიფო უწყებები. ზოგადი სტანდარტების არსებობა და საყოველთაო გაზიარება ასევე იძლევა საშუალებას, რეგულარულად შეფასდეს პრაქტიკა.

აღდგენითი მართლმსაჯულების სტანდარტების განსაზღვრისას, რასაკვირველია, ვხელმძღვანელობთ ინდივიდუალურ თუ საზოგადოებრივ დონეზე დამკვიდრებული ღირებულებებითა და ნორმებით. ამიტომაც მნიშვნელოვანია ამ ღირებულებებისა და ნორმების გათვალისწინება და მათი გარკვევით გამოხატვა. ეს ხელს შეუწყობს მედიაციის პრაქტიკის მეტ გამჭვირვალობას ჩართული პირებისა და ინსტიტუციური პარტნიორებისათვის. სტანდარტების შემუშავებისას შეიძლება გამოვიყენოთ უფრო ზემდგომი, ზოგადი სტანდარტი/პრინციპი ეთიკის სფეროდან ან სოციალური თუ სამართლებრივი თეორიიდან. Braithwaite-ის (2002) მიხედვით, ამგვარი ფუნდამენტური სტანდარტები შეიძლება ვიპოვოთ დომინაციის აკრძალვის პრინციპში: რამდენადაც ყოველთვის არსებობს უფრო ძლიერი ძალა, აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესი „უნდა მიისწრაფვოდეს დომინაციის თავიდან ასარიდებლად“ იქნება ეს ადამიანის, გარემოსა თუ ინსტიტუციის მხრიდან. დომინაციის აკრძალვა უზრუნველყოფს პროცესში ჩართული პირების ფუნდამენტური უფლებების დაცვას. პრინციპი ასევე ეხება მედიაციის შეთავაზებას: დომინაციის აკრძალვა გულისხმობს, რომ თუ პირს სურს საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა მედიაციის ან კონსულტაციის პროცესში, მას უნდა მიეცეს ამის შესაძლებლობა. მეტიც, მედიატორმა უნდა გამოასწოროს ძალთა დაუბალანსებლობა დაზარალებულსა და დამზარალებელს შორის, ამასთან, პროცესზე უნდა ვრცელდებოდეს შესაბამისი პროცედურული გარანტიები, როდესაც მედიაცია მიმდინარეობს შესაბამისი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პირობებში. მისი თეორიული პერსპექტივიდან გამომდინარე, (მართლმსაჯულების „რესპუბლიკური“ კონცეფცია) Braithwaite (2002) გამოყოფს აღდგენითი მართლმსაჯულების სხვადასხვა ტიპსა და დონეს:

- შემზღუდავი სტანდარტები, რომლებიც აღგენენ კონკრეტულ უფლებებსა და საზღვრებს, რომლებიც ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული: დისკრიმინაციის აკრძალვა, გაძლიერება, სანქციების ზედა სამართლებრივი ზღვრის მიღება, გულისხმიერი მოსმენა, ყველა მხარის თანასწორი ღირებულება, ანგარიშვალდებულება და აპელაციის შესაძლებლობა,

ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემა. ეს გულისხმობს, მაგალითად, მედიაში მხარეების წახალისებას იმ მიზნით, რომ მოჰყვენ „საკუთარ ამბავს თავისებურად, რათა გამოხატონ, თუ რა უსამართლობის შეგრძნების გამოსწორება სურთ მათ“ (Braithwaite, 2002: 569).

- მაქსიმალიზაციის სტანდარტები, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს წახალისებული და ასახავდეს მისწრაფებებს: ადამიანის ღირსების აღდგენა, ქონებრივი დანაკარგის აღდგენა, უსაფრთხოების/ზიანის/ჯანმრთელობის აღდგენა, დაზიანებული ადამიანური ურთიერთობების აღდგენა, თემის აღდგენა, გარემოს აღდგენა, ემოციური აღდგენა, თავისუფლების აღდგენა, მზრუნველობისა და თანაგრძნობის აღდგენა, მშვიდობის აღდგენა, მოქალაქეობრივი ვალდებულების განცდის აღდგენა, ადამიანთა შესაძლებლობების გასაძლიერებლად სოციალური მხარდაჭერის გაწევა და მომავალში უსამართლობის თავიდან არიდება.
- საგანგებო სტანდარტები, რომელთა თავს მოხვევა დაუშვებელია, არის დამატებითი ღირებულებები: სინანული, ბოდიშის მოხდა, მოქმედების შეჩერება, პატიება და მიტევება. ეს ღირებულებები არ არის ნაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე ზედა ორი კატეგორიისა, თუმცა კონცეფტუალურად განსხვავდება: „როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ღირებულება, მაგალითად, პატიება განსხვავდება გულისხმიერი მოსმენისაგან. ჩვენ აქტიურად ვცდილობთ მხარეებს ვუბიძგოთ ერთმანეთის ყურადღებით მოსმენისაკენ, თუმცა არ მოვუწოდებთ მათ აუცილებლად პატიებისაკენ. დანაშაულის მსხვერპლის მხრიდან პატიების მოლოდინი არასწორია. პატიება და მიტევება საჩუქარია. მას შინაარსი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომდინარეობს მიმტევებელი ადამიანის გულწრფელი სურვილისაგან, (...) მაგალითად, დამზარალელების სინანულს, როცა დაძალებულია, აღდგენითი ძალა არ აქვს“ (Braithwaite, 2002: 570-571).

როდესაც ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე იწერება ახალი პროგრამა, მნიშვნელოვანია, სტანდარტებისა თუ პრინციპების განხილვა ყველა პარტნიორ ორგანიზაციასთან, მათ შორის – სასამართლოს წარმომადგენლებთან, რომლებსაც მოუწევთ მედიაში თავის საქმეების შერჩევა და გადამისამართება. ზოგიერთი ზემოთ ხსენებული სტანდარტის რელევანტურობა შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა-

დასხვა ქვეყანაში, თუმცა, მინიმუმ, ამაზე მსჯელობაც კი მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს გაუგებრობებისა და არასწორი მოლოდინის თავიდან აცილება. 3 კატეგორიის სტანდარტს შორის განსხვავების დანახვა თავისთავად აზრს სძენს ყველა პროგრამას. როდესაც ადგილობრივ ინტერესჯგუფებს შორის მიიღწევა შეთანხმება იმის შესახებ, თუ რომელია კონკრეტული კონტექსტისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სტანდარტები, პროცესი უნდა გაგრძელდეს შეთანხმების განმტკიცებითა და პარტნიორ ორგანიზაციებთან კონსულტაციების გამართვით. როგორც აქამდე ითქვა, სტანდარტების შესახებ დისკუსიები საუკეთესოდ წარიმართება ყოველდღიური პრაქტიკის პირობებში, კონკრეტული საქმეების მაგალითზე და პროგრამის ფარგლებში წამოჭრილი კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას.

ყოველდღიურ პრაქტიკაში სტანდარტების მაღალ დონეზე დასაცავად, პრაქტიკოსებმა შეიძლება გამოიყენონ რიგი კითხვები საქმეზე საკუთარი მიდგომების გასაანალიზებლად (Chapman & Törzs, 2018). სხვადასხვა სუბიექტისათვის რელევანტური კითხვების მაგალითებია:

- აღდგენითი პროცესის ორგანიზება
 - დაეთმო თუ არა შესაბამისი ძალისხმევა იმის უზრუნველყოფას, რომ აღდგენითი პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხოდ, არასაფაროდ, კონფიდენციალურ გარემოში ისეთ დროს, რომელიც მოსახერხებელია ყველა მონაწილისათვის?
 - იცოდნენ თუ არა მონაწილეებმა, რომ ნებისმიერ მომენტში შეეძლოთ საკუთარი თანხმობის უკან წაღება?
- პროცესის წარმართვა
 - მიეცა თუ არა ყველა პირს შესაძლებლობა ვინმესთან დიალოგისა, რათა მისთვის მოესმინათ?
 - იყო თუ არა პროცესი წარმართული გაკიცხვის გარეშე?
- შედეგები
 - მოხდა თუ არა ზიანის სრულად გამოკვლევა, მათ შორის, ფართო შედეგების თვალსაზრისით?
 - იყვნენ თუ არა მხარეები გულწრფელნი ზიანთან, გამომწვევი მიზეზებსა და შედეგებთან დაკავშირებით?
- მოლოდინი პრაქტიკოსების მიმართ
 - პრაქტიკოსებმა უნდა გამოხატონ თანაგრძნობა თითოეული

მონაწილის წუხილის მიმართ, ასევე ინტერესი მათი საჭიროებებისა და სურვილების განსაკუთრებული ხასიათის მიმართ

- პრაქტიკოსებს უნდა ჰქონდეთ აქტიური მოსმენისა და კომუნიკაციის უნარები.
- მოლოდინი ორგანიზაციების მიმართ
- ორგანიზაციებმა პრაქტიკოსებს უნდა გაუწიონ ზედამხედველობა და მისცენ რჩევა კონკრეტულ საქმეებზე.
 - ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული აღდგენითი პროცესი უნდა ეფუძნებოდეს კვლევას და მუდმივად ფასდებოდეს ხარისხისა და ეფექტურობის მიმართულებით.
- მოლოდინი სამართლებრივი ჩარჩოს მიმართ
- აღდგენითი მართლმსაჯულების კანონმდებლობა და პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს აღდგენით ღირებულებებს და აქტიურად იცავდეს მის პრინციპებს.
 - აღდგენითი მართლმსაჯულების ორგანიზაციები უნდა სარგებლობდნენ სტაბილური დაფინანსებით.

დაზარალებული-დამზარალებლის მედიაციის ეროვნული სტანდარტების საინტერესო მაგალითია გერმანული მედიაციის სერვისები, რომლებიც თანდათანობით განვითარდა და ჩამოყალიბდა სტანდარტების ერთიანი ჩარჩოს სახით (TOA Servicebureau, 2017). ეს კარგი მაგალითი იქნება იმისა, თუ როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს ეროვნული სტანდარტები პრაქტიკის მიმდინარე შეფასების საფუძველზე, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. გერმანული TOA სტანდარტები შედგება ექვსი სექციისაგან, რომლებიც შესაბამისად მიემართება კონცეფტუალურ მოთხოვნებს, სამართლებრივ სტანდარტებს, ორგანიზაციულ მოთხოვნებს, საზოგადოებრივი ცნობიერების საკითხებსა და თანამშრომლობას, ასევე სტანდარტებს მედიატორებისა და მედიაციის პროცესისათვის.

1.2. სტანდარტებიდან ეთიკამდე

მიუხედავად იმისა, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში სტანდარტების განვითარება და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა არსებითად მნიშვნელოვანია, ამას თავისი შეზღუდვები აქვს (Sharpe, 2011). პროფესიული სტანდარტები, როგორც წესი, ძალიან ზოგადია (არ არის იმდენად კონკრეტული, რომ ცხადი იყოს მათი პრაქტიკული

დანიშნულება – მაგალითად, „საქმის გადაცემისას აუცილებელია მხარეთა უსაფრთხოების გათვალისწინება“); ისინი ხშირად განიხილება განყენებულად, თუ მათი პრაქტიკაში ამოქმედება არ მოხდა პრაქტიკოსების მიერ; მათი ზოგადი და აბსტრაქტული ბუნებიდან გამომდინარე მათი სხვადასხვაგვარად განმარტების შემთხვევაში, ისინი შეიძლება დაბრკოლებად იქცეს. მეტიც, სტანდარტებმა შეიძლება იმდენად დეტალურად გაწერილი სახე მიიღოს, რომ პროცესს მოქნილობა და ინოვაციურობა დაუკარგოს. ეს შეიძლება მოხდეს, როცა ვერ ხერხდება მედიაციის წარმართვა კონკრეტული საქმის საჭიროებიდან გამომდინარე ან როდესაც სტანდარტები არ ასახავს დანაშაულის აღქმას და საზოგადოებრივი ცნობიერება.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტანდარტები გვეკარნახობს, „თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ“ კონკრეტულ სიტუაციაში და სწორედ ამ დროს გვჭირდება ეთიკური ჩარჩო (Sharpe, 2011). კერძოდ, როდესაც ვართ დანაშაულზე რეაგირების პარადიგმის ცვლილების პროცესში და როდესაც გვსურს იმ ჩვევების, პრიორიტეტებისა და ფასეულობათა გადახედვა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში განსაზღვრავდნენ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას, შესაძლოა გაჩნდეს ახალი „მორალური კომპასის“ საჭიროება როგორც მედიატორების, ისე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სხვა სუბიექტებისათვის. Sharpe (2011) აყალიბებს ალდგენითი მართლმსაჯულების ეთიკურ ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება ზემოთ აღწერილი ღირებულებების გარკვეულ ნაწილს (და ასევე ბევრ სხვა ღირებულებას). ის ასევე აქტიურად ემხრობა მოსაზრებას, რომ ორგანიზაციების პასუხისმგებლობას წარმოადგენს საკუთარი ეთიკური ჩარჩოს განხილვა და ჩამოყალიბება. ეს საშუალებას მისცემს ორგანიზაციებს, რომ განსაზღვრონ საკუთარი პოზიცია და ჩამოაყალიბონ მიდგომები იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც შეუძლებელია მხოლოდ გაწერილი სტანდარტების შესაბამისად. ამგვარი ეთიკური საკითხების მაგალითებია: რა უნდა წარმოადგენდეს მედიაციის ფოკუსს – პროცესი თუ შედეგი; როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა დაზარალებულსა და დამზარალებელს შორის მიღწეული შეთანხმება სრულიად არაპროპორციულია მიყენებულ ზიანთან მიმართებით; რამდენად მკაცრად უნდა დავიცვათ ნებაყოფლობით მონაწილეობის პრინციპი დაზარალებულთან მიმართებით სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კონტექსტში; უნდა აიღონ თუ არა დამზარალებლებმა სრული პასუხისმგებლობა მიყენებულ ზიანზე მედიაციის დაწყებამდე, თუ საკმარისია დანაშაულის ფაქტის აღიარება; როგორ მოვიქცეთ, თუ მოხალისე მედიატორი – სოფლის საპატივცემულო უხუცესი – უარს ამბობს მედიაციის სავალდებულო ტრენინგში მონაწილეობაზე?

1.3. ჯგუფური დისკუსია

მცირე ჯგუფური დისკუსიები კლასში ან მის შემდეგ შეიძლება მიეძღვნას სტუდენტების მიერ მედიაციის სტანდარტების გაანალიზებას. ასევე, საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებსა და მედიაციის კონკრეტულ საქმეებზე ამ პრინციპების მისადაგების სავარჯიშოს. მნიშვნელოვანია წინა სესიებზე მიღებული ცოდნის (მედიაციის პრაქტიკა, სამართლებრივი ჩარჩო, ...) ინტეგრირება.

საშინაო დავალება: სავალდებულო საკითხავი

- Chapman, T. & Törzs, E. (eds.) (2018). Connecting People to Restore Just Relations. Practice Guide on Values and Standards for restorative justice practices. Leuven: European Forum for Restorative Justice.
- United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) (2020). Handbook on Restorative Justice Programmes. New York: United Nations (sections related to Standards).

2. მონიტორინგი და განგრძობითი შეფასება

ამ ნაწილის მიზანი: მონიტორინგის პრაქტიკის როლისა და ყოველდღიური პრაქტიკის შეფასების სხვადასხვა მეთოდის ფუნქციის გაგება.

ამოცანები:

- მონიტორინგის მნიშვნელობის გაგება და პრაქტიკაში მისი განხორციელება;
- აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებისა თუ პრაქტიკის შეფასების როლის გარკვევა და ცოდნის მიღება შეფასების სხვადასხვა მეთოდის შესახებ;
- საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების კონტექსტში მონიტორინგისა და შეფასების გაანალიზების უნარი;

აქტივობები:

სესია, ჯგუფური დისკუსია, კითხვა.

2.1. როგორ უნდა განხორციელდეს აღდგენითი მართლმსაჯულების მონიტორინგი

შეფასება და კვლევა ხშირად მიიჩნევა სამუშაოდ, რომელიც მხოლოდ უნივერსიტეტებისა და სპეციალური კვლევითი ინსტიტუტების მიერ შეიძლება შესრულდეს. ეს შეხედულება უნდა შეიცვალოს. რამდენადაც დღესდღეობით აკადემიური კვლევის მიმართ არსებობს მაღალი მოლოდინი, რომ მას უნდა ჰქონდეს ძლიერი საზოგადოებრივი გავლენა, კვლევა უფრო და უფრო მეტად მიიჩნევა საერთო სიკეთედ, რომელსაც საზოგადოებაში მომხმარებლები ჰყავს. აკადემიური ცოდნა აღქმულია, როგორც ცოდნის დაგროვების ფართო პროცესის ნაწილი, რომელშიც დაინტერესებულ მხარეებს შეაქვთ საკუთარი წვლილი ცოდნისა და მიგნებების სახით („სამოქალაქო-მეცნიერება“). ჩვენთვის ჩვეულია ცოდნის მიღების მოდელი, როცა ამ პროცესში ჩართული სუბიექტები მუდმივ ინტერაქციაში არიან. კვლევა აღარ განიხილება ისეთ ფენომენად, რომელიც მარტივ გადაწყვეტილებებს გთავაზობს. კვლევის უფრო ინტერაქციულ და ინტერდისციპლინარულ კონცეფციაში ყველა მხარე ქმნის საერთო სივრცეს საზოგადოებრივი პრობლემის განსასაზღვრად და შეიმუშავებს კვლევის საერთო დღის წესრიგს საერთო მიზნების შესაფასებლად. კვლევისადმი ეს მიდგომა, რომელიც რელევანტურია კომპლექსური სოციალური საკითხების გადასაწყვეტად, როგორც არის დანაშაულის კონტროლი და მართლმსაჯულების მექანიზმები, წამყვანი უნივერსიტეტების ევროპული ჯგუფის მიერ მოხსენიებულია „პროდუქტიულ ინტერაქციად“ (Van den Akker & Spaepen, 2017).

ზემოთ ხსენებული ცხადს ხდის შეფასებისა და კვლევის პროცესში ყველა მონაწილის როლის მნიშვნელობას. აღდგენით მართლმსაჯულებასთან მიმართებით „მონიტორინგთან“ დაკავშირებული პირველი აქტივობაა: მედიაციის ყოველდღიური სამუშაოების ჩაწერისა და ანგარიშის მომზადების პრაქტიკა. ეს პრაქტიკა დამახასიათებელი უნდა იყოს თითოეული ადგილობრივი მედიაციის პროგრამისათვის. ადგილობრივი მონაცემები უნდა შეგროვდეს და გაანალიზდეს რეგულარულად (წლიურად) ეროვნული უწყების მიერ. ეს უნდა დაეხმაროს უშუალო პრაქტიკოსებს მათი პრაქტიკის ანალიზის, მედიაციის მეთოდებისა თუ უნარების გაუმჯობესებაში. შეგროვებული მონაცემები შეიძლება იყოს რაოდენობრივი ან ხარისხობრივი და ეხებოდეს: მიმდინარე საქმის ძირითად მახასიათებლებს (მედიაციაში ჩართული პირების პერსონალური და სოციალური მონაცემები, მათი სამართლებრივი სტატუსი და სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის

ეტაპი, დანაშაულის ტიპი, ზიანის ტიპი, დაზარალებულისათვის დამდგარი შედეგების სახე...) გადამამისამართებელ ორგანოს, მედიაციის ტიპსა (პირდაპირი ან არაპირდაპირი) და პროცესის ხანგრძლივობას (პროფესიონალებსა და მონაწილე პირებს შორის შემდგარი კონტაქტის რაოდენობის ჩათვლით), სხვა ორგანიზაციებსა და პროფესიონალებთან კონტაქტსა და თანამშრომლობას, მიღწეული შეთანხმების შინაარსსა და მისი აღსრულების შედეგებს.

მონიტორინგი უნდა განიხილებოდეს მედიაციის პრაქტიკის არსებით ამოცანად; რაც გულისხმობს, რომ მედიატორებს იძლევათ საკმარისი დრო ამ ტიპის სამუშაოების შესასრულებლად და რომ მათ ექნებათ შესაბამისი მხარდაჭერა, მაგალითად, მონაცემთა შეგროვების სისტემის უნიფიცირებასთან დაკავშირებით. ყოველწლიური ანგარიშების მომზადება ასევე კარგი პრაქტიკაა, რამდენადაც იძლევა საშუალებას აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკოსებმა არა მხოლოდ რიცხვებში წარმოადგინონ მათ მიერ გაწეული სამუშაო, არამედ უფრო ხარისხიანად გააანალიზონ მიღწეული წარმატება და არსებული სირთულეები.

მონიტორინგის სპეციალურ ფორმას წარმოადგენს დაზარალებულისა და დამზარალებლისათვის მცირე კითხვარის გადაცემა (სხვა მონაწილე პირებისთვისაც, თუ ეს რეგულაციურია) მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ. სისტემატურობის შემთხვევაში დაგროვდება ღირებული ინფორმაცია/ცოდნა აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებზე იმის შესახებ, თუ როგორი იყო მედიაციის გამოცდილება, პროცესი თუ შედეგები დაზარალებულისა და დამზარალებლისათვის.

2.2. შეფასების ტიპები

მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის პრაქტიკა იძლევა ღირებულ ინფორმაციას, მაგალითად საქმეთა ტიპის შესახებ, ან იმაზე, სელექციურად მუშაობს თუ არა აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამა სასამართლოში განხილული საქმეების ტიპებთან მათი შედარებით, რომელი დანაშაული დომინირებს საზოგადოებაში, შემდგომი შეფასება შეიძლება მაინც სხვადასხვა გზით განხორციელდეს. იგი შეიძლება წარიმართოს თავად მედიატორების, მენეჯერების, დამოუკიდებელ მკვლევართა მიერ ან მათი მჭიდრო თანამშრომლობით. შემდგომი შეფასება, როგორც წესი, მიემართება კონკრეტულ თემას ან საკითხს. შეფასება ხშირად იღებს ხარისხობრივი ანალიზის სახეს

და არ უნდა დავიდეს ნორმატიულ შეფასებამდე ისეთ ცნებებში, როგორც არის: „კარგი“ ან „ცუდი“.

პირველი განსხვავება ისაა, რომ შეფასება შეიძლება კონცენტრირებული იყოს აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესსა ან შედეგზე:

- მედიაციის პროცესის შეფასება: ეს მოითხოვს მეტ სიღრმისეულ კვლევას იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მედიაციის პროცესი დაზარალებულსა და დამზარალებელს შორის, თუ როგორ იცვლება დამოკიდებულებები დიალოგის პროცესში; თუ რა როლი აქვს მედიატორსა და სხვა ჩართულ პირებს; თუ როგორაა დაცული მედიაციის პროცესში სამართლებრივი უფლებები და გარანტიები ...
- მედიაციის შედეგების შეფასება: თუ რა უნდა შეფასდეს შედეგებისა და ეფექტის თვალსაზრისით, დიდწილად არის დამოკიდებული მედიაციის პროგრამის გაცხადებულ მიზანზე. შედეგები შეიძლება გულისხმობდეს დაზარალებულისა და დამზარალებლის ზოგად კმაყოფილებას საბოლოო შედეგებითა (მედიაციის შეთანხმება) და მედიაციის პროცესის სამართლიანად წარმართვით. შესაფასებელი შედეგები ასევე შეიძლება ეხებოდეს პროგრამის დამნერგავებისა და ინიციატორების, მთავრობის ან სხვა საჯარო უწყებების მიერ დასახულ ამოცანებს. ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, დაინტერესებულნი არიან განმეორებით ჩადენილი დანაშაულის მაჩვენებლებით ან მედიაციის პრაქტიკის ხარჯთეფექტურობით.

მედიაციის პრაქტიკის გარდა, უნდა შეფასდეს აღდგენით მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სხვა ელემენტები: კანონმდებლობა, ორგანიზება და განხორციელება (ფორმალური vs რეალური). ბევრ ქვეყანაში აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების დანერგვისას მართლაც არსებობს „განვითარებისა და განხორციელების მნიშვნელოვანი პრობლემები“, შესაბამისად, დაბრკოლებებისა და სირთულეების, ისევე როგორც წარმატების მომტანი ფაქტორების გაანალიზება ძალიან მნიშვნელოვანია. შეფასებას ექვემდებარება ასევე თანამშრომლობა სისხლის მართლმსაჯულების განმანხორციელებელ სუბიექტებთან, პროფესიულ წრებთან: იურისტებთან, ფსიქოლოგებთან, სკოლებსა და სხვა ინსტიტუციებთან.

შეფასებისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამას და როგორ შეიძლება საზოგადოების ინფორმირებულობისა და

მგრძობელობის გაზრდა. ასევე მნიშვნელოვანია დაკვირვება პროგრამის შიდა ფუნქციონირებაზე, მაგალითად, სამუშაოთი მედიატორთა კმაყოფილების საკითხზე.

პროცესის, შედეგებისა და პროგრამის შეფასება ხშირად წარმართება დამოუკიდებელ კვლევით ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში. შეფასების დიდი ნაწილი ბევრ ქვეყანაში სტუდენტების მიერ ტარდება (სამართლის, ფსიქოლოგიის, კრიმინოლოგიის, სოციალური სამუშაოს ...), მათ შორის, სტაჟირების, სამაგისტრო ან სადოქტორო კვლევითი პროექტის ფარგლებში. ზოგიერთ ქვეყანაში აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროსა და კვლევით ინსტიტუტებს/ უნივერსიტეტებს შორის საკმაოდ მჭიდრო კავშირი ყალიბდება. ამ უკანასკნელმა ტენდენციამ შეიძლება პრაქტიკის მომავალ განვითარებას ხელი შეუწყოს.

ჯგუფური დავალება და დისკუსია

მცირე ჯგუფური დავალება (კლასის შემდეგ) საქართველოში მონიტორინგის ჩატარების წესის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად. შემდგომი ჯგუფური დისკუსია საქართველოს კონტექსტში შეფასების საჭიროების შესახებ: რომელი საკითხების შეფასებაა მნიშვნელოვანი და როგორ შეიძლება შეფასების კონკრეტული ფორმების პრაქტიკაში განხორციელება?

3. კვლევა და განვითარება

ამ ნაწილის მიზანი: კვლევის როლისა და აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის განვითარებასთან მისი კავშირის გააზრება, აღდგენითი მართლმსაჯულების რელევანტური კვლევის სხვადასხვა მოდელისა და მეთოდის გაცნობა, აღდგენით მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული კვლევის მთავარი მიგნებების მიმოხილვა.

ამოცანები:

- აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში თეორიული და ემპირიული კვლევის როლის გაგება, კვლევის მთავარი მეთოდების გაცნობა;
- „მოქმედებაში-კვლევის“ არსისა და აღდგენით მართლმსაჯულებაში მისი გამოყენების შესაძლებლობის გაგება;

- მტკიცებულებაზე დაფუძნებული შეფასებითი კვლევის როლისა და შესაძლებლობების გააზრება; აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში მის გამოყენებასთან დაკავშირებული გამოწვევების გარკვევა;
- „კონტროლირებადი შემთხვევითი ცდისა“ და „რეალისტური შეფასების“ კვლევის მეთოდების გაცნობა;
- ცოდნის მიღება იმის შესახებ, თუ რა მიგნებები აქვს ემპირიულ კვლევებს აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში;
- საქართველოს კონტექსტში ემპირიული კვლევის საჭიროები-სა და პრაქტიკული შესაძლებლობის ანალიზი;

აქტივობები:

სესია, ჯგუფური დისკუსია, კითხვა

3.1. კვლევა აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში: რატომ და როგორ

კვლევა შეიძლება იყოს თეორიული (საფუძვლიანი), ემპირიული (გამოყენებითი) ან შერეული. აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში საჭიროა როგორც თეორიული, ისე ემპირიული კვლევა. თეორიული ამოცანები უნდა შემოწმდეს ემპირიულ რეალობასთან მიმართებით, რადგან „იმედისმომცემმა თეორიებმა შეიძლება საფუძველი დაუდოს ცუდ პრაქტიკას“ (იხილეთ Cunneen & Hoyle, 2010; Daly, 2002; Strang & Sherman, 2015). სოციალურ მეცნიერებებში მრავალი გაფართოებული კვლევა იწყება თეორიული ნაწილით, რომელშიც არსებული ცოდნის საფუძველზე (რაც წარმოდგენილია საერთაშორისო ლიტერატურაში) დადგენილია ნაკლოვანი ან წინააღმდეგობრივი მონაცემები, განსაზღვრულია ახალი კონცეფციები ან ფორმულირებულია ახალი ჰიპოთეზები ურთიერთობების შესახებ. ემპირიულ ნაწილში რაც შეიძლება ზუსტად არის ჩამოყალიბებული კვლევის კითხვები და შერჩეულია კვლევის როგორც სტრუქტურა, ასევე მეთოდოლოგია. შემდეგ ნაბიჯს წარმოადგენს ემპირიული კვლევის ჩატარება და შესაბამისი მიგნებების წარმოდგენა/განხილვა, მათი ლიტერატურასთან მისადაგება, შედეგად – დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება პრაქტიკის, პოლიტიკისა თუ შემდგომი კვლევის მიზნების განსაზღვრად. ამგვარი თეორიული და ემპირიული კვლევის შერეული მოდელები ხშირად გვხვდება აღდგენითი მართლმსაჯულების სფერო-

ში, თუმცა ზოგიერთი პროექტი მხოლოდ თეორიულ ასპექტს გულისხმობს, მაგალითად, სამართლებრივ-ფილოსოფიური ან ისტორიული პერსპექტივით. სამართლის მეცნიერების ნაშრომები ხშირად არ მოიცავს ემპირიულ ნაწილს და მიმართულია სამართლის დოქტრინის ან სამართლებრივი პრაქტიკის ანალიზზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მკვლევარი უკვე აღიარებს სამართლებრივი ანალიზის ემპირიული ნაწილით შევსების ღირებულებას. აშკარაა, რომ როგორც უკვე აღინიშნა, აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში ინტერდისციპლინარულ კვლევას საკმაოდ დიდი შესაძლებლობა აქვს, რამდენადაც ეს სფერო მოიცავს ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და იურიდიულ ასპექტებს. იგი პრაქტიკაში მოითხოვს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი პროფესიონალების თანამშრომლობას.

ამ ეტაპზე ყურადღებას ვამახვილებთ ემპირიულ კვლევაზე, თუ რას შეიძლება გულისხმობდეს ის და რა წვლილის შეტანა შეუძლია აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში. კონკრეტული მიდგომების შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად შეიძლება კვლევის შემდეგი ფორმატების დასახელება:

- საქმეების შესწავლა
- კონტინგენტის კვლევა
- კონტროლირებადი შემთხვევითი ცდა (RCT)
- ექსპერიმენტი
- კვლევა-მოქმედებაში
- მეორადი ანალიზი
- მეტაანალიზი

ამ ფორმატებში გამოყენებულ კონკრეტულ კვლევის მეთოდებს შორის შეგვიძლია ჩამოვთვალოთ:

- დოკუმენტების ანალიზი
- სტანდარტიზებული გამოკითხვა
- პირისპირ
- ფურცელი და ფანქარი
- CATI (კომპიუტერიზებული სატელეფონო ინტერვიუ)
- დისტანციური

- ხარისხობრივი ინტერვიუები
- (მონაწილეობრივი) დაკვირვება
- (ფოკუსი) ჯგუფური დისკუსიები

რასაკვირველია, აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში გვხვდება კვლევის სხვა მეთოდები და შერეული ფორმები. გამოიყენება როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მეთოდები. ლიტერატურაში შესაძლებელია მოვიძიოთ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ეს კვლევები, რამდენადაც ისინი წიგნებში ან სამეცნიერო ჟურნალებში ქვეყნდება (როგორც არის „აღდგენითი მართლმსაჯულების საერთაშორისო ჟურნალი“). რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ მიმოვიხილავთ კვლევის ყველა შესაძლო მეთოდს და შემოვიფარგლებით იმ ფორმატით, რომელიც ამ სფეროს განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს.

მრავალ ქვეყანაში ჩატარებულია ემპირიული კვლევა, რომელიც აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესსა და შედეგებს ეხება. ამგვარი სურათია ევროპაშიც, სადაც ემპირიული კვლევა აღდგენით მართლმსაჯულებაზე შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად (Vanfraechem, Aertsen & Willemsens, 2010):

- აღწერილობით-ინვენტარული კვლევა: მედიაციის სერვისის საფუძვლები და ორგანიზაცია, საქმეთა ბუნება და რაოდენობა, სამართლებრივი ჩარჩოები;
- კვლევა მოქმედებაში: მოიცავს პრაქტიკოსებისა და კვლევითი ინსტიტუტების გრძელვადიან თანამშრომლობას, რომელშიც ეს ინსტიტუტები ჩართულნი არიან საპილოტე პროექტების დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებაში;
- შეფასებითი კვლევა მედიაციის პროცესის ან შედეგის შესახებ.

აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის განვითარების პირველ ეტაპზე კვლევას ხშირად აღწერილობითი ხასიათი აქვს, ხოლო მოქმედებასთან დაკავშირებული რეგულარული კვლევა ჩნდება მეორე ფაზაში შეფასებითი კვლევების სახით, როდესაც გარკვეული პრაქტიკა უკვე დაგროვილია. ახლა ყურადღებას გავამახვილებთ „მოქმედებაში-კვლევისა“ და მტკიცებულებაზე დაფუძნებული შეფასებითი კვლევის ზოგიერთ ფორმაზე.

3.2. „მოქმედებაში კვლევა“

„მოქმედებაში კვლევა“ ნაყოფიერი აღმოჩნდა აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის მრავალ ქვეყანაში (Vanfraechem & Aertsen, 2010). იგი ხარისხობრივი კვლევის მაგალითია და პროცესში მკვლევრის პირდაპირი ჩართულობით ხასიათდება. „მოქმედებაში კვლევა“ კონცენტრირებულია დაგეგმილი ცვლილების განვითარებასა და პრაქტიკაში განხორციელებაზე. პარალელურად კი – ცვლილების პროცესისა და შედეგების შესახებ ცოდნის დაგროვებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოქმედებაში კვლევა“ შეიძლება განისაზღვროს როგორც მოქმედების ფორმა, რომლის საფუძველიც არის არსებული პრობლემა და მიზნად ისახავს სიტუაციის შეცვლას ამ სფეროში მომუშავე სუბიექტებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით, ამასთანავე – თეორიული ცოდნის განვითარებასა და გამდიდრებას. „მოქმედებაში კვლევა“ აკავშირებს კვლევასა და მოქმედებას უკუკავშირის საშუალებით. „მოქმედების“ ელემენტი გულისხმობს ჩარევასა და ცვლილებას წინასწარ განსაზღვრული მიზნების შესაბამისად. სტრატეგია და სავარაუდო პროცესი განიხილება წინასწარ, პრაქტიკოსებთან ერთად. „კვლევის“ ელემენტი მიემართება ცოდნის განვითარებას და მოიცავს შედეგების შეფასების ნაწილსა და პროცესს. მკვლევრები და კვლევის ობიექტები დისკუსიის მთავარი მონაწილენი არიან, თუმცა კონკრეტული უნარებისა და შესაძლებლობების მობილიზება შესაძლებელია რომელიმე ერთ მხარეს. კვლევის ობიექტებს საკუთარი გამოცდილებისა და აღქმის განხილვის უნარი აქვთ, მკვლევრებს კი – ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და მონაცემთა დამუშავება. შედეგად, ტრადიციული ემპირიულ-ანალიტიკური კვლევებისგან განსხვავებით, „მოქმედებაში კვლევაში“ კვლევის ველი არ წარმოადგენს მხოლოდ კვლევის ობიექტს. ისაა სუბიექტი, რომელსაც აქტიური წვლილი შეაქვს კვლევაში (Aertsen, 2018).

„მოქმედებაში კვლევაში“ პროცესი წინასწარ არ განისაზღვრება დეტალურად. გადაწყვეტილებები პარტნიორების მიერ მიიღება გზადაგზა შეფასების პარალელურად. ამიტომაც „მოქმედებაში კვლევა“ აქვს ციკლური ხასიათი. ეს არის სპირალური მოძრაობა, რომელიც მუდმივად უბრუნდება იმავე ფაზებს:

ა) დანახვა: პრობლემა, დაშვებები, საწყისი პოზიცია განხილული და განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით;


ბ) მოფიქრება: შინაარსი დაზუსტებულია საერთო კონსულტაციის

საფუძველზე, პრობლემა ღრმად არის გაანალიზებული და ჩამოყალიბებული;

გ) მოქმედება: ქმედების დაგეგმვა, განხორციელება, ადაპტაცია, შეფასება.

„მოქმედებაში-კვლევის“ „თვითრეფლექსიური ციკლები“ თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი 7.1 ინფოგრაფიკაში:

- 1) დაგეგმილია ცვლილების პროცესი;
- 2) მოქმედება განხორციელებულია, ხოლო პროცესი და შედეგები – აღწერილი;
- 3) რეფლექსია მიმდინარეობს ამ პროცესებსა და მათ შედეგებზე;
- 4) იგეგმება ცვლილების შემდგომი პროცესი.



დიაგრამა. 7.1: მოქმედებაში-კვლევის ციკლები

აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში „მოქმედებაში კვლევა“ გამოიყენება, მაგალითად, დაზარალებული-დაზარალებლის მედიაციის პროგრამის დასაწყებად, რომელშიც მოქმედება და კვლევა

ორიენტირებულია შესაბამისი მედიაციის მოდელის განვითარებაზე. პირველ რიგში, ესაა მედიაციის პროცესის დაგეგმვა (საქმის გადაცემიდან შეთანხმების მიღწევამდე), რამდენიმე საქმეზე მისი ჩატარება, პროცესისა თუ მიღწეული შედეგების შეფასება და საბოლოო გაუმჯობესებაზე უკუკავშირის მიღება (პროცესი კვლავ ტარდება და ხდება ადაპტირებული მოდელის შეფასება). ამგვარი „მოქმედებაში-კვლევა“ შეიძლება ჩატარდეს მედიაციის პროცესის ერთ პრობლემასა და ელემენტთან მიმართებით, მაგალითად, როგორ შეიძლება მედიაციის შეთავაზება დაზარალებულებისათვის უფრო წამახალისებელი ფორმით.


3.3. მტკიცებულებაზე დაფუძნებული შეფასებითი კვლევა

მტკიცებულებაზე დაფუძნებული კვლევა შეიძლება მრავალი ფორმით ჩატარდეს კვლევის ფორმატისა და შერჩეული მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. მას ხშირად ექნება შეფასებითი მიზანი. აღდგენით მართლმსაჯულებაში ღირებულებები, პრინციპები და სტანდარტები პრიორიტეტულია, როგორც ეს ვრცლად განვიხილეთ წინა სესიებში. შეფასებითი კვლევა აღგენს, თუ რამდენად არის დაცული პრაქტიკაში გაცხადებული პრინციპები (მაგალითად ნებაყოფლობითი მონაწილეობის პრინციპი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება თუ არა ხელშესახები მტკიცებულებები ადასტურებდეს პრინციპებს? (Strang & Sherman, 2015)? რა არის კონკრეტული ჩარევის ეფექტები და როგორ ვარკვევთ, ხომ არ მიაღწა ამით დამატებითი ზიანი ვინმეს?

აღდგენითი მართლმსაჯულების შეფასებითი კვლევა ყოველთვის ცალსახა და ძლიერ მეთოდოლოგიას არ მოიცავს. ხშირად ის შეზღუდულია პროცესის შემდგომი შეფასებით. მაგალითად, როდესაც დაზარალებული და დამზარალებელი მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ რამდენიმე თვეში ავსებენ კითხვარებს ან ზეპირი ინტერვიუს საშუალებით ჰყვებიან საკუთარ გამოცდილებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა შეიძლება მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლეოდეს, ის ვერ გვეზმარება შედეგებს, ეფექტებსა და პროგრამას შორის (ამ შემთხვევაში მედიაცია ან მისი რომელიმე ელემენტი) მიზეზობრივი კავშირის დადგენაში. მაგალითად, როცა აღინიშნება კმაყოფილების მაღალი დონე ეს გარკვეულწილად (ან ძირითადად) შეიძლება გამოწვეული იყოს ადამიანის პიროვნული მახასიათებლებით, პროსოციალური დამოკიდებულებებით, რომლებიც მედიაციის პროცესში ჩართვამდე არსებობდა (რამაც პროცესში მონაწილეობა გადააწყვეტინა

პირს). იგივე შეიძლება ითქვას იმაზე, თუ რა ეფექტი აქვს აღდგენით მართლმსაჯულებას დანაშაულის განმეორებით ჩადენაზე. უმნიშვნელოვანესია იმის განსაზღვრა, შეიძლება თუ არა კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის გადათქმა ან შემცირება მიეწეროს მედიაციის ეფექტს, თუ ეს შეიძლება იყოს გამოწვეული პირის ცხოვრებაში მომხდარი სხვა სასიკეთო მოვლენების გავლენით.

მეთოდოლოგიური სისუსტეების თავიდან ასარიდებლად, შეიძლება ექსპერიმენტული ფორმატის გამოყენება, რომელშიც მონაწილეები იყოფიან ორ ჯგუფად: ექსპერიმენტული ჯგუფი (მონაწილეობას იღებს აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამაში) და საკონტროლო ჯგუფი (აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამის გამოყენების გარეშე). თუმცა, ამ შემთხვევაშიც შეიძლება გვეკონდეს ცდომილება მიკერძოების შედეგად: როგორ შეირჩევიან მონაწილეები ჯგუფებში („განაწილების მიკერძოება“), რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს იმას, რომ მონაწილეებმა იცოდნენ, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნებიან („მოქმედების მიკერძოება“), რა გავლენა შეიძლება იქონიოს შემფასებლებზე იმის ცოდნამ, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნებიან მონაწილეები („შეფასების მიკერძოება“) ან რომელი მონაწილეები ეთიშებიან კვლევას („დასუსტების მიკერძოება“). ამგვარი მიკერძოების მინიმუმამდე დაყვანის ან გამორიცხვისათვის ექსპერიმენტული ან კვაზი ექსპერიმენტული ფორმატი საკმარისი არ არის. საჭიროა უფრო კომპლექსური მოდელების გამოყენება. „კონტროლირებადი შემთხვევითი ცდები“ (RCT) იძლევა ამ შესაძლებლობას (Sherman & Strang, 2007). RCT გვთავაზობს ექსპერიმენტულ მოდელს, რომელიც იკვლევს პროგრამას ამ პროგრამით მოსარგებლე პირთა ჯგუფის სხვა ჯგუფებთან შედარების გზით (საკონტროლო ჯგუფები), თუმცა მსგავს შემთხვევაში ამ ჯგუფებში მინიმუმამდეა დაყვანილი ზემოთ ხსენებული მიკერძოება. ეს ხერხდება კვლევაში მონაწილეობაზე თანახმა პირთა ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში შემთხვევითი პრინციპით გადანაწილების გზით (იხილეთ დიაგრამა 7.2).



დიაგრამა. 7.2: შემთხვევითი კონტროლირებადი ცდის მოდელი აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის


RCT მოდელი ახდენს განაწილების მიკერძოების მინიმუმამდე დაყვანას და მისი კარგად ორგანიზების შემთხვევაში – ასევე სხვა მეთოდოლოგიური პრობლემების შემცირებას. შესაბამისად, მკვლევარს საშუალება აქვს კონკრეტულ ცვლადებთან დაკავშირებით ორ ჯგუფს შორის არსებულ განსხვავებებზე ისაუბროს (მოყვანილ მაგალითში: მონაწილეებს შორის პროცესის სამართლიანობის განცდა და ეფექტი დანაშაულის ხელახლა ჩადენაზე) დაუკავშიროს მედიაციაში მონაწილეობის საკითხს და არა სხვა ფაქტორებს. მიუხედავად ამისა, ყველა გარეგანი ფაქტორის გამორიცხვა თითქმის შეუძლებელია: დანაშაულისა და მედიაციის პროცესის შესწავლა შეუძლებელია ლაბორატორიული ექსპერიმენტის პირობებში. იმ შემთხვევაშიც კი, როცა დადგენილია ცხადი განსხვავებები ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებს შორის, კვლევა ვერ ახსნის ამ შედეგების განმსაზღვრელ მექანიზმებს: კონკრეტულად რამ მოუტანა სამართლიანობის განცდა მედიაციის პროცესის მონაწილეებს მათთან შედარებით, ვინც ტრადიციული სასამართლო პროცესი გაიარა, ან კონკრეტულად რა განაპირობებს, რომ მედიაციაში მონაწილე დამზარალებლები ნაკლებად ჩადიან ხელახალ დანაშაულს ვიდრე ისინი, ვისაც არ მიუღია მონაწილეობა ამ პროცესში? განმაპირობებელი პროცესების, გავლენისა და მექანიზმების სიღრმისეული ანალიზი მნიშვნელოვანია, რადგან კვლევა აჩვენებს, რომ მედიაციის ზემოთ ხსენებული ეფექტები (სამართლიანობა და დანაშაულის განმეორებით ჩადენა) არ გვაქვს ყველა შემთხვევაში ყველა მონაწილესთან. ზოგიერთი ინდივიდის შემთხ-

ვევაში შეიძლება ნეგატიური ეფექტიც კი გვექონდეს. RCT-ის მოდელის კიდევ ერთ შეზღუდვას წარმოადგენს ეთიკური მოსაზრებები. ჩვენ ვუპირისპირდებით ისეთ კითხვას, როგორცაა: „რამდენად სამართლიანია ადამიანების შემთხვევითობის პრინციპით განაწილება მედიაციასა და სასამართლო პროცესს შორის?“ ამ მიზეზებიდან გამომდინარე, განვითარდა შეფასების სხვა მოდელები, როდესაც ეფექტი განხილულია ადამიანების ცხოვრების ფართო კონტექსტში და ხდება განმსაზღვრელ მექანიზმებზე დაკვირვებაც.

„რეალისტური შეფასების“ მოდელი ამ უკანასკნელი მიდგომის მაგალითია (Pawson & Tilley, 1997). რეალისტური შეფასება მიემართება კითხვას, თუ როგორ უნდა იმუშაოს აღდგენითმა ჩარევამ კონკრეტული რესურსებით კონკრეტულ კონტექსტში განხორციელებისა და მონაწილე პირთა მიერ შესაბამისი რეაგირების შემთხვევაში. ეს წარმოადგენს ჰოლისტურ და ინკლუზიურ მიდგომას, როგორც მიზეზ-შედეგობრივი ემპირიული შეფასების ალტერნატივას. სოციალური, კულტურული და ისტორიული კონტექსტი ასევე მიიღება მხედველობაში, როცა კვლევა ფოკუსირებულია თეორიულად დაშვებულ პროცესებსა და მექანიზმებზე. რეალისტური შეფასება იყენებს კონტექსტი-მექანიზმი-შედეგი (CMO) კონფიგურაციებს, როგორც ანალიზის მთავარ სტრუქტურას, რათა იდენტიფიცირდეს როგორც მექანიზმები (როგორ იწვევს პროგრამის ზოგიერთი კომპონენტი ცვლილებას), ისე კონტექსტუალური ფაქტორები (პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს მექანიზმის მოქმედებაზე), რაც გავლენას ახდენს შედეგების ცვალებადობაზე. რეალისტური შეფასება შეიძლება ეფექტური იყოს აღდგენითი მართლმსაჯულების იმ პროგრამების შეფასებისათვის, რომლებიც ფუნქციონირებს კომპლექსურ სოციალურ სტრუქტურებში და როდესაც ბევრი გავლენა შეიძლება თამაშობდეს გარკვეულ როლს.

ოჯახში ძალადობის საქმეებში მედიაციის პროგრამის შესაფასებლად რეალისტური შეფასების მეთოდოლოგია პირველად ფინეთში გამოიყენეს (Iivari, 2010). დიაგრამის მიხედვით, (7.3) ჩატარდა როგორც პროცესის, ისე შედეგის შეფასება. პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია გადამზადებისა და კავშირების დამყარების ფაქტორები, როგორც პროგრამის შიდა მექანიზმის ნაწილი. კონტექსტუალურ ფაქტორებად მიჩნეულია სისხლის მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებასთან, სოციალურ სამსახურსა თუ საზოგადოებრივ აზრთან დაკავშირებული ფაქტორები. შედეგები გაიზომა თავად მედიაციის მოდელით, გადამზადებით, ურთიერთობებში ცვლილებით, მართლ-

მსაჯულების სისტემასა და სოციალურ სამსახურზე გავლენით, სხვა სერვისებთან კავშირით.



დიაგრამა 7.3: ოჯახში ძალადობის საქმეებში აღდგენითი მართლმსაჯულების რეალისტური შეფასების მოდელი (Iivari, 2010)

3.4. კვლევის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მიგნება

ზოგიერთი გაფართოებული კვლევის, მიმოხილვისა და მეტაშეფასების საფუძველზე, რომლებიც აერთიანებენ ან ადარებენ რამდენიმე სხვადასხვა კვლევას, შესაძლებელია შემდეგი ყველაზე მნიშვნელოვანი ემპირიული კვლევების შეჯამება: (Aertsen et al., 2004; Braithwaite, 1999; Chapman & Törzs, 2018; Choi et al., 2012; Claes & Shapland, 2016; Daly, 2002; Duenkel et al., 2015; Kurki, 2003; Latimer et al., 2001; McCold, 2003; Shapland et al., 2011; Robinson & Shapland, 2008; Sherman & Strang, 2007; Umbreit et al., 2005; Vanfraechem et al., 2010; Walgrave, 2011):

- საზოგადოებრივი მიმღებლობა: ზოგადად, აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები სარგებლობს საზოგადოებრივი მხარდაჭერით იმ პირობებში, როცა ადამიანებს მიეწოდებათ ადეკვატური ინფორმაცია აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებისა თუ მედიაციის შესახებ და ისინი თავად გრძნობენ ჩართულობას.

ევროპის უმეტეს ქვეყანაში საზოგადოება არც ისე დამსჯელი ბუნებისაა, როგორც ეს ჰგონიათ და ხშირად ემხრობა არასაპატიმრო სასჯელებს, რომლებიც ემსახურება დაზარალებულის, დამზარალებლის ან საზოგადოების ინტერესებს.

- მედიაციის პროცესში მონაწილეობის სურვილი დაზარალებულთა მხრიდან: მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ დაზარალებულთა 30%-50% დაინტერესებულია დამზარალებელთან პირადი შეხვედრით. ეს მაჩვენებელი იზრდება 70%-მდე, როცა არის არაპირდაპირი მედიაციის შესაძლებლობა. დაზარალებულებისათვის მედიაციაში მონაწილეობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზებია: (1) მომხდარზე დამზარალებლის მხრიდან მეტი ინფორმაციისა და ახსნის მიღება, (2) დამზარალებლისათვის საკუთარი სათქმელის თქმა ან მის წინაშე ემოციების გამოხატვა იმის ასახსნელად, თუ რა შედეგები მოიტანა მისმა ქმედებამ. ამ გზით დაზარალებულები ცდილობენ გარკვეული შვება იგრძნონ. შემდეგ მოდის ფინანსური კომპენსაციის საჭიროება. ზოგიერთ შემთხვევაში დაზარალებულებს სჯერათ, რომ მათი მონაწილეობა შეამცირებს დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობას (ძირითადად არასრულწლოვანი დამზარალებლის შემთხვევაში) და ემსახურება უსაფრთხო საზოგადოებაში ცხოვრებას.
- დამზარალებლის მოტივაცია: დამზარალებელთა უმეტესობას სურს მიყენებული ზიანის გამოსწორება ან სინანულის გამოხატვა. ზოგიერთ შემთხვევაში დამზარალებელს შეიძლება უნდოდეს სისხლის სამართლებრივი დევნის თავიდან არიდება (რაც თავისთავად არ არის მედიაციის გამომრიცხველი გარემოება).
- ალდგენითი მართლმსაჯულების პროცესში საზოგადოების ჩართულობის როლი გულისხმობს დანაშაულისა და მისი საფუძვლების უკეთ გაგებას, რასაც შეიძლება მოჰყვეს დამზარალებლის რეინტეგრაციის, ასევე დაზარალებულის მხარდაჭერა. საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობამ შეიძლება დაარწმუნოს დამზარალებელი, რომ მან უნდა აიღოს პასუხისმგებლობა.
- კმაყოფილების დონე:
 - ბევრ კვლევაში ასახულია პროცესითა და შედეგებით მიღებული დიდი კმაყოფილება როგორც დაზარალებულებში, ისე დამზარალებულებში. (კმაყოფილების მაღალი ხარისხის დონეები მერყეობს მედიაციაში ჩართული პირების 80%-დან 95%-მდე). როდესაც მედიაციის მონაწილეების შედარება ხდება

სხვა დაზარალებულებსა და დამზარალებლებთან, რომლებიც მართლმსაჯულების ტრადიციული პროცესის მონაწილენი არიან, კვლევა აჩვენებს, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად შემცირებულია მსხვერპლებს შორის რევექტიმიზაციისა და, ზოგადად, დანაშაულის შიში. გარდა ამისა, გაზრდილია მთლიანად მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებისადმი კმაყოფილება.

- კმაყოფილების მაღალი ხარისხი შეიძლება აიხსნას იმით, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება გულისხმობს დაზარალებულისა და დამზარალებლის უფრო აქტიურ ჩართულობას, რაც ამ ადამიანებს უქმნის განცდას, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია.
 - დამზარალებლები ასევე მიიჩნევენ, რომ მათ მიმართ მოპყრობა უფრო სამართლიანია აღდგენითი მართლმსაჯულების პირობებში. ორივე მხარე აღდგენით მართლმსაჯულებას აკავშირებს სამართლიან მოპყრობასთან. დამზარალებლებისათვის ღირებულია დაზარალებულებთან შეხვედრის და წუხილის გამოხატვის შესაძლებლობა. ისინი პოლიციისა და კანონისადმი უფრო პოზიტიურ დამოკიდებულებას გამოიჩინებენ. ასევე, ამყარებენ ურთიერთობას მეგობრებსა და ნათესავებთან; ხელი ეწყობა დანაშაულებრივ ცხოვრებაზე უარის თქმის პროცესს.
 - აღსანიშნავია, რომ კონფერენციის ზოგიერთ პროგრამაში გამოვლინდა კმაყოფილების უფრო დაბალი დონე დაზარალებულებს შორის და ზოგიერთ პროგრამაში, მაგალითად, პოლიციის მიერ წარმართულ კონფერენციებში, დაზარალებულები არ იყვნენ მიწვეულნი ყოველ შეხვედრაზე. როდესაც დაზარალებულები გამოხატავენ უკმაყოფილებას, ეს, ძირითადად, გამოწვეულია მათი საჭიროებებისათვის არასათანადო ყურადღების დათმობით, დამზარალებლისათვის მეტი ყურადღების დათმობის ხარჯზე.
- მიღწეული შეთანხმებები: მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმებების რიცხვი საკმაოდ მაღალია (70% და 90% ყველა წამოწყებული საქმიდან). უფრო მეტი შეთანხმება მიიღწევა, როდესაც დაზარალებულსა და დამზარალებელს შორის არის პირდაპირი კონტაქტი. შეთანხმებების შინაარსი მრავალფეროვანია: ფინანსური კომპენსაცია, მატერიალური ანაზღაურება ან სამუშაოს გა-

წევა დაზარალებულისათვის, ახსნა-განმარტების მიცემა, ბოდიშის მოხდა ან გარკვეული მკურნალობისა თუ ტრენინგის გავლის ვალდებულების აღება. ზოგადად, ასევე მაღალია შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების მაჩვენებლებიც (60% – 100%). იგი ბევრად აღემატება სასამართლო განჩინებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მაჩვენებელს.

– ეფექტი განმეორებით დანაშაულზე:

- არცერთი კვლევა არ ადასტურებს მედიაციის პროგრამის შედეგად რეციდივიზმის გაზრდას, თუმცა ინდივიდუალური საქმეები შეიძლება ჩავთვალოთ ამ წესის გამონაკლისად. რიგი კვლევები ადასტურებს მედიაციისა და კონფერენციის ეფექტს დანაშაულის განმეორებით ჩადენის მაჩვენებელზე, თუმცა ეს ეფექტი საკმაოდ მოკრძალებულია.
- ბევრ კვლევას მეთოდოლოგიური პრობლემები აქვს. ემპირიული კვლევების ბოლო თაობა, რომელიც ჩატარებულია სრულად ექსპერიმენტული კვლევის მოდელების საფუძველზე (შემთხვევითი კონტროლირებადი ცდების ჩატარებით – იხილეთ ზემოთ) აჩვენებს, რომ აღდგენითი პროგრამის მონაწილე ჯგუფების წევრებს შორის არის უფრო დაბალი მაჩვენებელი განმეორებით დანაშაულის ჩადენისა, ვიდრე კონტროლირებად ჯგუფებში მაშინ, როცა პროცესში ჩართული იყო პირადად დაზარალებული და შედეგა პირდაპირი კონტაქტი („კორპორაციულ“ დაზარალებულებსა და არაპირდაპირ შეხვედრებისგან განსხვავებით), მძიმე ძალადობრივი დანაშაულის საქმეებში (ნაკლებად მძიმე ქონებრივ დანაშაულებთან შედარებით) და როცა კონფერენციის მოდელი იყო გამოყენებული (მედიაციასთან შედარებით).
- შედარებით ახალი კვლევები სწავლობს აღდგენითი მართლმსაჯულების როლს დანაშაულებრივ ცხოვრებაზე ხელის აღების პროცესში: დაზარალებულთან შეხვედრა, ფასილიტატორისა თუ სხვების მხრიდან გამხნეება აღძრავს სინანულის განცდას და არა – საკუთარი თავის სიძულვილს; დამზარალებელი გრძნობს, რომ იგი ჩართულია შედეგებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; მას ეძლევა დაზარალებულთან შეხვედრისა და გულწრფელი პატიების თხოვნის შესაძლებლობა. ეს პროცესი ხშირად განხილულია ცხოვრებისეული გამოცდილებების უფრო ფართო კონტექსტ-

ში, რომელიც ამყარებს ან აძლიერებს პროსოციალურ იდენტობას.

- ფინანსური ხარჯები: ფინანსური ხარჯების სრულყოფილი დათვლისათვის ყურადღება უნდა გამახვილდეს ალდგენითი მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისათვის საჭირო რესურსებზე. (მართლმსაჯულების პროცესის ჩანაცვლება ან პარალელური ოპერირება), რამდენიმე კვლევიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მედიაციასა და კონფერენციას შეუძლია თანხების დაზოგვა. ალდგენითი მართლმსაჯულება ნამდვილად ამცირებს ხელახლა გასამართლების ხარჯებს. დაზარალებული-დამზარალებლის მედიაციას სჭირდება სამჯერ ნაკლები დრო, ვიდრე მედიაციის გარეშე წარმართულ პროცესს. მეტიც, ალდგენით მართლმსაჯულებას გარკვეული წვლილი შეაქვს თერაპიული ხარჯების დაზოგვაში, რადგან დამზარალებელთან შეხვედრა ამცირებს მსხვერპლისათვის პოსტტრავმატული სტრესის სიმპტომებს, ალდგენით პროცესს კი აქვს თერაპიული ეფექტი მკვლევლობით დაზარალებული ოჯახისათვის.
- დაბოლოს, არ არსებობს მტკიცებულება, რომ რომელიმე ტიპის დანაშაული ან დამნაშავეები არ შეესაბამება ალდგენითი მართლმსაჯულების პროცესს. კვლევა აჩვენებს, რომ ალდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება შესაძლებელია ისეთ მგრძობიარე, დელიკატურ საქმეებში, როგორც არის ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის შემთხვევები. მკვლევლობის საქმეში მედიაციისა და კონფერენციის გამოყენება ემპირიულად შესწავლილია რამდენიმე ქვეყანაში. საგზაო შემთხვევებისა და ეკონომიკური დანაშაულების, მათ შორის, გარემოს დაზიანების დანაშაულები აგრეთვე გვაძლევს ალდგენითი მართლმსაჯულების მიდგომების გამოყენების საშუალებას. ეს იმ პირობით, თუ ისინი გამოიყენება საქმის მახასიათებლებისა და გარემოებების შესაბამისად.

ალდგენითი მართლმსაჯულების სფეროში კვლევის ჩატარების სირთულე შეიძლება იყოს: დაზარალებულის პოზიცია და გამოცდილება მედიაციისა და კონფერენციის პროგრამაში; მედიაციის პროცესის შიდა კომუნიკაციის დინამიკა; სირცხვილისა და სხვა ემოციების როლი; სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფა; მედიატორის ფუნქცია და როლი; საზოგადოებისა და მისი წარმომადგენლების როლი; საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვების გზები; გავლენა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გადაწყვეტილებებზე; ეფექტი დანაშაულის განმეორებით ჩადენაზე; ალდგენითი მართლმსაჯულებ-

ბის კანონით მონიჭებული შესაძლებლობების გამოუყენებლობა და აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების გაფართოების შესაძლებლობა, ყველა პოტენციური მოსარგებლისათვის თანასწორი შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

რომ შევაჯამოთ: „აღდგენითი მართლმსაჯულება გვთავაზობს დანაშაულზე რეაგირების განსხვავებულ გზას, რომელიც ითვალისწინებს დაზარალებულის, დამზარალებლისა და მათი საზოგადოების საჭიროებებს. (...) მნიშვნელოვანია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების პროფესიონალები განგრძობითად მუშაობდნენ მაღალი ხარისხის პრაქტიკის განსავითარებლად. (...) კარგი პრაქტიკა დაზარალებულებს საშუალებას აძლევს მათი ვიქტიმიზაცია მიმართონ კონსტრუქციული მიზნებისაკენ. თუ დაცულია მაღალი სტანდარტები, აღდგენითი მართლმსაჯულება გვთავაზობს დანაშაულზე პასუხის ჰუმანურ მიდგომას – დაზარალებულთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დამზარალებლებში დანაშაულებრივ ცხოვრებაზე ხელის აღების გზით“ (Chapman & Törzs, 2018: 10).

ჯგუფური დავალება და დისკუსია

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტებმა გაიგონ კვლევის მეთოდები და მთავარი მიგნებები. ამისათვის ხელის შეწყობა შესაძლებელია მცირე ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობით. ანალიზი უნდა ფოკუსირდეს საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარებასათვის კვლევის საჭიროებასა და პოტენციურ საკვანძო საკითხებზე. როგორ ტარდება შეფასება და კვლევა ამ სფეროში? რა როლი შეიძლება შეასრულონ უნივერსიტეტებმა და პროფესიონალებმა? შეფასებისა და კვლევის რა ნაწილი შეიძლება შესრულდეს თავად პრაქტიკოსების ან მათი ორგანიზაციების მიერ? სასარგებლო სავარჯიშო შეიძლება იყოს მედიაციის პრაქტიკაში დაზარალებულის პოზიციის განხილვა ციტირებული სტატიის საფუძველზე (Choi et al., 2012): დაზარალებულთა უარყოფითი გამოცდილების საფუძველზე, რა რეკომენდაციების გაცემა შეიძლება საქართველოს პრაქტიკის გასაუმჯობესებლად?

საშინაო დავალება: სავალდებულო საკითხავი

- Choi, J., Bazemore, G. & Gilbert, M.J. (2012). Review of research on victims' experiences in restorative justice: Implications for youth justice. *Children and Youth Services Review*, 34, 35–42.
- Sherman, L. & Strang, H. (2007). *Restorative justice: the evidence*. London: The Smith Institute.

სავალდებულო ლიტერატურა

თეორიული ნაშრომები (მეტიწილად ხელმისაწვდომია ინგლიურ ენაზე)

1. Batley, M. (2005). Restorative justice in the South African context. In T. Maepa (ed.), *Beyond Retribution: Prospects for Restorative Justice in South Africa*. Monograph no. 111 (pp. 21-32). Pretoria: Institute for Security Studies, with the Restorative Justice Centre (<https://oldsite.issafrica.org/uploads/111CHAP2.PDF>).
2. Bewster, M., Tacker, J. (2016). Understanding Bystander behavior: The Influence of and Interaction between Bystander Characteristics and Situational Factors. In: *Victims & Offenders. An International Journal of Evidence-based Research, Policy, and Practice*. Volume 11, 2016 – Issue 3. Pp: 455-481.
3. Braithwaite, J. (2002). *Restorative Justice and Responsive Regulation*. Oxford: Oxford University Press (Chapter 1: The Fall and Rise of Restorative Justice).
4. Christie, N. (1977). Conflicts as property. *British Journal of Criminology*, 17(1), 1-15.
5. Daly, K. (2002). Restorative Justice: The Real Story. *Punishment & Society* 4(1), 55–79.
6. Duenkel F., Grzywa-Holten J. & Horsfield P. (2015). Restorative Justice and Penal Mediation in Europe – Comparative overview. In F. Duenkel F., J. Grzywa-Holten & P. Horsfield (eds.), *Restorative Justice and Mediation in Penal Matters. A stock-taking of legal issues, implementation strategies and outcomes in 36 European countries (Vol. 2)* (pp. 1015-1096). Monchengladbach: Forum Verlag Godesberg.
7. Jabaladze, N. (2016). Folk (customary) law. In L. Melikishvili & L. Beriashvili (eds.) (2016). *Georgians. Everything about Georgian culture and ethnicity*. Tbilisi: Palitra L. 431-438.
8. Johnstone, G. & Van Ness, D.W. (2007). The meaning of restorative justice. In G. Johnstone & D.W. Van Ness (eds.), *Handbook of restorative justice* (pp. 5-23). Cullompton: Willan Publishing.

9. Kilpatrick, D. & Acierno, R. (2003). Mental Health Needs of Crime Victims: Epidemiology and Outcomes. In: *Journal of Traumatic Stress*, Vol. 16, No. 2, April 2003, pp. 119-132.
10. Moore, Christopher (2014). *The Mediation Process. Practical strategies for Resolving Conflict*. 4th Edition. John Wiley and Sons Inc. New York., Pp: 240-244
11. Spatz, W., Czajaa, S. and Duttonb, M.A. (2008). Childhood victimization and lifetime re-victimization. In: *Child Abuse Neglect*. 2008 August, 32(8): 785-796.
12. Umbreit, M. & Lewis, T. (2015). Dialogue-driven Victim-Offender Mediation. Center of restorative Justice and Peacemaking, University of Minnesota. Pp: 7-91. http://www.antonioacasella.eu/restorative/Umbreit_Lewis_2015.pdf
13. United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) (2020). *Handbook on Restorative Justice Programmes*. New York: United Nations (new edition) (otherwise 2006 version in English)
14. Walgrave, L. (2011). Investigating the Potentials of Restorative Justice Practice. *Washington University Journal of Law & Policy*, 36, 91-139.
15. ზეპრი, ჰ. (2002). *აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი*. Intercourse: Good Books.
16. Zehr, Howard (2015). *Changing Lenses – Restorative Justice for Our Times/Fifty-Fifth Anniversary Edition*/Herald Press, harrisonburg, Virginia, Kitchener, Ontario.

**პრაქტიკული ლიტერატურა
(მეტწილად ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე)**

1. Biffi, E. (2016). *Practice Guide for Restorative Justice Services. The Victims' Directive Challenges and opportunities for restorative justice*. Leuven: European Forum for Restorative Justice (47 pages).
2. Biffi, E. & Laxminarayan, M. (2014). *Accessibility and Initiation of Restorative Justice: A Practical Guide*. Leuven: European Forum for Restorative Justice (73 p.)
3. Braithwaite, J. (2002). Setting Standards for Restorative Justice. *The British Journal of Criminology*, 42(3), 563–577.

4. Buffington, K., Dierkhising, C., Marsh, Sh.. (2010). Ten Things Every Juvenile Court Judge Should Know About Trauma and Delinquency. The National Child Traumatic Stress Network.
5. ჩაპმანი, ტ. & ტორცი, ე. (eds.) (2018). *სახელმძღვანელო აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის სტანდარტებსა და ღირებულებებზე*. ლუვენი: აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმი
6. Choi, J., Bazemore, G. & Gilbert, M.J. (2012). Review of research on victims' experiences in restorative justice: Implications for youth justice. *Children and Youth Services Review*, 34, 35–42.
7. Dierkhising, C., Ko, S., Woods-Jaeger, B., Briggs, E., Lee, R. and Pynoos R. (2013). Trauma histories among justice-involved youth: finding from the National Child Traumatic Stress Network. In: *European Journal of Psychotraumatology*, 2013: 4. 20274.
8. Hein, L. (2019). *The 2018 Council of Europe Recommendation concerning restorative justice in criminal matters: A briefing for the Ministry of Justice of Georgia*. Leuven: European Forum for Restorative Justice.
9. International Juvenile Justice Observatory (ed.) (2018). *Implementing Restorative Justice with Children. Practical Guide*. Brussels: International Juvenile Justice Observatory (120 p.).
10. Marit, I. (2018). *Restorative justice in road traffic offences. A manual for professionals and victim-volunteers*. Leuven: Moderator vzw. (26 p.).
11. Pali, B. (2009). *Media Toolkit for Restorative Justice Organisations*. Leuven: European Forum for Restorative Justice (113 p.).
12. Sherman, L. & Strang, H. (2007). *Restorative justice: the evidence*. London: The Smith Institute.
13. Umbreit, Mark, Greenwood, Jean (2000). Guidelines for Victim Sensitive Victim-Offender Mediation: Restorative Justice Through Dialogue. Center for Restorative Justice and Peacemaking, Minesota, OVC. Pp: 1-25.

სამართლებრივი წყაროები

1. საერთაშორისო

- 1.1. UN ECOSOC Resolution 2002/12 on Basic principles on the use of

restorative justice programmes in criminal matters

- 1.2. Council Europe – European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) (2007). Guidelines for a better implementation of the existing recommendation concerning mediation in penal matters
- 1.3. Council of Europe Recommendation CM/Rec(2018)8 of the Committee of Ministers to member States concerning restorative justice in criminal matters
- 1.4. European Union Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA

2. ეროვნული

- 1.1 საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“;
- 1.2 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის N120 ბრძანება „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“;
- 1.3 საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების, 2016 წლის 15 მარტის ერთობლივი №132/№95/№23 ბრძანება „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ“
- 1.4 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დირექტორის 2016 წლის 03 ნოემბრის №384/ს ბრძანება „განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესისა და სამუშაო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე“
- 1.5 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2018 წლის 02 ნოემბრის №428/ს ბრძანება „აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამის – სისხლის სამართლის მედიაციის საპილოტე რეჟიმში დამტკიცების შესახებ“

დამატებითი ლიტერატურა

თეორიული ნაშრომები:

1. Aertsen, I. (2017). Recalibrating victimhood through restorative justice: perspectives from Europe. *Restorative Justice: An International Journal*, 5 (3), 352–367.
2. Aertsen, I. (2018). Action research in intercultural settings and restorative justice: setting the scene. In I. Vanfraechem and I. Aertsen (eds.), *Action Research in Criminal Justice. Restorative justice approaches in intercultural settings* (pp. 10-28). London: Routledge.
3. Aertsen, I., Mackay, R., Pelikan, C., Willemsens, J. & Wright, M. (2004). *Rebuilding Community Connections – mediation and restorative justice in Europe*. Strasbourg: Council of Europe Publishing.
4. Aertsen, I., Daems, T. & Robert, L. (eds.) (2006). *Institutionalizing Restorative Justice*, Cullompton: Willan Publishing.
5. Aertsen, I. & Pali, B. (eds.) (2017). *Critical Restorative Justice*. Oxford: Hart Publishing.
6. Barabás, T., Fellegi, B. & Windt, S. (eds.) (2012). *Responsibility-taking, Relationship-building and Restoration in Prisons – Mediation and Restorative Justice in Prison Settings*. Budapest: P-T Műhely.
7. Batley, M. (2005). Restorative justice in the South African context. In T. Maepa (ed.), *Beyond Retribution: Prospects for Restorative Justice in South Africa*. Monograph no. 111 (pp. 21-32). Pretoria: Institute for Security Studies, with the Restorative Justice Centre (<https://oldsite.issafrica.org/uploads/111CHAP2.PDF>).
8. Bazemore, G. & Walgrave, L. (eds.) (1999). *Restorative Juvenile Justice: Repairing the harm of youth crime*. Monsey: Criminal Justice Press.
9. Bolivar, D. (2010). Conceptualizing Victims’ ‘Restoration’ in Restorative Justice. *International Review of Victimology*, 17, 237-265.

10. Braithwaite, J. (1999). Assessing an Immodest Theory and a Pessimistic Theory. In: Tonry, M. (ed.). *Crime and Justice*, Vol. 25: An Annual Review of Research. Univ. of Chicago Press.
11. Braithwaite, J. (2002). *Restorative Justice and Responsive Regulation*, Oxford, Oxford University Press.
12. Burford, G., Braithwaite, J. & Braithwaite, V. (eds.) (2019). *Restorative and Responsive Human Services*. New York: Routledge.
13. Choi, J., Bazemore, G. & Gilbert, M.J. (2012). Review of research on victims' experiences in restorative justice: Implications for youth justice. *Children and Youth Services Review*, 34, 35–42.
14. Christie, N. (1977). Conflicts as property. *British Journal of Criminology*, 17(1), 1-15.
15. Claes, B. & Shapland, J. (2016). Desistance from crime and restorative justice. *Restorative Justice: An International Journal*, 4(3), 302-322.
16. Clamp, K. & Paterson, C. (2017). *Restorative policing: concepts, theory and practice*. Abingdon: Routledge.
17. Cohen, S. (1993). Human rights and crime of the state: The culture of denial. *Australian and New Zealand Journal of Criminology*, 26, 97-115.
18. Cohen, J., Mannarino, A., Deblinger, E.. (2017). *Treating Trauma and Traumatic Grief in Children and Adolescents*.
19. Cornwell, D.J., Blad, J. & Wright, M. (eds.) (2013). *Civilising criminal justice: an international restorative agenda for penal reform*. Hook: Waterside Press.
20. Cunneen, C. & Hoyle, C. (2010). *Debating Restorative Justice*. Oxford: Hart Publishing.
21. Daly, K. (2002). Restorative Justice: The Real Story. *Punishment & Society* 4(1), 55–79.
22. Dignan, J. (2002). Restorative justice and the law: the case for an integrated systemic approach. In Walgrave, L. (ed.) *Restorative Justice and the Law* (pp. 168-190). Cullompton: Willan Publishing.

23. Dignan, J. (2005). *Understanding Victims And Restorative Justice*. Maidenhead: Open University Press.
24. Dilts, R. (1994). *Strategies of Genius. Vol. 2: Albert Einstein*. California: Meta Publications.
25. Duenkel F., Grzywa-Holten J. & Horsfield P. (eds.) (2015). *Restorative Justice and Mediation in Penal Matters. A stock-taking of legal issues, implementation strategies and outcomes in 36 European countries (Vol. 1+2)*. Monchengladbach: Forum Verlag Godesberg.
26. Dulmus, C., Sowers, K., & Theriot, M. (2006). Prevalence and Bullying Experiences of Victims and Victims Who Become Bullies (Bully-Victims) at Rural Schools. *Victims & Offenders*, 1(1), 15–31.
27. Fellegi, B. (2005). *Meeting the challenges of introducing victim-offender mediation in Central and Eastern Europe*. Leuven: European Forum for Restorative Justice.
28. Felitti, V., Anda, R., Norderberg, D., et al.(1998). Relationship of childhood abuse and Household Dysfunction to many of the leading causes of death in adults: the adverse childhood experiences (ACE) study. *American Journal of Preventive Medicine*. Vol.14(4), Pp: 245-258.
29. Friedman, Matthew, Keane, Terence, Resick, Patricia (2007). *The Handbook of PTSD. Science and Practice*. The Guilford Press Gal, T. (2011). *Child victims and restorative justice. A needs-rights model*. Oxford: Oxford University Press.
30. Herman, J. (1997). *Trauma and recovery: the aftermath of violence – from domestic abuse to political terror*. New York: BasicBooks.
31. Höffler, K. (2016). Types of Offenders—A Criminological Perspective in Historical Contexts. In: *Legal Certainty in a Contemporary Context*. Springer. Pp: 169-177
- Galtung, J. (1969). Violence, Peace, and Peace Research. *Journal of Peace Research*, 6(3), 167-191.
32. Hopkins, B. (2015). *Restorative Theory in Practice. Insights into What Works and Why*. London: Jessica Kingsley Publishers.
33. Iivari, J. (2010). Providing mediation as nation-wide service. *Empirical re-*

- search on restorative justice in Finland. In I. Vanfraechem, I. Aertsen & J. Willemsens (eds.) (2010). *Restorative Justice Realities. Empirical research in a European context* (pp. 95-119). The Hague: Eleven International Publishers.
34. International Juvenile Justice Observatory & European Council for Juvenile Justice (eds.) (2015). *European Research on Restorative Juvenile Justice*, Brussels, International Juvenile Justice Observatory:
 - a. Vol 1: Dünkkel, F., Horsfield, P. & Păroşanu, A., *Research and Selection of the Most Effective Juvenile Restorative Justice Practices in Europe: Snapshots from 28 EU Member States*
 - b. Vol 2: Chapman, T., Sisko Gellin, M., Aertsen, I. & Anderson, M., *Protecting Rights, Restoring Respect and Strengthening Relationships: A European Model for Restorative Justice with Children and Young People*
 - c. Vol 3: Chapman, T. & Sisko Gellin, M., *Toolkit for Professionals: Implementing a European Model for Restorative Justice with Children and Young People*
 35. Jabaladze, N. (2016). Folk (customary) law. In L. Melikishvili & L. Beriashvili (eds.) (2016). *Georgians. Everything about Georgian culture and ethnicity*. Tbilisi: Palitra L. Pp.431-438.
 36. Janoff-Bulman, R. (1992). *Shattered Assumptions*. New York: Free Press.
 37. Johnstone, G. (2002). *Restorative Justice: Ideas, Values, Debates*. Cullompton: Willan Publishing.
 38. Johnstone, G. & Van Ness, D.W. (eds.) (2007). *Handbook of restorative justice*. Cullompton: Willan Publishing.
 39. Johnstone, G. (ed.) (2020). *A Restorative Justice Reader 2nd Edition*. London: Routledge.
 40. Kohlberg, L. Levine, Ch, Hewer, A. (1983). *Moral stages : a current formulation and a response to critics*. Basel, New York: Karger.
 41. Kurki, L. (2003). Evaluating restorative justice practices. In: A. von Hirsch, J. Roberts, A.E. Bottoms, K. Roach & M. Schiff (eds.). *Restorative justice and criminal justice: competing or reconcilable paradigms?* (p. 293-314). Oxford: Hart Publishing.

42. Latimer, J., Dowden, C. & Muise, D. (2001). *The effectiveness of restorative justice practices: a meta-analysis*. Ottawa: Department of Justice Canada, Research and Statistics Division.
43. Lavy, I., Ben-David, S. (2008). Blaming Victims and Bystanders in the Context of Rape. In: Ronel, N., Jaishankar, M., Ben-Simon, M. (eds). (2008). *Trends and Issues in Victimology*. Cambridge Scholars Publishing.
44. Lederach, John Paul & Moiese, Michelle (2009). Conflict Transformation: A Circular Journey With A Purpose. In: *New Routes. A Journal for Peace Research and Action*. 2009, 2(14). Pp: 7-11.
45. Lhuillier, J. (2007). *The quality of penal mediation in Europe*. Strasbourg: Council of Europe, European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ).
46. Lickel, B., Schmader, T., & Hamilton, D. L. (2003). A case of collective responsibility: Who else was to blame for Columbine high school shootings? *Personality and Social Psychology Bulletin*, 29, 194-204.
47. Mackay, R., Bošnjak, M., Deklerck, J., Pelikan, C., van Stokkom, B. & Wright, M. (eds.) (2007). *Images of Restorative Justice Theory*. Frankfurt am Main: Verlag für Polizeiwissenschaft.
48. Marshall, T.F. (1999). *Restorative Justice. An Overview*. London: Home Office.
49. McCold, P. (2000). Toward a mid-range theory of restorative criminal justice: A reply to the Maximalist model. *Contemporary Justice Review*, 3(4), 357-414.
50. McCold, P. (2003). A survey of assessment research on mediation and conferencing. In: L. Walgrave (ed.). *Repositioning Restorative Justice* (p. 67-120). Cullompton: Willan Publishing.
51. Mendelsohn, B. (1976). Victimology and contemporary society's trends. In: *Victimology*, 1(1), 8-28.
52. Mestitz, A. & Ghetti, S. (eds.) (2005). *Victim-Offender Mediation in Europe: organization and practices in the juvenile justice systems*. Dordrecht: Kluwer International.

53. Miers, D. & Aertsen, I. (2012). Restorative justice: a comparative analysis of legal provision in Europe. In Miers, D. & Aertsen, I (eds.), *Regulating Restorative Justice. A comparative study of legislative provision in European countries* (pp. 511-530). Frankfurt am Main: Verlag für Polizeiwissenschaft.
54. Neimeyer, R. A., Prigerson, H. G., Davies, B. (2002). Mourning and meaning. *American Behavioral Scientist*, Vol.46, Pp: 235-251.
55. Norris, F. & Slone, L. (2007). Epidemiology of PTSD. In: Friedman, M., Keane, T., Resick, P. (eds.), *The Handbook of PTSD*. The Guilford Press. Pp: 78-99.
56. Pali, B. & Aertsen, I. (eds.) (2018). *Restoring Justice and Security in Intercultural Europe*. London: Routledge.
57. Pali, B. & Pelikan, C. (2010). *Building social support for restorative justice. Media, civil society and citizens*. Leuven: European Forum for Restorative Justice.
58. Pawson, R. & Tilley, N. (1997). *Realist Evaluation*. London: Sage.
59. Reichert, E., Segal, C., Flannery-Schroeder, E. (2015). Trauma, Attentional Biases, and Revictimization Among Young Adults. In: *Journal of Trauma & Dissociation*, March 2015, 16(2). Pp:1-16.
60. Robinson, G. & Shapland, J. (2008). Reducing Recidivism: A Task for Restorative Justice? *British Journal of Criminology*, 48, 337-358.
61. Robinson, J. & Hudson, J. (2016). Restorative justice: typology and critical appraisal. *Willamette Journal of International Law and Dispute Resolution*, 23(2), 335-366.
62. Rossner, M. (2014). *Just emotions: rituals of restorative justice*. Oxford: Oxford University Press.
63. Rossner, M. & Bruce, J. (2018). Trajectories and typologies of pre-sentence restorative justice rituals. *Australian & New Zealand Journal of Criminology*, 51(4), 502-518.
64. Sanchez, Sh. (2019). Victims and Victims Typologies. In: Burke, Alison, Carter, David, Fedorek, Brian , Morey, Tiffany, Rutz-Burri, Lore and

- Sanchez, Schanel (2019). Introduction to The American Criminal Justice System. SOU-CCJ230.
65. Seligman, M. (1975). *Helplessness: On Depression, Development, and Death*. San Francisco: W.H. Freeman.
 66. Shapland, J., Robinson, G. & Sorsby, A. (2011). *Restorative Justice in Practice: Evaluating What Works for Victims and Offenders*. London: Routledge.
 67. Sherman, L. & Strang, H. (2007). *Restorative justice: the evidence*. London: The Smith Institute.
 68. Strang, H. & Sherman, L. (2015). The morality of evidence: the second annual lecture for Restorative Justice: An International Journal. *Restorative Justice: An International Journal*, 5(1), 6-27.
 69. Spatz W., Dutton, M.A. (2008). Childhood Victimization and Lifetime Revictimization. In: *Child Abuse & Neglect*. 2008, Aug; 32 (8). Pp. 785-796). <http://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC2572709/>
 70. Sullivan, D. & Tiff, L. (2006). *Handbook of Restorative Justice*. London: Routledge.
 71. Umbreit, M.S., Vos, B., Coates, R.B. & Lightfoot, E. (2005). Restorative Justice in the twenty-first century: a social movement full of opportunities and pitfalls. *Marquette Law Review*, 89(2), 251-304.
 72. Umbreit, M. & Peterson Armour, M. (2010). *Restorative Justice Dialogue. An Essential Guide for Research and Practice*. New York: Springer.
 73. United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) (2020). *Handbook on Restorative Justice Programmes*. New York: United Nations.
 74. Van den Akker, W. & Spaapen, J. (2017). *'Productive interactions. Societal Impact of Academic Research in the Knowledge Society'*. Leuven: League of European Research Universities (LERU).
 75. Vanfraechem, I., Aertsen, I. & Willemsens, J. (eds.) (2010). *Restorative Justice Realities. Empirical research in a European context*. The Hague: Eleven International Publishers.

76. Vanfraechem, I., Bolivar, D. & Aertsen, I. (eds.) (2015). *Victims and Restorative Justice*. Abingdon/New York, Routledge.
77. Vanfraechem, I. & Aertsen, I. (eds.) (2018). *Action Research in Criminal Justice. Restorative Justice Approaches in Intercultural settings*. Abingdon/ New York: Routledge.
78. Volkan, V.D. (2006). What Some Monuments Tell us about Mourning and Forgiveness. In: Barkan, E., Karn, A. (eds), *Taking Wrongs Seriously: Apologies and Reconciliation*. Stanford, CA: Stanford University Press. Pp:115-131.
79. Walgrave, L. (2008). *Restorative Justice, Self-interest and Responsible Citizenship*. London: Routledge.
80. Walgrave, L. (2011). Investigating the Potentials of Restorative Justice Practice. *Washington University Journal of Law & Policy*, 36, 91-139.
81. Weitekamp, E. (ed.) (2015). *Developing Peacemaking Circles in a European context* (Volume I: Main Report; Volume II: Additional Reports and Documents). Tübingen: Institut für Kriminologie der Universität Tübingen.
82. Zehr, J. (1990). *Changing Lenses: A New Focus for Crime and Justice*. Scottsdale: Herald Press (also published in Russian, Ukrainian, Arabic, and other languages).
83. Zehr, H. (2002). *The Little Book of Restorative Justice*. Intercourse: Good Books (available in Georgian).
84. Zehr, H. & Toews, B. (eds.) (2004). *Critical Issues in Restorative Justice*. Monsey: Criminal Justice Press.
85. Zinsstag, E. & Vanfraechem, I. (eds.) (2012)., *Conferencing and Restorative Justice. International Practices and Perspectives*. Oxford: Oxford University Press.
86. მახაშვილი, ნ., ყვავილაშვილი, ნ. (2010). ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ავტალის სააღმზრდელო დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვანთა შორის საქართველოში. კვლევის ანგარიში.

87. ჩვამანია, გ. (2016). სერიული მკვლელი და ბავშვობის მძიმე გამოცდილებები ანდრეი ჩიკატილოს ბიოგრაფიის ანალიზის მაგალითზე. გამოუქვეყნებელი სამაგისტრო ნაშრომი.
88. ჯავახიშვილი, ჯ. (2008). ტრავმის გავლენა ბავშვებსა და მოზარდებზე. სარჯველაძე, ნოდარი, ბებერაშვილი ზურაბი, ჯავახიშვილი, ჯანა, მახაშვილი, ნინო, სარჯველაძე, ნატალია (2008). ტრავმა და ფსიქოლოგიური დაზარება. მესამე გადაამუშავებული გამოცემა. თბილისი: ნეკერი.
89. ჯავახიშვილი, ჯ. და მახაშვილი, ნ. (2012). არასრულწლოვანთა დელიქტენტობის პრევენცია: ფსიქოსოციალური სერვისის გამოცდილება. თბილისი: ნეკერი.

პრაქტიკული ლიტერატურა:

1. Biffi, E. (2016). *Practice Guide for Restorative Justice Services. The Victims' Directive Challenges and opportunities for restorative justice*. Leuven: European Forum for Restorative Justice (47 pages) (available in Georgian).
2. Biffi, E. & Laxminarayan, M. (2014). *Accessibility and Initiation of Restorative Justice: A Practical Guide*. Leuven: European Forum for Restorative Justice (73 p.)
3. Braithwaite, J. (2002). Setting Standards for Restorative Justice. *The British Journal of Criminology*, 42(3), 563–577.
4. Chapman, T. & Törzs, E. (eds.) (2018). *Connecting People to Restore Just Relations. Practice Guide on Values and Standards for restorative justice practices*. Leuven: European Forum for Restorative Justice (22 pages) (available in Georgian).
5. Cook, A., Blaustein, M., Spinazzola, J., Van Der Kolk, B. (2003). Complex Trauma in Children and Adolescents White Paper from The National Child Traumatic Stress Network task Force.
6. Fellegi, B. & Szegő, D. (2013). *Handbook for Facilitating Peacemaking Circles*. Budapest: Foresee Research group (98 p.).
7. International Juvenile Justice Observatory (ed.) (2018). *Implementing Restorative Justice with Children. Practical Guide*. Brussels: International Juvenile Justice Observatory (120 p.).

8. Johnstone, G. (2014). *Restorative Justice in Prisons: Methods, Approaches and Effectiveness*. Strasbourg: Council of Europe, European Committee on Crime Problems (CDPC).
9. Marit, I. (2018). *Restorative justice in road traffic offences. A manual for professionals and victim-volunteers*. Leuven: Moderator vzw. (26 p.).
10. Mercer, V. & Sten Madsen, K. (2015). *Doing restorative justice in cases of sexual violence: A practice guide*. Leuven: Leuven Institute of Criminology.
11. Pali, B. (2009). *Media Toolkit for Restorative Justice Organisations*. Leuven: European Forum for Restorative Justice (113 p.).
12. Shapland, J., Aertsen, I., Doherty, K., Teunkens, M., Vanfraechem, I., Van Pagée, R. & Zinsstag, E. (2011). *Conferencing: A way forward for restorative justice. A practical guide*. Leuven: European Forum for Restorative Justice.
13. Sharp, .S. (2011). *Walking the Talk: Developing Ethics Frameworks for the Practice of Restorative Justice*. Langley: Fraser Region Community Justice Initiatives Association.
14. TOA Servicebureau (2017). *Standards. Mediation in Strafsachen im Rahmen des Täter-Opfer-Ausgleichs. 7. überarbeitete Auflage*. Köln: TOA Servicebureau for Victim-Offender Mediation and Conflict Settlement.

საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტები

1. UN ECOSOC Resolution 2002/12 on Basic principles on the use of restorative justice programmes in criminal matters
2. Council Europe – European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) (2007). *Guidelines for a better implementation of the existing recommendation concerning mediation in penal matters*
3. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2018)8 წევრი სახელმწიფოების მიმართ სისხლის სამართალწარმოებაში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ
4. European Union Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA

დანართი I

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2018)8 წევრი სახელმწიფოების მიმართ სისხლის სამართალწარმოებაში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2018 წლის 3 ოქტომბერს
მინისტრთა მოადგილეების №1326 შეხვედრაზე)

ევროსაბჭოს წესდების 15.ბ მუხლის საფუძველზე, მინისტრთა კომიტეტი:

წევრ სახელმწიფოებში აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართ მზარდი ინტერესის გათვალისწინებით;

შესაბამის სისხლის მართლმსაჯულების სისტემებში აღდგენითი მართლმსაჯულების პოტენციური ბენეფიტების აღიარებით;

ვალდარებთ რა, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება წარმოადგენს ტრადიციული სისხლის სამართალწარმოების დამატებით ან ალტერნატიულ საშუალებას;

იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულით გამოწვეულ ზიანზე რეაგირებისა და მისი გამოსწორების პროცესში არსებობს დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, დაზარალებულისა და დამზარალებლის, ასევე უფრო ფართო საზოგადოების ჩართულობის საჭიროება;

ვალდარებთ რა აღდგენით მართლმსაჯულებას, როგორც თანამშრომლობის შედეგად ამ მხარეების ინტერესების გამოვლენის, დაკმაყოფილებისა და დაბალანსების საშუალებას;

ვალდარებთ რა დაზარალებულების ინტერესს, ჰქონდეთ პოზიცია მათი შემდგომი ვიქტიმიზაციის პროცესის საპასუხოდ, მიაღწიონ აღდგენასა და დაკმაყოფილებას დამზარალებელთან სამართლიან პროცესში კომუნიკაციის შედეგად;

იმის გათვალისწინებით, რომ მნიშვნელოვანია სამართალდამრღვევში პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივების ხელშეწყობა მათთვის ცვლილების, გამოსწორების და რეინტეგრაციის შესაძლებლობის მიცემით და ურთიერთგაგებისა და დანაშაულზე ხელის აღების მიღწევა;

ვალდარებთ რა, რომ აღდგენითმა მართლმსაჯულებამ შეიძლება ხელი შეუწყოს დანაშაულსა და მასთან ასოცირებულ კონფლიქტებზე

რეაგირებისა და პრევენციის პროცესში ინდივიდისა და საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობის გააზრებას და წაახალისოს უფრო კონსტრუქციული სისხლის მართლმსაჯულების მექანიზმები;

ვალდარებთ რა, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის წარმართვა მოითხოვს სპეციალურ უნარებს, ქცევის წესებსა და აკრედიტებულ ტრენინგს;

ვალდარებთ რა მზარდ თვალსაჩინო ინდიკატორებს, რომლებიც ადასტურებს აღდგენითი მართლმსაჯულების ეფექტიანობას – მსხვერპლთა აღდგენა, სამართალდამრღვევთა გამოსწორება და მონაწილეთა კმაყოფილება;

ვალდარებთ რა ზიანს, რომელიც საზოგადოებას შეიძლება მოუტანოს კრიმინალის რაოდენობისა და სადამსჯელო კრიმინალური სანქციების გამოყენების ზრდამ, განსაკუთრებით, მოწყვლადი მარგინალიზებული ჯგუფების შემთხვევაში, და რომ აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება შესაძლებელია დანაშაულზე პასუხად გარკვეულ შემთხვევებში;

ვალდარებთ რა, რომ დანაშაული თავის თავში მოიცავს ინდივიდთა უფლებების დარღვევას, ურთიერთობების დაზიანებას, რომელთა აღდგენა მოითხოვს სადამსჯელო ღონისძიებების მიღმა მექანიზმების არსებობას;

ვითვალისწინებთ რა იმ პოზიტიურ როლს, რომელიც შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საზოგადოებებმა ითამაშონ მშვიდობის, სოციალური ჰარმონიისა და სამართლიანობის დამკვიდრებაში და საჯარო და კერძო სუბიექტების კოორდინირებული თანამშრომლობის საჭიროებას;

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ETS No.5) მოთხოვნების გათვალისწინებით;

შემდეგი დოკუმენტების მხედველობაში მიღებით: ბავშვთა უფლებების აღსრულების შესახებ ევროპული კონვენცია (ETS №160) და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები No. R(85)11 სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პროცედურის ფარგლებში დაზარალებულთა მდგომარეობის შესახებ, No.R(87)18 სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივების შესახებ, No.R(87)20 არასრულწლოვანთა დანაშაულთან დაკავშირებული სოციალური რეაქციების შესახებ, №R (88) მიგრანტი ოჯახების წარმომადგენელ არასრულწლოვანთა დანაშაულზე სოციალური რეაგირების შესახებ, No.R(95)12 სისხლის

სამართლის მართლმსაჯულების მართვის შესახებ, No.R(98)1 საოჯახო მედიაციის შესახებ, No.R(99)19 სისხლის სამართალში მედიაციის შესახებ, Rec(2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, Rec(2006)8 დანაშაულის მსხვერპლთა დახმარების შესახებ, CM/Rec(2010)1 ევროპის საბჭოს პრობაციის წესების შესახებ, CM/Rec(2017)3 საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების ევროპული წესების შესახებ;

ითვალისწინებს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის დოკუმენტს CEPEJ (2007)13, რომელიც აწესებს რეკომენდაცია No.R(99)19 სისხლის სამართალში მედიაციის შესახებ უკეთ აღსრულების სახელმძღვანელო წესებს;

ითვალისწინებს ევროპული პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივას 2012/29/EU, რომელიც აწესებს დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალურ სტანდარტებს;

ითვალისწინებს ვენის დეკლარაციას დანაშაულისა და მართლმსაჯულების შესახებ: XXI საუკუნის გამოწვევების პასუხად (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მე-10 კონგრესი, დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის შესახებ 2000 წლის 10-17 აპრილი, A/CONF. 187/4 / Rev. 3), ECOSOC-ის რეზოლუცია 2002/12 სისხლის სამართლის საქმეებში აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების გამოყენების ძირითადი პრინციპების შესახებ, 2006 წელს გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის მიერ გამოქვეყნებული სახელმძღვანელო აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების შესახებ, საზოგადოებრივი კავშირების აღდგენა – მედიაცია და აღდგენითი მართლმსაჯულება ევროპაში, 2004 წელს ევროპის საბჭოს მიერ გამოცემული.

რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოებს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების პროცესში გაითვალისწინონ ამ რეკომენდაციის დანართში მოცემული პრინციპები, რომელიც ეყრდნობა რეკომენდაცია No.R(99)19-ს სისხლის სამართალში მედიაციის გამოყენების შესახებ და გახადონ ტექსტი ხელმისაწვდომი რელევანტური ადგილობრივი ორგანოებისა და სააგენტოებისათვის, პირველ რიგში – მოსამართლეების, პროკურორების, პოლიციის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამსახურების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამსახურების, მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისები-სა და აღდგენითი მართლმსაჯულების სუბიექტებისათვის.

I. რეკომენდაციის მიზანი

1. ეს რეკომენდაცია მიზნად ისახავს, წახალისოს წევრი სახელმწიფოები, რათა მათ თავიანთ სისხლის მართლმსაჯულების სისტემაში დანერგონ და განავითარონ აღდგენითი მართლმსაჯულება. ის აძლიერებს აღდგენითი მართლმსაჯულების სტანდარტების გამოყენებას სისხლის სამართალწარმოებაში და უზრუნველყოფს მონაწილეთა უფლებების დაცვას და მათი საჭიროებების ეფექტიანად დაკმაყოფილებას. ის ასევე ახალისებს ინოვაციური აღდგენითი მიდგომების (რომელიც შეიძლება არსებობდეს სისხლის სამართალწარმოების მიღმა) განვითარებას სასამართლო ხელისუფლების, სისხლის მართლმსაჯულებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების განმახორციელებელი აგენტების მიერ.

2. რეკომენდაცია მიემართება ყველა საჯარო და კერძო სუბიექტს, ვინც მოქმედებს სისხლის მართლმსაჯულების სფეროში და ვინც წარმოშობს ან გადასცემს საქმეებს აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის, ან ვინც საკუთარი საქმიანობის ფარგლებში შეიძლება იყენებდეს აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს.

II. განმარტებები და ზოგადი პრინციპები

3. აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესი ნებისმიერი პროცესია, რომელშიც დანაშაულის შედეგად დაზარალებული ან დამზარალებელი და/ან ნებისმიერი სხვა ინდივიდი და საზოგადოების წევრი, რომელთაც განიცადეს დანაშაულის ზემოქმედება, ნებაყოფლობით ერთვებიან დანაშაულის შედეგად წარმოქმნილი პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში, სამართლიანი და არადაინტერესებული მესამე მხარის დახმარებით (ფასილიტატორი).

4. აღდგენითი მართლმსაჯულება გულისხმობს დიალოგს (პირდაპირს ან არაპირდაპირს) დაზარალებულსა და დამზარალებელს შორის და შეიძლება ასევე მოიცავდეს იმ პირის ჩართულობას, რომელზეც რაიმე გავლენა მოახდინა დანაშაულმა. ამ ინდივიდებში შეიძლება იგულისხმებოდეს დაზარალებულისა და დამზარალებლის მხარდამჭერები, შესაბამისი პროფესიონალები, დაზარალებული თემის წარმომადგენლები. ამ რეკომენდაციის მიზნებისთვის მონაწილე სუბიექტები მოიხსენიება როგორც „მხარეები“.

5. იმის მიხედვით, თუ რომელ სახელმწიფოში და რა წესით გამოიყენება აღდგენითი მართლმსაჯულება, იგი შეიძლება მოიცავდეს

დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაციას, პენალურ მედიაციას, აღდგენით კონფერენციას, ოჯახურ და ჯგუფურ კონფერენციას, სასჯელის დადგენისა და მშვიდობის დამყარების წრეებს, *inter alia*.

6. აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება შესაძლებელია სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. მაგალითად, საპატიმრო სასჯელისგან ან სისხლის სამართლის წესით დევნიდან განრიდებით. აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებას შეიძლება მიემართოთ პოლიციის განყოფილებაში, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე ან მისი დაწყების შემდეგ, ბრალის წარდგენიდან სასჯელის შეფარდებამდე, სასჯელის შეფარდების შემდეგ – როგორც სასჯელის ნაწილს ან სასჯელის მოხდის ვადის ამოწურვის შემდეგაც კი. აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენებისათვის მიმართვა შეიძლება განხორციელდეს სისხლის მართლმსაჯულებაში ჩაბმული სუბიექტების მიერ ან მხარეთა ინიციატივის საფუძველზე.

7. სასამართლო კონტროლის საჭიროება უფრო მაღალია, თუ აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება ახდენს გავლენას სასამართლო გადაწყვეტილებებზე, რამდენადაც გასამართლების პროცესის შეწყვეტა შეიძლება დამოკიდებული იყოს მისაღებ შეთანხმებაზე, ან იმ შემთხვევაში, როცა შეთანხმება წარედგინება სასამართლოს, როგორც სარეკომენდაციო გადაწყვეტილება ან სასჯელი.

8. ის მექანიზმები, რომლებიც არ მოიცავს დიალოგს დაზარალებულსა და დამზარალებელს შორის, შესაძლებელია მაინც შემუშავდეს იმგვარად, რომ ეფუძნებოდეს აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს (იხილეთ III და VII თავები). აღდგენითი მიდგომები და პრინციპები შეიძლება გამოიყენებოდეს სისხლის მართლმსაჯულების სისტემის შიგნით, სისხლის სამართალწარმოების პროცესის მიღმა (იხილეთ თავი VII).

9. „აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისები“ მიემართება ყველას, ვინც რაიმე სახით არის აღდგენითი მართლმსაჯულების მიმწოდებელი. ეს შეიძლება იყოს აღდგენითი მართლმსაჯულების სპეციალიზებული სუბიექტები, ისევე როგორც სასამართლო სუბიექტები, სისხლის მართლმსაჯულების სუბიექტები და სხვა კომპეტენტური უფლებამოსილი სუბიექტები.

10. „სასამართლო სუბიექტები“ გულისხმობს მოსამართლეებს, სასამართლოებს, პროკურორებს.

11. „სისხლის მართლმსაჯულების სუბიექტები“ გულისხმობს პოლიციასა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების, პრობაციის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და დაზარალებულის მხარდაჭერის სერვისებს.

12. „აღდგენითი მართლმსაჯულების სუბიექტები“ გულისხმობს ნებისმიერ სპეციალიზებულ სუბიექტს (კერძო თუ საჯარო), რომელიც არის სისხლის სამართლის საკითხებზე აღდგენითი მართლმსაჯულების მიმწოდებელი.

III. აღდგენითი მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები

13. აღდგენითი მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები გულისხმობს, რომ მხარეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, მიიღონ აქტიური მონაწილეობა დანაშაულით გამოწვეული საკითხების გადაწყვეტაში (დაინტერესებული მხარის ჩართულობის პრინციპი) და დანაშაულზე რეაგირება უნდა ემსახურობდეს დანაშაულით გამოწვეული იმ ზიანის გამოსწორებასა და შემცირებას, რომელიც მიაღწა ინდივიდებს, ურთიერთობებს ან უფრო ფართო საზოგადოებას (ზიანის გამოსწორების პრინციპი).

14. აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა საკვანძო პრინციპები მოიცავს: ნებაყოფლობითი დიალოგი; მონაწილე მხარეების საჭიროებებისა და ინტერესების თანაბარი გათვალისწინება; პროცედურული სამართლიანობა; კოლექტიური, კონსენსუსზე დაფუძნებული შეთანხმება; ფოკუსირება აღდგენაზე, რეინტეგრაციაზე და ურთიერთგაგების მიღწევაზე, დომინაციის თავიდან არიდებაზე. ეს პრინციპები შეიძლება საფუძვლად დაედოს სისხლის მართლმსაჯულების უფრო ფართო რეფორმების ჩარჩოს.

15. აღდგენითი მართლმსაჯულების მექანიზმი არ უნდა იყოს შემუშავებული და მოწოდებული იმგვარად, რომ უპირატეს მდგომარეობაში აყენებდეს დაზარალებულის ან დამზარალებლის ინტერესებს. მან უნდა შექმნას ნეიტრალური სივრცე, რომელიც ახალისებს მხარეების მიერ საკუთარი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გამოხატვას და მათ დაკმაყოფილებას, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

16. აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში იმ პირობით, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან პროცესის ბუნებასა და შესაძლო შედეგებზე, მათ შორის, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს აღდგე-

ნითი მართლმსაჯულების პროცესს მიმდინარე სისხლის სამართალ-წარმოებაზე. მხარეებს უნდა ჰქონდეთ მოცემულ თანხმობაზე უარის თქმის შესაძლებლობა ნებისმიერ მომენტში, მთელი პროცესის განმავლობაში.

17. აღდგენითი მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს კონფიდენციალურობის დაცვით. აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში ჩატარებული განხილვები უნდა დარჩეს კონფიდენციალური და დაუშვებელია მათი შემდგომი გამოყენება მხარეთა თანხმობის გარეშე (იხილეთ წესი 53).

18. აღდგენითი მართლმსაჯულება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სერვისი. დანაშაულის სიმძიმემ და გეოგრაფიულმა არეალმა სხვა ფაქტორების არსებობისგან დამოუკიდებლად არ უნდა გამორიცხოს დაზარალებულებისა და დამზარალებლებისათვის აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისების შეთავაზება.

19. აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე; შესაბამისი ოფიციალური პირებისა და სამართლის პროფესიონალების მიერ მხარეებს უნდა მიეწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია, რათა მათ გადაწყვიტონ, სურთ თუ არა პროცესში მონაწილეობა. რეფერირება უნდა მოხდეს სასამართლო სუბიექტების ან სისხლის მართლმსაჯულების სხვა სუბიექტების მიერ სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე; ეს არ გამორიცხავს ავტომატური რეფერირების მექანიზმის არსებობას.

20. აღდგენითი მართლმსაჯულების განმხორციელებელ სუბიექტებს უნდა მიეცეთ საკმარისი ავტონომია სისხლის მართლმსაჯულების სისტემაში. უნდა შენარჩუნდეს ბალანსი ამ სუბიექტები ავტონომიურობასა და პრაქტიკის სტანდარტების საფუძველზე განხორციელების საჭიროებას შორის.

IV. აღდგენითი მართლმსაჯულების სამართლებრივი საფუძველი სისხლის სამართლის პროცესში

21. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ ნათელი საკანონმდებლო საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს სასამართლო სუბიექტების მიერ აღდგენითი მართლმსაჯულებისადმი რეფერირების შემთხვევებს და თუ რა გავლენა ექნება ან შეიძლება ჰქონდეს ამ პროცესს სასამართლო წარმოებაზე მექანიზმის სხვა შემთხვევებში გამოყენებისას.

22. როდესაც აღდგენითი მართლმსაჯულება გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესში, უნდა შემუშავდეს შესაბამისი პოლიტიკა. ეს უნდა მოიცავდეს საქმეთა რეფერირების პროცედურას და აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების წესს.

23. აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში უნდა დაინერგოს პროცედურული გარანტიები. მხარეებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჩივრის გამოხატვის შესაბამისი პროცედურა და ისინი ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ამის შესახებ. ასევე, საჭიროების შემთხვევაში მათ უნდა გაეწიოთ სამართლებრივი დახმარება ან უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ თარგმანით.

24. როდესაც აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში ჩართულნი არიან ბავშვები (დაზარალებულის ან დამზარალებლის სახით), მათ მშობლებს, მეურვეებს თუ სხვა უფლებამოსილ სრულწლოვანს უნდა ჰქონდეს პროცესზე დასწრების უფლება, რათა უზრუნველყონ ბავშვთა ინტერესების დაცულობა. ნებისმიერი სპეციალური რეგულირება და სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც აწესრიგებს მათ მონაწილეობას სამართლებრივ წარმოებაში, უნდა ასევე გავრცელდეს აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში მათ მონაწილეობაზე.

V. სისხლის მართლმსაჯულების ფუნქციონირება აღდგენით მართლმსაჯულებასთან მიმართებით

25. აღდგენითი მართლმსაჯულების მექანიზმის გამოყენებაზე თანხმობის გაცხადებამდე, ფასილიტატორმა უნდა მიაწოდოს მხარეებს სრული ინფორმაცია მათი უფლებების, აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის ბუნების, მონაწილეობაზე თანხმობის შესაძლო შედეგებისა და საჩივრების ჩამოყალიბების პროცესის დეტალების შესახებ.

26. აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გაცხადების საფუძველზე. დაუშვებელია ინდივიდის მონაწილეობის უზრუნველყოფა არალეგიტიმური გზებით. აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება დაუშვებელია იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც გარკვეული მიზეზებით ვერ შეძლებენ პროცესის მნიშვნელობის გაგებას.

27. აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისები უნდა იყოს მაქსიმალურად ინკლუზიური; გარკვეული ხარისხის მოქნილობის გამოყე-

ნება მნიშვნელოვანია დიდი რაოდენობის ადამიანთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

28. სასამართლოს ოფიციალურმა სუბიექტებმა და სისხლის მართლმსაჯულების სუბიექტებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი პირობები, პროცედურები და ინფრასტრუქტურა შესაძლებლობის შემთხვევაში საქმეთა აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისებისადმი რეფერირებისათვის.

29. ფასილიტატორებს უნდა გამოეყოთ ადეკვატური დრო და რესურსები, რათა შეძლონ შესაბამისად მომზადება, რისკის შეფასება, მხარეებთან შემდგომი სამუშაოების გაწევა. როდესაც ფასილიტატორები მოქმედებენ სასამართლოს ოფიციალური სუბიექტების და სისხლის მართლმსაჯულების სუბიექტების ხელმძღვანელობით, მათ უნდა დაიცვან აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპები.

30. საქმის ძირითადი ფაქტობრივი გარემოებების აღიარება მხარეების მიერ უნდა დაედოს საფუძვლად აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის დაწყებას. აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობა არ შეიძლება ჩაითვალოს ბრალის აღიარებად და გახდეს შემდგომი პროცედურული ღონისძიებების საფუძველი.

31. სისხლის სამართლის საქმის აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის რეფერირებას, იმ დაშვებით, რომ ეს გამოიწვევს სამართალწარმოების პროცესის შეჩერებას რათა მიღწეულ იქნეს შეთანხმება, უნდა განისაზღვროს შესაბამისი ვადა, რა ვადაშიც სასამართლოს ეცნობება აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის შედეგი.

32. როდესაც საქმე აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის რეფერირდება სასამართლოს მიერ მსჯავრდებად, გადაწყვეტილება იმაზე, თუ რა გავლენას მოახდენს მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმება მსჯავრდების ან განაჩენის გამოტანის პროცესზე, უნდა მიიღოს სასამართლომ.

33. აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის დაწყებამდე, ფასილიტატორს სასამართლოს და სისხლის მართლმსაჯულების სუბიექტების მიერ უნდა მიეწოდოს საჭირო ინფორმაცია საქმის რელევანტური გარემოებების და ფაქტების შესახებ.

34. აღდგენითი მართლმსაჯულების შედეგად შეთანხმების წარმატებით მიღწევის და შესრულების საფუძველზე სამართალწარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილებას უნდა ჰქონდეს იგივე სამართლებრივი სტატუსი, რაც სხვა საფუძველებით სისხლის სამართლის სამართალ-

წარმოების შეწყვეტას აქვს – ერთი და იმავე პირის მიმართ იმავე ფაქტობრივი გარემოებების პირობებში სამართალწარმოების შეწყვეტა.

35. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მიუღწევლობის ან მიღწეული შეთანხმების შეუსრულებლობის გამო საქმე უბრუნდება სასამართლოს, გადაწყვეტილება წარმოების გაგრძელების ფორმის შესახებ უნდა იქნას მიღებული დროულად ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული პროცედურისა და სამართლებრივი გარანტიების შესაბამისად.

VI. აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისების ფუნქციონირება

36. აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისები უნდა მოწესრიგდეს კომპეტენტური ორგანოების მიერ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად. უნდა ჩამოყალიბდეს კომპეტენციისა და ეთიკის, შერჩევის პროცედურების, ტრენინგის, ფასილიტატორების მხარდაჭერისა და შეფასების სტანდარტები.

37. აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისები და აღდგენითი მართლმსაჯულების ტრენინგის ორგანიზატორები უნდა შეფასდეს კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოების მიერ.

38. აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისები უნდა მოიცავდეს ფასილიტატორების მუშაობის მუდმივი მონიტორინგის მექანიზმს, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტანდარტების დაცვა და სერვისების ეფექტიანად და უსაფრთხოდ მიწოდება.

39. აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისები უნდა მოიცავდეს მონაცემთა აღრიცხვის შესაბამის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის საქმეებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებას. სულ მცირე, უნდა აღირიცხოს ინფორმაცია აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამის სახესა და იმ მიზეზებზე, რის გამოც პროცესმა პროგრესი ვერ განიცადა. ანონიმიზირებული მონაცემები უნდა შეგროვდეს ნაციონალურ დონეზე კომპეტენტური ორგანოს მიერ და უნდა იყოს ხელმისაწვდომი კვლევითი და შეფასების მიზნებისათვის.

40. ფასილიტატორები უნდა წარმოადგენდნენ საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს, უნდა ესმოდეთ ადგილობრივი კულტურა და საზოგადოებრივი ჯგუფების თავისებურებები. მათ უნდა ახასიათებდეთ ინტერკულტურულ მოცემულობებში აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი მგრძობელობა და შესაძლებლობები.

41. ფასილიტატორებმა უნდა შეძლონ სალი განსჯის უნარის დემონსტრირება და უნდა ფლობდნენ პიროვნულ უნარებს, რომლებიც დაეხმარება მათ აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის ეფექტიანად განხორციელებაში.

42. აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის წარმართვამდე ფასილიტატორებს უნდა ჩაუტარდეთ საწყისი ტრენინგი. ტრენინგის შედეგად უნდა გაიზარდოს მათი კომპეტენცია კონფლიქტის გადაწყვეტისათვის საჭირო უნარების, დაზარალებულებთან, დამზარალებულებსა და მოწყვლად ინდივიდებთან მუშაობისათვის საჭირო უნარების, და სისხლის მართლმსაჯულების სისტემის ზოგადი ცოდნის თვალსაზრისით. აუცილებელია, ასევე, სისხლის მართლმსაჯულების იმ სუბიექტების ტრენინგი, რომლებიც ახდენენ საქმის რეფერირებას აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის.

43. ფასილიტატორებს უნდა ჩაუტარდეთ საუფძვლიანი ტრენინგი სენსიტიურ, კომპლექსურ და სერიოზულ საქმეებზე აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის წარმართვამდე.

44. ფასილიტატორთა მენეჯერებს უნდა ჩაუტარდეთ საქმეთა ზედამხედველობისა და სერვისის მენეჯმენტის ტრენინგი, რომელიც არის სპეციფიკური აღდგენითი მართლმსაჯულების შემთხვევაში.

45. ტრენინგის მიმწოდებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი მასალა და მიდგომები შეესაბამებოდეს ეფექტიანი ტრენინგისა და ფასილიტაციის უახლეს პრაქტიკას.

46. აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები უნდა განხორციელდეს მიუკერძოებლად, საქმის ფაქტებზე და მხარეთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე დაყრდნობით.

47. აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისები უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესისათვის. ფასილიტატორმა უნდა გამოყოს შესაბამისი დრო მხარეთა მომზადებისათვის, იყოს მგრძობიარე მხარეთა წუხილებისა და სისუსტეების მიმართ და მხარეთა უსაფრთხოების ინტერესის დაკმაყოფილების საჭიროების შემთხვევაში შეწყვიტოს პროცესი.

48. აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ეფექტიანად, თუმცა ისეთი წესითა და ტემპით, რომელიც დაძლევადია მხარეებისათვის. მაღალი მგრძობელობის, კომპლექსურ და სერიოზულ საქმეებს შეიძლება დასჭირდეს უფრო ხანგრძლივი

მოსამზადებელი და შემდგომი სამუშაოები. ასევე შესაძლოა აუცილებელი გახდეს მხარეთა რეფერირება სხვა სერვისებზე, მაგალითად, როგორც არის ტრავმისა და დამოკიდებულების მკურნალობა.

49. კონფიდენციალობის პრინციპის გათვალისწინებით, ფასილიტატორმა ყურადღება უნდა მიაქციოს ინფორმაციას შესაძლო სერიოზული დანაშაულის შესახებ, რომელიც გამოვლინდა პროცესში და მის შესახებ აცნობოს შესაბამის ორგანოებს.

50. შეთანხმებები შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ სამართლიან, მიღწევად და პროპორციულ ქმედებებს, რომელზეც ყველა მხარე თანხმდება ნებაყოფლობით სრული ინფორმირებულობის პირობებში.

51. აუცილებელი არ არის, რომ შეთანხმებები მოიცავდეს ხელშესახებ შედეგებს. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ დიალოგმა დააკმაყოფილა მათი საჭიროებები და ინტერესები.

52. შეთანხმებები უნდა ეფუძნებოდეს მხარეთა პირად მოსაზრებებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ფასილიტატორები მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერთონ შეთანხმებაში, როცა ამას ითხოვენ თავად მხარეები, ან როდესაც შეთანხმების რაიმე პირობა არის აშკარად არაპროპორციული, უსამართლო და არარეალისტური. ამ შემთხვევაში ფასილიტატორებმა უნდა დაასაბუთონ და აღნიშნონ ჩარევის მიზეზები.

53. თუ აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესმა შეიძლება გავლენა იქონიოს სასამართლო გადაწყვეტილებებზე, ფასილიტატორმა გადადგმულ ნაბიჯებსა და მიღებულ შედეგებზე ინფორმაცია უნდა მიაწოდოს შესაბამის სასამართლო სუბიექტებს ან სისხლის მართლმსაჯულების სუბიექტებს. წესი 49-ის გათვალისწინებით, ანგარიშებმა არ უნდა გაამჟღავნოს მხარეთა შორის გამართული დისკუსიის შინაარსი, ასევე არ უნდა გამოხატავდეს აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში მხარეთა ქცევის შეფასებას.

VII. აღდგენითი მართლმსაჯულების განგრძობადი განვითარება

54. აღდგენითი მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს ადეკვატურ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს. ადგილობრივმა სტრუქტურებმა ხელი უნდა შეუწყონ აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში კოორდინირებული პოლიტიკის მდგრად და არსებით განვითარებას.

55. უნდა მიმდინარეობდეს მუდმივი დიალოგი სასამართლო და სისხლის მართლმსაჯულების სუბიექტებს, აღდგენითი მართლმსაჯუ-

ლების სუბიექტებს, სამართლის პროფესიონალებს, სამართალდამრღვევებს, მსხვერპლის სახელით მოქმედ ჯგუფებსა და საზოგადოებებს შორის აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნისა და მნიშვნელობის ერთიანი გაგების ჩამოსაყალიბებლად.

56. სასამართლო სუბიექტები, სისხლის მართლმსაჯულების სუბიექტები და აღდგენითი მართლმსაჯულების სუბიექტები უნდა იყვნენ მოწოდებულნი და მხარდაჭერილი, რომ უზრუნველყონ ადგილობრივი თემების ჩართულობა აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ მათი ინფორმირების მიზნით, რაც ერთგვარად ხელს შეუწყობს მათ შემდგომ ჩართულობას პროცესში.

57. აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესი შეიძლება წარმართოს მხოლოდ ფასილიტაციაში შესაბამისად მომზადებული პირის მიერ. თუმცა, სასურველია სასამართლო სუბიექტებისა და სისხლის მართლმსაჯულების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება აღდგენითი მართლმსაჯულებისა და კონფლიქტის გადაწყვეტის პრინციპებთან მიმართებით იმგვარად, რომ მათ შეძლონ ამ პრინციპების გააზრება და ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენება.

58. იმ შემთხვევაში, როცა სამართალდამრღვევს განესაზღვრება პრობაციის სერვისების მიერ ზედამხედველობა, აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესი შეიძლება დაიწყოს ზედამხედველობის განხორციელებამდე ან მის პარალელურად, მათ შორის, სასჯელის დაგეგმვის პროცესის პარალელურად. სასჯელის დაგეგმვის პროცესის პარალელურად აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელება შესაძლებელს გახდის აღდგენითი მართლმსაჯულების შედეგად მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებას ზედამხედველობისა და დახმარების გეგმებში.

59. მიუხედავად იმისა, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება თავისთავად მხარეთა შორის დიალოგით ხასიათდება, ის მექანიზმები, რომლებიც არ მოიცავს დიალოგს დაზარალებულსა და დამზარალებელს შორის, შესაძლებელია მაინც შემუშავდეს იმგვარად, რომ ეფუძნებოდეს აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს. ეს შეიძლება მოიცავდეს რეპარაციის ინოვაციურ მიდგომებს, დაზარალებულის აღდგენასა და დამზარალებლის რეინტეგრაციას. მაგალითად, თემის რეპარაციის სქემები, რეპარაციის საბჭოები, დაზარალებულთა პირდაპირი რესტიტუცია, დაზარალებულისა და მოწმის მხარდაჭერის პროგრამები, დაზარალებულის მხარდაჭერის წრეები, თერაპიული საზოგადოებები, დაზარალებულის ცნობიერების ამაღლების

კურსები, პატიმრისა და დამზარალელების განათლების პროგრამები, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სასამართლოები, ანგარიშვალდებულებისა და მხარდაჭერის წრეები, პროექტები, რომლებიც მოიცავს დამზარალელების, დაზარალეულისა და მათი ახლობლების ჩართულობას, *inter alia*. ეს ყველაფერი შესაძლებელია განხორციელდეს აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებზე დაყრდნობით (იხილეთ თავი III).

60. აღდგენითი მიდგომები და პრინციპები შეიძლება გამოიყენებოდეს სისხლის მართლმსაჯულების სისტემის შიგნით, სისხლის სამართალწარმოების პროცესის მიღმა. მაგალითად, მათი გამოყენება შესაძლებელია, როდესაც არსებობს კონფლიქტი მოქალაქესა და პოლიციელს შორის, პატიმარსა და სასჯელაღსრულების ინსტიტუციის თანამშრომელს შორის, პატიმრებს შორის, პრობაციის ოფიცერსა და მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სამართალდამრღვევს შორის. ასევე მათი გამოყენება შესაძლებელია სასამართლოს ან სისხლის მართლმსაჯულების წარმომადგენლებს შორის კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში.

61. აღდგენითი პრინციპები და მიდგომები უნდა გამოიყენებოდეს პროაქტიულად სასამართლო და სისხლის მართლმსაჯულების სუბიექტების მიერ. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს არსებულ ურთიერთობებს, მაგალითად, სისხლის სამართლის სისტემის თანამშრომელთა შორის; პოლიციის თანამშრომლებსა და საზოგადოების წევრებს შორის; პატიმრებს შორის; პატიმრებსა და მათ ოჯახებს შორის; ან პატიმართა და ციხის თანამშრომლებს შორის. ასევე ხელი შეუწყოს ამ ჯგუფებს შორის ნდობისა და პატივისცემის გაძლიერებას. აღდგენითი პრინციპები და მიდგომები შეიძლება პროაქტიულად გამოიყენებოდეს სასამართლო და სისხლის მართლმსაჯულების სუბიექტების მიერ, ასევე მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებისას და თანამშრომლებთან ურთიერთობისას ან ორგანიზაციული გადაწყვეტილებების მიღების სხვა პროცესებში. ამ ყველაფერმა შეიძლება ხელი შეუწყოს ორგანიზაციის შიგნით აღდგენითი კულტურის დამკვიდრებას.

62. იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის მართლმსაჯულების პროცესში აღდგენით მართლმსაჯულებას უნდა ენიჭებოდეს გარკვეული ავტონომია, სასამართლო სუბიექტები, სისხლის მართლმსაჯულების სუბიექტები, აღდგენითი მართლმსაჯულების სუბიექტები და სხვა რელევანტური საჯარო სერვისები უნდა თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან ადგილობრივ დონეზე, რათა ხელი შეუწყონ თავიანთი

უფლებამოსილების არეალში აღდგენითი მართლმსაჯულების კოორდინირებულ განვითარებას.

63. სასამართლო სუბიექტებმა და სისხლის მართლმსაჯულების სუბიექტებმა უნდა გადაწყვიტონ ფორმალური უფლებამოსილებებით აღჭურვილი პირის გამოყოფა, რომელიც იზრუნებს კონკრეტული ორგანიზაციის მიერ და მის შიგნით აღდგენითი მართლმსაჯულების მექანიზმების გამოყენებას. ამ პირის პასუხისმგებლობა შეიძლება მოიცავდეს სხვა ადგილობრივ ორგანოებსა და საზოგადოებებთან თანამშრომლობას აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების მიზნით.

64. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ და დაეხმარონ ერთმანეთს აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარებაში. ეს უნდა მოიცავდეს აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების, მისი განვითარებისა და გავლენის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას და პოლიტიკის, კვლევის, სწავლებისა და ინოვაციური მიდგომების ერთობლივ შემუშავებას. იმ წევრმა სახელმწიფოებმა (ან წევრი სახელმწიფოების შიგნით არსებულმა ორგანოებმა და ორგანიზაციებმა), რომლებსაც აქვთ აღდგენითი მართლმსაჯულების კარგად განვითარებული პრაქტიკა და პოლიტიკა, უნდა გაუზიარონ ინფორმაცია, მასალები და ექსპერტიზა სხვა წევრ სახელმწიფოებს ან იქ არსებულ ადგილობრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებს.

65. ადგილობრივმა თვითმმართველობებმა, სასამართლო სუბიექტებმა, სისხლის მართლმსაჯულებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების სუბიექტებმა უნდა განახორციელონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოებაში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

66. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აწარმოონ და წაახალისონ აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში კვლევა და დაფინანსებული თუ განხორციელებული პროგრამების შეფასება. აღდგენითი მართლმსაჯულების ნებისმიერი პროგრამა უნდა უშვებდეს და ხელს უწყობდეს მისი სერვისის დამოუკიდებელ შეფასებას.

67. ეს რეკომენდაცია, თანდართული პრინციპები და მათი აღსრულება რეგულარულად უნდა შეფასდეს წევრ სახელმწიფოებში აღდგენითი მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი განვითარებების ქრილიდან და საჭიროების შემთხვევაში გადაიხედოს.

დანართი II

ევროპის საბჭოს 2018 წლის რეკომენდაცია სისხლის სამართალში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ:

მოკლე შეჯამება საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის

შესავალი

აღდგენითი მართლმსაჯულება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების თანმხლები პროცესია, რომელიც დაზარალებულებს ეხმარება დანაშაულით მიყენებული ზიანის შემსუბუქებაში, ამცირებს დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობას და ზოგადად საჯარო რესურსებს.¹ იგი ასევე მოიცავს პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ სახელმწიფოებმა საკუთარი სისხლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმისა და მოდერნიზებისათვის. რამდენადაც ევროპაში და მის გარეთ სისხლის მართლმსაჯულებაში აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება მზარდია, მნიშვნელოვანია მთავრობების მხარდაჭერა დაზარალებულთა და დამზარალებლებისათვის აღდგენითი მართლმსაჯულების სიკეთეებით სარგებლობით უზრუნველყოფის ნებისმიერ მცდელობაში.

2018 წლის 3 ოქტომბერს, ევროპის საბჭომ გამოაქვეყნა ახალი რეკომენდაცია CM/Rec(2018)8 სისხლის სამართალში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ. ეს რეკომენდაცია და მისი კომენტარი (ორივე დოკუმენტი თანდართულია) განმარტავს, თუ როგორ შეიძლება მთავრობებმა და სისხლის მართლმსაჯულების განმახორციელებელმა სუბიექტებმა გამოიყენონ აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპები და პრაქტიკა დაზარალებულებსა და დამზარალებლებთან მაქსიმალურად ეფექტიანი ინტერაქციისათვის, მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილებისა და სისტემური თუ

1 მაგალითისთვის იხილეთ, Shapland, J., Robinson, G. & Sorsby, A. (2011). *Restorative Justice in Practice: Evaluating What Works for Victims and Offenders*. Oxford: Routledge; Strang, H. et al. (2013). *Restorative Justice Conferencing (RJC) Using Face-to-Face Meetings of Offenders and Victims: Effects on Offender Recidivism and Victim Satisfaction. A Systematic Review*, Oslo: The Campbell Collaboration; Sherman, L. et al. (2015). Twelve experiments in restorative justice: The Jerry Lee program of randomized trials of restorative justice conferences. *Journal of Experimental Criminology*, 11(4), pp. 501-540; ; European Forum for Restorative Justice Research Summary (2018). *Effectiveness of restorative justice practices. An overview of empirical research on restorative justice practices in Europe*.

ინსტიტუციური კულტურის ცვლილებისათვის. ჯერჯერობით აღდგენითი მართლმსაჯულება ამ სფეროში ყველაზე პროგრესული და დახვეწილი საერთაშორისო ინსტრუმენტია: იგი მოითხოვს, რომ ყველა დაზარალებულსა და დამზარალებელს ჰქონდეს თანაბარი წვდომა აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესზე და გულისხმობს კულტურულ ცვლილებას დანაშაულისა და სისხლის მართლმსაჯულებისადმი მეტად აღდგენითი მიდგომების დანერგვით როგორც პოლიტიკის, ისე პრაქტიკის დონეზე.

ეს შეჯამება მიზნად ისახავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის რეკომენდაციის შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდებას და საქართველოს სისხლის მართლმსაჯულების სისტემაში აღდგენითი მართლმსაჯულების შემდგომი განვითარების წახალისებას.

რა არის აღდგენითი მართლმსაჯულება?

რეკომენდაცია შემდეგნაირად განმარტავს აღდგენით მართლმსაჯულებას:

ნებისმიერი პროცესი, რომელშიც დანაშაულის შედეგად დაზარალებული და დანაშაულზე პასუხისმგებელი პირები, ნებაყოფლობით ერთგებიან დანაშაულის შედეგად წარმოქმნილი პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში, პროფესიონალი და მიუკერძოებელი მესამე მხარის დახმარებით (წესი 3).

რეკომენდაცია აღნიშნავს, რომ ეს პროცესი, როგორც წესი, იღებს დიალოგის ფორმას დამზარალებელსა და დაზარალებულს ან სხვა პირებს შორის, რომლებზეც გარკვეული ზემოქმედება იქონია დანაშაულმა (წესი 4). საქართველოში ეს პროცესი ხელმისაწვდომია უმეტესი დანაშაულების შემთხვევაში, როგორც არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის ნაწილი. თუმცა, საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემები² მოწმობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული-დამზარალებლის მედიაციის გამოყენება იზრდება არასრულწლოვანთა განრიდების კონტექსტში, ბევრი დაზარალებული საქართველოში არ იყენებს დიალოგის შესაძლებლობას, რაც წარმოადგენს აღდგენითი მართლმსაჯულების ყველაზე

2 Chochua, M., Javakishvili, L. and Merebashvili, N. (2018). *Juvenile Justice: Georgia experience*. ნაშრომი წარმოდგენილი იყო აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის მე-10 საერთაშორისო კონფერენციაზე. ტირანა, ალბანეთი: ივნი-სი, 2018 წელი.

ეფექტიან ფორმას განმეორებითი დანაშაულის შემცირებისა და დაზარალებულთა მდგომარეობის შემსუბუქებისათვის. რეკომენდაცია განმარტავს, თუ როგორ შეიძლება აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებმა საფუძველი დაუდოს უფრო ფართო კულტურულ ცვლილებას სისხლის მართლმსაჯულებაში (წესები 8, 13 და 14), ასევე იძლევა ინფორმაციას აღდგენითი მოდელებისა და პრაქტიკების ფართო სპექტრის შესახებ, როგორც სისხლის სამართლის პროცესის შიგნით (წესი 59), ისე მის მიღმა (წესები 60 და 61).

კიდევ რას ამბობს რეკომენდაცია?

რეკომენდაცია გვთავაზობს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ სტანდარტებს აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკაში განხორციელებისათვის. იგი აღწერს, თუ როგორ შეიძლება კანონმდებლობამ და პოლიტიკამ უზრუნველყოს აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარება და მისი უსაფრთხო და ეფექტიანი განხორციელება (წესები 21-24). იგი ამტკიცებს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება უნდა იყოს „საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სერვისი“, რაშიც იგულისხმება, რომ ხელმისაწვდომობა არ უნდა იყოს დაკავშირებული რაიმე კონკრეტულ მახასიათებელთან – დაზარალებულის ადგილსამყოფელი, დანაშაულის ტიპი, დამზარალებლის ასაკი ან სისხლის სამართლის პროცესის ეტაპი (წესები 6, 18, 19, 27 და 28). აღდგენითი მართლმსაჯულება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ყველა მხარის ინფორმირებული თანხმობის პირობებში (წესები 16, 25 და 26) და იმ შემთხვევაში, თუ გადამზადებული ფასილიტატორი მიიჩნევს, რომ პროცესი მხარეთა საუკეთესო ინტერესებს ემსახურება (წესები 29 და 33). დანარჩენი ნორმები ეხება თანამშრომელთა მომზადებას (წესები 42-45 და 57), პროცესის უსაფრთხოდ და ეფექტიანად წარმართვას (ნაწილები III-VI), პრაქტიკის ჩაწერასა (წესი 39) და შეთანხმებათა შედეგებს (წესები 50-52). რეკომენდაცია ასევე განმარტავს, თუ როგორ შეიძლება აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება მსჯავრდებულების შემთხვევაში, მათ შორის, სასჯელის დაგეგმვის სამუშაოებში პრობაციის სამსახურების მონაწილეობით, სასჯელალსრულების დაწესებულებასა და სხვადასხვა კონტექსტში (წესები 58-61).

რატომ არის რეკომენდაცია მნიშვნელოვანი იუსტიციის სამინისტროსათვის?

საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულება, როგორც წესი, არ გამოიყენება, თუ დამზარალელები არის სრულწლოვანი, რომელიც არ არის განრიდებული სასამართლო განხილვისაგან. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ საქართველოში დამზარალელებთან და დამზარალელებთან დიდი ნაწილი ვერ სარგებლობს ამ პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებული სიკეთეებით და არ ეძლევათ შესაბამისი ინფორმაცია და შესაძლებლობა, რომ გადაწყვეტილება მიიღონ მათთვის აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ. ამიტომაც მნიშვნელოვანია სისხლის მართლმსაჯულების პროცესში სრულწლოვანი დამნაშავეების შემთხვევაში აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენებისათვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის შექმნა, როგორც სასჯელის მისჯის, ისე მისი მოხდის ეტაპზე (სასჯელალსრულების დაწესებულებაში).

რამდენადაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებით და განრიდებისა და მედიაციის პროგრამების ამოქმედებით მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირებამ მნიშვნელოვანი პროგრესი გამოიწვია, საქართველო ხელსაყრელ პოზიციაშია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის განვითარების თვალსაზრისით ლიდერად იქცეს რეგიონში. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შეუძლია უხელმძღვანელოს ან ხელი შეუწყოს ამ პროცესს სისხლის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ჩართულ სუბიექტებსა და ინტერესჯგუფებთან კომუნიკაციით, რათა შესაძლებელი გახდეს ცოდნასა თუ შესაძლებლობებში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა, საპილოტო პროგრამებისა თუ სხვა პროექტების დანერგვის პოტენციალის იდენტიფიცირება და აღდგენითი მართლმსაჯულების სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების შესახებ ეროვნული სტრატეგიებისა თუ პოლიტიკის შემუშავება. ახალი რეკომენდაციის გამოქვეყნება ქმნის შესაძლებლობის ფანჯარას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის, დანაშაულის პრევენციის ცენტრის განრიდებისა და მედიაციის განყოფილებისათვის, სისხლის მართლმსაჯულების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და მთავარი პროკურატურისათვის, პრობაციის სააგენტოსა და სისხლის მართლმსაჯულებაში ჩართული სხვა უწყებებისათვის, რომ მათ ამ მიმართულებით შემდგომი სამუშაოები გასწიონ. მეტიც, აღდგენითი მართლმსაჯულება რელევანტურია სხვა სამთავრობო უწყებებისა და საზოგადოების

სხვა სფეროებისთვის, რამდენადაც, მაგალითად, სკოლები უპირის-პირდებიან ჩავგრისა და ძალადობის პრობლემებს.

რა მხარდაჭერა არის ხელმისაწვდომი?

რეკომენდაცია შეიცავს რიგ ჩანაწერებს, რომლებიც შეიძლება დაეხმაროს საქართველოს მთავრობას საპილოტო პროგრამების, სტრატეგიების, პოლიტიკის, კონსულტაციების ან მრავალუწყებრივი პარტნიორობის განვითარებაში. აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმი (EFRJ) არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საკუთარ წევრებს შორის აერთიანებს ევროპის მასშტაბით წარმოდგენილ მკვლევრებს, პრაქტიკოსებს, პოლიტიკის ექსპერტებსა თუ ტრენერებს. შესაბამისად, შესაძლებელია მთავრობებისა თუ სისხლის მართლმსაჯულების ორგანოებისათვის კონსულტაციის, მხარდაჭერისა და ტექნიკური დახმარების გაწევა რეკომენდაციის აღსრულების პროცესში.

კონკრეტულად EFRJ და მისი წევრები შეიძლება დაეხმარონ მთავრობებს და სისხლის მართლმსაჯულების ორგანოებს შემდეგი მიმართულებებით:

- აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში სტრატეგიების, პოლიტიკისა და სამართლებრივი რეგულირების შემუშავება;
- ცნობიერების ამაღლების კამპანიების დაგეგმვა როგორც სისხლის მართლმსაჯულების, ისე ზოგად საზოგადოებრივ კონტექსტში;
- საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტების განვითარება;
- კვლევისა და შეფასების გამოყენება საუკეთესო პრაქტიკისათვის;
- ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული აღდგენითი პროცესის გზამკვლევი მითითებების შექმნა;
- საპილოტო პროექტების დანერგვა, განხორციელება და შეფასება;
- სისხლის მართლმსაჯულების პრაქტიკოსებისა და მენეჯერებისათვის მაღალი ხარისხის გადამზადების უზრუნველყოფა.

2018 წელს ჩამოყალიბდა ევროპის აღდგენითი მართლმსაჯულების პოლიტიკის ქსელი, რომელიც შედგება ევროპული სახელმწიფოების სამინისტროების წარმომადგენლებისაგან, რათა ხელი შეეწყოს

საერთაშორისო კავშირების დამყარებას და ინფორმაციისა თუ გამოცდილების გაცვლას აღდგენითი მართლმსაჯულების პოლიტიკის შემდგომი განვითარებისათვის. ქსელმა გამართა თავისი მეორე ყოველწლიური შეხვედრა 2019 წლის ნოემბრის ბოლოს. ევროპის მასშტაბით წარმოდგენილია 22 ქვეყანა და მოხარულები ვართ, რომ მათ შორის არის საქართველო. ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ვებგვერდზე განვათავსეთ რეკომენდაციის ქართული (არაოფიციალური) თარგმანიც.

მომდევნო წლებში ევროპის ფარგლებში მთავრობებს და სისხლის მართლმსაჯულების ორგანოებს დანმარებას გავუწევთ აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარებისათვის. ჩვენ სიამოვნებით ვიმუშავებთ საქართველოს მთავრობასთან ბოლო წლებში გატარებული სისხლის სამართლის რეფორმის სულისკვეთებისა და მიზნების განხორციელებაში წვლილის შესატანად.

შემდგომი განხილვისათვის მოგვმართეთ – policy@euforumrj.org
კეთილი სურვილებით,

ტიმ ჩაპმანი

აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის თავმჯდომარე

ედით ტორცი

აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის აღმასრულებელი დირექტორი

პროფესორი იან მარდერი

კრიმინოლოგიის ლექტორი, მაინუტის უნივერსიტეტი; აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის წევრი

დანართი III

აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის სტანდარტები და ღირებულებები

აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმი

ადამიანების დაკავშირება ურთიერთობების აღდგენის მიზნით

მოცემული დოკუმენტი მომზადებულია აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, აღდგენითი მართლმსაჯულების ღირებულებებისა და სტანდარტების შესახებ. ძირითადი ჯგუფი შედგებოდა შემდეგი პირებისგან:

- მონიკა ანდერსონი – ლიუვენი (ბელგია)
- კლაუდია კრისტენ-შნაიდერი – აღდგენითი მართლმსაჯულების შვეიცარიული ფორუმი (შვეიცარია)
- ვირჯინია დომინგო დე ლა ფუნტე – აღდგენითი მართლმსაჯულების სამეცნიერო საზოგადოება (ესპანეთი)
- ბელინდა ჰოპკინსი – კონფლიქტის ტრანსფორმაცია (დიდი ბრიტანეთი)
- ჯან ლუიჯი ლეპერი – psicolus & Sassari-ის უნივერსიტეტი (იტალია)
- დიანა ზიედინა – სახელმწიფო პრობაციის სამსახური (ლატვია)

ჯგუფს ხელმძღვანელობდა ტიმ ჩაპმანი, აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის თავმჯდომარე. სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში აგრეთვე მონაწილეობდნენ აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის სხვა წევრებიც: ედით ტორცი, ბრუნილდა პალი, პატრიცია პატრიცი, ემანუელა ბიფი, ლარს ოტო უსტადი.

ადამიანების დაკავშირება ურთიერთობების აღდგენის მიზნით

აღდგენითი მართლმსაჯულების

პრაქტიკის სტანდარტები და ღირებულებები

გამომცემლობა

აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმი

ჰუვერპლანი, 10 – 3000 ლიუვენი – ბელგია

www.euforumjr.org – info@euforumjr.org

რედაქტორებ

ტიმ ჩაპმანი & ედით ტორცი

აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის თავმჯდომარე
& დირექტორი

შესავალი

აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმი არის საერთაშორისო ქსელი, რომელიც აერთიანებს აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში აქტიურად ჩართულ სპეციალისტებს, აკადემიური სფეროს წარმომადგენლებს და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ. აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმი ხელს უწყობს პოლიტიკის, პრაქტიკისა და კვლევის განვითარებას ამ სფეროში, რათა ნებისმიერი ადამიანისთვის ხელმისაწვდომი გახდეს აღდგენითი მართლმსაჯულების მაღალი ხარისხი.

აღდგენითი მართლმსაჯულება არის ზიანის ან ზიანის რისკისადმი იმგვარი მიდგომა, რომელშიც ყველა დაინტერესებული მხარეა ჩართული და ზიანის ან დანაშაულის გამოსწორება და სამართლის აღსრულება ურთიერთგაგებისა და შეთანხმების საფუძველზე ხდება.

აღდგენითი მართლმსაჯულების სფერო სწრაფი ტემპით ვითარდება ევროპაში. ამ განვითარებას მნიშვნელოვანი სიკეთეები მოაქვს ინდივიდებისა თუ საზოგადოებისთვის. თუმცა, არსებობს რისკებიც. ხშირად აღდგენითს უწოდებენ ისეთ პრაქტიკას, რომელიც სინამდვილეში ასეთად არ მოიაზრება. არასათანადო ყურადღება ექცევა მონაწილეების დაცვას და აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის ორგანიზებას, რასაც მწირი შედეგი მოჰყვება და უარყოფითად აისახება აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობაზე.

ევროკავშირის პარლამენტის 2012/29/EU-ს დირექტივა და ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 2012/25, რომელიც მინიმალურ სტანდარტებს აყალიბებს დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის შესახებ და რომელიც ეხება სისხლის სამართლის აღდგენით მართლმსაჯულებას, არის ორი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი. მათში გაწერილია ბენეფიციარების დაცვისა და პროცესის მაღალი ხარისხით წარმართვის საფუძველები.

წარმოდგენილი დოკუმენტი შეიქმნა, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში. იგი არ წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს, რადგან მაღალია რისკები, რომ მკაცრად გაწერილი სტანდარტები შეზღუდავს ინოვაციური და კრეატიული მიდგომების არსებობას. აღდგენითი მართლმსაჯულება აგრეთვე ითვალისწინებს სხვადასხვა კონტექსტს, რომელშიც აღდგენითი პროცესების გამოყენება შესაძლებელია. აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების პრაქტიკა მრავალფეროვანია, მზარდია და მნიშვნელოვანია ესადაგებოდეს მონაწილეების განსხვავებულ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და კულტურებს.

მიმოხილვა

რა შემთხვევებში გამოიყენება აღდგენითი მართლმსაჯულება?

- როდესაც ადამიანებს ადგებათ ზიანი საზოგადოებაში, ორგანიზაციებში, სკოლებში, ოჯახებსა და მართლმსაჯულების სისტემაში.

რომელი ღირებულებებით ხელმძღვანელობს აღდგენითი მართლმსაჯულება?

- სამართალი
- სოლიდარობა და ანგარიშვალდებულება
- ადამიანის ღირსების პატივისცემა
- სიმართლე

რომელი პრინციპები მუშაობს პრაქტიკაში საუკეთესოდ?

- ნებაყოფლობითი მონაწილეობა ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე
- პირდაპირი და ავთენტური კომუნიკაცია
- პროცესები, რომლებშიც გათვალისწინებულია მონაწილეების საჭიროებები, უნარები და კულტურა
- თითოეული მონაწილის საჭიროებებისა და სურვილების თანაბრად დაფასება
- არაგანსჯადი, მიუკერძოებელი გაძლოლა
- დიალოგის მნიშვნელობა
- აღდგენით პროცესში შეთანხმებული მოქმედებების ზედმიწევნით განხორციელება

რა შედეგებს უნდა ველოდოთ აღდგენითი მართლმსაჯულებიდან?

- ინდივიდების მეტი ჩართულობა და კმაყოფილება სამართალწარმოების პროცესის მიმართ
- ფულის დაზოგვა
- ხელს უწყობს დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის შეწყვეტას
- ! მაგრამ, მხოლოდ მაშინ, თუ ის ეფუძნება საუკეთესო პრაქტიკას

რა შემთხვევებში გამოიყენება ალდგენითი მართლმსაჯულება?

ალდგენითი მართლმსაჯულების ღირებულებები, პრინციპები და პრაქტიკა შესაბამისობაშია თანამედროვე ევროპის წინაშე მდგარ სოციალურ, კულტურულ თუ ინდივიდუალურ პრობლემებთან.

სისხლის სამართლის ისეთი გავრცელებული დანაშაულები, როგორც არის ქურდობა ან ძალადობა, სიძულვილის გამოხატვა განსხვავებული რასის, კულტურის, მრწამსის, სქესისა თუ სექსუალური ორიენტაციის ადამიანის მიმართ, ძალადობრივი ექსტრემიზმი და ტერორიზმი, ქუჩის ძალადობა და არეულობა, მოსახლეობის დიდ ნაწილში იწვევს შიშს და ბრახს. ჩამოთვლილი დანაშაულების მიერ გამოწვეული ზიანი სკოლებსა თუ უბნებშიც აისახება.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულება და სხვა მარეგულირებელი სისტემები, ცხადია, პასუხობს კანონისა და წესების დამრღვევთ, მაგრამ ვერ ითვალისწინებს უშუალოდ იმ ადამიანების გამოცდილებას, ვისაც ეს ზიანი მიადგათ. ისინი, როგორც წესი, ფოკუსირდება ბრალდებულზე და უგულვებლყოფს მსხვერპლს. ტრადიციული სისტემები ვერ ითვალისწინებს გულისტკივილს, შფოთვას და ტანჯვას, რომელიც გამოწვეულია ზიანითა და კონფლიქტით. სისტემა არ არის მოწოდებული, ხელი შეუწყოს სოციალური ურთიერთობებისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას, ხელი შეუწყოს სხვადასხვა კულტურებისა და გაგების ადამიანებს, შეხვდნენ და მოუსმინონ ერთმანეთს. სისტემა ასევე არ უწყობს ხელს მოქალაქეებში პატივისცემისა და ურთიერთპასუხისმგებლობის დონის ამაღლებას.

ალდგენითი მართლმსაჯულების ეფექტიანობა დადასტურდა მრავალი თანამედროვე სოციალური პრობლემის გამოვლენისა და გადაჭრის პროცესში; სოციალური ურთიერთობების შენებისა და გაჯანსაღების, ანტაგონისტურად განწყობილი ინდივიდებისა თუ ჯგუფების ურთიერთგაგების ჩამოყალიბების, სხვათა გრძნობების, საჭიროებებისა და ღირებულებების მიმართ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გაძლიერების პროცესში.

ადამიანების იზოლაციის ან საშიშად აღქმული პირების განცალკევების ნაცვლად, ალდგენითი პროცესი ალადგენს უსაფრთხოებას და დაცულობას ადამიანების გაერთიანების გზით, რათა ებრძოდნენ უსამართლობას, გამოასწორონ ზიანი და შეამსუბუქონ ტანჯვა დიალოგისა და შეთანხმების გზით.

არამდგრადი სოციალური მდგომარეობიდან გამოსასვლელად კომუნიკაციისა და ურთიერთობის ახალი ფორმები ამოდის ზედაპირზე. ამის მიღწევა შესაძლებელი ხდება იმ ადამიანების გამოცდილების გაზიარებით, ვინც საკუთარ თავზე განიცადა საზოგადოებრივი უსამართლობა. ამგვარად, აღდგენითი პროცესები რეალური და პრაქტიკული გზაა სოციალური ინკლუზიისა და სოციალური ინტეგრაციის მიღწევის მიზნით.

აღდგენითი მართლმსაჯულება მიესადაგება და ეფექტიანია სამართლიანობის, უსაფრთხოების, მშვიდობის დამყარების, განათლების, სოციალური განვითარების, ოჯახის მხარდაჭერის, ბავშვთა უფლებების და კეთილდღეობის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმი აერთიანებს ადამიანებს და მათ შესაძლებლობას აძლევს, საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ შენარჩუნებას შეუწყონ ხელი.

რა შედეგებს უნდა ველოდოთ აღდგენითი მართლმსაჯულებიდან?

ემპირიული კვლევების უმეტესი ნაწილი, რაც აღდგენითი პროცესების დადებით მხარეზე ჩატარებულა, სისხლის სამართლის სისტემის კონტექსტში არის გაკეთებული. იმედის მომცემი შედეგები გამოიკვეთა აგრეთვე თემზე დაფუძნებულ, კულტურათაშორის კონტექსტებსა და სკოლებში აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომების გამოყენებისას.

მსხვერპლს და ზიანის მიმყენებელს და ზოგადად თემს სურთ ჩაერთონ აღდგენით მართლმსაჯულებაში

1. მსხვერპლი ხვდება დამნაშავეს სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორც არის შეკითხვების დასმა, კომპენსაციის მოთხოვნა, მიღებული ტრავმის განკურნება. ზოგ შემთხვევაში მსხვერპლი იმედოვნებს, რომ თავიდან იქნება აცილებული განმეორებითი დანაშაული, რაც, თავისთავად, მეტად უსაფრთხო საზოგადოების წინაპირობა იქნება.
2. დამნაშავეთა დიდი ნაწილი მზად არის, გამოასწოროს მათ მიერ მიყენებული ზიანი. მათ სურთ გამოხატონ სინანული. ასევე არსებობს შემთხვევები, როდესაც დამნაშავეს სურს, თავი აარიდოს სისხლისსამართლებრივ დევნას.

3. თემის მიერ დანაშაულის გააზრება, რაც ეხმარება დამნაშავეის რეინტეგრაციასა და მსხვერპლის მხარდაჭერას. თემის წევრების მონაწილეობა პროცესში დამნაშავეის მიერ პასუხისმგებლობის აღებას უწყობს ხელს.

მსხვერპლს და დამნაშავეს აქვთ მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის ბევრად დადებითი გამოცდილება

4. აღდგენითი პროცესი უზრუნველყოფს მსხვერპლისა და დამნაშავეის უფრო ეფექტიან ჩართულობას, ვიდრე ტრადიციული მართლმსაჯულების სისტემა. გათვალისწინებულია მსხვერპლის საჭიროებები და ინტერესები. დამნაშავეც მიიჩნევს, რომ მას ექცევიან უფრო სამართლიანად, ვიდრე ტრადიციული მართლმსაჯულების განხორციელებისას. ორივე მხარე აღიქვამს აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესს, როგორც უფრო სამართლიანს.
5. დამნაშავე კმაყოფილია მსხვერპლთან შეხვედრის და სინანულის გამოთქმის შესაძლებლობით. ჩანს, რომ მათ უფრო დადებითი დამოკიდებულება აქვთ პოლიციისა და კანონის მიმართ. აღდგენითი მართლმსაჯულება ხშირად ეხმარება ნათესავებსა და მეგობრებთან ურთიერთობის გამყარებაში, რაც ხელს უწყობს დანაშაულებრივი ქმედებების შეწყვეტას.

აღდგენითი მართლმსაჯულება ზოგავს თანხას

6. აღდგენითი მართლმსაჯულება ამცირებს განმეორებითი გასამართლების ხარჯებს. მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის მედიაციას სჭირდება დროის ერთი მესამედი, რომელიც იხარჯება არამედიაციური გზით წარმოებულ პროცესზე. დამნაშავესთან შეხვედრა, როგორც წესი, ამცირებს მსხვერპლში პოსტტრავმაული სტრესის სიმპტომებს. მეტიც, ხშირად მას თერაპიული ზეგავლენაც კი შეიძლება ჰქონდეს მკვლელობის შედეგად გარდაცვლილი პირის ნათესავებზე. ასეთი მრავალწლიანი მკურნალობის ტოლფასი პროცესი ამცირებს გადასახადების გადამხდელთა მიერ გაწეულ სამედიცინო ხარჯებს.

აღდგენით პროცესებს აქვს პოზიტიური შედეგები

7. კვლევებმა აჩვენა, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება მეტად აკმაყოფილებს მსხვერპლს და დამნაშავეს, ამცირებს

დამნაშავის რადიკალიზაციას და ზრდის შანსს დამნაშავის რესტიტუციის სხვა, ტრადიციულ სისხლის სამართლის პროგრამებთან შედარებით. კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ აღდგენითი მართლმსაჯულებით კმაყოფილია მსხვერპლთა 85% და იგი ამცირებს მათში განმეორებითი ზიანის მიღებასთან დაკავშირებულ შიშს.

8. კვლევები ადასტურებს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება ხელს უწყობს დანაშაულებრივი ქმედებებისგან თავის შეკავებას. ამის მიზეზი არის სინანულის გრძნობა, განცდა, რომ არ გაგრძნობინებენ თავს ცუდ ადამიანად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა, დათანხმება შედეგზე, მსხვერპლთან შეხვედრა და ბოდიშის მოხდა. ეს პროცესი განამტკიცებს პროსოციალურ იდენტობას.

ამ შედეგების მისაღწევად აღდგენითი პრაქტიკა უნდა აკმაყოფილებდეს მალალ სტანდარტებს

9. აღდგენითი მართლმსაჯულება გვთავაზობს დანაშაულთან ბრძოლის განსხვავებულ გზას, რომელიც ითვალისწინებს მსხვერპლის, დამნაშავისა და მათი თემის საჭიროებებს. არ შეიძლება გადაჭრით იმის თქმა, რომ აღდგენითი მიდგომების გამოყენება მეტად ან ნაკლებად ეფექტიანია კონკრეტული ტიპის დამნაშავისა თუ დანაშაულის შემთხვევაში.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების განმახორციელებელი პროფესიონალები სისტემატურად მუშაობდნენ მალალი ხარისხის უზრუნველყოფაზე. ეს გულისხმობს უსაფრთხო, ნეიტრალური და კონფიდენციალური გარემოს შეთავაზებას, რათა მონაწილე მხარეებმა კომფორტულად იგრძნონ თავი. სპეციალისტები კარგად უნდა იყვნენ მომზადებულნი და მალალი კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეთ. მათ სწორი და გულწრფელი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ მონაწილეებს, რათა მათ ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღონ პროცესში მონაწილეობაზე.

საუკეთესო პრაქტიკა საშუალებას აძლევს მსხვერპლს, საკუთარი ვიქტიმიზაცია კონსტრუქციული შედეგის მისაღწევად გამოიყენოს. ამგვარად, მოვლენილი განსაცდელისგან სარგებელი მოიპოვოს. მალალი სტანდარტის შენარჩუნების პირობებში, აღდგენითი მართლმსაჯულება დანაშაულთან უფრო


ჰუმანურ მიდგომას გვთავაზობს, რადგან ის პირველ რიგში მსხვერპლის რეაბილიტაციას ემსახურება, ასევე დამნაშავეს გარიდებას დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისგან. მნიშვნელოვანია უზრუნველვეყოთ, რომ მართლმსაჯულების სისტემამ არ დაამახინჯოს აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესი. მსხვერპლის უკმაყოფილება პროცესით, უპირველესად, არის ყურადღების ნაკლებობა მათი საჭიროებების მიმართ, რადგან ხშირად მეტი ყურადღება დამნაშავეს ეთმობა.

რა ღირებულებებით ხელმძღვანელობს აღდგენითი მართლმსაჯულება?

ძირითადი ღირებულებები

1. აღდგენითი მართლმსაჯულება მოქმედებს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვის საზღვრებში.
2. არ ახდენს დისკრიმინაციას სქესის, რასის, რელიგიის, ეთნიკური კუთვნილებისა თუ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.
3. მხარს უჭერს ხალხის აქტიურ მონაწილეობას დემოკრატიულ საზოგადოებებში, როგორც აქტიური და თანასწორუფლებიანი მოქალაქეებისა.

ღირებულებები, რომლებიც მნიშვნელოვანია აღდგენითი მართლმსაჯულებისთვის



სამართალი

აღდგენითი მართლმსაჯულება ფოკუსირდება ზიანზე, რომელიც არის უსამართლო ან არასწორი. ზოგიერთი აღდგენითი პრაქტიკა მიმართულია უსამართლობის აღკვეთისკენ რასაც ადამიანების ჩართულობით უზრუნველყოფს, მაშინ როდესაც სხვა ადამიანები უსამართლობის გამოსწორებას პასუხისმგებლობის ალებით, ზიანის გამოსწორებით, ტანჯვის შემსუბუქებით და მომავალი ზიანის აღბათობის შემცირებით ახერხებენ. იმისათვის, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება იყოს ეფექტიანი, ის უნდა იყოს მაქსიმალურად სამართლიანი და არც ერთი მხარე არ უნდა დომინირებდეს პროცესში.

სოლიდარობა

აღდგენითი მართლმსაჯულება ცნობს ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებას და განსხვავებულობას. კეთილდღეობისა და ურთიერთგაგებისთვის კი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ინდივიდების ურთიერთობის ხარისხს. ეს იძლევა შესაძლებლობას, ადამიანის პასუხისმგებლობა ურთიერთკეთილდღეობას დაეუკავშიროთ. ამ შედეგის მისაღწევად, აღდგენითმა პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს ადამიანებს, აიღონ ინდივიდუალური და სოციალური პასუხისმგებლობა საკუთარ სიტყვებსა და ქმედებებზე.

ადამიანების ღირსების პატივისცემა

აღდგენითი პროცესი ამართლებს, რადგან ის ეხება ყველას, ვისაც მიაღდა ზიანი ან ზიანის რისკი და რადგან მიიჩნევა, რომ ყველა ადამიანი არის ღირებული და აქვს ინტელექტი, ცოდნა და უნარი იმ საკითხებზე სასაუბროდ, რომელიც მას ეხება. ეფექტიანობის მისაღწევად აღდგენითი პროცესი უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხოებას, პატივისცემას ადამიანების მიმართ, რათა მათ პროცესის წამყვანად იგრძნონ თავი და თავისუფლად ისაუბრონ.

სიმართლე

აღდგენითი მართლმსაჯულება ნებისმიერ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, შეაფასოს ზიანი ან ზიანის რისკი საკუთარი

გამოცდილების შესაბამისად. ის აღიარებს, რომ ნებისმიერი ინდივიდის ჩვენება შეიცავს სიმართლეს, თუმცა ეს სიმართლე შესაძლოა არ იყოს სრულყოფილი. სიმართლის მაქსიმალურად დადგენას ხელს უწყობს შეკითხვები და დიალოგი. ამის მისაღწევად მხარეებს უნდა ესმოდეთ, რომ აუცილებელია სიმართლის თქმა, რომ უნდა იყვნენ გულწრფელები საკუთარ განზრახვებში და იმ ვალდებულებებში, რომელიც მათ აიღეს პროცესის შედეგად.

რომელი პრინციპები მუშაობს პრაქტიკაში ღირებულებების უკეთ გამოსახატავად და დადებითი შედეგების მისაღწევად?

პრინციპი 1. აღდგენითი ღირებულებები და დადებითი შედეგები ყველაზე კარგად მიიღწევა მაშინ, როდესაც მხარეებს შორის კომუნიკაცია არის კარგი და ავთენტური.

პირისპირ შეხვედრები საუკეთესო გზაა, თუმცა ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ეს მოითხოვს აღდგენითი პროცესის ინკლუზიურობას.

პრინციპი 2. აღდგენითი პროცესი მორგებული უნდა იყოს მონაწილეების საჭიროებებზე, მათ უნარებსა და კულტურაზე.

პრინციპი 3. აღდგენით პროცესში ეფექტიანი მონაწილეობა მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუკი თითოეული მხარის შესაძლებლობები, ხედვა, ემოცია და საჭიროებები არის თანაბრად აღიარებული და დაფასებული.

აღნიშნული პრინციპების გამოყენებით მხარეთა მონაწილეობა და მონაწილეობისთვის მზადება არის აღდგენითი პროცესის მთავარი ფაზა.

1. მოწვევა მონაწილეობის მისაღებად: ადამიანები მონაწილეობენ მხოლოდ მათი სრული ინფორმირებული თანხმობის შემდეგ.

1.1. თითოეულ მხარეს, თანხმობის მიცემამდე, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს მიზანი, ზოგადი წესები, პროცესი და მასში მონაწილეობით დამდგარი შედეგი. დაუშვებელია ზეწოლის მცდელობა პროცესში მონაწილეობაზე თანხმობის მისაღებად;

- 1.2. პროცესი უნდა ითვალისწინებდეს მხარეების საჭიროებებს, უნარებსა და კულტურას. ამისთვის მნიშვნელოვანია, მოვუსმინოთ თითოეული ადამიანის ამბავს, ვიდრე ავუხსნიდეთ, თუ რამდენად შესაბამისობაშია აღდგენითი პროცესი მათ უნარებსა და კულტურასთან.
- 1.3. თითოეულ მხარეს წინასწარ უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ისაუბრონ იმ შიშებსა და ეჭვებზე, რომელიც პროცესთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. სპეციალისტმა უნდა აუხსნას მხარეებს, თუ როგორ დაკმაყოფილდება მათი მოთხოვნები. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ ადამიანს სჯეროდეს პროცესის უსაფრთხოების (არ ჰქონდეს დისკომფორტის განცდა). წესები უნდა იყოს მკაფიო. მოხალისეობრივი მონაწილეობა ნიშნავს იმას, რომ თითოეულ ადამიანს შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა. აღდგენით პროცესში მონაწილეობაზე უარის თქმას არ უნდა მოჰყვეს უკუშედეგი მომავალი სისხლის სამართალწარმოების პროცესში.
- 1.4. ნებისმიერი პრაქტიკული დაბრკოლება (ტრანსპორტი, დრო, მდებარეობა, სხვადასხვა ყოველდღიური მოვალეობა და სხვა) შეძლებისდაგვარად უნდა იყოს დაძლევადი.
2. მომზადება მონაწილეობისთვის: ადამიანები მზად უნდა იყვნენ პროცესში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.
 - 2.1. შესაბამის შემთხვევებში, მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ შეხვედრებზე მხარდამჭერის დასწრების შესაძლებლობა.
 - 2.2. მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია პროცესის განვითარების შესახებ; რათა მოემზადონ სათანადოდ და ჩამოყალიბდნენ, თუ რისი თქმა სურთ და როგორ.

პრინციპი 4. აღდგენითი ღირებულებები და დადებითი შედეგები მიიღწევა მონაწილეთა შორის ორმხრივი დიალოგის გამართვის და მოქმედებაზე შეთანხმების გზით. ადამიანებს სურთ ზიანის გამოსწორება და საკითხის მოგვარება. დი-

ალოგი მოიცავს საუბარს ურთიერთგაგების და მოქმედების შეთანხმების მისაღწევად. სპეციალისტის მთავარი ამოცანაა დიალოგის შენარჩუნება და პროცესის მონაწილეთა მოდერაცია ძირითადი წესების შესაბამისად.

3. კომუნიკაცია მონაწილეთა შორის:

- 3.1. აღდგენითი პროცესის ფორმა უნდა იქნეს შერჩეული და მორგებული მონაწილეთა საჭიროებებზე, უნარებსა და კულტურაზე.
- 3.2. თითოეულ მონაწილეს უნდა ჰქონდეს საკმარისი მხარდაჭერა, რათა შეძლონ ზიანთან ან საქმესთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარება ისე, როგორც ეს მათ სურთ.
- 3.3. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მონაწილეს ჰქონდეს შესაძლებლობა, გამოხატოს ემოცია, საჭიროებები და დასვას კითხვები თავისუფლად.
- 3.4. კომუნიკაცია მონაწილეთა შორის უნდა იყოს ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული.
- 3.5. შეთანხმება დაფუძნებული უნდა იყოს ზიანის ან საქმის ორმხრივ გაგებასა და ვალდებულებებზე, რომელსაც ეს გაგება წარმოშობს. ფოკუსირებული უნდა იყოს ქმედებებზე, პასუხისმგებლობასა და ვადებზე.

პრინციპი 5. აღდგენით პროცესებში შეთანხმებული მოქმედებები უნდა განხორციელდეს ზედმიწევნით.

იმისათვის, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართ არსებობდეს ნდობა მონაწილეებისა და საზოგადოების მხრიდან, შეთანხმებები უნდა იყოს ცალსახად ღირსეული. ეს მოითხოვს პერსონალურ პასუხისმგებლობას, საზოგადოების მხარდაჭერასა და ანგარიშვალდებულების გააზრებას.

4. მიღწეული ქმედების განხორციელება და გადახედვა

- 4.1. შეთანხმებულ ქმედებებზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა მიიღონ საჭირო მხარდაჭერა.

- 4.2. უნდა დაიგვემოს პროგრესის გადახედვის შესაძლებლობა.
- 4.3. მხარდაჭერა უნდა მიიღონ პირებმა, ვინც არ ასრულებს საკუთარ ვალდებულებებს, რათა გახდნენ ანგარიშვალდებულნი.

როგორ უზრუნველვყოთ პრაქტიკის საუკეთესო სტანდარტები ადამიანებისთვის?

1. შესავალი

აღდგენითი მართლმსაჯულების სფერო შეიცავს, ერთი მხრივ, პრაქტიკისთვის მზარდ კონტექსტებს, მეორე მხრივ, პროცესების შედეგობრივ ფართო სპექტრს. გადამწყვეტი მნიშვნელობის არის ის, რომ აღდგენითი პროცესი ესადაგებოდეს მონაწილეების საჭიროებებს, მათ უნარებსა და კულტურას.

აღდგენითი მართლმსაჯულება უწყვეტად ვითარდება, ახალი გამოწვევების წინაშე დგება და ინოვაციურ მიდგომებს სრულყოფს. ამიტომ, პრაქტიკის სტანდარტები პროგრესულ ცვლილებებს არ უნდა ჩამორჩეს და რეგულარულად უნდა გადაიხედოს. ამ პროცესის წარმართვა, ევროპის აღდგენითი მართლმსაჯულების ფორუმის, ღირებულებებისა და სტანდარტების კომიტეტის მანდატის ნაწილია.

სტანდარტებმა უნდა გაუადვილონ მუშაობა სპეციალისტებს და მენეჯერებს. აუცილებელია, მუდმივად იყოს დაცული ბალანსი მხარეების უფლებებსა და ინტერესებს შორის. სტანდარტების ზედმიწევნით დაცვამ უნდა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის პროცესის წარმართვა.

სტანდარტები არ არის წარმოდგენილი სავალდებულო ჩამონათვალის სახით, რომელთა დაცვა შეიძლება გორმალური იყოს. ისინი კითხვარის ფორმატშია მოქცეული, ცნობიერი და უკუკავშირზე დაფუძნებული პრაქტიკის წასახალისებლად. კითხვების რელევანტურობა დამოკიდებული იქნება კონტექსტსა და პროცესის სახეობაზე.

2. აღდგენითი პროცესის ორგანიზება

- 2.1 იყო თუ არა უზრუნველყოფილი აღდგენითი პროცესის უსაფრთხო, დახურულ და კონფიდენციალურ გარემოში ჩატარე-

ბა? იყო თუ არა პროცესის გამართვის თარიღი და დრო მოსახერხებელი მონაწილეებისთვის?

- 2.2 იყო თუ არა გამოჩენილი სიფრთხილე მონაწილეების ჩართულობასა და აღდგენით პროცესში მიპატიჟებაზე?
- 2.3 იყო თუ არა დაცული შესაბამისი კრიტერიუმები მონაწილის პროცესიდან გარიცხვის შემთხვევაში?
- 2.4 იყო თუ არა აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში ჩართვა მონაწილეების თავისუფალი ნებით განპირობებული? ჰქონდათ თუ არა მონაწილეებს ინფორმაცია აღდგენითი პროცესის მიზნის, ზოგადი წესებისა და მასში მონაწილეობით დამდგარი შედეგის შესახებ?
- 2.5 იცოდნენ თუ არა მონაწილეებმა, რომ პროცესის განმავლობაში ნებისმიერ დროს შესაძლებელია აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობაზე უარის თქმა.
- 2.6 იცოდნენ თუ არა მონაწილეებმა, რომ მათ მხარდამჭერებს აღდგენით პროცესზე დასწრების უფლება ჰქონდათ?
- 2.7 აიღო თუ არა სპეციალისტმა პასუხისმგებლობა აღდგენითი პროცესის უსაფრთხოებაზე?
- 2.8 ხომ არ დარჩა პასუხგაუცემელი გამოწვევა მონაწილეობის მიღების თაობაზე?
- 2.9 იყო თუ არა აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესისთვის შერჩეული ფორმა და გარემო მონაწილეების საქიროებებზე, მათ უნარებსა და კულტურაზე მორგებული?
- 2.10 იყვნენ თუ არა მზად მონაწილეები პროცესში აქტიური ჩართულობისთვის?

3. პროცესის წარმართვა

- 3.1 წარიმართა თუ არა პროცესი ყველასთვის უსაფრთხო გარემოში?
- 3.2 წარიმართა თუ არა პროცესი სამართლიანად? მიეცათ თუ არა მონაწილეებს თანასწორი ჩართულობის შესაძლებლობა, მეორე მხარის დომინირების გარეშე?

- 3.3 გათვალისწინებულ იქნა თუ არა მონაწილეების განსხვავებული საჭიროებები, უნარები და კულტურა?
- 3.4 ჰქონდა თუ არა დამნაშავეს საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებლობის აღების შესაძლებლობა?
- 3.5 ჰქონდათ თუ არა მონაწილეებს დიალოგში შესვლის შესაძლებლობა?
- 3.6 ჰქონდათ თუ არა მონაწილეებს საკუთარი გრძნობებისა და პირადი პერსპექტივების გამოხატვის შესაძლებლობა?
- 3.7 შეუწყო თუ არა ხელი ფასილიტატორმა პროცესში გულწრფელ და მოკრძალებულ დიალოგს?
- 3.8 განსჯიდა თუ არა ფასილიტატორი პროცესში?
- 3.9 მიღწეულ იქნა თუ არა შეთანხმება ნებაყოფლობით? შეიცავდა თუ არა შეთანხმება მხოლოდ დასაშვებ და ზომიერ ვალდებულებებს?
- 3.10 გამოხატავდა თუ არა შეთანხმება მონაწილეების იდეებს? შეიკავა თუ არა თავი ფასილიტატორმა იდეებისა და შეთავაზებების გაკეთებისგან?
- 3.11 იყვნენ თუ არა მონაწილეები გულწრფელნი ნებაყოფლობით ნაკისრ ვალდებულებებში?
- 3.12 მიიღეს თუ არა მონაწილეებმა ადეკვატური მხარდაჭერა ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად?
- 3.13 გამოყენებულ იქნა თუ არა მონიტორინგის, განხილვისა და ანგარიშვალდებულების ეფექტიანი სისტემა?

4. შედეგები

- 4.1 აიღო დამნაშავემ ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებლობა?
- 4.2 სრულად იქნა გამოკვლეული ზიანის ზემოქმედება?
- 4.3 იყვნენ თუ არა მონაწილეები გულწრფელნი ზიანის, მისი მიზეზებისა და შედეგის წარმოჩენაში?

- 4.4 დაკმაყოფილდა თუ არა მონაწილეების საჭიროებები?
- 4.5 დაცულ იქნა თუ არა კონფიდენციალურობის პრინციპი ძირითადი წესებისა და ეროვნული სამართლის შესაბამისად?
- 4.6 იყო თუ არა შეთანხმებული მოქმედება ნებაყოფლობითი და სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, მონაწილეთა მიერ წამოჭრილ საკითხებთან მიმართებით? იყო თუ არა შეთანხმებული დრო საკმარისი წამოჭრილი საკითხების განსახილველად?
- 4.7 დაუჭირეს თუ არა მხარი დამნაშავეს და დააკისრეს თუ არა მას პასუხისმგებლობა მის მიერ აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის განმავლობაში ნაკისრ ვალდებულებებზე?
- 4.8 გამოხატეს თუ არა მონაწილეებმა პროცესის და მისი შედეგის მიმართ კმაყოფილების გრძნობა?

5. სპეციალისტების მოლოდინები

- 5.1 სპეციალისტებმა უნდა გამოხატონ თანაგრძნობა მონაწილეების ტანჯვისა და დარდის მიმართ, გაითვალისწინონ თითოეული ადამიანის მოთხოვნილებებისა და სურვილების სპეციფიკური ბუნება და მოწოდებული იყვნენ პოზიტიური შედეგის მიღწევაზე.
- 5.2 სპეციალისტებმა არ უნდა განსაჯონ და თავი უნდა შეიკავონ შეთანხმებაზე დომინანტური გავლენის მოხდენისგან.
- 5.3 სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ კარგი კომუნიკაციისა და მოსმენის უნარი.
- 5.4 სავალდებულოა, რომ სპეციალისტები იყვნენ კომპეტენტურნი საკუთარ საქმიანობაში და მუდმივად ეძებდნენ საქმის სიღრმისეული შესწავლისა და გაუმჯობესების შესაძლებლობებს.
- 5.5 სპეციალისტები პასუხისმგებელნი არიან პროცესის წარმართვასა და შეთანხმების მიღწევაზე.

6. აღდგენითი მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანიზაციების მოლოდინები

- 6.1 აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესი უნდა იყოს ინფორმატიული და ეფუძნებოდეს კვლევებს, მუდმივად უნდა შეფასდეს ხარისხისა და ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად.
- 6.2 ორგანიზაციებმა პატივი უნდა სცენ აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესების ღირებულებებისა და პრინციპების ერთობლიობას.
- 6.3 აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესი უნდა წარიმართოს გამოცდილი სპეციალისტების მიერ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ხარისხიან ტრენინგში, რომელიც, თავის მხრივ, აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესებზეა მორგებული.
- 6.4 ორგანიზაციებმა დამწყებ სპეციალისტებს უნდა შესთავაზონ შესაძლებლობა, პროცესის თანაფასილიტატორების მეშვეობით, სხვა, უფრო გამოცდილ ფასილიტატორებთან ერთად, აიმაღლონ საკუთარი გამოცდილება.
- 6.5 ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ სპეციალისტების მეთვალყურეობა და მათთვის შესაბამისი რჩევების მიცემა სპეციფიკურ შემთხვევებში.
- 6.6 ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ უსაფრთხო გზები საჩივრებისთვის და სასურველია, გაუმკლავდნენ მათ აღდგენითი მეთოდებით.
- 6.7 სპეციალისტებმა მუდმივად უნდა გააანალიზონ და ისწავლონ საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, რაშიც მათ მხარდაჭერა უნდა გაეწიოთ, ერთი მხრივ, ტრენინგების და, მეორე მხრივ, ხელმძღვანელების დახმარებით.
- 6.8 აღდგენითი მართლმსაჯულების სფერო მოითხოვს სპეციალისტების გადამზადებას სპეციფიკურ ცოდნასა და უნარებში.
- 6.9 ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმისთვის, რომ აღდგენითი პროცესები დასრულდეს მაქსიმალურად შედეგიანად და შეთანხმებულ ვადაში.

7. აღდგენითი მართლმსაჯულების სამართლებრივი ჩარჩოები

- 7.1 აღდგენითი მართლმსაჯულების პოლიტიკა და საკანონმდებლო რეგულაციები გაჯერებული უნდა იყოს აღდგენითი ღირებულებებით და აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი მისი პრინციპების განხორციელებას.
- 7.2 აღდგენითი მართლმსაჯულების სამართლებრივმა ჩარჩომ და ინსტიტუციურმა მოწყობამ უნდა უზრუნველყოს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესები განხორციელდეს უკომპრომისოდ, აღდგენითი მართლმსაჯულების ძირითადი ღირებულებებისა და ფასეულობების დაცვით.
- 7.3 აღდგენითი მართლმსაჯულების ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ფუნქციონირებისთვის საჭირო სტაბილური დაფინანსება.

დამხმარე ლიტერატურა

- Abingdon, Oxon: Routledge; Jacobson, J., & Gibbs, P. (2009). *Out of Trouble. Making Amends: restorative youth justice in Northern Ireland*. London: Prison.
- Abingdon, Oxon: Routledge; Morris, A., & Maxwell, G. (2001). *Restorative Justice for Juveniles*. Oxford: Hart Publishing.
- Beckett, H., Campbell, C., O'Mahony, D., Jackson, J., & Doak, J. (2004). *Interim evaluation of the Northern Ireland Youth Conferencing Scheme: Research and statistical bulletin 1/2005*. Belfast: Northern Ireland Statistics and Research Agency.
- Bradshaw, B., & Roseborough, D. (2005). Restorative justice dialogue: The impact of mediation and conferencing on juvenile recidivism. *Federal Probation*, 69(2).
- De Beus, K., & Rodriguez, N. (2007). Restorative justice practice: An examination of program completion and recidivism. *Journal of Criminal Justice*, 35(3).
- Hoyle, C., Young, R., & Hill, R. (2002). *Proceed with Caution: An Evaluation of the Thames Valley Police Initiative in Restorative Cautioning*. York: Joseph Rowntree Foundation.
- Latimer, J., Dowden, C., & Muise, D. (2005). The Effectiveness of Restorative Justice Practices: A Meta-Analysis. *Prison Journal*.
- Latimer, J., Dowden, C., & Muise, D. (2005). The Effectiveness of Restorative Justice Practices: A Meta-Analysis. *Prison Journal*.
- Latimer, J., Dowden, C., & Muise, D. (2005). The Effectiveness of Restorative Justice Practices: A Meta-Analysis. *Prison Journal*, 85(2).
- Lauwaert, K., & Aertsen, I. (2015). Desistance and restorative justice. Mechanisms for desisting from crime within restorative justice practices. *European Forum of Restorative Justice*.
- Lauwaert, K., & Aertsen, I. (2015). Desistance and restorative justice. Mechanisms for desisting from crime within restorative justice practices. *European Forum of Restorative Justice*.
- Laxminarayan, M. (2011). *Accessibility and Initiation of Restorative Justice*.

- Final Report of Project JUST/2011/JPEN/2968. European Forum for Restorative Justice.
- McGarrell, E. E., Olivares, K., Crawford, K., & Kroovand, N. (2000). *Returning Justice to the Community: The Indianapolis Juvenile Restorative Justice Experiment*. Hudson Institute.
- Morris, A., & Maxwell, G. (2001). *Restorative Justice for Juveniles*. Oxford: Hart Publishing.
- Morris, A., & Maxwell, G. (2001). *Restorative Justice for Juveniles: Conferencing, Mediation and Circles*. Oxford: Hart Publishing.
- Restorative Justice: the Evidence*. London: The Adam Institute. 8 Vanfraechem, I., Aertsen, I., & Willemsens, J. (2010). *Restorative Justice Realities. Empirical Research in a European Context*. The Hague: Eleven International Publishing.
- Robinson, G., & Shapland, J. (2008). Reducing Recidivism. A Task for Restorative Justice? *British Journal of Criminology*.
- Robinson, G., & Shapland, J. (2008). Reducing Recidivism. A Task for Restorative Justice? *British Journal of Criminology*, 48.
- Schütz, H. (1999). Die Rückfallshäufigkeit nach einem Außergerichtlichen Tausgleich bei Erwachsenen. *Österreichische Richterzeitung*, 77.
- Shapland et al. (2012). *Quality, probation and desistance from crime*.
- Shapland, J., Atkinson, A., Atkinson, H., Dignan, J., Edwards, L., Hibbert, J., Howes, M., Johnstone, J., Robinson, G., & Sorsby, A. (2008). Does restorative justice affect reconviction? The fourth report from the evaluation of three schemes. Ministry of Justice Research Series.
- Shapland, J., Atkinson, A., Atkinson, H., Dignan, J., Edwards, L., Hibbert, J., Howes, M., Johnstone, J., Robinson, G., & Sorsby, A. (2008). Does restorative justice affect reconviction? The fourth report from the evaluation of three schemes. Ministry of Justice Research Series 10/08.
- Shapland, J., Robinson, G., & Sorsby, A. (2011). *Restorative Justice in Practice: Evaluating what works for victims and offenders*. Abingdon, Oxon: Routledge.
- Shapland, J., Robinson, G., & Sorsby, A. (2011). *Restorative Justice in Practice: Evaluating what works for victims and offenders*. Abingdon, Oxon: Routledge

- Shapland, J., Robinson, G., & Sorsby, A. (2011). *Restorative Justice in Practice: Evaluating what works for victims and offenders*.
- Shapland, J., Robinson, G., & Sorsby, A. (2011). *Restorative Justice in Practice: Evaluating what works for victims and offenders*.
- Shapland, J., Robinson, G., & Sorsby, A. (2011). *Restorative Justice in Practice: Evaluating what works for victims and offenders*. Abingdon, Oxon: Routledge.
- Shapland, J., Robinson, G., & Sorsby, A. (2011). *Restorative Justice in Practice: Evaluating what works for victims and offenders*. Abingdon, Oxon: Routledge.
- Sherman, L. W., & Strang, H. (2007). *Restorative Justice: the Evidence*. London: The Adam Institute.
- Sherman, L., Strang, H., & Woods, D. (2000). *Recidivism Patterns in the Canberra Reintegrative Shaming Experiments (RISE)*. (Canberra: Centre for Restorative Justice, Research School of Social Sciences, Australian National University).
- Stone, Helms, and Edgeworth, 1998, in Umbreit, M. S., Coates, R. B., & Vos, B. (2001). *The impact of victim-offender mediation: Two decades of research*. Federal Probation
- Strang, H. (2002). *Repair of Revenge: Victims and Restorative Justice*. *The British Journal of Criminology*.
- Strang, H. (2002). *Repair of Revenge: Victims and Restorative Justice*. *The British Journal of Criminology*, 44(2).
- Strang, H., Barnes, G. C., Braithwaite, J., & Sherman, L. (1999). *Experiments in Restorative Policing: A Progress Report on the Canberra Reintegrative Shaming Experiments (RISE)*. Canberra: Australian National University.
- Strang, H., Sherman, L., Angel, C. M., Woods, D. J., Bennett, S., New – bury-Birch, D., & Inkpen, N. (2006). *Victim evaluations of face-to-face restorative justice experiences: A quasi experimental analysis*. *Journal of Social Issues*.
- The Hague: Eleven International Publishing; Sherman, L. W., & Strang, H. (2007).
- Umbreit, M. S., Coates, R. B., & Vos, B. (2001). *The impact of victim-offender mediation: Two decades of research*.

- Umbreit, M. S., Coates, R. B., & Vos, B. (2001). The impact of victim-offender mediation: Two decades of research. *Federal Probation*.
- Umbreit, M. S., Coates, R. B., & Vos, B. (2001). The impact of victim-offender mediation: Two decades of research. *Federal Probation*.
- Umbreit, M. S., Vos, B., Coates, R. B., & Lightfoot, E. (2005). Restorative Justice in the Twenty-first Century: A Social Movement Full of Opportunities and Pitfalls. *Marquette Law Review*, 89(2).
- Umbreit, M., & Coates, R. (1993). Cross-site analysis of victim offender mediation in four states. *Crime and Delinquency*.
- Van Camp, T. (2017). Understanding victim participation in restorative practices: Looking for justice for oneself as well as for others. *European Journal of Criminology*.
- Van Camp, T. (2017). Understanding victim participation in restorative practices: Looking for justice for oneself as well as for others. *European Journal of Criminology*.
- Vanfraechem, I., Aertsen, I., & Willemsens, J. (2010). Restorative Justice Realities. Empirical Research in a European Context. The Hague: Eleven International Publishing.
- Vanfraechem, I., Aertsen, I., & Willemsens, J. (2010). Restorative Justice Realities. Empirical Research in a European Context.
- Vanfraechem, I., Aertsen, I., & Willemsens, J. (2010). Restorative Justice Realities. Empirical Research in a European Context. The Hague: Eleven International Publishing.
- Vanfraechem, I., Aertsen, I., & Willemsens, J. (2010). Restorative Justice Realities. Empirical Research in a European Context. The Hague: Eleven International Publishing.
- Walgrave, L., Aertsen, I., Parmentier, S., Vanfraechem, I., & Zinsstag, E. (2013). Why restorative justice matters for criminology. *Restorative Justice*, 1(2).

ავტორების შესახებ

ივო ერცენი ლუვენის (ბელგია) უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის პროფესორ ემერიტუსია. ის სამეცნიერო ხარისხებს ფლობს ფსიქოლოგიაში, სამართალსა და კრიმინოლოგიაში. 2001-2019 წლებში ივო ერცენი ხელმძღვანელობდა „აღდგენითი მართლმსაჯულების და ვიქტიმოლოგიის“ კვლევებს ლუვენის კრიმინოლოგიის ინსტიტუტში (LINC). მისი კვლევისა და სწავლების ძირითადი მიმართულებებია ვიქტიმოლოგია, პენოლოგია და აღდგენითი მართლმსაჯულება. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა არაერთი კვლევა და პროექტი პენიტენციური სისტემის, სასჯელების და ალტერნატიული ღონისძიებების, სხვადასხვა ინსტიტუციაში აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომების გამოყენების, დაზარალებულების საჭიროებების, სერვისების და კანონმდებლობის შესახებ.

ივო ერცენი 2000-2004 წლებში იყო აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის (EFRJ) თავმჯდომარე. წლების განმავლობაში ის არის გაეროს, ევროპის საბჭოს, ეუთოსა და ევროკავშირის ექსპერტი. ასევე არის ევროპული FP7-პროექტის „ალტერნატივა“ (2012-2016) ინიციატორი და კოორდინატორი. პროექტი გულისხმობს მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების ალტერნატიული გაგების განვითარებას. ივო ერცენი არის „აღდგენითი მართლმსაჯულების საერთაშორისო ჟურნალის“ მთავარი რედაქტორი. 2015 წლიდან პროფესორი ივო ერცენი საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარებას დაუღალავი მხარდამჭერია.

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯანა (დარეჯან) ჯავახიშვილი** ხელმძღვანელობს ადიქციის კვლევების ინსტიტუტს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2019 წლის იანვრიდან, ორი წლის ვადით, იგი არჩეულ იქნა ევროპის ფსიქოტრავმის კვლევის საზოგადოების (ESTSS) პრეზიდენტად. აქვს ფსიქოლოგიური ტრავმის კვლევისა და მკურნალობის და კონფლიქტის ტრანსფორმაციის საკითხებზე მუშაობის მდიდარი გამოცდილება. იგი საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთში, ინგლისსა და ნორვეგიაში გამოცემული არაერთი ქართულ-, რუსულ- და ინგლისურენოვანი წიგნისა და სამეცნიერო სტატიის ავ-

ტორი, თანაავტორი და თანარედაქტორია. ის აღდგენითი მართლმსაჯულების დანერგვის მხარდამჭერია საქართველოში და წლებია ამ კუთხით თანამშრომლობს ევროკავშირის პროექტებსა და სხვა ჩართულ უწყებებთან.

ლადო ჯავახიშვილი სამართლის და საჯარო მართვის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს ფლობს. იგი 2013 წლიდან მუშაობდა იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრში, სადაც სხვადასხვა პერიოდში ხელმძღვანელობდა განრიდებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებს, მათ შორის სისხლის სამართლის მედიაციის მიმართულებას, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განხორციელებულ არაერთ პროექტს. 2020 წლიდან მან მუშაობა გააგრძელა სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, სადაც ხელმძღვანელობს, აღდგენითი მართლმსაჯულების, განრიდების, სისხლის სამართლის მედიაციის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის, არასრულწლოვანთა რეფერირებისა და დანაშაულის პრევენციის მიმართულებებს. ლადო ჯავახიშვილი ასევე არის მიწვეული ექსპერტი და ტრენერი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების და აღდგენითი მართლმსაჯულების საკითხებზე, სოციალური სფეროს და იურიდიული პროფესიის სხვადასხვა თემებზე საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. იგი ასევე არის მედიატორთა მომზადების სპეციალური, სასერთიფიკატო, კურსის სახელმძღვანელი

* ეს პუბლიკაცია გამოცემულია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს

